J 6555
2

აკაკი წერეთელი

აკაკი

ჩემი ნაწერები

პირველი წიგნი

მანსფელდის, გამოცემა.

თბილისი, ბ. ქილაძის სტამბა.
1912



ქართული მწერლობა საზოგადოდ ვერა სდგას კარგ ნიადაგზე, მაგრამ უველაზედ უფრო მეტი უბედურობა-კი ჩემ ნაწერებს ეწვია: ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ორი ჰატარა ტომის მეტი არ გამოსულა, მაშინ, როდესაც რამდენიმე ათეული მაინც უნდა გამოცემულიუო. ამის მიზეზი სელმოკლეობა და დაუდევრობა იუო. რადგანაც ეს ორივე მიზეზი დღეს თავიდგან აცილებულია, მე თვითონ განვიზრახე სრული ჩემი ნაწერების გამოცემა ამგვარად: გამოვა თვითეული წიგნი ორ ნაწილად. პირველ ნაწილში დაბეჭდილი იქნება ჩემი ახალი ნაწერები, ჯერ სრულიად არსად დაბეჭდილი და მეორე ნაწილში-კი ძველი, უკვე სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი აქა-იქ, მაგრამ გასწორებული და შენიშვნებით, თუ რა დროს და ვითარებამ გამოიწვია ეს ანუ ის თხზულება.

ა კ ა კ ი.

პირველი ნაწილი.

ახალი ნაწერები.

მისს მარჯორი უორდროპ

26 გიორგობისთვეს 1869 წ. † 7 ქრისტეშობისთვეს 1909 წ

მარჯოლი უოლდროპის სახსოვრად.

სახელ-განთქმულ ინგლისიდან
შემოფრინდა ჩვენში ობლად,
ვით მერცხალი მოპიკპიკე,
გაზაფხულის მახარობლად!

—

აპიკპიკდა და აგვიხსნა
წინაპრების გზა და კვალი!..
შეუწონა აწმყო წარსულს
და გვიქადა მომავალი...

—

გვითხრა: ტყვილა გულს ნუ იტეხთ!..
თქვენგან მე ბევრს გამოველი,
არ მოკვდება ის ერი, ვინც
წარმოშობა რუსთაველი!..

—

ეს გვითხრა და სხვაც რამ კიდევ
ბევრი დარჩა მას სათქმელი,
ვისაც ასე ჯერ უდროოდ
საუკუნოდ ჰფარავს ბნელი.

—

მაგრამ მაინც იმ ბნელიდან
მზის ციაგად მოგვფენს ნათელს,
და მიტომაც საქართველო
არ ივიწყებს იმის სახელს!..

ალბომში.

თვალად, ტანად, სულით გულით
თანასწორად შემკობილო;
ზოგჯერ ცხარევ, ზოგჯერ მწარევ,
მაგრამ სუყოველთვის ტკბილო!..

ერთად-ერთი, როგორც ღმერთი,
იყავ ქვეყნად იდეალი!..
შენ დაატკბე ჩემი აწმყო,
წარსული და მომავალი.

თავს ვგონებდი პირველ-კაცად,
სამოთხედ მჩნდა ეს ქვეყანა,
მაგრამ ჩემმა ნეტარებამ
ღიდი ხანი ვერ გასტანა:

მომაშორე იმ სამოთხეს,
გამომაგდე ვით ადამი,
და მით გულსა, დაჩაგრულსა
სასიკვდილო მოსცხე შხამი.

მაგრამ მაინც, მიყვარს მე ვინც,
შენ იქნები ერთად-ერთი:
სწორ-უპოვარ მიუწდომელ,
სათაყვანო როგორც ღმერთი!...

მ ა ს ვ ე.

უცხოეთს მყოფსა, შენ გამო
ზულში რომ ცეცხლი მეკიდა,
დრო, გადასული კურცხალად,
წამწამზე გადმომეკიდა.

—

ზამოგისახე თვალის წინ
ვით უკვდავება — ღვთაება
და გული, დამონებული
უფრო ძლიერად დაება.

—

მაშინ ვსთქვი: აწ აღარ არის
ჩემი საშველი, არსადა!..
რა მკვდარი!.. რაღა მოხუცი!?
ვინღა ჩააგდებს არსადა?

—

ჩამომწყდა ცრემლი ობოლი
და გაიყოლა თან გული,
აწ მხოლოდ ნაცარ-მიყრილი,
ერთხელ დამწვარი... დაგული.

ჩემი ჯმუნვა.

Ის არ მაშინებს და არც მატირებს,
რომ ირგვლივ მტერი შემოგვხვევია!..
ზარეშე მტერთან დავა და ბრძოლა
იმავ თავითვე ქართველს სჩვევია...

—

და ჭირში შინა გამაგრებული,
როგორც ქვითკირი ისე ყოფილა;
აუტანია მას გან საცდელი,
მაგრამ დამხობით არ დამხობილა!

—

მე ის მაღონებს, დღევანდელ ქართველს
ძველი ანდერძი რომ ავიწყდება,
და ეროვნების მაგარი ციხე,
შეუგნებლობით შიგნიდან ტყდება.

—

მტერი იძახის: ვინ გაიგონა
ახლანდელ დროში ეროვნებაო?!
მხოლოდ ერთია „მუშათ საკითხი“...
ზულს დაიბეჭდეთ მარქსის მცნებაო!

—

ამას ჩვენ გვირჩევს და თავისათვის
სულ სხვანაირად გაიყურება:
სცდილობს კისერი მოგვატეხინოს
და მით თავის ერს ემსახურება.

ჩვენ ქართველებს—კი „მეცნიერების
უკანასკნელი სიტყვა“ ჰგონიათ,
და მიაჩნიათ ჭეშმარიტებად,
რაც კაჭკაჭივით გაუგონიათ!..

—

მტერსაც ის უნდა: მოტყუებულ ერს
უფრო ადვილად ჩაიგდებს ხელში
და, ღონე-მიხდილს შინაურ ბრძოლით,
ადვილად მაგრად წაუჭერს ყელში.

—

სულს მოიბრუნებს ჩვენს ნაოხარზე;
ჩვენი დაჩაგვრა მისთვის ლხინია!..
ყველა მათგანი, სიტყვით ბულბული
საქმით იგივე „ტიმოშკინია“!

—

სიტყვა სხვა არის, საქმე სულ სხვაა...
სულ სხვა აქვსთ გულში მათ დაფარული,
ხრიკია მხოლოდ პოლიტიკური
„ძმობა, ერთობა, და სიყვარული!“

—

მაგრამ არ სჯერათ ეს უბრალო რამ
დღეს მეთაურად გამოსულებსა;
წარსულსა ჰგმობენ და მოელიან
მომავლისაგან სასწაულებსა!

—

და არ ჰფიქრობენ: ერს, თუ წარსულში
არ ალუნიშნავს ცხოვრების კვალი,

და მისი აწმყოც უვარგისია,
რაზედ ააგოს მან მომავალი!?

—

მწარე ოცნებით გატაცებულსა
და ჩქარ-სურვილით გაკერპებულებს,
სარიელ სიტყვით, გინდ ჭეშმარიტად,
ვინ დააჯერებს? ვინ მოარჯულებს?

—

ბავშვი, თუ ჰხედავს მახლობლად თაფლსა,
შეეშის სურვილით სულ-წასულია,
და არაფრისთვის არ დაგიჯერებს,
რომ ის მტრისაგან მოწამლულია!

—

და ვაშკაცი-კი წმინდა თაფლს ეძებს
წინდახედულად, წონით და ზომით
და ერთხელც არის, ხელში ჩაიგდებს,
შინაურულად, ან ცხარე ომით!

—

ისევე თაფლია ცხოვრებისათვის
„**ძ**მობა, ერთობა და სიყვარული",
და ღირს დალიოს იმის ძებნაში,
ადამიანმა სული და გული!

—

დალიოს, მაგრამ წინდახედულად,
აუჩქარებლად, ღირსად და ფრთხილად,
რომ მისი შრომა და მისი ღვაწლი
მის მოძმეებსაც შეერგოს ტკბილად.

Იმას არ ეთქმის „ადამიანი“
ვინც ალიარებს მარტო თავის ერს,
და სხვა ტომებს-კი ისე შეჰყურებს
ჩასაყლაპავად, როგორც მტერი მტერს.

—

დეე, სუყველამ იბედნიეროს
თვისს სამშობლოში, თავის მხარეში,
რომ მოძმე იყონ ერთი მეორის
და არა მონა, ყმა და ფარეში!..

—

ვისაც არ ესმის ეს წმინდა მცნება
და სხვის დაჩაგვრა გულში აქვს მარად,
უნდა ავიღოთ მაზე მახვილი
და მოვიხმაროთ... მაგრამ-კი ფარად.

—

ვაი!.. ეს რჩევა დღევანდელ ქართველს
ვერ შეუგნია... არ ეყურება!..
ჰგონია თავს სდებს სამშობლოსათვის
და მისვე მტერს-კი ემსახურება!..

—

აი ეს არის, მე რომ მაღონებს!..
ძველი ანდერძი რად გვავიწყდება?
და ეროვნული ქართული ციხე,
შეუგნებლობით, შიგნიდან სტყდება!!..

ᲒᲣᲠᲒ-ᲐᲡᲚᲐᲜᲘ.

(ისტორიული ზღაპარი)

I

Ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
Ციდან ჩამოესმა რეკა;
Იალბუზზე ფეხი შესდგა
Დიდმა მთებმა იწყეს დრეკა!..

—

Დაიმტკიცა ზე-კაცობა,
Არვინ ჰყავდა ქვეყნად ტოლი;
Მეფეებში ერჩეოდა
Მარგალიტი, ვით ობოლი.

—

Მას ვეზირი ვინმე ახლდა,
Სახელდობით Ჯუანშირი,
Შუქ-მომფენის შუქ-მიმფენი,
Საკადრისი გმირთა-გმირი.

—

Ვით მნათობი დღე და ღამის
Მაღლა ცაზე მზე და მთვარე,
Ისე იყვნენ დაბლა, ქვეყნად
Ერთმანეთის მოზიარე.

—

Საპირ-ლხინოდ ერთმანეთსა
Ბადუშლიდენ ძმურად გულსა
Და ზედ სთესდენ მოსამკელად
Სიყვარულით სიყვარულსა!

არ იცოდენ, თუ რა იყო
საძნელო და გასაჭირი!..
ბედსა ჰყავდა არჩეული
ის მეფე და ის ვეზირი!..

—

მაგრამ ერთხელ მაინც მეფეს
შემოაწვა სევდა რამე
და დაჰკარგა უნებურად
სიხარული და სიამე:

—

აღარც სმა და აღარც ჭამა,
აღარც ძილი გემრიელი
და, სიკეთე-მოყირჭებულს,
მოეწყინა ეს სოფელი!!.

—

ხმა გავარდა სამეფოში,
ამოძრავდა საქართველო:
რა მოსვლია ბატონ-მეფეს,
რომ ყვითლდება, როგორც მდელო?

რა აკლია ნეტავი? **ღ**ვთით,
ხელთ უჭირავს ნატვრის-თვალი!..
წარსულითა და აწმყოთი
დამტკბარი აქვს მომავალი!

—

ხმალი უჭრის... ცალს არ უდებს
ალექსანდრე **მ**აკედონელს.

Ველა მისი მორჩილია,
საითაც კი გააშვერს ხელს.

სიმდიდრე აქვს მთელი ქვეყნის
თვით კრეზზედაც მდიდარია;
ვეზირი ჰყავს ბრძენთა-ბრძენი
და მაშ რამლა გადარია?!

რაც კი იყო სამეფოში
ან მკითხავი ან მკურნალი,
ველამ თავი მოიყარა,
რომ შეასვან მას წამალი.

—

ამან ეს სთქვა, იმან ის სთქვა,
ახრიალდენ წარა-მარა,
მაგრამ მათი საცადისი
მეფეს ვერად მოეხმარა:

—

მიდიოდა უარ-უარ
ის დღითი-დღე, ნელა-ნელა;
ცდა და შრომა არ ჰკლებია,
მაგრამ მაინც არ ეშველა.

—

მაშინ ერთხმად გადასწყვიტეს:
„შმკურნალო სენიაო?..
ღმერთს მივანდოთ... ის მოარჩენს,
თუ რომ მოსარჩენიაო“.

Სთქვეს და წავიდ-წამოვიდენ,
Დარჩა მხოლოდ ჯუანშირი,
მარტო მეფის მაგიერად,
ნაცვალი და მისი პირი.

—

Გავიდა დღე, გავიდა თვე,
Გადის თითქმის წელიწადი.
Შრომობს მარტო ჯუანშირი,
მისი მეფის გულითადი;

—

Არას ამხელს, უცდის მხოლოდ
Და მოელის მის მორჩენას,
Დაბლა... ქვეყნად წამალს ეძებს
Და ავედრებს მაღლა ზენას.

II

Დიდის მეფის დიდ-ვეზირსა
საქმე მიჰყავს ჭკვიანადა:
მამლიყიულს რომ დაასწრებს,
Დაიძინებს გვიანადა.

—

Ისე მიჰყავს საქმეები
Თითქოს იყოს თვით ბახტანგი;
ვერ მოიცლის საღამომდე,
Რომ აიღოს ხელში ჩანგი.

-

Და მაშინ კი, რომ მორჩება
Სახელმწიფო საქმეებსა,

ჩანგს აიღებს და დამღერის
საგულისხმო რავე ხმებსა:

—

აგონდება დრო წარსული
ბორგ-ასლანის გმირობისა:
დამარცხებულ მტრებისაგან,
ჩამოურთმევა პირობისა.

—

თვალ წინ უდგას საარაკო
ოს-ბატონი ბაყათარი,
ვახტანგისგან გაწვეული
და ძლეული მისგან... მკვდარი.

—

აგონდება: სპარსთა მეფემ
რომ გაუღო ქართველთ კარი
და ვახტანგმაც ინდოეთში
ბადიყვანა მისი ჯარი.

პოლიტიკურ მოსაზრებით
ის რომ ბერძნებს შეესია,
ბადააგდო პატრიარხი...
აამაღლა ეკლესია.

—

წირვა-ლოცვის მოსასმენლად
მაშინ გვქონდა ბერძნის ენა
და აზრების გაუგებრად
იყო მხოლოდ სიტყვის სმენა.

Აღადგინა ბორგ-ასლანმა
დედა-ენა დაკარგული
და ბერძნული ენის ნაცვლად,
შემოიღო მან ქართული.

—

საეროვნო ნიადაგზე
დააყენა ყველაფერი,
და მით მისცა საქართველოს
საკუთარი რამ ელ-ფერი...

—

აგონდება სუყველა ეს,
მოგონებით მხიარულსა,
მაგრამ აწმყოს რომ უყურებს,
ის აღონებს... უკლავს გულსა!

ულონობა მეფის წარსულს
უბნევს ახლა გზა და კვალსა
და უმზადებს საქართველოს
უნუგეშო მომავალსა!

—

სევდა გულზე მოაწვება,
ჯუანშირი ჩაჰკიდებს თავს
და ნუგეში რომ რამე სცეს,
ვერვის ჰხედავს, არავინ ჰყავს.

—

სწორედ ამისთანა დროზე
მის წინ წადგა ვიღაც გლეხი;

შიშითა და მოკრძალებით
აეკრიფა საწყალს ფეხი.

—

მოახსენა: დიდებულო,
მესმის შენი გოდებაო!..
მაგას მარტო შენ არ სწუხარ,
ჩვენც ეგ ცეცხლი გვედებაო.

—

მაგრამ ღმერთი მოწყალეა,
შეიძლება მორჩენაო,
თუ პირობას ამისრულებთ,
რომ დაგიდებთ მეც თქვენაო:

—

ამ დიდებულ-სასახლიდან
მას ჩემ ქოხში წავიყვანო
და იმანაც, რომ მეფეა,
გადაიგდოს გულიდანო!

—

როგორც მონამ გამიგონოს,
რაც უბრძანო სუყველაო
და თავს გაძლევთ მოსაჭრელად,
თუ წლამდინ არ ეშველაო,

—

გაუკვირდა ჯუანშირსა,
მოახსენა მეფესაცა
და პირობა დადებული
გლეხისაგან მას გადასცა.

მეფემ ბრძანა: „ჯუანშირო,
ეგ პირობა ბევრიაო,
მაგრამ ცდა, ხომ ნათქვამია,
ბედის მონახევრეაო!“

—

ვეახლები ერთ წელიწადს
ეგებ, მართლა მეშველოსო!..
მანამდის შენ მოუარე
დაობლებულ სამეფოსო!..

——

სთქვა და მონად გამოეწყო,
დაიმდაბლა მეფემ გული
და გლეხს გაჰყვა მორჩილებით
ზურგზე გუდა-მოდებული.

III

ტალახიან გზას გაუდგა
გლეხი მიდის, მიჩანჩალობს.
და კვალ-და-კვალ მისდევს მეფე,
არ ჩამორჩეს, იმას ძალობს.

——

რომ შევიდენ ერთ სოფელში,
ისლიანი დახვდათ ქოხი!
შიგ არც სკამი, დასაჯდომი,
არც საწოლი რამე ნოხი!

—

გაიფიქრა მეფემ გულში:
აქ ვერ გავძლებ წელიწადსო!

მაგრამ სიტყვას ვერ დავარღვევ...
რომ გავსტეხო, არცა მწადსო.

—

სანამდისინ კი ავიტან,
მეც მოვითმენ გასაჭირსო.
და ახლა კი ფეხ-მოკეცით
მოუჯდები ცეცხლა-პირსო.

—

სთქვა და კიდეც აასრულა:
ცეცხლთან იჯდა მთელი ღამე!
მისთვის არც სმა და არც ჭამა
არც ძილი და არც სიამე.

—

მეორე დღეს, რომ ინათა,
გაიყვანა მეფე კარში;
მხარზე თოხი გაუდვა და
წაიყვანა სათოხარში.

—

უთხრა: ვიცი რომ არ იცი
მუშაობა გლეხ-კაცური,
მაგრამ უნდა მე მომბაძო
და მომაპყრო თან თვალ-ყური:

—

უსარგებლო ბალახ-ბულახს
ამოუგდო უნდა ძირი
და კარგ ღეროს უნებურად
არ მოარტყა თოხის პირი.

ᲒᲐᲛᲝᲬᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲔ,
ᲗᲝᲮᲘᲡ ᲜᲣ ᲐᲥᲜᲔᲕ ᲬᲐᲠᲐ-ᲛᲐᲠᲐᲓ
ᲓᲐ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚ ᲤᲔᲡᲚᲔᲑᲡ
ᲓᲐᲐᲬᲕᲔᲗᲔ ᲝᲤᲚᲘ ᲦᲕᲐᲠᲐᲓ!..

—

ᲓᲐ ᲐᲙᲣᲠᲗᲮᲔᲑᲡ ᲛᲐᲦᲚᲘᲗ ᲛᲐᲨᲘᲜ
ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲣᲡᲢ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ!..
ᲑᲔᲕᲠᲐᲓᲐ ᲡᲯᲝᲑᲡ ᲒᲐᲠᲔᲓ ᲓᲒᲝᲛᲐ,
ᲣᲡᲐᲥᲛᲣᲠᲐᲓ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲯᲓᲝᲛᲐᲡ!..

—

ᲮᲐᲜ ᲔᲡ ᲣᲗᲮᲠᲐ, ᲮᲐᲜ ᲘᲡ ᲣᲗᲮᲠᲐ,
ᲨᲔᲘᲥᲪᲘᲐ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲗᲐ.
ᲛᲔᲤᲔᲡ ᲐᲠᲪ ᲙᲘ ᲨᲔᲣᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ,
ᲒᲐᲘᲬᲣᲜᲬᲐ ᲝᲤᲚᲘᲡ ᲦᲕᲠᲘᲗᲐ.

—

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲛᲓᲘ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲐ.
ᲒᲐᲘᲯᲔᲠᲐ ᲗᲝᲮᲜᲘᲗ ᲒᲣᲚᲘ
ᲓᲐ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲜ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ
ᲛᲨᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲦᲐᲚᲣᲚᲘ.

—

ᲛᲔᲤᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ: ᲓᲦᲔᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ
ᲛᲐᲬᲕᲐᲚᲔ ᲓᲐ ᲛᲐᲬᲐᲛᲔᲗ!..
ᲙᲣᲠᲘ ᲛᲔᲬᲕᲘᲡ, ᲘᲡᲔ ᲛᲨᲘᲐᲜ,
ᲪᲝᲢᲐ ᲠᲐᲛᲔ ᲛᲐᲪᲐᲛᲔᲗ!

—

ᲑᲚᲔᲮᲘ ᲔᲢᲧᲕᲘᲡ: ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲘᲡᲘ
ᲠᲐ ᲛᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲐᲑᲐ ᲛᲔᲗ?

შენც ჩემსავით ცივი მჭადი
გააფიცხე და სჭამეო!

—

და ნურაფერს უკაცრავად,
ღვინო თუ ვერ მოგართვაო!..
შეგიძლია ცივი წყალიც
დააყოლო, ისა სვაო.

—

არდი-გარდა წამოუწექ
გუგუნა ჯირკს თბილად... გრძლადო
და ბალიშის მაგიერად
ქვა დაიდევ სასთუმლადო!

—

დაიჯერა გლეხის რჩევა:
წაატანა ცივ-მჭადს ხელი
და სვავივით გადასანსლა
ის, თაფლივით გემრიელი.

—

დააყოლა ცივი წყალი
და იქავე მიიძინა.
სასახლეში უფრო რბილი
არ ჰქონია იმას ბინა!

—

მეორე დღეს, რომ წამოდგა,
თავი იგრძნო მორჩენილად;
მიუბრუნდა გლეხს სიცილით,
ვით ამხანაგს, უთხრა ტკბილად:

„Უცნაური რამ ყოფილხარ:
მომარჩინე სრულიადო.
ახლა წავალ და სამეფოს
შევუდგები ხელ-ახლადო!“

—

მაგრამ გლეხმა იუარა:
ჯერ ნუ გასტეხთ პირობასო!
არ შეშვენის სიტყვის შეშლა
ქაცის მაღალ-გმირობასო!..

—

თუ აქამდე გიცხოვრია
სისხლის ღვრით და ომითაო,
ერთი წლით მეც მემსახურე
ოფლითა და შრომითაო!

—

რა გზა ჰქონდა? დაეთანხმა
მეფე გლეხის ბრძანებასო
და ერთი წლით დაემონა
იმის სურვილს და ნებასო.

IV.

ამუშავებს გლეხი მეფეს
სულ თავ-თავის ალოზედა:
ხან პურსა მკის მასთან ერთად
და ხან ლეწავს კალოზედა.

—

ახვნევინებს, ათესვინებს;
თოხით დაჰყავს სათოხარში.

სუყოველგან და ყოველთვის
ბლეხს უდგია მეფე მხარში.

—

ვენახსა სხლავს, როცა დროა,
ჟურძენს სწურავს საწნახელში
და უჭირავს იარაღი
შესაფერი მუდამ ხელში.

—

არ აწუხებს არ-მეფური
სმა, ჭამა და არცა ბინა
და ამ გვარად წელიწადმა
სიზმარივით გაირბინა.

—

ბლეხი-კაცის სამუშაოს
ბულს აყოლებს... არ სწყენია!
მით უფრო რომ ამოდენ ხანს,
თითქმის, ფრჩხილიც არ სტკენია!

—

რომ გავიდა წელიწადი
და შესრულდა მათი ვადა,
ბლეხმა-კაცმა მოწიწებით
მეფეს ქუდი მოუხადა:

დაუჩოქა, მოახსენა:
„ახლა კარგად ბრძანდებიო,
და წაბძანდი სასახლეში!..
ნუღა დაგვიანდებიო!“

١٠

დაბრუნდა მეფე კარგ გუნებაზე,
ბასუქებული და მორჩენილი;
მადიანად სჭამს, გემრიელად სვამს,
რომ მოისვენებს, ძილი აქვს ტკბილი.

——

მამლიყიულზე რომ წამოდგება,
დალამებამდი სულ საქმეშია;
ბაჭირვებულთა და ქვრივ-ობლების
მრავალ-მოწყალე და ნუგეშია.

—

ხმალს აღარ ჰკიდებს ძველებურად ხელს,
ხმარობს ხან და ხან მხოლოდ ფარ-გვარად;
უნდება საქმეს მარტო შინაურს,
სისხლის მაგიერ ოფლს აქცევს ღვარად.

—

ბაოცებული მისის ყურებით,
დიდებულ მეფეს ჰკითხავს ვეზირი:
„**ა**გრე რომ შრომობთ და იღლებით,
რა დაგდგომიათ მის გასაჭირი?"

—

მეფე მიუგებს ტკბილად, ღიმილით:
„**ჩ**ემო ვეზირო, უთანასწორო!
მინდა შეცდომა ჩემი წარსული
ბამოვიყიდო და გავასწორო!

—

თურმე, ტყუილი ყოფილა ყველა
ჯერელა-ჭრულები ამ ქვეყნიერად

და ადამიანს, თუ გსურს, იცხოვრო,
აქ მოსვენებით და ბედნიერად,

—

უნდა იშრომო და შრომის ოფლით,
გაჰბანო შენი დაღალულობა,
რომ არ დაეტყოს შენ ნაშრომ-ნაღვაწლს
ძალ-ლატანება და უგულობა.

—

მხოლოდ გლეხისას მე შევიგენი
ჭეშმარიტება ეს უტყუარი
და ჩემმა გულმაც შვება-სიხარულს,
სათანაგრძნობო, გაუღო კარი.

—

მეფე ვიყავი, ქვეყნის მპყრობელი,
ქვეყნად არ მაკლდა მე ნეტარება,
მაგრამ, ხომ ნახე? ვერ მოვიპოვე
მაინც პირადი ბედნიერება.

—

არ მქონდა ძილი, არც სმა და ჭამა,
მიღონდებოდა სული და გული
და მხოლოდ სხვების სახარბიელოდ
გარეგნად ვიყავ მე დიდებული.

—

ახლა სულ სხვაა!.. სულის სიწრფელე
და სისპეტაკე წრფელი გულისა
ემბაზი არის, თურმე, საქვეყნო
„ძმობა-ერთობა-სიყვარულისა“!

უნდა ამ გრძნობით აღძრული იყოს
ყველა თავ-თავისს სარბიელზედა,
ერიდებოდეს შეუძლებელსა
და შესაძლები, ედვას ხელზედა.

—

სიამოვნებით და სიყვარულით
როგორც გლეხ-კაცი უვლის ყანასა,
ისე ხელმწიფე უნდა უვლიდეს
თავისს სამეფოს და ქვეყანასა:

—

შეჰქონდეს სწავლა-მეცნიერება
ასამაღლებლად ეროვნულ ხნულში,
და დასაკლისი სხვა ეროვნების
არ უნდა ედვას მას მტრულად გულში.

—

თავ-თავის დროზე ნახნავ-ნათოხნი,
მომკოს ნაყოფი მან მოწეული
და განამტკიცოს ქვეშევრდომებში
„**ძ**მობა, ერთობა და სიყვარული"!..

—

ამას სუყველას სარჩულ-საპირედ
მან ეროვნული დაუდვას ანგი
და მით მომავალს მოცაუმზადოს
საკეთილდღეო რამ ნიადაგი!.."

VI

ეს ყოლიფერი ხელად დასწერა,
როგორც ანდერძი, განთქმულ-მახვილზე

და როგორც რამე, „წმინდა-წმინდათა“
ისე გადასცა ის შვილი-შვილზე.

—

და ეს ანდერძი ხელიდან ხელში
ბადადიოდა როგორც სიწმინდე,
და შემდეგ შვიდი საუკუნისა
მან ააწია **თ**ამარ-**მ**ეფემდე.

მეფემ მახვილი, მოსაგერებლად,
დავით **ს**ოსლანსა, ქმარს გადაჰკიდა.
თვითონ სთესავდა კეთილს საეროდ
და ერთი-ასად ჯვარითა ჰმკიდა.

—

იმეფა ოცდა რვა წელიწადი
და, რომ დააგდო ჩვენი ქვეყანა,
ანდერძ-მახვილი და წმინდა ჯვარი
სამარეშივე თან ჩაიტანა.

—

დღეს ის საფლავი დაკარგულია!
ვერ მიგვიგნია წმინდა-სამარე
და მასთან ერთად „ხმალი“ და „ჯვარი“,
საქართველოზე სხივ-მომფინარე!

—

მაგრამ თქმულობა დაგვრჩა ხალხური:
ის ერთხელ კიდევ გამოჩნდებაო
და **ს**აქართველოც ახალის ძალით
კიდით-კიდემდე გაახლდებაო!..

მაშინ **ბ**ორგ-**ა**სლან და **თ**ამარ-**მ**ეფე
შეთანხმდებიან იმ დიდ სოფელსო
და უგალობენ ხმა-შეწყობილად
საშვილი-შვილო საგალობელსო:

VII

„**ა**ღსდეგ გმირთ-გმირო! ნუ გძინავს!
ბამოახილე თვალიო!
დროს შესაფერად წარსულში
შენ მოხდილი გაქვს ვალიო!

—

ახლა დაგიდგა სულ სხვა დრო,
ამაღლებული შრომითო
და სისხლი ოფლად შესცვალე,
ვერას გახდები ომითო!..

—

მას მიეკედლე ვინც ხელი
ბამოგიშვიროს ძმურადო!
ჩასდეგ მსოფლიო ფერხულში
ჩაები მამაცურადო!

—

და მით მსოფლიო ტრაპეზზე
შენც შეიტანე წვლილიო!
აღსდეგ გმირთ-გმირო, ნუ გძინავს!
აღარ შეგფერის ძილიო!!

ნამდვილი ამბავი.

—

ამ სამი წლის წინად, **ბ**ორჯომში ერთი გლახა დაიარებოდა. **პ**ირველ შეხედვისა-თანავე შეატყობდით, რომ ის ოდესმე კარგი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა-კი **ღ**მერთმა შეინახოს: ყურ-ჩამოთლილი, ცხვირ-გაჭეჭყილი, ლოყებ-დაჩეხილი და კისერ-მოგრეხილი!.. **ც**უდი სანახავი რამ იყო!.. **თ**ანაც მარჯვენა ხელს ვეღარ ხმარობდა. **ი**დგა ბაღის გამოსავალთან და გამვლელ-გამომვლელს მარცხენა ხელს უშვერდა სამოწყალოზე. **ვ**ინ, ან სადაური იყო ვერ შეატყობდა კაცი. **მ**ე კი რუსი მეგონა, რადგანაც „ხრისტა რადი ბარინო!“ გაიძახოდა ყოველთვის. **ღ**მერთთან სწორი სჯობს, ჩემთვის არასოდეს არ გამოუშვერია ხელი, თითქოს თვალს მარიდებდა.

ერთ საღამოს სკამზე რომ ვიჯექ მარტოკა, დაფიქრებული და შეეჰყურებდი მაღლიდან გადმონაქან ჩანჩქერს, „საღამო მშვიდობისაო!“ მომაძახა ვიღაცამ.

მოვიხედე და ნაცნობი გლახა იდგა ჩემ გვერდით... **ა**ქ რას უზიხართ ამ დროს? **ა**რ გეშინიანთ მარტოობის? —დამეკითხა თამამად.

— **რ**ისი უნდა მეშინოდეს? **შ**ენი ხომ არა?— ვუპასუხე სიცილით.

— Ცუდი დრო არის ახლა!.. მოძრაობაა... ადამიანი ჩალად აღარ ღირს. შეიძლება, სულ ტყვილაუბრალოდ გაფუქდეს კაცი და მომკითხავი არავინ ეყოლება... ჯერ იყო და ტერროორი... ახლა რეაქცია დადგა და კიდევ უარესი!.. სიფრთხილე უმართებს ჩვენ"ში ყველას და თუ სულ მოშორდება აქაურობას და სადმე მიიმალავს თავს, ის კიდევ უკეთესი!..

– შენ რა იცი ან ტეროორისა და ან რეაქციის? დავეკითხე გაოცებული.

— ნეტავი არ მცოდნოდა!.. ამ დღეში აღარ ჩავვარდებოდი.

— როგორ?

— თქვენ ვერ მიცნობთ, თვარა მე კარგად ვიცი, ვინცა ბრძანდებით!.. ბაგიხსნიდით გულს, მაგრამ გრძელი ამბავია ჩემი თავ-გადასავალი და ვაი თუ, თავი მოგაბეზროთ?!.. ცნობის-მოყვარეობამ ამიტაცა და, თითქმის, შევეხვეწე: თუ არ მიეჩქარები სადმე, დაჯექ და მომიყევ! მე ძალიან მონდომით დაგიგდებთ ყურს.

— ბატონი ბრძანდებით! კეთილი!.. ბულის ნადებს რომ ვისმე გავუზიარებ, როგორც მოძღვარს, ტანჯვის ტვირთი, თითქოს, მიმსუბუქდება. მე აღარც მოძღვარი მყავს და აღარც ვინმე. დღეს ჩემთვის ყველა გათავებულია!..

დაჯდა, დაფიქრდა, მწარედ ამოიხვნეშა და მოჰყვა: მე შორაპნელი ვარ. ახლა მიყურებთ ასე.

თვარა დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რომ მეც ადამიანებში ვერიე და ჩემ ტოლს არაფერში ჩამოუვარდებოდი. „სტრაჟნიკად“ ვმსახურებდი და მთავრობასაც კარგად ვეყაედი შემჩნეული.

დამსჯელი რაზმი რომ შემოიღეს, მე, როგორც ჩემდა საუბედუროდ, რუსულის მცოდნე, კაზაკების ერთ გუნდს მიმიჩინეს.

ეგენი უცხონი არიან აქ, არც გზა იციან, არც კვალი და შენ უნდა წაჰყვე ხოლმე უწინამძღვროო. არ მიამა, მაგრამ რას ვიზამდი? ბატონის ბრძანებას სად წაუხვალ?! მეც ავედევნე ამ ძაღლთა-პირებს. აქ კაცსა ჰკლავდენ, იქ სახლსა სწვავდენ... დედა კაცებს აუპატიურებდენ და სხვა რასაც უფრო მეტს მხეცურს ჩაიდენდენ, ის უფრო ექებოდათ და სამსახურშიაც ერთგულებად ეთვლებოდათ. — პირველ ხანებში ცოდვით ვიწვოდი; მაგრამ საკვირველი ყოფილა ადამიანი!.. ყოველიფერ სისაძაგლეს მიეჩვევა თურმე: ბოლოს და ბოლოს მეც შევსტოპე უწმინდურების წუმპეში და ერთიც ვეღარავინ მჯობდა ცარცვა-გლეჯაში! მით უფრო, რომ ნაცარცვში მეც წილი მედვა ხოლმე და სოფლელების წივილ-კივილი აღარაფრად მიმაჩნდა.

ერთხელ მაზრის უფროსთან მოვიდა ვიღაც ჩვენებური, „გამოსუქინსინებული“ კაცი და მოახსენა: „თქვენ რომ დაეძებთ, ის გადავარდნილები ამა და ამ სოფელში იმალვენ თავს“.

— ვინ არის ეგ „გამოსუქინსინებული?“

—Რა ვიცი? განა ცოტა არიან დღეს ჩვენში მაგისთანები?!

—Სკოლის ბრალია, თუ ლაქიობის, არ ვიცი, მაგრამ ამ ბოლო დროს ერთგვარი ხალხი გამრავლდა ჩვენში, რომელსაც არც ღმერთი სწამს და არც კაცი!.. Ამ გადაგვარებულებს შრომა ეზარებათ და საშოვარზე კი უჭირავსთ თვალი!... Თუ მოახერხეს, დღეს კაცს მოჭკვლენ ფულის გულისათვის, ხვალ საყდარს გასტეხენ, აქ ვისმე მოატყუებენ, იქ ჩამორჩებიან და ამ გვარად!.. Როგორც ურიის სახლში მირონი, ისე იმათ გულში, არა არის რა წმინდა!.. Ოღონდ კი უშრომლად შეიძინონ რამე, აქეთაც არიან და იქითაც. Მოძრაობის დროს ბევრი იმათგანი ტერროორისტად იყო გასული და იმ დროს, როცა ნამდვილი სოციალისტები ციხეში იყვნენ გამომწყვდეული, ისინი ხალხს ატყუებდნენ და სცარცავდენ. Მათი სახელით ბევრ რასმე ცუდს ჩადიოდენ და ნამდვილ სოციალისტებს სახელს უტეხდენ. Სანამ დრო ჰქონდათ, იქით იყვნენ და რეაქცია რომ დადგა, აქეთ გადმოვიედნ. Მთავრობას მიჰმართეს: ზოგი სამსახურში შევიდა, და ზოგმაც ჯაშუშობას მიჰყო ხელი, რომ რამე შეეძინა. Აი ესენი არიან „გამოსუქინსინებულები“ და ჩვენ მაზრის უფროსთანაც იმათგანი ვინმე მოვიდა, სოფელი რომ ჩაბეზღა. Უფროსმა თორმეტი კაზაკი გაგზავნა იმ სოფელში გადავარდნილების დასაჭერად და სოფლის შესაშინებლად. Მეც, რასაკვირველია, თან გამაყო-

ლა. მივედით დანიშნულ სოფელში, მაგრამ იქ, აცახცახებული სოფელი, თვალ-ცრემლიანი დაგვიხვდა: ღმერთი!.. რჯული!.. თვალითაც არავინ გვენახოსო?! ჩვენ მაინც დავათვალიერეთ სოფელი. ცოტა რასმე წავჭკარ-წამოვკარით ხელი, ოთხიოდე სახლიც დავსწვით და უნდა დავბრუნებულიყავით, მაგრამ ურიადნიკს ეშმაკმა შეუხიცინა გულში და უბრძანა მამასახლისს: თორმეტი ქალი აარჩიე სოფელში და მომგვარე ახლავეო. მამასახლისი წავიდა, მაგრამ ისევ მალე დაბრუნდა აკანკალებული: ქალები აღარ არიან, ყველა ტყეში გადავარდნილა, ბებრებიც-კი თან გაჰყოლიან და რაღა ვქნაო?! კაზაკებს გული მოუვიდათ, თითო-ოროლა წაუთავაზეს კისერში მამასახლისს და დავბრუნდით უკანვე სიმღერით.

ჯერ შუა-გზა არ გვექნებოდა გავლილი, რომ ერთი თავდაღმართი დაგვიხვდა ჩასავლელი. იქ, იმ ძირში, წყაროს პირად ვიღაც ქალი კოკას ავსებდა წყლით, თანაც 9—10 წლის ქალი ახლდა. ბავშვმა, როგორც კი მოგვკრა თვალი, შეჰკივლა უფროსს: „დედა, რუსებიო!“ დედა წამოვარდა ზეზე და დამფრთხალ ირემივით შევარდა ტყეში. ბავშვი აქვე დარჩა და მოჰყვა ღრიალს. მოცვივდენ კაზაკები, სტაცეს ხელი ბავშვს და დაუწყეს წვალება. დედა, სასოწარკვეთილი გამოვარდა ისევ ტყიდან და შემობღავლა გამხეცებულებს: „მაგას ნუ ერჩით ანგელოზია, გაუშვით ხელი და მე, რაც გინდათ, მიყა-

ვით?!.. **ზ**ინდ მომკალითო! **ვ**ინ რას გაუგონებდა? **ს**იცილ-ხარხარით წაავლეს ხელი დედას, მაგრამ შვილისთვისაც არ დაუნებებიათ თავი. **რ**აც იქ მაშინ ამბავი მოხდა, ის მეორედ ნუღა მაჩვენოს **ღ**მერთ-მა!.. **დ**ედას პირზე დააჭირეს ხელი. **ბ**ავშვის წივილ-კივილი ცამდის ადიოდა. **ვ**ინ იყო გამგონე?!..

დედა-შვილი დიდი ხნის გულ-შემოყრილი იყვენ, რომ კაზაკები თავისს პირუტყვულ გრძნობას იკმაყოფილებდენ. **ბ**ოლოს, როცა გული იჯერეს, მომიბრუნდენ მე: „ახლა შენ მიდიო!“ მე, რასაკვირველია, უარზედ დავდექი და, აღარც ცოცხალი და აღარც მკვდარი, გავჰყევი მათ სადგურისაკენ. – **ი**მ ღამეს აღარ დამძინებია. **ვ**ფიქრობდი, დამენებებია თავი სამსახურისათვის, მაგრამ სადღა უნდა წავსულიყავ? **თ**უ რამე გამაჩნდა, ან სახლი, ან კარი, ან საქონელი და სხვა, სუყველა ერთ ღამეს გადამიბუგეს ისევ ჩვენებმა და სასიკვდილოდაც არ მზოგავდენ, თუ კი სადმე ჩამიგდებდენ ხელში!...

— **მ**აგისთანები და მაგაზედაც უარესები ბევრი რამ ჰხდებოდა იმ დროში. **ე**გ რა გასაკვირალია? **შ**ენ ის მითხარ: შენ რა მოგივიდა, რომ მაგრე ხარ დასახიჩრებული?

-- **მ**ე? ჰმ!... **რ**აც ჩავიდინე სხვებთან ერთად, იმის სამაგიერო გადამახდევინა ღმერთმა: წელანაც მოგახსენე, ერთ დროს თვალ-ტანად ვერავინ მჯობდა ჩემ ტოლებში მეთქი!... **ე**რთი თუ ვინმე იყო, მეც ვიყავი!... **შ**ეძლებაც კარგი მქონდა და

გამორჩენაც!.. ჯამაგირი სამ თუმნამდის მეძლეოდა და გამოსარჩენი... საშოვარი ათი იმდენი მქონდა. ერთი სიტყვით, თავი მომწონდა და მექებოდა, მაგრამ ჩემმა ცოდვამ ყოლიფერი დამაკარგვინა.

ზიორგობას საყდარზე ერთი ფუთელი გლეხის ქალი გავიცანი. ფუთი სოფელია ყვირილის მახლობლად. 18—19 წლის ქალი იყო. ჩემს ნახსოვრობაში ქალი ბევრი მინახავს, მაგრამ მისთანა-კი არა მომჩვენებია რა! შავ-გვრემანი, შავ-თვალ-წარბა, მოხდენილი თვალ-ტანადი, ზომაზე მსუქნად ჩაკვრიებული... რომ იტყვიან, ცით მოწყვეტილი ვარსკვლავიაო,– სწორედ ის იყო!... სიცილი, ტირილი, მოლხენა, მოწყენა, გაჯავრება, გამხიარულება, ყველაფერი შვენოდა. რომ გაიღიმებოდა, თვალები უციმციმებდა, თითქო, ცა გაიხსნა და სასუფევლის სარკმლებიდან ანგელოსები იჭვრიტებიანო. არა თუ ხმა-მაღალი ლაპარაკი, მისი ჩურჩულიც საამური იყო!... ზანა მარტო ყურსა ხვდებოდა? ზულის სიღრმემდი უწვედა. და სიარული? სიარულს კი ნუღა მეტყვით!.. მნახველს ასე ეგონებოდა, ცა და მიწა, ორივე ზურგზე წამოუკიდებია, მიაქვს და ჩალადაც არ აგდებს სიმძიმესო. ერთი სიტყვით, ყოველ-გვარად უნაკლულო იყო. ნახვისა-თანავე გულში ჩამივარდა. რაც ხანი გადიოდა, უფრო და უფრო მეკიდებოდა ცეცხლი! მაგრამ გული კი მაინც საგულეს მქონდა. ვამბობდი ჩემ გუნებაში: თვალ-ტანად კარგი ვარ, ბიჭად ერთი

ყერავინ მჯობია, ჯამაგირი კარგი მეძლეყა... Ისეც ბეერსა ვშოვულობ და ვინ დამიწუნებს მეთქი? Ბადავსწყვიტე შერთვა და კიდეც მივაგზავნე მოციქულად ნათლი-დედა. Დედ-მამას ძალიან გახარებოდათ, მაგრამ თვითონ-კი, ცივ-უარზე დამდგარიყო: ძალთაპირას არ წავყვებიო! Ოქროში რომ ჩამსვას და თვალ-მარგალიტით შემჭედოს, მაშინაც არ მინდა ქვეყნის მცარცველიო. Იმას რომ წავყვე, მერე რაღა პირით უნდა შევხედო სოფელსო? Ნათლი-დედამ რომ ეს გადმომცა, მე აღარ ვიცოდი რა უნდა მექნა? Ან ჯავრს როგორ გადავრჩენოდი? Და ან სირცხვილს? Ჩავვარდი საგონებელში: აღარ მეძინა, მადა დამეკარგა და აღარავის ვეკარებოდი .. Მარტოობას მივეცი თავი. — Ჩემ ამხანაგებში ორი თუ სამი მეგულებოდა კარგი ბა, გულმა რომ აღარ მომითმინა, იმათ გავენდვე საიდუმლოდ. Იმათ სიცილი დამაყარეს: მერე და ვაშ-კაცი მაგას გადაჰყოლიხარო? Სადაც ნება-ყოფლობა არ არის, იქ ძალა უნდაო. Ერთ რამეს გირჩევთ და, თუ შენც გვეტყვი, დაგეხმარებით: წავიდეთ, დავეცეთ თავზე იმ გლეხსო. Დაცემა და აკლება ხომ ჩვენ ხელთ არისო? Ჩვენც დავეცემით იმ გლეხს თავზე, ვითომ დასაწველად და ასაკლებად, შენ-კი გამოესარჩლე, გადაარჩინე და ისინი მადლიერი დაგრჩებიან და შენ სიძეობასაც ხელს ჩაჰკიდებენო!.. Და თუ არა და, მერე მართლა მოვიტაცოთო!.. შეყვარებული და ჭკუაზე შეშლილი ხომ ორივე ერთია?!..

დაშიჯდა მაინ რჩევა, ძეც ავჭყეფი და, შუადღე გადასული იყო, რომ გავუდექით გზას. დალამებამდი მივადექით კარზე ნიშანში ამოღებულ გლეხს. ეზოში რომ შევედით, შემოგვიტია ძაღლმა და ასტეხა ყეფა.

დედა-ბერმა კარი გააღო, გამოიხედა და რომ დაგვინახა, დაიყვირა: „ვაიმე რუსები მოდიანო!“ და წამოხტრა ისევ კარები. ქედან ჩვენ მივაშურეთ, შევამტვრიეთ კარი, შევედით სახლში, მაგრამ ცოლქმარი უკანა კარებში გავარდნილიყვენ და შინ მხოლოდ, ის ჩემი მოწონებული გოგო იყო. დაკარწახებულს გობში ჩაეყო ხელები და ცომსა ჰზელდა. „რა გნებავსო?“ — მოგვაძახა და წამოდგა ზეზე. ქაზაკი მივარდა, გადაეხვია და დაუწყო კოცნა. ზაფითრებულმა ქალმა ისეთი სილა გაარტყა, რომ „პრისტავს“ შეეხარბებოდა. ერთ შუბის ტარზე „გადააფურცუხა“. ზადასულს მეორე მიეშველა, მაგრამ ქალი ორივეს გაუძალდა. ლმერთო ჩემო, რა კარგი სანახავი იყო იმ დროს ის დალოცვილი: სახეანთებული, ცხვირის ნესტოებ-გაბერილი, თვალებიდან ცეცხლსა ჰყრიდა. და ორთავეს იგერებდა. — იმ ორს მესამეც მიემატა, წაავლო ფეხებში ხელი და დასცა მე კარებთან ვიყავ ატუზული: ქალმა ერთი შემომხედა და შემომძახა: „ქრისტიანი არა ხარო?! შეგირცხვეს ვაშ-კაცობა და წვერ-ულვაშიო!“ და დააპირა დამორჩილება. მაშინ-კი მიეხვედი, რომ ის მართლა ძაღთაპირები, ჩემთვის არ სცდილობ-

დენ. მომეკიდა ცეცხლი და მივვარდი გამხეცებულებს; ვსტაცე მათ ხელი, მივზი-მოვზიე აქეთ-იქით და გავაშვებიე. ძალიც წამოვარდა და გავარდა უკანა კარში!..

მაშინ გამწარებული კაზაკები ლანძღვა-გინებით მომობრუნდენ, იშიშვლეს ხანჯლები და წამიშინეს თავ-პირში. მალე დავჰკარგე გონება და მერე აღარა მახსოვს რა! საავადმყოფოში გამოვერკვიე. ხუთი თვე ვიწექი. და რომ მოვჯობინდი, გადმოვვარდი აქეთკენ... ულიფერი მივატოვე.

— არ გიჩივლია?

— ვიზე? მე ვინ დამიჯერებდა... ძართველს? მტყობა, პირ-იქით იმათვე მიჩივლეს, რომ დამეძებენ დასაჭერად.

— რატომ არ იკოდი, რომ არ გაგიტანდენ? ისინი, სანამდი ეპირვები, დაგიყვავებენ და, თავისას რომ გაიტანენ, მერე აღარც შენ დაგზოგვენ. ასე იციან საზოგადოდ.

— ალბად რომ აგრე ყოფილა და მე კი არ მეგონა. ახლა ვარ ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი: ან იმათ ვერ გადავრჩები და ან ჩვენებს. აგერ სამი თვეა რაც აქ ვიმალები! დღე მათხოვრობით ვშოვილობ ლუკმა პურს და ღამ-ღამობით საყდრის გალავანში მძინავს.

— და სანამდი უნდა იყო მაგ ყოფაში?

მგონია, დიდხანს აღარ!.. თქვენთან მიტომ გიახელი აქ, რომ მეკითხა: თეორი წმინდა გიორგი არის? თუ სადმეა უთუოდ გაგეგონებაო?

— **რ**ად გინდა, რომ მეკითხები?

— **წ**უხელის ძილი რომ გამიტყდა, გავითვალისწინე, რაც ჩემის თანდასწრებით მომხდარა და შიშმა ამიტანა. **ბ**ავუსვი ლოცვას ხელი. **პ**ირჯვარი დავიწერე და სამჯერ ვსთქვი: „წმინდა გიორგი, დამიფარე მეთქი“. **დ**ა მართლაც, ვენაცვალე მის მადლსა და ძალს, სიზმარში გამომეცხადა.

— **რ**ოგორ? **რ**ას ამბობ?

— **მ**ეზმანა, რომ კუზმენკო მოდიოდა ჩემსკენ... **თ**ეთრ ცხენზე იჯდა.

— **ვ**ინ კუზმენკო?

— **კ**უზმენკო? **ს**ტრაჟნიკების უფროსია!.. **ვ**იფიქრე, რომ ეჰ, დალახვროს ღმერთმა! **ა**ლბად კიდევ სადმე მიდიან ასოხრებლად და მეც უნდა წამიყვანონ მეთქი!..

რომ მომიახლოვდა, ვნახე, რომ კუზმენკო აღარ იყო, სახე გამოსცვლოდა და მითხრა: კუზმენკო არ გეგონო, თეთრი წმინდა გიორგი ვარო!.. **მ**ოდი ჩემთან და მე დაგიფარავო!

მე არ ვიცი და ახლა თქვენგან მინდა შევიტყო: მართლა არის სადმე თეთრი წმინდა გიორგი?

— **კ**ახეთში არის ერთი საყდარი წმინდა გიორგის სახელზე და იმას ეძახიან თეთრ წმინდა გიორგის.

— **ჰ**მ!.. **ა**ბა ის ყოფილა სწორედ, ვენაცვალე მის ძლიერებას!.. **დ**ა ხვალვე შევუდგები გზას!..

დაიწერა პირჯვარი და გაიშორდა.

როგორ დაარსდა ჩვენში საადგილ-მამულო ბანკები?

—

ბატონ-ყმობა ახალი გადავარდნილი იყო. რუსეთისკენ მიმავალმა, შევუხვიე დიმიტრი ყიფიანთან. მოხუცი მოწყენილი და რაღაც ფიქრით გატაცებული დამიხვდა. ¥

„ბატონო დიმიტრი! როგორღაც დაფიქრებული ბრძანდებით და ვერ გატყობთ სიამოვნებას!“ — ბავეკითხე მოწიწებით.

— მართალი ხარ! და, თუ შენც დამეთანხმები, კი გვმართებს მოწყენა!.. ცუდი დრო გვიდგება. მაი თუ ქართველობა დაიღუპოს?!—მიპასუხა დაღონებით.

— მიზეზი?

— ის რომ თავად-აზნაურობას გლეხები გამოეცალა ხელიდან.

— ბ-ნო დიმიტრი! ხუმრობთ? ეგ უკულმართობა...

— დიახ უკულმართობა და უსამართლობა!..— ბამაწყვეტინა სიტყვა. ესე იგი ბატონ-ყმობა უნდა გადავარდნილიყო!.. ბეთანხმები. მაგრამ ისე კი, რომ არც-ერთი წოდება არ დაღუპულიყო. ჩვენი თავადაზნაურობა-კი დაიღუპა და ვაი, თუ იმას თვით ქარ-

თველობაც თან გაჰყვეს!.. მაშინ-კი ჩვენთვის დიდი იქმნება მსხვერპლი.

— როგორ?! ვანა ეს სამხიარულო მოვლინება გწყინსთ? რა მესმის ეს თქვენგან?!.

— ნუ ცხარობ! ჩემო ახალგაზდა მეგობარო! ბატონ-ყმობამ მოჭამა თავისი პური და უნდა გადავარდნილიყო, მაგრამ უმსხვერპლოდ, და მე-კი იმასა ვჰფიქრობ: არ შეიძლება, რომ როგორმე უმსხვერპლოდ გადავრჩეთ? ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა, როგორც დამონებულების, სულ სხვაა, ვიდრე სხვების. რაც იმათ არგებს, ჩვენთვის გამოსადეგი ბევრი რამ არ არის.

— ვერა გამიგია-რა!..

— ბეტყვი და გაიგებ. ის დრო, როცა მტრები ბუზებივით გვეხვეოდენ და ჩვენც შეუპოვრად ვიგერებდით, გათავდა... წავიდა. დღეს სულ სხვა დრო დადგა: ცხადი მტერი აღარსად სჩანს, მაგრამ სამაგიეროდ უჩინარი მტერი-კი, საუკეთესოდ ჩვენზე მომავალი, ბევრი გვყავს და იმათ უნდა ვებრძოლოთ თვალ-გამოხელით და წინდახედულად, რომ ჩვენი ქვეყნის წარსული შევისწავლოთ, აწმყო ავზომავწონოთ და მომავალი გავითვალისწინოთ. ეს არის, რომ მწარედ მაფიქრებს. ძველად, როცა გარეშე მტერი ყოველ კუთხით თავზე გვესხმოდა, საქართველოს ერი ორ წოდებად იყო გაყოფილი: თავადაზნაურობა მხედრობად და გლეხობა მიწის-მომქმედად. პირველი პრძოლის ველზე ათენ-აღაჩებდა და

ძეორე კი საბრდოს აწვდენდა; როგორც მიწის მუშა, მუდმივ მხედრობას არ შეადგენდა და მხოლოდ აუცილებლობის დროს ჩაერეოდა ხოლმე ომში. მაშინ ხომ ახლანდელი დრო არ იყო, რომ სამეფოს ჯამაგირი, ან პენსია დაენიშნა მხედრობისათვის და იმათაც მით ცოლ-შვილი ერჩინათ? უმა და მამული ჰქონდათ მიჩენილი და იმ დროში ხელად მეტი არც არა მოხერხდებოდა-რა! ამ მდგომარეობაში იყო ჩვენი ქვეყანა, როცა რუსები მომხრედ შემოვიყვანეთ. მაშინ კავკასიის მთები დაპყრობილი არ იყო. „შამილობამ“ ნახევარ საუკუნეზე მეტი გასტანა და, თუ ქართველობას იმ ბრძოლაში თავი არ ეჩინა, ვინ იცის, ეგებ დღემდისაც კიდევ არ გათავებულიყოს მთიულების ომი! ბათავდა თუ არა ომიანობა, ცხოვრებაში სხვა-გვარი წეს-წყობილება უნდა შემოსულიყო და ფულმა დაიჭირა ხმლის ალაგი, რისთვისაც ქართველობა სრულიად არ იყო მომზადებული. არც მეურნეობის და არც სხვა რამ საზოგადო მოღვაწეობის, სადაც კი ფული ეპირვება, არა გაეგება რა. დღევანდელი დღის შესაფერ მუშაობის უმეცარი, რიყეზე დარჩა თევზივით, რომ ცოტა ხანს კიდევ იფართხალოს და მერე სული დალიოს! ისტორიის კანონს ვერავინ მოშლის. ისინი უნდა წავიდენ, მაგრამ მათ ნაცვლად სხვები, დროს შესაფერი მეთაურები, უნდა გამოვიდენ: წერეთლის მაგიერად—გოშაძე, აბაშიძის მაგიერ—მოდებაძე, ორბელიანის მაგიერ ჩიტაძე, ერისთავის მაგიერ—გძელი-

შვილი და ამ გვარად. ამით ხალხი არას დაჰკარგავს; ორივე შემთხვევაში მაინც ისევ ქართველი იქნება, თუ კი ხელ-შეუშლელად წავა საქმე, მაგრამ უჩინარი მტერი ძლიერია! ვაი თუ დააწვეს თავზე იმ ახალ-ნერგსაც და თავად-აზნაურობას თან გლეხობაც გააყოლოს, სამაგიეროს მიუცემლად, და მაშინ-კი მშვიდობით ქართველობავ! ეს ყოლიფერი გათვალისწინებული ჰქონდა მთავრობას და, ვითომ ხელი მიაწვდინა, დასაღუპავად მომზადებულ თავად-აზნაურობას: პირადი დამოკიდებულება ჩამოართვა ბატონებს, მაგრამ ქონებრივად-კი უფრო დაუმონავა. საკუთრება არ მისცა გლეხს, მიწა საბატონო დარჩა, გლეხებს უნდა ემუშავნა და მეოთხედი შემოსავლის ეძლია მიწის პატრონისათვის!.. და რომ ცალიერ სიტყვად არ დარჩენილიყო ეს განჩინება, შუაში თავისი „ჩინოვნიკი“ ჩაუყენა. ერთი თავი ჯაჭვისა მიწის პატრონს ჩააბა ყელში, მეორე გლეხებს და შუაში ჩააყენა მომრიგებელ-შუამავალი (პოსრედნიკი), ეს ხელ-ჯოხიანი იქითაც ეჩქარებოდა და აქეთაც. მიწის პატრონს რომ ეტკინებოდა, გლეხს აბრალებდა და გლეხს რომ ემწვავებოდა,—მიწის პატრონს. ამგვარი ხერხი ამ ორ წოდებას შუა, რასაკვირველია, მტრობას ჩამოაგდებს და ცუდი ბოლოც ექმნება.

— მერე და მთავრობა ვერ ჰხედავს ამ შეცდომას?

— შეცდომას?!. ვინ იცის ეგებ შეცდომა არ

იყოს და წინდაწინ გამოანგარიშებული გეგმაა!.. **ა**რ გაგიგონია: „წამკიდებელო წაჰკიდე, ორივეს თავი წასწყვიტეო?“.

— **მ**აშ უსაშველო ყოფილა ჩვენი საქმე... **დ**ავ-ღუპულვართ.

— **ჯ**ერ-ჯერობით კი ეგრეა, მაგრამ უნდა ვიხმაროთ რამ ღონის-ძიება. „**ხ**ერხი სჯობია ღონესო, თუ კაცი მოიგონებსო!“ **დ**ა „ცდა ბედის მონახევრეაო“. **ი**სეთი რამ უნდა მოვიფიქროთ, რომ გლეხები მაინც გადავარჩინოთ დაღუპვას! **ს**ამუშაო უნდა ვუშოვოთ—ადგილ-მამულის მესაკუთრეებად გავხადოთ და მაშინ აღარ იქნება საშიში. **მ**ე ერთი რამე მოვიფიქრე და, ის თუ შესრულდა, არ იქნება ურიგო!..

— **ა**რ შეიძლება, რომ ეგ გულში ნადები, მეც გამიზიაროთ?

— **რ**ატომ?.. **რ**ატომ? **მ**ე სულაც მიტომ ჩამოვაგდე სიტყვა. **ა**ი რა: განთავისუფლების დროს, მთავრობამ მებატონეებს გლეხებში სულზე ოც-ოცდა ხუთი მანეთი დაუნიშნა. **რ**ამდენიმე მილიონი შესდგა. **ა**ხლა მე ვეცდები, რომ თავად-აზნაურობამ, იმ ფულებს რომ მიიღებს, ათი პროცენტი დასტოვოს საზოგადო საქმის მოსახმარებლად. **ე**ს რამდენიმე ასი ათასს შეადგენს.

— **მ**ერე და რას უნდა მოხმარდეს?

— **მ**ე მინდა გავმართო იმ ფულებით „საადგილ-მამულო ბანკი“, სადაც თავად-აზნაურო-

ბას ადვილად შეეძლება ადგილ-მამულის დაგირავება...

— როგორ?!. ხაფანგს უგებთ?.. ხომ დაჰკარგვენ?..

— დიახ, უეჭველად დაჰკარგვენ!.. ადრე თუ გვიან, ხომ მაინც უნდა დაჰკარგონ?!. უამისობა არ იქნება.

— მერე?!.

— მერე ის, რომ, თავად-აზნაურობის დანაკარგს, ისევ ჩვენი გლეხობა შეიძენს და როგორც მუშა, კიდევაც შეირგებს! მე მინდა „წეს-დებაში“ ერთი მუხლი შევიტანო, რომ თუ თავად-აზნაურმა ველარ გამოიხსნას დაგირავებული, და დროზე სარგებელის შეტანა ველარ მოახერხოს ბანკში, მაშინ უპირატესობა გლეხებს მიეცესთ, იმათ გადაეცეთ იმ პირობით, რა პირობითაც თავდაპირველ დაგირავებულა!.. ზლეხები, როგორც მუშები, სარგებელს ყოველთვის დროზე შეიტანებენ და ერთ დროს მესაკუთრეებიც გახდებიან. ასე რომ უცხო ტომის ველარავინ შემოგვეჩხირება. ზიწა-წყალი ისევ ქართველობას დარჩება ხელში!.. თავისს დღეში იმას მიწა-წყლისთვის უბრძვია... მტერი უგერებია და ვერც დღეს ჩაუყრის ხელში უცხოს. ქარგად ესმის, რომ ის ერი, რომელსაც მიწა-წყალი აღარა აქვს, აღარც ერად ჩაითვლება!.. მართალია, ძველი თავად-აზნაურობა აღარ იქნება, მის ადგილს ახალი, დროს შესაფერად საჭიროებისთვის მომზადებული,

მეთაურები დაიჭერენ და ქართველობა მაინც არ მოისპობა...

— ძეთილი, მაგრამ მაგისთანა „წეს-დებაზე“ ნებას დაგვრთვენ? შგ ხომ საწინააღმდეგო იქ-ნება?

— მე მგონია, რომ არ დაგვიშლიან! ჩვენ ვე-ცადოთ და, თუ არ მოხერხდა, მაშინ ნურც ბანკი გვინდა! უამმუხლოდ ბანკი, შენი თქმისა არ იყოს, ვნების მეტს ვერას მოგვიტანს და უეჭველადაც და-გვლუპავს!.. მე კი იმედი მაქვს, რომ ამ გვარ „წეს-დებას“ დაგვომტკიცებენ. მით უფრო რომ მაგ ერთ მუხლს ყურადღებასაც არავინ მიაქცევს!..

✗ მოხუცის საუბარი დამიჯდა ჭკუაში და მეც გულ-დამშვიდებით გამოვეთხოვე დიდებულ ქართ-ველს და გავუდექ ჩემს გზას. ✗

—

რუსეთიდან რომ დავბრუნდი, კიდევ ვნახე დი-მიტრი. ჩვეულებრივ მოკითხვის შემდეგ, მომისამძიმ-რა: ბანკი დაარსდა, მაგრამ ჩვენ რომ გვინდოდა, ისე კი არაო. ჩემი წესდება არ მიიღესო.

— როგორ თუ არ მიიღეს? მეთქი. — ბამიოც-და მე.

— დიახ, დამიწუნეს და წესდებაც სულ სხვა-გვარი დაამტკიცა მთავრობამ!.. მისთანა, რომელიც ჩვენ გვაშინებდა და ვაი, თუ ამ გვარმა ბანკმა ვნება მეტი მოგვცეს შვებაზე!...

— მერე და როგორ მოხდა ეგ?

— ასე ინებეს წვეროსნებმა *). ისინი გაიტაცა ნ. ნიკოლაძემ. დაიჯერა: ამ გვარი რამ ახალი საქმე ხალხში ახალთაობის სახელით, ინიციატიობით, უნდა შემოდიოდესო და არა ძველების მეოხებითო. იმათაც ჩამოიყვანეს დუშეთიდან ილია ჯავჯავაძე, სადაც ის მომრიგებელ მოსამართლედ იყო, აკისრებიეს მეთაურობა და კიდეც შეადგინეს უიმუხლოდ სხვა წესდება.

— ეი, მაგრამ ნუ თუ იმ ჩვენი მუხლის მნიშვნელობა არ ესმოდათ?!.

— უთუოდ ესმოდათ. მაგრამ იფიქრეს: ვაი თუ იმ ერთი მუხლის ბრალობით სულ აღარ დაგვრთონ ნება და მთელი წესდება, სადაც სხვა მუხლებიც კარგია, მაგალითად ის რომ „წმინდა შემოსავალი ბანკის თავად-აზნაურობას უნდა ეკუთვნოდესო“, და სულ დაგვაკარგვინონ. ის კი აღარ გასჭვრიტეს, რომ, თუ თავად-აზნაურობა გირაოს დაჰკარგავდა და თვითონ აღარ იქნებოდა, შემოსავალი ვის უნდა წაეღო? მაშინ ხომ ხმის უმეტესობით უნდა გადასწყდეს ყოველივე საქმე და წესდების შეცვლა რა ძნელი იქნება?..

— მაშ მაგ ბანკისაგან მაინცა და მაინც ბევრს არ უნდა გამოველოდეთ?

---

*) წვეროსნებს ეძახდენ მაშინ რუსეთ-მოვლილებს, სტუდენტობას, რადგანაც იმ დროში ქართველი, იმათ მეტი, თუ არ მგლოვიარე, წვერებს არ იყენებდა.

— ამ წესდებით? — არა! თუ ვერ იხეირა ბანკმა და კარგად ვერ წავიდა, ხალხს მალე დაჰღუპავს და თუ იხეირა, მაშინაც კიდევ საბოლოვო ხეირს ვერ დაგვაყრის!.. ოჰ ცეცხლ-შუა ვართ გამომწყვდეული!..

— საშველი აღარა არის რა? ეგებ ტყუილი შიშია ეგ ყოლიფერი?

— ღმერთმა ჰქნას, მაგრამ „სიფრთხილეს თავი არა სტკივაო“ ნათქვამია. — მე ჯერ კიდევ იმერეთის იმედი მაქვს: იქ ქართველობა ერთი-ორად მეტია და შემოწირულობაც მეტი უნდა იქნეს და ვეცადოთ, რომ ჩვენი წესდება იქ მაინც შევიტანოთ; თორემ თუ იქაც თბილისისთანა ბანკი დაარსდა, დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ არ დავიღუპოთო. ეს სწორედ ამ გვარი იყო ჩვენი უკანასკნელი საუბარი ბანკის შესახებ. ვამოვეთხოვე და წავედი იმერეთისკენ.

იმერლების საქველმოქმედოდ შენაწირი ფული დიდ-ძალი იყო, მაგრამ ის ფული ხაზინაში ინახებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში უსარგებლოდ და ყურის მგდებელი არავინ ჰყოლია. ადგილობრივი მთავრობა, რაღაც მოსაზრებით, ვერ უყურებდა კარგის თვალით და უნდოდა როგორმე გაექარწყლებია. — ერთ დილას, მაშინდელი სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოს მდივანი გ. იოსელიანი შემოვიდა ჩემთან და საიდუმლოდ გამენდო: ჩვენი, საქველ-მოქმედოდ გადადებული ფული, იღუპებაო: გუშინ უფროსი მოელაპარაკა მარშალს,

იმან უნდა გაუგზავნოს იმერეთის თავად-აზნაურობის სახელით ერთ ვინმეს მისალოცავი ტელეგრამა...

— რას ამბობ? რისი მისალოცავი?

— მას აქეთ, რაც ის ჩამობძანდა ჩვენში, ათი წელიწადი სრულდება და ამ ბედნიერების აღსანიშნავად თავად-აზნაურობა მის სახელზე ფულებს „წმინდა ნინოს სასწავლებელს სწირავს“. ასე აპირობენ, რომ „მოაკვარახჭინონ“ საქმე.

— მერე და როგორ იქნება, თუ მაგისთვის საგანგებო კრება არ დაინიშნა? და ხალხი კი მაგაზე, მგონი, არ დასთანხმდეს!..

— ამ დეპეშას-კი გაუგზავნიან და მერე კაი სული ედგმის ვისმე, რომ უარი სთქვას. . არ მინდაო, გაამხილოსო.

მე მაშინვე გავექანე მარშალთან გ. ა—შვილთან და ვურჩიე, ეს საქმე არ ჩაედინა. „თავად-აზნაურობის სახელით მილოცვა და დეპეშის გაგზავნა, მაშინ, როცა თვითონ იმან-კი არა იცის რა, უკანონობაა და კეთილად არ ჩაივლის მეთქი.“ ამ საქმემ დიდი ამბავი გამოიწვია. „მე პირადად რაც გადამხდა ამაზე არას ვიტყვი, მაგრამ საქმე-კი მითი დაბოლოვდა, რომ მილოცვა აღარ მოხერხდა და გადარჩა განსაცდელს ჩვენი, საქველმოქმედოდ გადადებული, თანხა!.. როდესაც ადგილობრივი მთავრობა დარწმუნდა, რომ იმ ფულებით ბანკს გახსნიანო, თავისივე მოსამსახურე, პოლკოვნიკი ნიკოლაი პეტროვიჩი პრინცი გამოახტუნა და იმას დაავალა წეს-

დების შედგენა. Იმანაც შეადგინა, მაგრამ რა წესდება?—Ქისრის მომტეხი და დამღუპავი. ᲧᲐირჩიეს კომისიაში ოცდა ათი კაცი დიდი მემამულეები და იმათ უნდა გადაეწყვიტათ: მივიღოთ, თუ არა, პრინცის წესდებაო?

Იმ კომისიაში კი არავინ არ შეუშვეს ინტელიგენტთაგანი, გარდა ერთი გიორგი ღოღაბერიძისა. Ღანარჩენებს სრულიად არა გაეგებოდა რა. Შმეტესობას რუსულიც არ ეყურებოდათ. Ძალიან ცოტა იყო, რომ კანცელარიაში ნასწავლ რუსულს აჩიქორთულებდა. Ღა რა უნდა გაეგოთ იმათ? Ეგრამ ისინი მხოლოდ ფორმისთვის იყვნენ არჩეული, რომ კანონიერი ხასიათი მიეღო საქმის წარმოებას. Სხდომები დაიწყო. Პრინცის საქმე კარგად მიდიოდა: რაც უნდოდა და როგორც, ისე ატარებდა ყოლიფერს! Ქომისია მხოლოდ „ბალი აღას- შესძახოდა.

Ერთ საღამოს ბულვარში შემხვდა ი. ხ—ძე და ჩვეულებრივ მოსალმების შემდეგ მითხრა: მადლობა ღმერთს, რომ ბანკის წესდება მივიღე და მოვრჩით!.. Ღიდი წინააღმდეგი იყო გიორგი ღოღაბერიძე იმ წესდების მიღების, მაგრამ რა გაუვიდოდა? Ჩვენ მაინც მივიღეთ.

— Რა პირობით?

— Წესდება ხელ-შეუშლელი დარჩა და Პრინცსაც შრომის ქირად უნდა რვაასი თუმანი მივსცეთ ერთბაშად.

— Სხვა რა წერია იმ წესდებაში?

— **მ**ე რა ვიცი, მაგრამ სხვებს-კი ყველას მოეწონა.

— **თ**უ თქვენ ვერა გაიგეთ რა, მაშ სხვას ვიღას უნდა გაეგო რამე? **თ**ქვენზე უფრო შეგნებული შედარებით, გარდა **ბ**იორგი **ლ**ოლაბერიძისა, იქ არავინ იქნებოდა?!.

— **ლ**მერთთან სწორი სჯობს, **ბ**იორგიმ ბევრი იუარა, მაგრამ რომ არა გაუვიდა რა.

— **თ**ქვენ?

— **მ**ე ერთი სადღა წავუვიდოდი უმეტესობას? ნით უფრო რომ პრინცი მთავრობის კაცია და ჩემი და ჩვენი მხრით ურჩობა წინაღმდეგობა იქნებოდა.

— **ა**სე რომ თქვენ იმ წესდების ბევრი არა გაგიგიათ რა, ისე მიეცით დასტური?!.

— **ა**რც ეგრე მურმან-ყრუები ვიყავით, რომ არა გაგვეგო რა!.. **მ**აგრამ ერთი სიტყვა-კი, მართლა, მისთანა იყო, რომ ვერ გავიგეთ და სირცხვილითაც ვერ ვჰკითხეთ. **კ**ითხვის დროს პრინცი ხშირად იმეორებდა ხოლმე „პრინციპი“, „პრინციპიო“ და რას ჰნიშნავს ეს?

— **რ**ოგორ თუ რას ჰნიშნავს? **პ**რინცი ხომ იცით ვინც არი?

— **ბ**ანკის შემდგენი... **ჩ**ვენი პრინცი... **პ**ოლკოვნიკი.

— **ჰ**ო და თქვენ მაინც როგორ ვერ მიხვდით? პრინცი რომ ის არის, პრინციპები შვილები იქნებიან მისი.

— Ეგ მეც ვიფიქრე, მაგრამ ველარ გავამხილე... მერე და რა ხელი ჰქონდათ შვილებს ჩვენ ბანკთან?

— Ის რომ მამას, ესე იგი, თვითონ პრინცს, რომ შრომისთვის სასყიდლად რვაასი თუმანი მიეცით, იმდენივე მის შვილებს, პრინციპებს, დაენიშნებათ პენსიად ყოველ წლიურად. და აი რაზედ ყოფილა ლაპარაკი.

Ეს რომ გაიგონა, შეკრთა ჩემი მესაუბრე, ფერმა გადაჰკრა და მომაძახა: ნუ ხუმრობ!.. მაშ დავღუპულვართ და ეგ არის?! Იმას დარჩენია ეგ ჩვენი ბანკი!..

— რაღაი კი დათანხმებულხართ და ხელი მოგიწერიათ, რასაკვირველია?

— კი, მაგრამ ჯერ რომ არ დაგვიმოწმებია? Ამაღამ უნდა გადაათეთრონ და ხვალ უნდა მოვაწეროთ ხელი.

— რაღა თქმა უნდა, უნდა მოაწეროთ ხელი. Იმას ხომ ვერ გაამხელთ, რომ ფულს აღარ ვიძლევითო? Ეს რა საკადრისი იქნება თავად-აზნაურობის?

— Ღმერთია მოწამე, ეგ გუნებაშიაც არ მოგვსვლია, და როგორ უნდა მოვიტყუოთ თავი? Რაც იმას ერთბაშად მივეცით, ისიც მეტია!.. მაშ, ახლა აღარა გვეშველება რა?

— Არის ერთად ერთი ღონე, მაგრამ საფრთხილო კი არის!.. რომ გახმაურდეს, ველარ გასჭრის: ხვალ რომ მივა კომისია, ნუღა მოაწერს ხელს. Იმას კი ნუ იტყვის, თუ ფულის მიცემა არ გვინდაო. ხუ-

ლაც ნუ ახსენებს პრინციპებს. მიზეზად ის აიღონ რომ სულ აღარ გვინდა ბანკი და ჩვენი ფული უკანვე მიგვაქვსთქო. პრინცმა შრომის ფასი თუ მოითხოვოს, ასე შეგიძლიათ უთხრათ: ჩვენ არც გვითხოვია თქვენთვის წესდების შედგენა და ბანკიც არ გვინდათქო.

— ისემც კარგი დაგემართოს! — მომაყვირა მხიარულად. ამაღამ კომისიის წევრები თავს იყრიან მიხეილ წერეთლისას, მეც იქ ვიქნები და შევატყობინებ სხვებსაც.

— კი მაგრამ, ვაი თუ, გახმაურდეს ეგ ამბავი და მაშინ კი აღარა მოხერხდება რა!..

— ეგ ჩემ კისერზე იყოს! იმათ მე მოველაპარაკები. მართლა ხომ თავის მტერი არა ვართ, შე დალოცვილო! - ეს მითხრა, გამომეთხოვა და, ძალიან დაჩემებული, გამშორდა. ამ უბრალო ხუმრობამ, მართლა გასჭრა, და მეორე დღეს წესდება აღარ მიიღეს. — რამდენიმე ხნის შემდეგ პრინცმა გაიგო მიზეზი და ისე გაბრაზდა ჩემზე, რომ გაზეთ „კავკაზში“ სტატია მოათავსა, სადაც მე მთავრობის მოღალატედ და ხალხის მაშფოთრად მსახავდა. მე იმაზე პასუხი არ მიმიცია, მხოლოდ გაზეთ „დროებაში“ მისი წესდების ზოგიერთი მუხლები ავიგდე სასაცილოდ. მე პირადად, ძვირად დამიჯდა პრინცის გადაკიდება, როგორც საგლეხო დაწესებულების წევრის, როცა შორაპნის მაზრა მას ჩააბარეს, მაგრამ საზოგადო ფული-კი გადარჩა ხიფათს მეორედაც.

Ѳაგრამ მესამე ხიფათმა-კი თავისი გაიტანა. რამდენიმე ხნის შემდეგ ხმა დავარდა, რომ ბესარიონ ღოლაბერიძე მოდის იმერეთში ბანკის დასაარსებლადო. და მართლაც, ჩამოვიდა; თან ჩამოჰყვენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი და სხვანი. ჯერ ერთად იმოქმედეს, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ-კი უთანხმოება მოუხდათ ერთმანეთში და განზე გაუდგნენ ერთმანეთს. ბესარიონ ღოლაბერიძემ უიფიანის წესდება უკუაგდო და მოინდომა საკუთარის შედგენა, ესე იგი, ხერსონის ბანკის წესდება გადმოსწერა, რომელსაც ადგილობრივი მთავრობაც თანაუგრძნობდა და წარადგინა!—ბესარიონი, იმ დროს შესაფერად, კარგი ნასწავლი იყო და ნიჰიერიც, მაგრამ ცოტა ჟინიანი, და დიმიტრი ყიფიანის ოდენი შორსმჭვრეტელობა არა ჰქონდა. ამას შემდეგიც დაამტკიცებს: ერთხელ მივედი მასთან მოსალაპარაკებლად. ის გულ-მოსული, დამიხვდა და მითხრა: თანახმა ხარ იმ ვაჟბატონების?

— ვინ ვაჟბატონებია?

— ჩვენი ყმაწვილები: ნიკოლაძე, წერეთელი, მესხი და სხვები?

— დიახ. მე მგონია, რომ ისინი მართალნი არიან!

— რაში?

— იმაში, რომ მაგ წესდებით ბანკი ჩვენში არ გამოდგება. უველაფერს თავისი ტრადიცია უნდა და ჩვენებმა, ქართველებმა-კი ჯერ ფულის არა იციან

რა!.. ბანკიდან ფულს ადვილად გამოიტანებენ, მოხმარებით-კი ვერ მოიხმარებენ!.. ადვილად გაჰფანტვენ. დაგირავებულ ადგილ-მამულს დაჰკარგვენ და დარჩებიან მშრალზე. ჯერ-ჯერობით, სანამ ფულის წარმოებაში განვითარდებოდეს ჩვენი ხალხი, ამგვარი ბანკი სწორედ მახეა და ხაფანგი მისთვის!... ბამატყავებელი რულეტკა. ვინ იტყვის, რომ სამართებელი კარგი არ იყოს დიდებისათვის წვერის მოსაპარსავად? ბაგრამ ბავშვებს კი არავინ ჩაუგდებს ხელში ყელის გამოსაჭრელად.

— პოეტი ხარ და პოეტურადაც უყურებ საქმეს! მე კი პრაქტიკულად ვსჯი. ჩვენ ხალხს ვიცნობ: ყოველი იმერელი მინისტრად გამოდგება და მიხეილ მიქელაძე კი ბისმარკად!.. და ამ უბრალო რამეს, ვერ მოიხმარებენ იმერლები? არა, მე ჩემი აზრი მაქვს და გზასაც გავაკვლევ!.. სხვისი ჭკუით არც მიელია და ვერც ვიელი!.. უთხარი იმ ყმაწვილებს, რომ მე იმათთან საერთო არა მაქვს რა!.. იმათ ვერ ავჰყვები, ყიფიანის **უსტავს** ვერ მივიღებ, და თუ წინააღმდეგობას გამიწევენ, მათი ნებაა!.. ჩვენ კი მაინც ჩვენსას არ დავიშლით.—ამ სიტყვებით გამომისტუმრა. ბაშინ ორად გაიყვნენ: მომხრეებად ღოდაბერიძისა და მოწინააღმდეგებად. რაჭის მაზრა, ლეჩხუმის და ზემო იმერეთის ნაწილი—წინააღმდეგები იყვენ!.. ბურია, სამეგრელო და ქვემო იმერეთი—მომხრეები. მომხრეები დარწმუნებული იყვენ, რომ ბანკის ფულის გამოტანის მეტი არა უნდოდა

რა. Ვნებათა ღელვამ ისე გაიტაცა ყველა, რომ საქ-
მე პირადობაზე მივარდა და თავ-მოყვარეობამ კინა-
ღამ სისხლი დაჰღვარა. Მაშინ იყო, რომ ზოგს ფრა-
კი დაახიეს, ზოგი შეურაცხჰყვეს და ზოგს მოკვლაც
მოუნდომეს. Ახალთაობაც ორად გაიყო და იმ დღი-
დან გადაემტერენ ერთმანეთს. ᲨᲔმეტესობას მთავრო-
ბაც თანაუგრძნობდა და, რასაკვირველია, გაიმარ-
ჯვა: სამეგრელოს საკუთარი დირექტორი მისცეს მეგ-
რელი, რადგანაც მაზრულ პატრიოტობაზე მისდგა საქ-
მე, გურიას—თავისი საკუთარი და ბ. ღოღობერიძე-
კი თავმჯდომარედ აირჩიეს.—Ბ. ღოღობერიძის მეტს
რომ არა გაეგებოდა ბანკის, ეს აქედან იგულისხმე-
ბა: ერთს, სხვებზე მეტად შეგნებულ, დერექტორ-
თაგანს მინდობილი ჰქონდა ხაზინადრობაც და ის
იძლეოდა ფულებს გარდა ორშაბათისა. Ორშაბა-
თობით-კი არ იძლეოდა. Ამაოდ-მორწმუნეს, ეგო-
ნა, რომ ორშაბათი მძიმე დღეა და, სესხი რომ ვის-
მეს მივსცე, ბედი ხელს გადაჰყვება და დაიღუპება
ბანკიო. Დღე რომ არ გამცდარიყო, ამხანაგებმა ას-
წავლეს და ისიც, მისაცემ ფულებს, მუხლზე იდებ-
და და ისე აძლევდა მუხლის-თავით მსესხებლებს...
Ხალხს მაინც ანთავისუფლებდა. Ასე რომ მთელი
შრომა მარტო ღოღობერიძეს დააწვა კისერზე. Იმან
მოაწეს-რიგა, თავისს წესდების შესაფერად ბანკი.
მაგრამ მომეტებულმა შრომამ-კი თან გადაიტანა.

Ბანკის დაარსებასთან ერთად საერო ეკალიც დაი-
თესა და, როცა ამოიყარა, მაშინ ეჩხვლიტა ყველას.

ბანსაკუთრებით დიდ-მემამულეებს!.. დადიანებს, გურიელებს, ჩხეიძეებს, წულუკიძეებს და სხვებს თვალსა და ხელს შუა გამოეპარათ ადგილ-მამული. რაც დღე მიდიოდა, ბანკი უფრო და უფრო საშიშ მდგომარეობაში ვარდებოდა და მიდიოდა საუკულმართო გზით. ასე რომ, ბანკი როცა ჩიკვაიძეს ჩაუვარდა ხელში, მაშინ იმას ახალი სრულიად არა შემოუტანია რა. მეკენჭეების გადაბირება, გამასპინძლება და სხვა ყოველ-გვარი საარჩევნო ხრიკები --წინადვე იყო შემოღებული!..

ჩიკვაიძემ მხოლოდ უფრო გაბედული, პირუპირი და აშკარა, დაუფარავი ხასიათი მისცა საბანკო ხრიკებს. მოუნდომეს გადაგდება, მაგრამ რომ ვეღარ აჯობეს, მთავრობას მიმართეს. მთავრობამ შეიწყნარა მათი თხოვნა და სამინისტრომ გამოუგზავნა თავისი მოხელე, რომელსაც, რასაკვირველია, დიდი ჯამაგირი დაუნიშნეს. რა ენაღვლებოდათ?! ახალ დანიშნულ თავმჯდომარის ხელში, რომელსაც ჩვენი ქვეყნის არა გაეგებოდა რა, როგორც დედინაცვლის ხელში, ბანკის საქმე უფრო ცუდად წავიდა. რაც უნდოდა, იმას ჩადიოდა და ხმის-გამცემი არავინა ჰყავდა!.. მავმობეზრებულმა საზოგადოებამ, საჩივარი შეიტანა სამინისტროში: ეს თავმჯდომარე არ გამოგვადგა და მოგვაშორეთო! და შუამდგომლობა ამ საქმის შესახებ თვითონვე იმ თავმჯდომარეს დაავალეს და გაგზავნეს პეტერბურღში: „ეცადე რომ გადაგაყენონო!“ იმანაც „ნახა სოფე-

ლი უძაღლო“, და წავიდა. რვა თვე დარჩა პეტერ-ბურღში; ჯამაგირს გარდა, დღეში ოცდა ხუთი მანეთი ეძლეოდა და აქ-კი ბანკი დახურულსავით იყო. ათი თვის შემდეგ ჩამოვიდა და უთხრა საზოგადოებას: „ბევრი ვეცადე, მაგრამ მინისტრმა არ გადამაყენაო!“ და საზოგადოებამაც შრომისთვის ბადალი გადაუხადა. ასე ამ გვარად უარ-უარ მიდიოდა ბანკის საქმე.— ტფილისისა და ქუთაისის ბანკები ტყუპის-ცალები იყვენ. ბანსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ სათანხო ფული ქუთაისში ბევრად მეტი იყო, მაგრამ მაინც უფრო ცუდად მიდიოდა ტფილისისაზე და იმ თავითვე მიჰმართა „მომავალ მოსალოდნელ მოგებას“, ანუ ჯანდაბის კიდობანს, როგორც ხალხმა უწოდა. მიზეზი რა იყო?—ის რომ ტფილისის ბანკს შეგნებული მმართველები ჰყავდა და ქუთაისისას მხოლოდ კუჭზე მოფიქრალი. სხვა რომ არა იყოს რა, ტფილისის ბანკმა მარტო არწრუნის ქარვასლის შეძენით, ისე გაიმაგრა წელი, რომ აღარა უშირდა რა! — ამგვარი შემთხვევები ქუთაისის ბანკსაც ჰქონდა, მაგრამ, როგორც მხოლოდ კუჭის ამყოლმა და „ჩემიან-შენიანობის“ მიმდევარმა, ვერ გამოიყენა სასარგებლოდ. მაგალითად: 1) მირზოევის სახლი, სასტუმრო „გრანდ-ოტელი“ და გაღმა-გამოღმა, ხიდის გაყოლება დუქნები, სულ იმას დარჩა, მაგრამ ყოველ-წლივ ზარალსა ჰხედავდა და ბოლოს გაჰყიდეს დიდის ზარალით. რა იყო მიზეზი? — ის რომ ყურის მგდებელი არავინა ჰყავდა, მიტოე-

ბული იყო და აქაც „ჩემიან-შენიანობა“ იყო გამეფებული. — **6.

3) ᲐᲐ. თუმანიშვილმა და გ. აკოფოვმა წინადადება მისცეს ბანკს: ჩვენი სახლი, სადაც დღეს გიმნაზიაა, იყიდეთ ასი ათას მანეთად და გირაოს ფურცლები მოგვეცითო! Მთავრობას, რაღაც მოსაზრებით, არ ეპრიანებოდა!.. Ეს კიდევ არაფერი, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ შეერთებული სხდომა ბანკისა და ზედამხედველ-კომიტეტისა, წინააღმდეგი გახდა.--Იმ სხდომაში მიიღო მონაწილეობა მისთანა წევრმა კომიტეტისამ, რომლისაგანაც თავადაზნაურობა სკოლისთვის სახლს ჰქირაობდა და პირობაში ჩაწერილი ჰქონდა: „სანამ თავად-აზნაურობამ სკოლისათვის საკუთარი სახლი არ შეიძინოს, ეს პირობა არ დაირღვეს და წლიურად ყოველთვის სამას ორმოცდა ათი თუმანი გაძლიოთ ხოლმეო“. Მაშინ, როდესაც ის სახლი ორმოც თუმნადაც არ ღირდა წელიწადში საქირაოდ. Რასაკვირველია, ეს წევრი სახლის შეძენის წინააღმდეგი იქნებოდა?

Ეს გარემოება მოხსენდა საზოგადო კრებას და მოსარჩლეებიც გამოვიდენ; სთქვეს: საზნაურო სკოლისთვის, რომ სახლს ვქირაობთ, სამ ას ორმოცდა ათ თუმანს ვიხდით, ბანკისთვის— ას ოცს, დეპუტატთა საკრებულოსათვის— ოთხმოცდა ათს, ეს ყველა შეადგენს ხუთას სამოც თუმანს. Შეგვიძლია, რომ ეს სახლები სუყველა ამ ახალ ნაყიდ ერთ სახლში მოვათავსოთ და ოცი დუქანიც კიდევ გიმნაზიის გვერდზე ჩვენივე იქნებაო. Ზირაოს ფურცლებში-კი ამდენი არ გაგვივა და დიდ-

ბოგებას ვიქნებითო და მერე, კიდეც, ოცი წლის შემდეგ, მუქთად დაგვრჩება სახლიო!.. კრებამ გადასწყვიტა ყიდვა, მაგრამ შეერთებულმა სხდომამ მაინც თავისი გაიტანა და კრების გადაწყვეტილება, რაც უნდა უეჭველად ასრულებულიყო, დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა!..

ამ თანა ცოდვები ბევრი მიუძღვის ქუთაისის ბანკს, მაგრამ ვინ მოსთვლის? რაც დღე მიდიოდა, ბანკიც უკან-უკან მიდიოდა. საზოგადო ხასიათი არ ეტყობოდა: დაგირავებული მამულების, ზოგი და ზოგის შემოსავალს კერძო პირები სჭამდენ შეუპოვრად. ასე რომ, ბანკი გადაიქცა მხოლოდ კერძო გუნდის საპირადო დაწესებულებად და გუნდის წევრებიც ერთმანეთს მხარს უჭერდენ. ყველასაგან ხელ-აღებული ბანკი, უფსკრულის კიდემდი მივიდა და პატრონი, ხმის გამცემი არსად იყო შარშანდლამდე; და შარშან კი ის ჩაიდინა ახლად შემდგარმა ოპპოზიციამ, რასაც აღარ მოველოდით: ჩადგენ ოპპოზიციაში სერგო ბახტაძე, იაკობ ფანცხავა, ალექსანდრე საყვარელიძე და სხვანი. იმათ მიიმხრეს ვაჭრები და სულ სხვანაირად წავიდა საქმე. კრიტიკულ ქარცეცხლში გაატარეს ბანკის მეთაურების მოქმედება. ბანკი შეუდგა ჩვეულ ხრიკებს: ხან ამას მოსდვა ხან იმას, უმეცარ მეკენჭეების იმედი ჰქონდა, მაგრამ, ველარა გააწყო რა, მით უფრო, რომ, თვალგამოხელილი კრება, ჰხედავდა ოპპოზიციას საზოგადო საქმის მოსარჩლედ და არა კერძო რაიმე ანგა-

რიშის მიმდევრად! **ი**ს აღარ გაისმოდა ამ კრებაზე, რაც წინეთ: „**აქამდი მაგაკ უჭამიათ და ახლა ამათაც, სხვებმა, სჭამონო**!“. **ი**სეთ მდგომარეობაში ჩავარდენ ბანკის მეთაურები, რომ გამოაცხადეს: მართალია, რასაც გვეწამებით, მაგრამ უკულმართობას ნუ მიაწერთ!.. **ე**გ მოგვივიდა „გაუგებრობით“ და „წინდაუხედაობითო“! **ე**ს სიტყვები შარშანდელ კრების ოქმშია შეტანილი. **ო**პოზიციამ გაიმარჯვა და ზედამხედველ კომისიებში ჩააყენა ორი თავის წევრთაგან მეთვალ-ყურედ, მაგრამ ორი რას გააწყობს ჯართან? **დ**ა ადვილად საფიქრებელია, რომ ხალხი, როგორც დამგირავებელნი, ისე თავად-აზნაურობაც, დაიღუპოს ბანკის წყალობით...

ნაწილი მეორე

ძველი ნაწერები

საიდუმლო ბარათი

საიდუმლო ბარათო!
ბითხრეს: „ექმენ მარადო
სიხარულის მიმნიჭედ
და სევდისა ფარადო“.

—

მისთვის გიდებ უბეში,
ბალბობ ცრემლის გუბეში,
ამისრულო, რაც გითხრეს,
თუ ხარ ჩემი ნუგეში!

—

ვერა მხედავ მდუმარეს,
ცრემლებს რომ ვღვრი მდუღარეს?
რად არ მეტყვი მის ამბავს,
ნუგეშს არ მცემ მწუხარეს?

—

როცა მისი მარჯვენა
ბრძნობით გხატავდა შენა,
თვალს ცრემლი ვერ შენიშნე?
ვერც სახეზე მოწყენა?

—

როცა ამ სიტყვებს სწერდა,
ბული ხშირად უძგერდა?
და თან ტკბილის გრძნობითა
სიყვარულსა დაგმღერდა?

ან, როს ფარულად მანა
შენ ჩემთან გამოგგზავნა,
ანგელოზი სუფევდა
მის გულში, თუ სატანა?

—

არა! ამ გრძნობას განა
მიჰბედავდა სატანა?!
მაშინ უკულმა ბრუნვას
იწყებდა თვით ქვეყანა!

—

საიდუმლო ბარათო!
მექმენ... მექმენ მარადო
სიხარულის მომნიჭედ
და სევდისა ფარადო!

შენიშვნა. ეს ლექსია, რომელიც პირველად დაიბეჭდა ჩემი სახელით და გვარით. მანამდე კი უსახელოდ ვბეჭდავდი. ვერც ამ ლექსზე ვბედავდი ჩემი ვინაობის გამოცხადებას, მაგრამ ჩემდა შეუტყობლად მოხდა. დაებეჭდა „ცისკრის“ რედაქტორს და თავისთავად მოეწერა ჩემი სახელი და გვარი. ჩემთვის წერილი გამოეგზავნა შემდეგი შინაარსის:

„პლატონ იოსელიანს, რომელიც ქართულს ასწავლის ნამესტნიკ ბარიათინსკის, გადაუთარგმნია მისთვის ეს შენი ხელნაწერი ლექსი და შენი ვინაობაც მოუხსენებია. ბარიათინსკის ძალიან მოსწონებოდა

და ებრძანებია: რომ დაბეჭდოთ, ავტორის სახელი და გვარი მოაწერეთო და მეც—მეტი რაღა ვზა მქონდა? — შენი სახელით დავბეჭდე და არ გამიჯავრდეო“. ეს ყოლიფერი მართალი იყო, თუ არა, არ ვიცი!.. ეგებ, რედაქტორმა, როგორც ყმაწვილის გულგასაკეთებლად, ისე მოაწერა, მაგრამ მე-კი დავიჯერე და დიდათაც მეფონა, რომ ყურადღებასაც მაქცევენ მეთქი.

იმ ხანებშივე ამ ლექსის გამოისობით ორი წერილიც მივიღე. ერთი ჩემი უცნობის ანჩისხატის დეკანოზის ეფრემის იყო. აი რას მწერდა სხვათა შორის: „გილოცავ მეშაირობას და თანვე გთხოვ, მამა-შვილობას, ამისთანა ლექსებს მდაბიო ენით ნუ სწერ! დარბაისლური ენა ეჭირვება და შენ-კი რაღაც, სოფლიურ ენითა სწერ. და ეს მით უფრო საშიშია, რომ შენი ლექსი ყველას გულში ხვდება. ზამოსვლისათანავე სასიმღერო ლექსად გადაიქცა. ზანსაკუთრებით ქალები იმღერიან და ვაი თუ მაგ შენ ენას მიეჩვიონ და გადიგდონ გულიდან ძველი დარბაისლური ქართულიო“. მეორე წერილი იყო თ. ირაკლი ლორთქიფანიძის. ისიც მაქებდა და მთხოვდა ძველი ენითა სწერეო. ამ წერილებმა, ცოტა არ იყოს, გამაყოყოჩეს. ცხრამეტი წლის ახალგაზრდას, სულსა და გულს მიტკბობდა უფრო ის, რომ „ქალები იმღერიანო“, და მეც გადავსწყვიტე, რომ თავი დავუდვა მწერლობას, მაგრამ სახალხო ენით და არა დარბაისლურად ვსწერო.

დედაბერ-მამაბერი.

ეჰ, დედილო, ერთხელ შენცა
ქეკლუცად ყმაწვილ-ქალობდი,
და, ჯაბუკი თავ-მომწონე,
მეც სიყვარულს გიგალობდი!

—

თვის შვენების მოტრფიალე,
სარკეს თვალს არ აშორებდი;
მეც ვიგრეხდი ულვაშებსა
და ყურთ-მაჯებს ვისწორებდი.

—

ჩემსა ხელსა შენს გულ-მკერდში
ხშირად გაჰქონდა ფართხალი
და ჩემთ ბაგეთ მაგ შენს ყელში
ქრთოლვით უძებნიათ ხალი!...

—

ერთმანეთის თანაგრძნობას
გულის ძგერით ვაცხადებდით:
შვენებით და სიჯაბუკით
ტრფობის ალსა გულს ვიდებდით.

—

ერთს დედაბერ-მამაბერსა,
გახსოვს, ჩვენ რომ შევეყარეთ,
გავკიცხეთ საცოდავები
და სიცილი დავაყარეთ?

მათ მაშინ თავს ვადარებდით,
აწმყო ჩვენი გვექებოდა!
არ ვფიქრობდით, თუ რომ ერთხელ
ჩვენც ბოლო მოგვეღებოდა!

—

ერთმანეთის ეშხით მთვრალნი
სიჭაბუკით ვამაყობდით
და, დრო რომ წლებს გვიწამლავდა,
იმას-კი ველარ ვატყობდით!

სოფლის ბრუნვამ დაგვაშორა
ერთმანეთსა, გაგვამწარა...
და მას შემდეგ, ვაი ჩემს თავს,
დიდმა ხანმა გაიარა!

—

აჰა, მოველ და აწ კვალად
იმავ ადგილს შევიყარეთ,
სადაც პირველ ერთმანეთის
სიყვარულით გავიხარეთ!

—

მაგრამ ვაი ამგვარ შეყრას:
ერთმანეთში რასა ვხედავთ?
ძველ აღთქმის განმეორებას
ველარცერთი ველარ ვბედავთ!

—

ვაი, მე მუხლები მითრთის...
ვხედავ, ძალი გამქრობია!

შენც ძვალზედ კანი დაგკვრია
და თითები დაგხმობია!

—

უკბილობით ბაგეები
ჩემი პირში შემივარდა...
შენც ის ყელი დაგჭკნობია,
რომელიცა მე მიყვარდა!...

—

ძლივსლა სიტყვის გამომთქმელი
სიყვარულს ველარ მიმღერი;
შენც ბაიად გარდაგქმნია
შავ ღაწვებზედ ვარდის ფერი.

—

რაც გვიყვარდა, ის შეგვძულდა:
შენ სარკესა თვალს არიდებ,
მე ყურთ-მაჯებს ვერ ვისწორებ,
შლვაშზედაც ხელს არ ვიდებ!

—

მაშ იმ დროის რაღა დაგვრჩა?
—ღიმილი და მწუხარება!
მაგრამ მოხუცის სახეზედ
ღიმილსაც არ აქვს შვენება!

—

ჩვენც იმ ბებრებს დავიმსგავსეო,
ადრე ჩვენ რომ დავცინოდით!
და, ჯაბუკნო თქვენ, აშიყნო,
აწ დაგვცინეთ თქვენცა, მოდით!

მოხუცის მოგონება

სიყრმისა ჟამნი განქრნენ ვით წამნი,
სიკვდილსა ვუცდი;
წარვიდენ წელნი ტკბილ-სანატრელნი,
აღრე მოვხუცდი!

***

შეკრთა სხეული, იჩაგრა გული
ერთს დროს მხურვალე,
მხოლოდ-ღა ცრემლში დამრჩა ნუგეში,
სრულად ვიცვალე!

***

ერთს დროს სიყვარულს ცხადს, ხან დაფარულს
მეცა ვუმღერდი!
ის დრო ნეტარი, ეხლა სად არი?
ვხედავ დავბერდი!

***

ერთხელ ვმონებდი და ვთაყვანებდი
მეცა შავს თვალებს!
მარად ვიცნობდი და მარად ვგრძნობდი
მე იმათ ძალებს!

***

სიზმარებრ ჩქარა დრომ გაიარა,
ბაჰქრა ყოველი!
ხალისი მანა თან წაიტანა,
რაღას მოველი?

ჩემსკენაც ჰრბოდენ, მეცა მეტფოდენ
Uმაწვილნი ქალნი
Dა სწითლდებოდენ, როს შეხვდებოდენ
მათ ჩემნი თვალნი.

***

Sად არს ხალისი და ჟამი ისი,
მათ რომ წიგნს ვსწერდი?
მოვიდა რიგი, განჰქრა დრო იგი,
Dა მეც დავბერდი!

***

მეც ვჯირითობდი, მეც ვხალისობდი
Cხენის ჰენებით;
ბევრჯელ ფერხული გვქონდა დაბმული,
Dა ვტრიალებდი სიამოვნებით!

***

Sიყრმისა ჟამნი განჰქრნენ ვით წამნი,
Sიკვდილსა ვუცდი;
Wარვიდენ წელნი ტკბილ-სანატრელნი,
Wაი მოვხუცდი!

***

ხWირად ვბედავდი და თორმეტამდი
ქახური ღვინო გარდმისვამს თასით!
Wერ მომრევია და მითხოვია:
„ქიდევ დამისხით და ისევ მასვით!“

***

მაწვდენდენ სასმოს სიტყვით: „გაამოს!“
Rომ გადავკრავდი, მეც „ალავერდი!“

სხვასა ვეტყოდი იმავ სასმოთი.
დღეს მომეშალა! განა დავბერდი?!

***

მაშინ ამგვარ დროს, ცუდს, არ სანატროს
არ მოველოდი!
სიკვდილის კარსა, მივადექ მწარსა,
ბულს მხვდება ლოდი!

***

ეჰ, სიყმაწვილევ! რად მომიძულე?
დროვ! რა მიყავი?
მოველი სიკვდილს, საფლავსა განთხრილს,
ქუბოს და სუდარს, ვაი და ვაი!

შენიშვნა. პირველ ხანებში ძალიან გამიტაცა ოცნებამ და იმას ვწერდი, რაც არ მეგრძნო. **მ**აგალითად წარმოვიდგინე, რომ, ვითომ ღრმა მოხუცებული ვარ და დავსწერე ეს ლექსი, სადაც წარმოდგენის მეტი არა არის რა. **მ**აგრამ ამ ოცნების ხანამ დიდ-ხანს ვერ გასტანა. **ს**ტუდენტობამ იმოქმედა ჩემზე და მეც ხელი ავიღე საოცნებოზე. **რ**აც არ ამაღელვებდა და არ გამსჭვალავდა, იმაზე ხმასაც არ ვიღებდი და სწორედ ამ დროიდგან იწყება ჩემი საზოგადოების გადაკიდება და გაჭირვება...

*
* *

ახალ-გაზდა მონადირეს
ქარს მიადგა ერთხელ ბედი:
ბალიაში ჭკუა-მცირეს
შეუფრინდა უცბად მტრედი.

—

საწყალს ეგონა სიზმარი,
ან ხუმრობა და შეშინდა;
ვერ მიხურა დროზედ კარი...
მტრედი ისევ გამოფრინდა!

—

ცხადი იყო. მერე მიხვდა,
თავის თავსა შანს უგებდა
და გაფრენილს გამოუდგა,
ტყეებში მახეს უგებდა.

—

შენც ხომ ასე მოგვივიდა,
შესაბრალო, ჩემო ძმაო:
სატრფო ხელით წაგვივიდა...
ღირსი ხარ, რომ ჩაექვაო!

ამაო ძებნა.

მაისის ღამე ბნელ-თვალიანი
აგერ განთიადს ესალამება,
და ვარსკვლავთ კრება უხვ-სხივიანი
ბულ-დაწყვეტილი ნელ-ნელა ჰქრება.

—

იწყო კაშკაში ცისკრის ვარსკვლავმა,
მთვარემ დაუთმო მას თვისი ბინა,
წყნარად დაჰქროლა დილის ნიავმა
და სუნნელება ქვეყნად მოჰფინა.

—

მამალთ ხმა-მაღლა იწყეს ყივილი,
მუშებს აუწყეს მით გათენება,
აღიძრნენ ჩიტნი და ერთხმად ტკბილი
გრძნობით ბუნებას შეასხეს ქება.

—

შემოქმედების სარკეე, ბუნება,
ვინ ჩაგისახა ეგ ძლიერება?...
ნეტავ თუ იყოს ღვთისა ქმნილება,
გჟვრეტდეს და არ ჰგრძნოს მან ნეტარება?

—

მაგრამ რას ვხედავ! აჰა ჯაბუკი,
რომელიც შენ ყურს სულაც არ გიგდებს,
ქვნესის და ოხრავს, სტირს უბადრუკი
და წარსულს დროებს ოცნებით ეძებს!...

მთა-კლდეთ შეჰბღავის, ჩასძახის ქვესკნელს,
წყალსა მიჰყვირის მსწრაფულ-მიმავალსა,
მაგრამ ვერ ჰპოებს ნუგეშის-მცემელს
და უმრავლდება წყლული საწყალსა!

—

მთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ,
ქვესკნელი საფლავს და ძვლებს გამხმართა,
რომელნიც ანდერძს მოგვაგონებენ
მსხვერპლად შეწირულთ ჩვენთ წინაპართა.

—

საზარელ, უხმო ამა პასუხით
საბრალოს გულში სისხლი სდუღდება,
და მდინარესვე მტირალისა ხმით
წარსულის ამბავს ის ეუდრება.

—

მაგრამ მდინარე აქაფებული
ქვე მოაქანებს ას-წლოვანთ ხეთა,
მალ-მალ ტალღით სცემს განრისხებული
და ჰსურს გაგლეჯა კლდოვანთ კიდეთა;

—

რომ მსწრაფულ მორეცხოს მან სისხლი ძველი,
მის კიდეებზედ გადათხეული,
მაგრამ კიდეთა შეუკრეს ხელი
და მის გამოა აღელვებული.

ალექსანდრა.

ბშვენიერო ალექსანდრა,
თვით ბუნებამ მთვარედ გბადრა!...
ქვეყნიერმა სიტურფითა
შედარება ვით შეგკადრა!

—

რომ გიყურებ მოცინარეს,
მით ვიქარვებ სევდას მწარეს;
მსურს ორივე გადავფრინდეთ
უდაბურსა უცხო მხარეს.

—

იქ შევეტკბოთ ორთავ მყუდროთ,
მტრედებივით დავიბუდოთ,
რომ სიამით მარტოდ-მარტო
ნეტარებით განვლიდეთ დროთ.

—

მაწინ, ჩემო ნეტარებავ,
მითხარ შენი აღსარება,
ნახე ჩემი გულის სიღრმეც...
სატრფიალო ძლიერება.

—

შემდეგ ერთი გულის-თქმითა,
შეთანხმებით და ლოცვითა,

ღმერთს ვავედროთ საქართველო,
ი(ცვას ისევ, როგორც სცვიდა!...

—

დ(ა, შეწირვა ლოცვის თუ ჰსურს,
მწირად მყოფთა, ჩვენ უდაბურს
ტ(ვავს ან ყორანს გადმოგვიფრენს
დ(ა მოგვაწვდენს ხმას მშობლიურს.

—

მ(აშინ უცხოს მახარობელს,
სანუგეშო ამბის მთხრობელს,
მ(ადლს შევწირავთ და სამშობლოს
შ(ევავედრებთ კვლავ ღვთის-მშობელს!

მ(აგრამ, ჩემო ალექსანდრა,
ა(მაოა ჩვენი ნატვრა:
ცხადად ვერ ვჰფრენთ და ოცნება
წ(ამს იშვა და წამსვე გაჰქრა.

პირუტყვების არჩევანი

(ვოდევილი ერთ სცენად)

მომქმედნი პირნი

ვირი, აქლემი, კატა, მურა ქოფაკი, მწყვარი, მოზვერი, კამბეჩი, ვეფხი, მგლები და სხვა-და-სხვა მხეცები.

მოქმედება ქაჯეთში

(სცენა წარმოადგენს მოედანს, სადაც სხვა-და-სხვა პირუტყვები შეყრილან წინამძღოლის ამოსარჩევად. ორ-პირად არიან გაყოფილი და თავ-თავის კანდიდატები წამოუყენებიათ. მარცხენა მხრის მეთაური კატაა. კანდიდატი ტურა. მარჯვენა მხარე მეტია; მათი მეთაური აქლემია, კანდიდატი ვირი. ვირი ქვიქვირ-ჩამოგდებული ელრიჭება ხან ერთსა და ხან მეორესა; ზოგს ქერსა ჰპირდება, ზოგს თივას და ზოგს ახალ საძოვარს; პირუტყვები თავს უკვრენ და მადლობას მოახსენებენ, აქლემი აფიცებს მათ ვირის ერთგულებაზედ. მარჯვენა მხრისაკენ უეცრად ვირი დაიყროყინებს, აქლემი მოსძახებს, ღორი წვრილად კჟივის, სხვა პირუტყვები ბანს მიაყოლებენ. შეიქმნება ერთი ვაების ხმა. მარცხენა მხრიდან გამოვა კატა, წყნარად შეტტება მაგიდაზედ; კუდ-აბზეკილს ტანზედ აცვია ფრაკი, წვერ-ულვაში გასცვივნია. მიმართავს მარჯვენა მხარეს ამ სიტყვებით):

კატა

მიავ! მიაუ! მიაუ! რა გაჩხუბებთ, მხეცებო? **ზ**ნეობით მახინჯებო, ყრუებო და ბეცებო!...

(მარჯვნით) აქ მე კაცს ვერ ვიპოვი, ფარნითაც რომ ვეძებო!...
ერთ კაცადაც არ ღირან, ყველაც რომ მივაწებო!

ბირჩევთ, თქვენც დამიჯერეთ, მოდით, დამიგდეთ
დღეს ჩვენ აქ მოგვიწოდებს საერო სამსახური; |ყური!
დავსტოვოთ შინაური აყალ-მაყალი. შური
და ერთად რამ ვარჩიოთ, მით საქმე ვჰქნათ ჩვენც ძმური!

დრო არის ამდენს შფოთსა აწ დავუდვათ საზღვარი:
ამოვირჩიოთ ჩვენგან ერთი ჩვენ წინამძღვარი;
შეძლება თუ ექნება, ნურც ჰქონდეს დიდი გვარი,
ბულით-კი იყოს წმინდა და ჰკუითაც მდიდარი!

ძარგად უნდა ესმოდეს ახლანდელი დროება,
რომ გამოიკვლიოს მან ხალხის საჭიროება,
მის სიკეთეს შესწიროს მან თვისი მყუდროება,
და მსხვერპლად-კი არ ჰქონდეს ქვეყნის შევიწროება!...

საზოგადო საქმეა, არ ვარგა მტერ-მოყვრობა,
ნათესაობით, ქრთამით ერთმანეთის მიმხრობა,
თორემ, ვიცი, პასუხს გვთხოვს ჩვენი შთამომავლობა
და არ დავრჩეთ პირშავად, არ შეგვწამონ ოხრობა!

არ სთქვან: „ჩვენი მამები იყვნენ მოღალატები,
ფიცი ბევრჯერ გასტეხეს, არ იწამეს ხატები!“
შევადაროთ ერთმანეთს ჩვენი კანდიდატები
და მჯობნე ავირჩიოთ, ამას გირჩევთ კატები!..

მოგირეკიათ ერთად ამოდენა ნახირი,
ველა შემტკიცებულხართ, შეგიკრავთ ერთი პირი
და გსურთ ამოირჩიოთ თქვენ წინამძღვრად ეგ ვირი,
ურებ-გრძელი, კუდ-მოკლე, თავ-მსხვილი დ შავ-პირი,

ინიანი, ზარმაცი, კან-სქელი, შუბლ-მაგარი.
არაფრის აქვს გარჩევა, ერთად უჩნს მთა და ბარი,
მასთანაც მოღალატე ყოფილა მაგის გვარი...
და ყველა მამულსა მტრობს მაგისი მეგობარი!

ახლა ეს კანდიდატიც ნახეთ ჩვენი თქვენ, ტურა:
ველამ ვიცით, ჩვენს მამულს დღემდის ვით ემსახურა,
მის კეთილ-დღეობისთვის ბევრი ოფლი დასწურა
და სინიდის-ჭკუითაც არავინ დაიმდურა!

მამულს თავი შესწირა, არარა დაიშურა;
უმცა წყალობის თვალით ზოგმა კი ვერ შეჰყურა,
აგრამ მან ხმა არ გასცა, ქუდიც მით დაიხურა!
ახლა გკითხავთ, ვინა სჯობს: ეგ ვირი, თუ ეს ტურა?

მარცხენა მხარე

რა თქმა უნდა, არ გვინდა ვირი ყურებ-პანტურა!
ქმარა, რაც მოგვატყუა, ყინულზედ გაგვაცურა,
დრო არის „ჩოქში“ ვუთხრათ, ავირჩიოთ ეს ტურა...
აუმარჯოს აწ ტურას! ურა, ურა და ურა!

(მარცხენა მხარე ურას იძახის და ყალყზე დგება. მარჯვენა მხარე გაჯავრებულია. ვირი ყროყინებს, აქ-

ლეში ბღავის, ძაღლები ჰყეფენ და ღორები ჭყივიან. ვაების ხმაა. ბოლოს. დაჩუმდებიან. ქოფაკი გამოვა შუაზედ:)

ქოფაკი

ამუ! ამუ! ამ კატას ვუკბენ, მოვაგლეჯ ასოს,
რომ მეორედ ამგვარად აქ აღარ იბაასოს,
სოტა ხათრიც რომ ექნეს და უკედ დაგვაფასოს
და ტურას არ ესარჩლოს მის მეგობარს და სასოს.

ვერა ჰხედავთ, რას ჰბედავს უნამუსო კატუნი!
სპარსეთიდგან მოვიდა, მოიტანა თან მუნი!...
ზვითხრას ერთი, რა ნახა ვირში მან დასაწუნი?!
მოდით, ჯარში გავაგდოთ, ვუძახოთ: „ანასუნი“

(თან-და-თან ჯავრობს)

რას ჰბედავს? ვერა მხედავს ებრძანდები დიდი მურა,
ძუდ-გრძელი, ბანჯგვლიანი, შავ-პირი და შავ-ყურა!

(მიუბრუნდება ნახირს),

ვინც დღეს კატა დაზოგოს, ლეჩაქი დაეხურა!...

მარცხენა მხარე

აგრე იყოს, თუ დავსთმოთ! ურა, ურა და ურა!

(შეუტევენ კატას ერთად, კატა შეშინებული გადახტება მაგიდიდგან, მარცხენა მხარე მოემზადება საშველად; წინ წამოდგება მწევარი ამაყად და აქოჩვრით:)

მწევარი

ჰეი! ჰეი! ვერ მიცნობთ? მე გახლავართ მწევარი!
ჩვენს მხარეში ადრევე განთქმულა ჩემი გვარი!
სოველის დიდ-ოჯახის ღიაა ჩემთვის კარი...
მამულის სიკეთისთვის მიწურავს ოფლის ღვარი!

ერთად ვინ გაასწორა, მითხარით, მთა და ბარი?
მოგიქრთამესთ, მყრალებო, გაჩუქესთ „სამოვარი?"
ტურის ვირთან შემდარე არს ვირის მეგობარი!..
ამას საქვეყნოდ ვიტყვი, გინდ სწერეთ საჩივარი!..

ღმერთმა მტერს გააგონოს ამგვარი ხათაბალა:
საქმე მუშტით კეთდება, სადღაა ჭკუის ძალა,
ქარგი აზრის გამოთქმა აწ ვინღა დაგვაცალა?
მაგრამ კაცის გალახვა, არ გახლავთ ალა-ალა!...

როგორ ჰყეფენ, ხომ ჰხედავთ, გურული მეძებრები?
მძლავრი პირუტყვებისა ბრძანდებიან მტერები;
თქვენც ბევრჯელ უნახიხართ, მოვლილი აქვსთ სერები
და, თუ გეცენ, შენც მურავ, ცუდად აემტვერები!..

მურა (მხრებზედ იხვდება)

სანამ მხრებზე მიწყვია მე ეს დიდი ჩინია,
შენისთანა მწევრების არაფრად მეშინია!
ბევრჯელ გამიგონია მუქარა... მიცინია!...
მობრძანდი, თუ გულს გერჩის, გაგგლიჯო ვით ფინია!

(მიიწევს ღრენით)

მწევარი (ამაყად)

ნუ ჰყეფ, გიჟო ქოფაკო, ტყვილად თავს ნუ იწონებ,
შენი დრო წასულია, ძველს დროს ტყვილა იგონებ!
შენი ძაღლური ყეფით ჭკუას ვერ დაიმონებ!
წუპაკო, იქ მოგარტყმენ, სადაც თვითონ არ ჰგონებ?!.

მურა (გაბრაზებული)

ჯერ შენ ისევ ლეკვი ხარ, წუპაკს როგორ მეძახდე!
მაინც არ დავსთმობ ამას, საკიმბირო რომ გავხდე!
იმედი მაქვს, იმდენად არ დავსუსტდე, არ წავხდე,
რომ შენ ვერ მოგერიო და ვაის არ იძახდე...

(შეუტევენ ერთმანეთს, მაგრამ კამბეჩი წამოდგება და დაამშვიდებს)

კამბეჩი (მრისხანედ)

ლომისგან მოცემული ხარისხი მაქვს მაღალი,
აქ მისთვის დამადგინა, მოვსპო აყალ-მაყალი!
აქ ჩხუბი არ იქნება,—არს გითხრათ ჩემი ვალი,—
იქით სადმე მიბრძანდით, იქ დაიმტვრიეთ ძვალი.

(მარჯვენა მხრიდან გამოვა აქლემი და მოუბრუნდება კატას მრისხანედ)

აქლემი

ნეტავი რა გაჭყივლებს, უწვერ-ულვაშო ცაცა?
აქლემი ვარ, ვერ მიცნობ, ვირის ვარ მკვიდრი ბიძა,

ჩვენი გვარიშვილობა ძველადვე დაიმტკიცა,
ვირის ერთგულობაზეც ნახირმაც შემომფიცა!

(ნახირს მიუბრუნდება)

ნეტავი კატას რად სწყინს, ამ ვირმა რომ იყვიროს?
ჩვენს ბომონში მოსვლა ჰსურს, თავის რჯულზედა სწი-
მაგრამ ვურჩევ, დაჩუმდეს, არავინ დაიჭიროს, [როს;
ძბილები არ აცეცქონ და კატამ არ იტიროს!

მოზვერი

არვისგან გავხედნილვარ, ვარ მე კურო მოზვერი,
შენი ნათესავი ვარ, არ ვარ კი ჭკუის მტერი,
ტყვილად ჩხუბი არ მიყვარს და, თუ კი დაგეძგერე,
ჭირამალას გადახვალ, ვფიცავ, წაგივა ფერი.

შენს ძმისწულს ესარჩლები, წამომდგარხარ ვით ყადი,
უსწორო მასწორ ნაქნარო, ვერ ხარ კარგი ტანადი!
საზარელი ბღავილით აქ შენ ძალს ნუ იქადი,
ბირჩევ ცოდვას ნუ მადებ, ადექი კარში გადი!

აქლემი

ბევრი ვნახე, მოზვერო. შენებურ მეტიჩარა!
წელამდიც ვერ მომწვდები, რას მიქვიან მუქარა!
თეირგის წყალი გიყლაპავს, მიტომ სჯი მაგრე ჩქარა?
შენისთანა მოზვრუკებს მოუხდებათ ავშარა!..

მოზვერი

ავშარა თქვენთვის არის ხომ გამოგონებული,
სპარსელების ნახედნო, გაქვს ყიზილბაშის სული,

შენ და ეგ შენი ვირიც გესლში ხართ გალაფული,
ვგონებ, სულიც გაგვარდეს, თუ გეცი გულ-მოსული!

(შეუტევს აქლემს. აქლემი შეშინდება და კარში აპირებს გავარდნას, მაგრამ ამ დროს შემოვა ვეფხვი და პირუტყვები დაჩუმდებიან)

ვეფხვი

აი მეც გიახელით, რადგანაც დამიბარეთ!
(ბრძანების ხმით)
ვინც „ჩინებულნი“ არ ხართ, გირჩევთ გახვიდეთ გარეთ!
დროა საქმის შედგომის, აბა კენჭი უყარეთ
ვაგ თქვენ კანდიდატებსა, ერთმანეთს შეადარეთ!

(რომ გა:თავებენ კენჭის ყრას, ნახვენ, რომ ვირი გათეთრებულა და ტურა გაშავებულა)

კატა (შეწუხებული)

მიავ! მიაუ! მიაუ! ხომ ავასრულეთ ვალი!
მაგრამ რა გაეწყობა, გვერევა მუშტის ძალი!..
აქ ჭკუას ვინღა ეძებს? სად არის სამართალი?
ვაგრამ ვირის ამრჩევლებს კი დაუდგებათ თვალი!..
(მელები ტაშის კვრით გადიან მარჯვენა მხარისაკენ)

მოგატყუეთ, ხი! ხი! ხი! გიბნიეთ გზა და კვალი!
ბატონს ვირს გაუმარჯოს! არალალი! თარალი!

(კატები და მარცხენა-მხრელები კუდ-ამოძუებულები მიიპარებიან. მარჯვენები გამარჯვებულები ულოცვენ ვირს გამარჯვებას)

ვირი

მიხარის გამარჯვება! წახდა კატის ქადილი!
ეს მეტად ძნელი საქმე ჩვენ შეგვექნა ადვილი!
გმადლობთ, რომ ამისრულეთ ჩემის გულის წადილი,
წამობრძანდით, გაგაძღობთ. მზად მაქვს თქვენთვის
სადილი!...

(პირუტყვები თავს უკრავენ და გამოჰყვებიან ვირს დიდის ყვირილითა და ვარხალალოთი).

შენიშვნა. ჯერ ახლაც რა არის ჩვენში მარშლის არჩევა, თორემ რა იქნებოდა მესამოცე წლებში?!. ერთ მაშინდელ არჩევანს მეც დავესწარი. დიდი ალიაქოთი იყო ატეხილი. ეს სცენა პირია ნამდვილის, აქ მომატებული არა არის რა. დასახელებული პირებიც:

1) **კატა**. ბიორგი ლოლაბერიძე, მაშინდელი ინტელლიგენტი და ოპპოზიციის მეთაური.

2) **სამარშლოდ გამოყვანილი**. ნესტორ წერეთელი.

3) **აქლემი**. ალექსანდრე წერეთელი, ნესტორის ბიძა.

4) **მურა-ქოფაკი**. ბეჟან ჩხეიძე, ახირებული კაცი.

5) **მწევარი**. მამია ბურიელი.

6) **მოზვერი**. თვითონ მე.

7) **კამბეჩი**. **ლ**ევან **ჭ**ორ**ქ**ა**შ**ვილი, მ**ა**შინდელი პროკურორი.

8) **ვეფხი**. **ი**ზუმსკი, მ**ა**შინდელი გუბერნატორი.

9) **მგლები, მელები და სხვანი** -- მეკენ**ჭ**ეები.

ამ ხუმრობამ ისეთი უსიამოვნება და მრისხანება გამოიწვია ჩემზე, რომ მე იძულებული გავხდი ქალაქს გავქცეულიყავ, მაგრამ აქ უარესი დამხვდა: თურმე იმ ხანებ**ში** იქაც არ**ჩ**ევნები ყოფილიყო და თავისს თავზე მიეღოთ **ა**ღარ ვიცოდი, რა მ**ე**ქ**ნ**ა? **სხ**ვაგან წასასვლელი შ**ე**ძ**ლ**ება რომ ა**ღ**არა მ**ქ**ონდა — მ**ა**შინ ხომ რ**კ**ინის გზა არ ყოფილა ჩ**ვ**ენ**ში**—ძველ-სენ**ა**კ**ში** ჩ**ა**ვ**ე**დ ბ**ე**სარ**ი**ონ ქ**ა**ვთ**ა**რ**ა**ძ**ე**ს**თ**ან და **ი**ქ ვიმ**ა**ლ**ებ**ოდ**ი** დ**ი**დ**ხ**ანს, სან**ა**მ მ**ი**თ**ქ**მ**ა**-მ**ო**თ**ქ**მ**ა** **ა**რ მ**ი**წ**უ**ნ**ა**რ**დ**ა. - **ს**აკ**ვ**ირ**ვ**ელ**ი**ა... **დ**ა**ბ**ალ**ი ხ**ა**ლ**ხ**ი ჩ**უ**მ**ა**დ ყ**ვ**ე-ლ**ა** ჩ**ე**მ**ი** თ**ა**ნ**ა**მ**გ**რ**ძ**ნ**ობ**ი **ი**ყ**ო**, მ**ა**გ**რ**ამ ცხ**ა**დ**ა**დ გ**ა**მ**ო**-ს**ა**რ**ჩ**ლ**ებ**ის ე**შ**ინ**ო**დ**ა**თ. **მ**ე-კ**ი**, ვ**ი**ნ**ც** შ**ე**ს**ა**ყ**ე**ფ**ი** **ი**ყ**ო**, **უ**შ**ი**შ**ა**დ ვ**უ**ყ**ე**ფ**დ**ი, **ა**ღ**ა**რ**ა**ვ**ი**ს **დ**ა **ა**ღ**ა**რ**ა**ფ**ე**რ**ს** ვ**ე**რ**ი**-დ**ებ**ოდ**ი**.

ᲮᲝᲣᲛᲘᲓᲒᲐᲜ

„რუსეთუმე“

მეორე თავი

ᲒᲐᲮᲘᲡ ᲡᲐᲧᲕᲔᲓᲣᲠᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲣᲛᲔᲖᲔ

რას მოვესწარი, როგორ ეცემა
ძველი ზრდილობა საქართველოში!
ᲕᲘლას აქვს ჩვენი პატივისცემა,
მოხუცის ფასი შეიქმნა გროში!

რაებს სჩადიხარ, დროო ახალო!
ᲕᲔღარ გავიგე შენი გზა-კვალი.
მადლობას გწირავ, ღმერთო მაღალო,
რომ არ შემასვი მეც თერგის წყალი!...

რაებს სჩადიან ჩვენი შვილები?
რასაც ჩვენ ვწუნობთ, ის უჩნთ საქებად;
ჩვენ დაგვცინიან დალოცვილები
ᲓᲐ თვითონ ბევრი არ გაეგებათ.

მარხვას და ლოცვას არ ახსენებენ,
ძველი წესები აღარ ეძიეს,
ᲚᲐმე არ სძინავთ, სულ თამაშობენ
ᲓᲐ დღე-კი ღამედ გადააქციეს!

რა ცეცხლშიდა ვართ! თუ არ გავზარდეთ,
ᲕᲘღა დაგვიწერს მაშინ არზასა?

Და თუ გავზარდეთ, სულ დავიღუპეთ,
Ვხედავთ, გვიბნევენ კვალსა და გზასა.

Ვჰფიქრობდი: ვნახავ სწავლულსა შვილსა,
Არა ვზოგავდი იმის ზრდაში ფასს!
Და რა უქნია ამ დალოცვილსა?
Ღლისით და ღამით ყვირის: „ვისტ“! ან „ფას“!

Თუ არა, დადის ამ ოთახებში,
Ვითომ დაჯდეს თუ? აჰ, ვერ ისვენებს;
Ძარი უდგია სწორედ ფეხებში,
Დადის: „პრაკ“, „პრუკ“, „პრაკ“! აღარ მაძინებს.

Ან მოიშლიდეს ნეტავ როგორმე...
Ამ გვარი სწავლა რა საქადია?
Როცა აბრეშუმს ქსელავდა ხოლმე,
სულ ტრიალებდა ჩემი გადია.

Მისთვის რუსეთში როგორ წავიდე,
Რომ სულ ვქსოვო და ვიღო ვალები?
Რისთვის გავგზავნე? ჯირს გადვეკიდე,
Რად არ დამიდგა მაშინ თვალები!

Აწ რაღა დროსი, რა გაეწყობა!
Აი ისიცა მოდის, აქნევს თავს,
Რაღაც საქმე აქვს სწორედ, ეტყობა!
Ვნახოთ რას გვეტყვის ის ახალს ამბავს.

რუსეთუმე

მამა ბატონო! მამა ბატონო!
რა აზრები მაქვს, რა მოვიგონე!
ბეტყვი: თუ ახლავ არ მომიწონო,
შური დამიგდე და გამიგონე!

მამა

რა დაგემართა, ნეტავ რა არი?
ერთი ვერსიდგან მაგრე მოჰყვირი!
მოდი ახლოს და მაშინ მითხარი,
არსად მიედივარ, არავის ვტირი...
სინამ იტყოდე, შენ სული გხდება,
რა გაქლოშინებს, ჯერ შეისვენე,
აზრი ხომ არსად გაგიფრინდება?

რუსეთუმე

ბატონო, კარგი რამ მოვიგონე:
ლიდი ხანია, რაც ეს ნიგვზის ხე,
ეზოში რომ დგას, სახეში მქონდა,
ლღეს განგებ წაველ და განგებ ვნახე
და ასე უცებ ეს მომაგონდა:
იცი, ბატონო, რა მოგახსენოთ:
რადგანც ის ხე დგას მხოლოდ ეზოს შნოდ,
ბადავჭრათ ძირში, მერე დავხერხოთ
ლა სულ ფიცრებად დავათლევინოთ;
ფიცარი თუმნად კი ღირს, ღმერთმანი,

ხეს გამოუვა ასი ფიცარი,
ეს შეიქნება ასი თუმანი;
ოჯახობაცა აბა ეს არი!

მამა

როგორ იფიქრე იმისი მოკრა?
შენ მართლა ამბობ, თუ მეხუმრები?

რუსეთუმე

აღარას ვეძებ, რაც უნდა მითხრა,
ავზედ და კარგზედ ყველაზედ წყრები.

მამა

როგორ არ გავწყრე: დღეს ნიგოზს მიკრი,
ხვალ ამომიკაფ ძირში ვენახსა,
ფულს შენ არ ჰზოგავ, ბზესავითა ჰყრი,
აგერ მეხს დასცემ ამ ჩემს ოჯახსა.
ორასის წლის ხეს, ეზოს შვენებას,
აბა ვინ მოსპრის და ვინ დახერხავს,
აბა მაგნაირ ოჯახის ენებას
ვინ მოსწრებია და ვის უნახავს?

რუსეთუმე

ჩვენი ვალია, რომ დღეს გაჩვენოთ,
რაც არ გინახავთ უწინდელ კაცებს:
ახალ-მოდურად უნდ ავიშენოთ
ოჯახი.

მამა

მაგას ჩვენ ვინ გვიჩვენებს?

რუსეთუმე

თქვენ მიანდევით ეგ საქმე შვილებს,
აბა, ბატონო, სხვასაც-კი ჰკითხე
ნასწავლსა კაცსა: ორასის წლის ხე
ოერ-სამს წელიწადს თუ კიდევ გასძლებს?
რომ გცოდნებოდათ თქვენ ბოტანიკა,
თვით მიხვდებოდით, არ ჰკითხავდით სხვას.

მამა

აი წეგირკხვეთ თქვენ „ბუტანიკა“
და დამჯერესაც ლაფი დაესხას!
რაებს ჩერჩეტობ! რას მეუბნები!
ოერასის წლის ხე სამს ველარ გასძლებს?
მაგრე სტყუიან თქვენი წიგნები?
ვიჰ! ვიჰ! დაჰხედეთ სწავლულ ყმაწვილებს!
შევრცხვე, თუ თქვენი სწავლა ვინატრო!
რაებსა როტვენ!.. ერთი დაჰხედეთ!

რუსეთუმე

რომ კარგი იყო თქვენი ძველი დრო,
რით დაამტკიცეთ? რა გააკეთეთ?

მამა

რა გავაკეთეთ? რა წავახდინეთ?
ძალიან კარგა ვირჯებოდით ღვთით!

მაგრამ შვილებმა-კი შეგვარცხვინეთ...
თქვენს გამოზრდაში სწორედ მოვსტყუვდით.
აღარ გწამთ ლოცვა, წირვა და მარხვა,
უამივითა გძულთ მღვდლების დანახვა,
ჩვენს ცხოვრებასა ქაღალდში აგებთ,
ჩვენს დროს აგინებთ და თქვენსას აქებთ.
ნეტავ ძველ კაცებს რითი გვჯობიან?
უწინ ჩვენ ულვაშს რომ ენდობოდენ,
იმდენს „ვექსილით“ არ ენდობიან
ახლანდელს კაცებს, ისე გაფუქდენ.

რუსეოუმე

ეს არის ჩვენი ბიწიერება?

მამა

დიაღ, ეს გახლავს, ესეც იკმარეთ.

რუსეოუმე

აბა მეც ვიტყვი,—ნუ გეწყინება,—
თქვენი ძველი დრო როგორ ატარეთ:
ძველი კაცები რომ ადგებოდით,
დილას ხელს და პირს რომ დაიბანდით,
იმ წამს საუზმეს მივარდებოდით,
ბამოძღებოდით, ისევ წვებოდით,
სადილობამდინ არ ადგებოდით,
მანამდი აბა რა გაგანძრევდათ?
სადილად ისევ გამოძღებოდით,

რომ თითქმის გული აგერეოდათ;
მამოძღებოდით რა უმოწყალოდ,
ისევ ლოგინზე გაგორდებოდით,
შსაძრაოდა, თითქმის უსულოდ,
სანამდი ვახშმად არ დასხდებოდით.
დაურწყება-კი უფრო გიყვარდათ,
რადგანც იყავით სულის კაცები:
მთელი მარხვისას შესჭამდით ერთად
სარჩოს და მერე სულ...
აქ რუსეთუმე მეტად გახურდა
და აპირებდა კიდევ მეტსაცა,
მაგრამ მოხუცი წამოუვარდა
და ცალ ფოსტალსა მან ხელი სტაცა.
რომ დაინახა რუსეოუმემ,
ზე წამოვარდა დაფეთებული,
წინ ის გაიქცა და უკან მამა,
წითელ-პერანგა გამწარებული.
დაუზოგავად ლანძღვით მისდევდა,
ემატებოდა რისხვისა ალი,
მაგრამ გაქცეულს, რა ვეღარ მისწვდა,
ქისერში მოსცხო მარჯვედ ფოსტალი.
ასე, ამ გვარად ჩვენს მქადაგებელს
დაათხრევინეს სიმწრით თვალები.
მაგრძელებაზედ აქ ავიღებ ხელს,
თორემ, მკითხველო, დამეღალები.

„რუსეთუმე“

მეათე თავი

ბნელით მოსილი საჩხერეს არე
ბანისვენებდა ტკბილისა ძილით,
როს მთის წვერიდგან გამოჩნდა მთვარე
და გადაჰხედა კორდსა სიცილით.

შეჰხედა ცასა მან ყურადღებით;
რა ვერ შენიშნა მაზედ ღრუბელი,
მოსცურდა ნაზად, თავ-მოწონებით
და გადაჰკარგა მთებს იქით ბნელი.

ცაზედ ვარსკვლავთა გახარებულთა
მნათობის წინა იწყეს ნავარდი;
ერთ-ხმად შესძახეს ქვეყნით ბულბულთა,
არამატს სცემდენ ია და ვარდი.

სურნელებითა დაბრუებულნი
თითქმის ფოთოლნიც არ შრიალებდენ,
და ანგელოზნი, ცით მოვლენილნი
საჩხერეს თავზედ დასტრიალებდენ.

მარცხნით ჯრუჭულა, ყვირილა მარჯვნით,
ჩიხურა, კორდის შუა მდინარე,
ნანას იმღერდენ დაბალისა ხმით
და ბანს აძლევდა მათ არე-მარე.

მერე სულ ერთად შეერთებულნი,
რა საჩხერესა მოშორდებოდენ,

Მღვიმის ხეობას გაქანებულნი
მინავარდობდენ, კლდეთ ახლტებოდენ.

„მოდი-ნახე“ კი, ციხე ამაყი,
ახალციხესა გადაჰყურებდა,
თავს აღარ ეცვა ღრუბლის ბაშლაყი
ციხეთ-ციხესა და მდუმარებდა.

აგონდებოდენ მას ტკბილნი დრონი
თვისის პატივის და დიდებისა,
ოდეს გმირთ-გმირი მისი პატრონი,
სოლომონ, მჩენი იმერლებისა,

ჩხუბების შემდეგ გამარჯვებული
პირდაპირ ციხეს მოაშურებდა
და ღვთის მოყვარე, მირონ-ცხებული
პარაკლისს პირველ ახდევინებდა.

შემდეგ მის კვრეტით გახარებულთა
(ვინ გაბედავდა მასთან მოწყენას!)
ის უბრძანებდა წარჩინებულთა
მწვანე მოლზედა სუფრის გაფენას.

და თვით ვითა ძმა ყმათ შუა უჯდა:
იყო ყანწ-თასთა ტრიალ-ტრიალი,
ვერცხლის დანებით სთლიდენ რა ბექთა,
სოვლად გაჰქონდათ ბზიალ-ბზიალი!

აიღებდა რა პირველად სასმოს,
ეფე ეტყოდა ყმათ: „ალავერდი!...“

ᲣᲛᲐᲜᲘᲪ ᲔᲢᲧᲝᲓᲔᲜ: „მეფევ, გაამოს,
ᲒᲐᲜᲫᲚᲘᲔᲠᲓᲘ და ტკბილად დაბერდი!...“

ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ რიგი ლხინი ამ გვარად
ᲛᲔᲤᲘᲡ ციხესა უნახავს ბევრჯერ
ᲓᲐ უსმენია კიდევაც მარად
ᲮᲛᲐ ნუგეშისა: „მრავალ-ჟამიერ!“

ᲓᲦᲔᲡ-ᲙᲘ ეს ყველა მას მოეშალა,
ᲐᲬ აღარ ესმის ტკბილი ხმა მეფის,
ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲛ თვისი უჩვენა ძალა,
ᲐᲦᲐᲡᲠᲣᲚᲐ რა წესი ბუნების...

ᲡᲐᲧᲓᲐᲠᲘ იგი, სად პარაკლისსა
მეფე იხდიდა მძლეველი მარად,
ᲘᲮᲚᲐ შექმნილა სახტომლად მგლისა
ᲓᲐ მეფის სახლი—მწყემსის სადგურად!...

ᲐᲛᲐᲡ ჰფიქრობდა ამაყი ციხე,
ᲢᲙᲑᲘᲚᲘ დროს მგონი იყო ტანჯვაში
ᲓᲐ შეკმუხვნილი ამაყი სახე
ᲛᲐᲡ ჩაეხატა ყვირილას წყალში...

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ. ᲔᲡ ვრცელი პოემა იყო. ᲐᲮᲚ ახალთაობის ტიპად ჩემი თავი მყავდა გამოხატული და ძველი თაობის ტიპად ჩემივე ოჯახი. ᲠᲝᲪᲐ დავასრულე ეს პოემა, აღტაცებით წავუკითხე სხვებს, მაგრამ ყველამ დამიწუნა: „ოთოთაანთ ქორივით რაღა შინაურებს მიხტომიხარო?“ მე მაინც შევინახე, მაგრამ მომპარეს და დაიკარგა, ისე როგორც სხვაც ბევრი.

ლ ო დ ი ნ ი.

ფრენით მოდი, შუაღამე,
დამამშვიდე, ჰღელავს გული!
შენა ხარ ჩემი სიამე,
დრო სატრფოსგან დანიშნული!

—

საბრალო ჩემი ნუგეში,
ასრულებს რა მშობლის სურვილს,
ოხვრით გორავს ქვეშ-საგებში,
ცრემლით იკლავს ტრფობის წყურვილს.

—

მაგრამ შენ დროს, შუა-ღამე,
მის მეტს ყველას ეძინება;
მაშინ კი ჩემი სიამე
საწოლიდგან წამოდგება.

ჟურდულად პირდაპირ ფენჯერს
მოადგება, ავლებს თვალებს;
შემკრთალს გული მაღლად უძგერს,
მკერდს პერანგი დაჰფართხალებს.

—

ზეცით მთვარე სხივს ჰფენს ფენჯერს,
ქვეყნის მთვარეს ეჯიბრება,
მაგრამ ვერ სძლევს ჩემს ამაძგერს,
მეტობს ჩემი ნეტარება!..

Ისმენს — ვარდსა ვით ბულბული
შესჭიკჭიკებს საბრალო ხმით;
უღელავს და უძგერს გული
და შენატრის მას გულის-თქმით:

—

„ვარდო, ვარდო მშვენიერო,
სუნნელების აღმომფშვენო!
უვავილთ მეფევ, უცხო ფერო,
ედემისა დამამშვენო!

—

არვის ჰმონებ, თავისუფლებ,
აყვავდები უცხო ველად,
აშიკ ბულბულს თავს აწონებ,
ბაგიზდია ეშხით ხელად.

—

ჭურდულად ვსჭვრეტ მე ჩემს ბულბულს,
ჩემს სატრფობლად წამოსულსა,
და, შორიდგან რომ ვუძღვნი გულს,
შორიდგანვე ვსწირავ სულსა.

—

ვარდო, ვარდო, მეხარბება
შენი ეგე ნეტარება!..
ღმერთო, როდის მეღირსება
ბავხდე მისი საკუთრება?!"

—

აი რას ჰგრძნობს მოციმციმე
ჩემი ტკბილი ნეტარება;
მალე მოდი, შუა-ღამევ,
მეც მის ნახვა მენატრება!..

სალამური.

სად ხარ, ჩემო სალამურო,
ხმატკბილო და საამურო,
რომ შენის ხმით ჩრდილოეთში
ქართველს გული გამიხურო!

—

როცა მწყემსი გიპყრობს ხელში
და გაჰკივის მთა და ველში,
ტკბილსა ხმასა ცაში ჰკარგავს
და სევდისას შავს ქვესკნელში,

—

მაშინ ფიქრი ჩემი შენს ხმას
გარს ეხვევა ვითა ძმა ძმას,
და შენი კვნესით მაგონებს
საქართველოს მწარე მოთქმას.

—

ხან თათრები აკვნესებენ,
ხან თურქები აოხრებენ,
ხან სკვითები დროს შერჩევით
მყუდროებას უშფოთებენ!

—

მაშ, უწყალო სალამურო,
მტირალო არ საამურო!
რად მსურს შენი ხმა ვისმინო
და ქართვლის ბედს მოვემდურო?!

მაგრამ ზოგჯერ რომ ტკბილი ხმა
სანუგეშოდ მიჰფრენს აღმა
და ჩემთ გიჟთა ოცნებათა
ხარბად ინთქავს უფსკრული ღრმა,

—

თავ-განწირულს მამულის მცველს
წარმოვიდგენ მაშინ ქართველს:
მტერს შეჰყვიროს: „ჰკა მაგასა!“
ბამოსული ბრძოლისა ველს.

—

აბა ეს ხმა, სალამურო,
ტკბილ-ხმოვანო, საამურო,
აროდეს არ მომყირჭდება,
ძალ-გიძს მუდამ მომაწყურო!

—

ქართულად ჰკვნეს, ქართულად სტვენ,
ქართველის გულს ამით ულხენ,
ხასიათს და ჩვეულებას
წინაპართა გვაგონებ ჩვენ.

—

მაგრამ, ჩემო სალამურო,
ბრძნობით მსტვენო, საამურო,
აღარავინ გიგდებს დღეს ყურს,
სჯობს, ისევ მწყემსს ემსახურო!..

* * *

(ნათარგმნი ჰეინედგან)

 კეთილი რჩევა ბევრი მსმენია,
დარიგება და დაპირებაცა;
მეუბნებოდენ: „ნუ მოგწყენია!
ჩვენ შეგეწევით, ცოტა დაგვაცა!“

—

ზრუნვა დავტოვე, რჩევა დამიჯდა!..
ცდაში შიმშილმა კინაღამ მომკლა!
მაგრამ კეთილი კაცი გამიჩნდა,
ღმერთმა უშველოს, ხელს მიწყობს ეხლა!

—

და ყოველ დღე პურს მაჭმევს სამადლოს,
ჭირასაც არ მთხოვს, ასე უყვარვარ!
ბარდავეხვევი მას, რომ შემეძლოს,
მაგრამ რა რიგად? ის კაცი მე ვარ!...

საბრალო გული

ვუძღვნი თ. კ. ლორთქიფანიძეს

საბრალო გულო, დროა გამოსთქვა
დღეს თავისუფლად შენი ტანჯვანი!
ყურსა გიგდებენ: მთა, კლდე და ტბები,
ველი, მდინარე, მიწა და ქვანი.

—

წყნარი ღამეა და შენ მარტო ხარ,
ვერა გეკვრეტს თვალი მქირდავი კაცის,
მოწმად გყავს მთვარე ბაკე-დასმული
და მოთამაშე ვარსკვლავები ცის.

—

და გტვირთავს ტანჯვა ეგ დაფარული,
თუ რომ არავის გაუზიარე!..
უსულო საგანთ მაინც შესჩივლე,
ეგებ მათ იგრძნონ შენი სიმწარე!

ხომ გახსოვს, ოდეს კაცს ანგელოზად
და სასუფევლად სოფელს სახავდი?
ვინ დაგიბრუნოს ის ნეტარი დრო,
როს ცრუ ოცნებას შენ მონად ჰყავდი!

—

რა ბედნიერი იყავი მაშინ!...
დღეს შეგისრულდა შენ ოცი წელი
და აბა რას ჰგრძნობ? თუ გიყვარს კაცი
და კიდევ მოგწონს ეს ცრუ სოფელი?

ᲕᲒᲝᲜᲔᲑ, ᲕᲔᲠ ᲣᲫᲚᲔᲑ, ᲛᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲚᲝ ᲒᲣᲚᲝ,
ᲫᲘᲓᲔᲪ ᲔᲛᲓᲣᲠᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲑᲠᲣᲜᲕᲐᲡᲐ!...
ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲔᲑᲐᲓ ᲕᲘᲡᲐᲪ ᲡᲐᲮᲐᲕᲓᲘ,
ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲮᲔᲓᲐᲕ, ᲒᲔᲡᲕᲠᲘᲐᲜ ᲥᲕᲐᲡᲐ,

—

ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲠ ᲓᲐᲡᲓᲔᲕ ᲐᲠᲪᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲐ,
ᲐᲠᲪ ᲓᲘᲓᲔᲑᲐᲡᲐ ᲐᲛᲐ ᲡᲝᲤᲚᲐᲓᲐ,
ᲑᲠᲛᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲰᲛᲝᲜᲔᲑ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲐᲖᲠᲡ
ᲓᲐ ᲨᲔᲣᲞᲝᲕᲠᲐᲓ ᲓᲐᲮᲕᲐᲚ ᲝᲑᲚᲐᲓᲐ.

—

ᲕᲘᲪᲘ, ᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ, ᲡᲮᲕᲐ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲒᲜᲐᲢᲠᲘᲡ,
ᲨᲔᲜ ᲛᲘᲒᲐᲩᲜᲘᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲮᲕᲜᲔᲨᲐᲓ!
ᲑᲔᲓᲡ ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ
ᲬᲘᲜ ᲓᲐᲣᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲛᲣᲓᲐᲛ-ᲜᲣᲒᲔᲨᲐᲓ.

ᲛᲐᲨ, ᲜᲣ ᲒᲬᲧᲘᲜᲡ, ᲒᲣᲚᲝ, ᲙᲐᲪᲗᲐᲒᲐᲜ ᲒᲛᲝᲑᲐ,
ᲮᲔᲚᲘ ᲒᲔᲫᲐᲮᲝᲜ, ᲜᲣ ᲒᲔᲜᲐᲦᲕᲚᲔᲑᲐ,—
ᲨᲔᲜ ᲙᲘ ᲓᲐᲐᲓᲔᲥ ᲨᲔᲜᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲐᲖᲠᲡᲐ
ᲓᲐ ᲐᲦᲐᲡᲠᲣᲚᲔ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲐ!..

ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲛᲐᲨ ᲐᲛᲐᲦᲐᲛᲐᲪ
ᲓᲐᲡᲢᲙᲑᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲮᲐᲠᲔ,
ᲫᲕᲔᲣᲜᲐᲓ ᲧᲣᲠᲡ ᲒᲘᲒᲓᲔᲑᲡ ᲢᲙᲑᲘᲚᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ
ᲓᲐ ᲖᲔᲪᲘᲗ ᲔᲨᲮᲘᲗ ᲓᲐᲒᲜᲐᲗᲘᲡ ᲛᲗᲕᲐᲠᲔ!

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲜᲘᲡᲕᲔᲜᲔ, ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲝ ᲒᲣᲚᲝ!
ᲐᲬ ᲨᲔᲐᲧᲔᲜᲔ, ᲓᲠᲝ ᲐᲠᲘᲡ, ᲦᲔᲚᲕᲐ
ᲓᲐ, ᲡᲔᲕᲓᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲠᲔ-ᲛᲝᲛᲓᲔᲑᲣᲚᲡ,
ᲑᲜᲔᲚᲡ ᲒᲐᲜᲒᲘᲜᲐᲗᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲜ ᲡᲐᲦᲛᲠᲗᲝ ᲔᲚᲕᲐ!

—

სიმღერა

Დასტრფის ვარდსა, გულის დარდსა,
ᲡᲢვენს ბულბული საამო ხმას;
Ძილ-გატეხით გულს აძგერებს,
ᲛᲐგრამ ვინ ჰგრძნობს მისსა მოთქმას!

ᲮᲐნ ზედ დაჰყეფს მამაცურად,
ᲮᲐნ ქალივით უნაზდება;
Არად იმჩნევს მისგან ტანჯვას,
ᲰᲒრძნობს სიყვარულს, ჰგრძნობს ᲫᲚ ᲓᲜᲔᲑᲐ.

ᲛᲘხდილ ფერით, გულის ძგერით
Ტყვილა უმღერს გაშლილ ვარდსა,
ᲗᲐჰფრინდება უცხო მხარეს,
ᲗᲐნ წაიღებს მისგან დარდსა!

ფუტური

როს სასეიროდ გავდივარ ველად
ზაფხულში, ბნელსა ‘მუა-ღამის დროს,
ხშირად შორიდგან ვსჟვრეტ მანათობლად
ვით მართალ მნათობს მაშინ ფუტუროს.

მაგრამ თუ ახლოს მივედი, ვნახე,
მაშინ კი სწორედ გული მიკვდება:
ხელში მირჩება მე დამპალი ხე
და ეს მაშინვე მომაგონდება:

არიან ჩვენ‘ში დღეს სწავლულები,
შორიდგან თუმცა ბევრს გვინათებენ,
მაგრამ ახლოს კი დალოცვილები,
როგორც ფუტურო, ვერას გვარგებენ.

ფარისეველი

შეხედეთ ფარისეველსა,
ლოკვითა ღამის მთეველსა,
ცხადად ბოროტის დამგმობსა,
ჩუმად კი ცოდვის მდეველსა.

—

წამის-წამ ახსენებს უფალს,
ამ თვალ-მაქცობით გიხვევსთ თვალს,
მე ულმრთო კაცსა მეძახის
და მიზეზს ადებს თერგის წყალს.

—

შეგტირისთ ჯვარითა და ღვთით;
თქვენც გჯერათ: ცუდ კაცადა მხდით;
მაგრამ მიზეზი სხვა არის,—
მე გეტყვით, რადგან ვერ მიხვდით,—

—

მე და ეგ ვცნობდით ერთმანეთს!
ეგ რომ მუშტებით იმტვრევს მკერდს,
არ იცით, რომ თქვენც გატყუებსთ
და ეცრუება თვითონ ღმერთს?

—

აბა სინჯეთ — ერთხელ გარეთ
სადმე ჩუმად მიეპარეთ,
მაშინ ნახავთ, რომ იმავ მუკს
ბლეხ-კაცს ურტყავს თავში მწარეთ.

ბეფიცებით, იმავ თვალებს,
ცხადად რომ ცას უყვრიალებს,
ჩუმად ბევრჯელ აშიყულად
უთამაშებს ლამაზ ქალებს.

—

საყდარში რომ დაგვიხელებს
და ხატს უპოტინებს ხელებს,
მერწმუნეთ, იმავ ხელებით
მოჩივრებს ჯიბეს უთხელებს.

—

მე ვერ შემაცდენს თქვენსავით
მარხვით, ლოცვით, მოხრილ თავით,
შეეუტყე ფარისეველობა,
ღირსია ჩაიქოლოს ქვით?

—

ვიცანი გაიძვერა მე,
და მისთვის მიწყრება თურმე,
უღმრთოობას მიტომ მწამობს
და მეძახის: „რუსეთუმე“!

შენიშვნა. **რ**ოცა ეს ლექსი დავსწერე, კერძოდ მხედველობაში არავინ მყოლია!.. **ს**აზოგადო ტიპი იყო, ყველამ კი ექვთიმე წერეთელს მიაწერა. **მ**ე იმ ექვთიმეს ვიცნობდი და კარგის მხრითაც. **ს**ხვებს იმას ვამჯობინებდი, მაგრამ იმ შემცდარმა აზრმა ისე მტკიცედ გაიდგა საზოგადოებაში ბიჯი, რომ თვით ექვთიმემაც დაიჯერა და სამდურავი მოგვივიდა. **ა**ხლა,

როდესაც ნახევარმა საუკუნემ გაიარა და ისიც განსვენებულია, აღვიარებ, რომ ეს ლექსი ექვთიმეს არ შეეხება, საზოგადო იყო. Iმ დროში რაც უნდა დაწერილიყო საზოგადო ტიპად, გამოჩნდებოდენ მისთანები, რომ თავის თავზე იღებდენ, ატყდებოდა ერთი ვაი-უშველებელი და ჩამოვარდებოდა ხოლმე სამარადისო მტრობა. ჩემი მტრებიც თანდათან მრავლდებოდენ, მაგრამ ქალებისა და ბავშვების სიყვარული მიბრუნებდა გულს.

* * *

Ალექსანდრა გამიხელდა,
მომექუშა, დამცა ელდა;
ნეტავ ვსცნობდე, რას მიწყრება,
ზული რისთვის აუღელდა?

—

შეუპყრია შავსა ფიქრებს,
Iჰენეულად ჩემზედ ჰფიქრობს,
ნეტავ მამცნო, ამ გვარ ჭორებს
სად ტყობილობს? საიდგან ჰკრებს?

—

ვფიცავ გრძნობით ზე-ნათელსა,
ზეფიცებით ქვენა ბნელსა,
არ ვსტოებდე ძველსა გზასა
და არც სატრფოს ჩემსას ძველსა!

—

მაშ რიღასთვის გამიხელდა,
მომექუშა, დამცა ელდა?
მითხრას მაინც: რას მიწყრება,
ზული რისთვის აუღელდა?

მის მმღერალსა რად მალონებს?
ზანა თვითონ არა ჰგონებს,
რომ მის ეშხით დათუთქული
ეს გული სხვას აღარ ჰმონებს?

ჰგონებს, მაგრამ არის ქალი!
მაშ სადღა აქვს სამართალი?
იგი თურმე მხოლოდ ხუმრობს,
როცა ჩვენ გვწვავს ტრფობის ალი!

აი რისთვის გამიხელდა,
მომეექუშა, დამცა ელდა!
ახლა ვიცი, რად მიწყრება,
ზული რისთვის აუღელდა!

მართლაც, თუ აქვს ჩემგან წყენა,
არ კმარა ეს ჭირთა ჩენა?
ნუ თუ ცოდვას ვერ გამბანდა
ესოდენი ცრემლთა დენა?

აწ მაკმაროს მრისხანება,
ეს გული მას ემონება!
შემიბრალოს მისი მონა,
რომ კვლავაც შეეძლო თაყვანება!

ნული ქუშობს... შეისმინოს,
სამკურნალოდ გამიცინოს

და ცრემლების მოსაშრობლად
მისი ეშხი მომაფინოს!...

და თუ კიდევ გამიხელდა,
რისხვით გული აუღელდა,
ანუ შემშლის უეკველად
და ან მომკლავს მისგან ელდა!

ძვზაურები და ძაღლები

(კრილოვით)

საღამოს ჟამს მოდიოდენ ერთად ორი მეგობარი
და ერთმანეთში ჰქონდათ მათ რიგიანი საუბარი.
ჯიშკრიდან წუპაკი ძაღლი მათ გამოუხტა უცება,
ღრენა დაუწყო და ერთი კიდევაც შემოუყეფა;
მის ხმაზედ ორმოც ძაღლამდის სხვაცა ზედი-ზედ მოცვინდა,
და ერთი გამვლელთაგანი, არ იყო, კიდეც შეშინდა;
ძვას წამოავლო მან ხელი, მაგრამ მეორემ უთხრა მას:
„**დ**აეხსენ! ვერ გააჩუმებ, უფროც დაიწყებენ ყეფას:
ძმაო, შენზედ უკედ ვიცი ამ ძაღლების ხასიათი!“
და მართლაც, რომ გადაადგეს მათ ნაბიჯი ერთი ათი,
ძაღლებმა სირცხვილისაგან ყეფას მოუკლეს ცოტ-ცოტა,
და ბოლოს ამათი ყეფა სრულადაც აღარ ისმოდა.
შურიანები სულ ჰყეფენ, რადგან სხვებს ეხარბებიან.
მაგრამ ხმას რომ არ გასცემენ, იყეფენ ‌ დ‌ ‌ დასცხრებიან.

აპპელაციის მცოდნე

ბედნიერია ჩანჩურა! შვილი ჰყავს მას საქები,
თქვენს მზეს ვფიცავ, წყალივით იცის აპელაცია!...
წვერ-ულვაშს აღარ ჰკადრობს, მოუშვია ბაკები:
ეს სწავლის ნიშანია, უჰ, რა დიდი კაცია!...

—

ქართულ ტანისამოსსა აბა რაღად იკადრებს:
სწავლული კაცი არის, ტანზედ ფრაკი აცვია;
ვინც რუსული არ იცის, მთის ნადირსა ადარებს,—
ვინ ამტყუნებს, მართალს ბრძანებს: ის სწავლული
კაცია!...

—

არ მოსწონს სალამური, არც თარი, არც ჩონგური,
ლეკური ეზიზღება მოსწონს ტანცი-მანცია;
ვერც დავძრახავთ, ოპერისთვის მიუჩვევია ყური:
უჰ! რა შვილი დამდგარა! რა სწავლული კაცია!..

—

მაზრაც კი ჩააბარეს, აწ ვილა შეედრება!
მოჩივარს რომ შეუტევს, სწორედ რომ მამაცია!
უფულო კაცის წვევა ჟამივით ეჯავრება!
სხვა რამე არ იფიქროთ?! **ი**ს სწავლული კაცია!...

ამბობენ, ქრთამი სძულსო, არ იძღვნის არც ქათამსა,
მხოლოდ მაშინ არ იწყენს, თუ მსუქანი ვაცია,
მაგრამ ეს ზვარაკია! ამას ვინ ეტყვის ქრთამსა!
სხვამ რომ ჰქნას, ის სხვა არის! ეს სწავლული კაცია!

თუ რუსული არ იცი, ახლოს ნუ ეკარები,
მუსაიფი არ უყვარს, ქართულში ზარმაცია;
უსწავლელებთან თურმე მოსდის ზაფრის ქარები;
რა ჰქნას? არ გავამტყუნებ: ის სწავლული კაცია!..

—

ბაბუტვით დადის, სიბრძნე აღარ ეტევა ყელში,
მთელს „ნაციას“ ის მოსწონს, მას სძულს მთელი „ნაცია“!..
აი სწავლული შვილი, სანატრი ამ სოფელში,
ქართველების შეხედვით ყოვლად კარგი კაცია!..

ზღაპარი

დიდებულს მებატონეს კარს მიადგა მესტვირე,
მშვენიერად დამკვრელი, მსმენელის გამაკვირვე;
ეშხით დაუკრა სტვირი, ზედაც გრძნობით დაჰმღერა,
შეაერთა ორი ხმა, გულს სევდა გადაჰფერა.
უნებურ გრძნობით ბატონს მოეწონა ეს სტვირი,
ქმაყოფილების ნიშნად გააწლაკუნა პირი.
—„ზოგიერთი დიდ-კაცი,—ვის არ მოეხსენება,—
პირს დაუწყებს წლაკუნსა, რომ რამ მოეწონება,
რადგანაც იმას იმ დროს საჭმელი აგონდებოდა:
თორემ „ესთეტიკისა“ მას არრა ეყურება
და წლიდგან წლამდის მხოლოდ მის კუჭს ემსახურება:
ღორის ქონით გაძღება, ვერე ღვინით ჩაჰფერავს
და იქვე გაჰგორდება, თუ მუცელზედ გაჰბერავს;

ᲥᲝᲢᲠᲘᲐᲚᲝᲑᲡ ᲚᲝᲒᲘᲜᲖᲔᲓ, ᲑᲔᲓᲡ ᲡᲬᲧᲔᲕᲚᲘᲡ, ᲘᲒᲘᲜᲔᲑᲐ
ᲓᲐ ᲛᲣᲪᲔᲚᲖᲔᲓ ᲮᲔᲚᲡ ᲘᲡᲕᲐᲛᲡ, (ᲣᲙᲔᲓ ᲓᲐᲔᲫᲘᲜᲔᲑᲐ)!
ᲕᲐᲮᲨᲛᲝᲑᲐᲛᲓᲘᲡ ᲘᲮᲕᲘᲠᲘᲜᲔᲑᲡ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲪᲮᲕᲘᲠᲡ ᲐᲡ-
ᲢᲕᲔᲜᲡ,
ᲕᲐᲮᲨᲛᲐᲓ ᲙᲘ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲡᲐ ᲡᲕᲐᲛᲡ: ᲮᲣᲗ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐᲡ, ᲠᲐᲡ ᲐᲬ-
ᲧᲔᲜᲡ?!..
ᲓᲘᲚᲐᲡ ᲒᲐᲕᲐ, ᲡᲔᲘᲠᲝᲜᲑᲡ, ᲢᲝᲠᲢᲛᲐᲜᲘᲗ ᲐᲓᲒᲐᲛᲡ ᲑᲘᲯᲡᲐ
ᲓᲐ ᲛᲝᲭᲔᲓᲘᲚᲘ ᲮᲛᲐᲚᲘ ᲣᲙᲐᲜ ᲛᲘᲐᲥᲕᲡ ᲛᲘᲡ ᲑᲘᲯᲡᲐ;
ᲐᲮᲐᲚ-ᲬᲚᲘᲓᲒᲐᲜ ᲬᲚᲐᲛᲓᲘᲡᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲐᲛᲓᲒᲕᲐᲠᲐᲓ
ᲓᲐ, ᲗᲣ ᲫᲘᲚᲘ ᲒᲐᲣᲢᲧᲓᲐ, ᲝᲯᲐᲮᲖᲔᲓ ᲰᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ ᲛᲐᲠᲐᲓ.—
ᲐᲬ ᲘᲡᲘᲪ ᲛᲝᲘᲮᲡᲔᲜᲔᲗ, ᲠᲐᲡ ᲨᲕᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲪᲝᲚᲚᲔᲑᲘ:
—ᲫᲐᲚᲔᲑᲝ, ᲐᲠ ᲒᲐᲛᲘᲬᲧᲠᲔᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲙᲘ ᲒᲔᲜᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘ,—
ᲬᲘᲒᲜᲘ ᲡᲫᲣᲚᲗᲐ, ᲝᲯᲐᲮᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲗ ᲐᲠᲠᲐ ᲒᲐᲔᲒᲔᲑᲐᲗ,
ᲑᲣᲚᲖᲔᲓ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲠᲔᲤᲐ ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐᲗ ᲡᲐᲥᲔᲑᲐᲗ;
ᲫᲐᲠᲕᲘᲡ ᲙᲠᲘᲐᲚᲝᲡᲐᲜᲡᲐ ᲛᲐᲠᲪᲕᲐᲚ-ᲛᲐᲠᲪᲕᲔᲚᲐᲓ ᲩᲐᲡᲗᲕᲚᲘᲐᲜ,
ᲠᲝᲛ ᲰᲙᲘᲗᲮᲝᲗ: „ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲐ?“ ᲛᲔᲠᲬᲛᲣᲜᲔᲗ, ᲕᲔᲠ ᲒᲔᲢ-
ᲧᲕᲘᲐᲜ;
ᲡᲐᲓᲘᲚ-ᲕᲐᲮᲨᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡ ᲡᲣᲚ ᲐᲠᲐ ᲡᲪᲔᲛᲔᲜ:
ᲛᲝᲐᲠᲗᲛᲔᲕᲔᲜ—ᲨᲔᲡᲯᲐᲛᲔᲜ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ—ᲑᲘᲯᲔᲑᲡ ᲡᲪᲔᲛᲔᲜ;
ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲘᲒᲜᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ, ᲪᲮᲔᲜᲡ ᲨᲔᲮᲢᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲐᲚᲘᲗ,
ᲛᲘᲐᲯᲔᲜᲔᲑᲔᲜ: „ᲐᲩᲣ“! ᲑᲘᲯᲘ ᲛᲘᲡᲓᲔᲕᲡ ᲩᲐᲜᲩᲐᲚᲘᲗ.
ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲔᲞᲐᲠᲔᲑᲐᲗ:
ᲘᲥ ᲯᲝᲠᲔᲑᲡ ᲨᲔᲘᲢᲧᲝᲑᲔᲜ, ᲓᲐ ᲔᲡ ᲐᲥᲕᲡᲗ ᲜᲔᲢᲐᲠᲔᲑᲐᲗ!..
ᲡᲣᲚ ᲠᲝᲛ ᲑᲔᲕᲠᲘᲪ ᲘᲯᲐᲕᲠᲝᲡ, ᲕᲘᲜ ᲒᲐᲣᲒᲝᲜᲔᲑᲡ ᲥᲛᲐᲠᲡᲐ!
ᲣᲚᲗᲐᲨᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲪᲮᲕᲔᲜᲔᲜ, ᲪᲮᲕᲘᲠᲨᲘ ᲐᲓᲔᲜᲔᲜ ᲫᲛᲐᲠᲡᲐ!
ᲔᲢᲧᲕᲘᲐᲜ: „ᲒᲐᲰᲥᲠᲐ ᲘᲡ ᲓᲠᲝ, ᲫᲕᲔᲚ ᲓᲠᲝᲡ ᲜᲣᲦᲐᲠ ᲛᲝᲔ-
ᲚᲘ,

ჩვენ ქალბატონები ვართ! რად გავისვაროთ ხელი?!
სირცხვილია ოჯახში ჩვენგან განკარგულება,
მზარეული, გამდელი თუ კი შინ გვეყოლება;
ძვირფასად გამოგვაწყვეთ, გინდ აიღეთ ვალები;
აბა რისთვის შეგირთეთ? თქვენ დაგიდგათ თვალები!“
ამ გვარად მათი ქმრები ვალებში ვარდებიან,
პოლოს, ყაზარ, კარაპეტ კი მათით მდიდრდებიან!..
ყველა ასე არ არის, მე ზოგზედ მოგახსენებთ,
და, ქალებო, გაწყრომას სუყველა ნუ ინებებთ!
ამ გვართაგანი იყო თურმე ის მებატონე,
რომლის კარსაც მიადგა მესტვირე თავ-მომწონე.
ამისთანა სტვირის ხმა ბატონს არ გაეგონა,
და უნებურის გრძნობით მას სტვირი მოეწონა:
უთხრა: „თუმც კარგი ხმა გაქვს, ცოტა მაღლა ვერ ჰყვირი!“
და მაღალ ბანის მთქმელად გამოუგზავნა ვირი.
მესტვირემ სთქვა: „მერწმუნეთ, დავამტვრევ ამ ჩემს სტვირსა,
აღარც ხმას ამოვიღებ, თუ მართლა გზავნიო ვირსა!..
შევსცდი, რომ აქ მოვედი! მე ვისთან აქ რა მინდა?!“
ამაყად დაიძახა, არავის შეუშინდა.
„რაო?“—მებატონემა ერთი დაიღრიალა:
„მაგას ჯერ არ უნახავს დიდ-კაცებისა ძალა?
რას ამბობს? არ მინდაო ბრძანებით სამსახური?
ჰე, ბიჭებო! გააგდეთ, მიაყოლეთ პანღური!..
თავზედ გადაამტვრიეთ მაგ მაწანწალას სტვირი
და აქვე ამომგვარეთ ჩემი საქები ვირი!“
შემებრალა ბატონი! შემეცოდა მესტვირე!
აწ შენა ს

ჭ უ რ ი.

Ორმოც-კოკიანი ჭური
Ცარიელი კაცმა ნახა;
Რაც ჩაჰსძახა, მოვჰკარ ყური,
Რომ ჭურმაც ის ამოსძახა.

※

ᲛᲔ მაშინვე მომაგონდენ
Შოგიერთი ყმაწვილები:
Რასაც კი გაიგონებენ,
Ჰყვირიან დალოცვილები!!!

ᲐᲕᲓᲛᲧᲝᲤᲘ

(ᲞლᲔᲨᲩᲔᲕᲘსᲐ)

ᲝთახᲨი მარტო, სენით პყრობილი,
Ეგდო და სიცხით სული ხდებოდა;
Ძარი ჰᲬუოდა და ღამე ბნელი
Შავად ფანჯრებᲨი იხედებოდა.

.—

ᲘᲬ ჯერ ჭაბუკი იყო... ᲚᲣᲡᲬᲕᲔᲓᲐ
ᲛᲐს გაჭირვება თვის საძაგლობით...
ᲓᲐ სახეს ტანჯვის დაღიც დაესვა,
ᲛᲔტის ჯაფითა და უძილობით.

—--

Ეგდო უძრავად ის, ფერმიხდილი,
ᲗვალᲨი სინათლეც-კი უქრებოდა:

სიკვდილს ხედავდა და დაღრეჯილი,
მწუხარე, ტანჯვით ეეედრებოდა:

„საფლავში ნუ მდებ! მაცა, სიკვდილო!
გამაწევინე მე ღამე ბნელი!
მსურს, ნათელი დღე კიდევ ვიხილო,
გამოსათხოვრად, უკანასკნელი.

მოჩვენებაებს მეტად საშიშარს
ვხედავ, ჩემთ თვალთ წინ აირევიან;
მათი სამთავრო ბნელია... მძინარს
ისინი სოფელს თავს დაჰხარიან...

იმათი სახე არს საზიზღარი!
ზედ აზის დაღი მათ გარყვნილების!
მაგრამ ხალისი მათი ამ გვარი,
ვგონებ, ცისკრის დროს კი გათავდების;

გაჰფანტავს იმათ დილის ნათელი
და ხალხი ნახავს დილას სანატროს.
მაცა, სიკვდილო, მინდა, სოფელი
რომ კიდევ ვნახო მეცა ცისკრის დროს!“

ნატრობდა, მაგრამ სიცოცხლის ალი
თან-და-თან სნეულს გულში ჰქრებოდა.
მოადგა ფანჯრებს იქ ღამე ბნელი,
ქარიც გატეხას ემუქრებოდა!

მ უ შ უ რ ი

სიმინდსა თოხნა დავუწყოთ,
ერთ-ხმად დავძახოთ მუშური;
ეგებ მაშინ დაგვავიწყდეს,
რომ გლეხნი ვართ უბედური!

—

მარტო ჩვენთვის არ ვმუშაობთ,
სხვისიც გვმართებს სამსახური,
ბატონი გვყავს, ვართ საწყალი,
უპატრონო, უბედური!

ყველა თავში გვიჩაჩქუნებს
ბარეშე და შინაური;
ცხელსა მიწას უხვად ალბობს
ოფლი ჩვენგან მონაწური.

ჩვენი ჯაფით მონაყვანი
სხვასთან მიდის საზრდო პური,
შინ ცოლშვილს შიმშილი გვიკლავს,
მაგრამ ვინ მიუგდოს ყური?

მათსა საზრდოს სხვა იტაცებს,
სტირის ცოლი მეძუძური,
შიმშილისგან რძე უშრება,
წივის შვილი უსუსური!

ღმერთს ბატონად მოუცია
ჩვენთვის ერთი აზნაური,
მისთვის სუყველა ჩვენა ვართ—
მებეგრეცა და მსახური.

—

მისგან ტანჯვას რომ მოვრჩებით,
მაშინ გვტანჯავს მისი ფური!
უპატრონოდც არ ვარგივართ,
როგორც ცხვარი უმწყემსური.

—

მაშინ ყველა ბატონია!
ბამკითხავი სადღა არი!..

. . . . . .

ბანვაგრძოთ, ძმებო, მუშური,
ჩვენი სევდის გამაქარვი.

—

ბანს გვეტყვიან ნაღვლიანად
არე-მარე, მთა და ბარი!
ნუ თუ გულ-გრილად უყურებს
ჩვენს ტანჯვასა მაცხოვარი!...

ვირი და ფილოსოფოსი

ერთსა ფილოსოფოსსა მიუახლოვდა ვირი,
უკრიჭა, გაუცინა, ჩამოუგდო ქვიქვირი.
ბრძენმა ვერ დაინახა, ცაზედ ვარსკვლავებს სთვლიდა,
მაგრამ ვირი ბატონს ბრძენს მათ თვლას აღარ აცლიდა.

რა მოესმა ყროყინი, მაშინ კი მოიხედა,
სთქვა: „ეს ვირი რას შვრება, ნეტავ რას მეთავხედა?“
მაეცინა და უთხრა მან ვირსა: „ჩოქში, ჩოქში!
აქ რად ხარ, ისევ გიჯობს, წახვიდე ვირის ჯოგში.“
—არა, მე თქვენში მოვალ, ვემონები ტკბილს გრძნობას;
მითხრეს აქ ვითომც ჩემს ძმებს აძლევდენ დიდკაცობას;
— რას ამბობ, ვის უნახავს აქ დიდკაცობა ვირის?
— როგორ არა, ის არის, ვინც ყველაზედ მეტს ჰყვირის.
მეც აქ გავდიდკაცდები, შენც გული ნუ დაგწყდება;
რომ მოგშივდეს, მე მთხოვე, მამა ნუ წაგიწყდება.

ბოდება ებრაული

(ბაირონით)

ბაბილონისა წყლისა კიდეთა
დამონებული ერთად ვისხედით,
ვიგონებდით რა წარსულთა დღეთა
ბედით ჩაგრულნი, აღვსილნი სევდით.

ძეწნას საკრავი უქმად დაეკიდეთ,
ვიგლოვდით ჩვენსა სამგლოვარს მწარეს,
და ცრემლთა ღვარი რწყავდა რა კიდეთ,
ცხლად ერთობოდა ციესა მდინარეს.

წარმტყვენნი ჩვენნი მაშინ გაიცხვით
მიზეზს გვეითხვიდენ მწუხარებისას
და მტერნი ჩვენნი ბრძანებისა ხმით
ბვეტყოდენ მათდა შესხმას ქებისას:

„აიღეთ თქვენნი ჩანგნი, ბობღანნი,
ჩვეულებრივად ჩამოჰკარით სიმს,
და გვიგალობეთ ჩვენც გალობანი,
რომლითც აქებდით იერუსალიმს.“

აჰა გაიცხვა, შერცხვენა მონის!
წინაპართ ძვლებო, საფლავში ძრწოდეთ!
წმინდას გალობას ჩვენის სიონის
უნდა გამეიცხველთ ჩვენთ ეუგალობდეთ?!

არა, სიონო! წმინდა გალობა
იგი შენია და შენ გეკუთვნის,
მასში არს გრძნობა და ჩვეულება
სამშობლოს მხრისა და დედა-ენის.

—

მას ჩვენ ვერ მივსცემთ მტერს საკიცხა-
ვად,
ვერ დავივიწყებთ ტკბილსა სამშობლოს,
რა გინდ დაგვტანჯოს, მოგვეპყრას ავად,
სიკვდილამდიც რომ სასტიკად გვდევნოს.

—

ოჰ, გასწყდით, სიმნო, გაქვავდი ენა
და უძრავადა მიეკარ სასას,
თუ რომ სიონის გალობით ჩვენა
ძალით ვატკბობდეთ სასმენელს მტრისას!

—

ნეტარ არს იგი ძე სიონისა,
ვისაც მონება მტრისა არა ჰსურს;
რომელიც ძეთა ბაბილონისა
ემტერებოდეს და აგებდეს შურს!

—

და, როს შეიპყრობს ბაბილონის შვილს,
მაშინ სიკოცხლეს დაამწარებდეს,
კლდესა ასრესდეს თითოს თავით ჩჩვილს
და ზედ კმაყოფით დაჰხარხარებდეს!

დღე და ღამე იყრება

დღე და ღამე იყრება,
ცელქი ვარსკვლავთა კრება
მოწმენდილ ლაჟვარდ ცაზედ
ხანა ჰკრთის და ხან ჰქრება.

—

ზენარე და ქვენარე,
ცხოველი და მცენარე
ყველა ამბობს: „გიყვარდეს,
დასტკბი და გაიხარე!“

ტახტს დაჯდა სიყვარული,
შგალობებს ბულბული,
ჭაბუკობა შეჰხარის,
არევით უძგერს გული.

—

მოხუცს კი ეძინება,
ყმაწვილს ცოლს ეცინება;
დაიძინე, მოხუცო,
აბა ვის ეწყინება?

—

მოისვენა მოხუცმა,
მაგრამ უცებ კატის ხმა!
„**მ**იავ! მიავ! მიაუ!“
ქარებს უკან მოესმა.

Ოლს უთხრა მან: „გემდური;
რად არ მიუგდე ყური
ქატას: შინ შემოუშვი,
შია, აქამე პური!“

— „ბატონო, მართალს ბრძანებ!
ქატას კი ვუპატრონებ,
მაგრამ ჯერ დაიძინე,
ნანინას მოგახსენებ.‘‘

უთხრა მოხუცს ნანინა,
ჯერ ტკბილად დააძინა,
მერე ქატა მონახა,
ქმარს ცინდალი შესძინა.

ქმარმა რომ გაიღვიძა,
მისი ცოლი აფიცა:
„ქატა ხომ გააძღეო?“
ოლმაც დასტური მისცა.

ქმარს მართალი ეგონა,
ოლს გულში ჩაეკონა,
ამ გვარი მორჩილება
მას მეტად მოუწონა.

და ისევ დაიძინა;
ოლმაც უთხრა: ნანინა,
შენ სიზმრადაც ვერ ნახავ,
რაც ცხადად შეგვეძინა.‘‘

შიქასტა

ვით სნეულსა თანაუგრძნობს
მისივე მსგავსი სნეული,
ისე მკვნესარ შიქასტის ხმას
ძგერით უგრძნობს ჩემი გული.

—

აჰ, მეზურნეე, დაჰკა! დაჰკა!
ზამაგონე ეგ სევდის ხმა!
მაგაშია ჩემთა ძველთა
მამაცური ოხვრა, მოთქმა.

—

ზამიხურე ანგით გული,
ეგებ დასდნეს მწუხარება,
და ჩემთ თვალთა გადმოსთხიონ
ნალვლიანი მდუღარება!

ვიცი, ცრემლი მამა-კაცსა
შეარცხვენს და არ შეშვენის,
მაგრამ მიჯობს, ჩუმად ტანჯვას
ცრემლი ვღვარო, არა მრცხვენის.

- -

ნურვინ სცდილობს იმ ცრემლებში,
ნახოს კერძო სიყვარული!
იქ იქნება საიდუმლო,
ზულ-გამხეთქი, დაფარული!

ᲧᲝᲕᲔᲚᲡ წᲕᲔᲗᲨᲘ ტᲐᲜᲯᲕᲐᲡ ნᲐᲮᲐᲕᲡ.
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ გᲐᲛᲝᲛᲮᲐᲢᲕᲔᲚᲡ,
ᲓᲐ მწᲐᲠᲔᲡᲐ ნᲐᲙᲐᲓᲣᲚᲨᲘ
ᲨᲘᲛᲔᲓᲝᲑᲐᲡ გᲣᲚᲘᲡ მწᲕᲔᲚᲡ.

—

ᲐᲰ, მᲔᲖᲣᲠᲜᲔᲕ, დᲐᲰᲙᲐ, დᲐᲰᲙᲐ,
ᲔᲒᲔᲑ დᲐდᲜᲔᲡ მწᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐ.
ᲓᲐ ჩᲔმთ თᲕᲐᲚᲗᲐ გᲐდᲛᲝᲡწᲣᲠᲝᲜ
ᲜᲐᲚᲕᲚᲘᲐᲜᲘ მდᲣᲚᲐᲠᲔᲑᲐ!

ვლეხის აღსარება

,,ხატად და მაგავსად ღვთისა ვინ ქმნილ არს,
ჰეშმარიტების მხილებაც უყვარს;
და ვისაცა სწყინს ჰეშმარიტება,
სჩანს დაუკარკავს მას ღვთის ხატება.''

ოჰ, დარდების ამშლელო, ჩემის გულის ხაზი ხარ!...
თავ-დახრილი მიტომ ვარ, რომ კისერზედ მაზიხარ.
დამტკბარს ვეროდეს გხედავ, ჩემთან მუდამ ბრაზი ხარ;
უჩემოდ გამრჯელი ხარ, თუ მე მხედავ, ნაზი ხარ!..

რომ იცი, რაღად მკითხავ: ასე რისთვის ვლონდები?
მისთვის, ჩემო ბატონო, რომ სულ შენ მაგონდები!
პირუტყვივით მიმონებ, მფლობ და არ გეცოდები;
მაგრამ, ჩემო წამწყმედო აქ, იქ შენ ვერ ცხონდები!

ცხადად შენ მაგონდები, შენ ხარ ჩემი სიზმარი;
შენ მღვდელივით სუქდები, მე ოფლად ვარ დამდნარი,
მაგრამ შენ რას დამეძებ?! შენი ფიქრი ეს არი:
,,**ნ**ეტავ ვინ გაასწორა ერთადო მთა და ბარი?!''

ამით ჩვენის კავშირის უფლებით ხარ შემცვლელი;
ძლიერმა სუსტი მნახე, ღაჩაგვრა შეიძელი!..
მაშ ახლა რაღად სწუხარ, ახალს დროს რომ მოელი?
რად არ მეტყვი: ,,ძმები ვართ, მოდი, მომხვიე ხელი!''

თორემ შენ ცხვირს მაჩვენებ, მე ჩამოგიყრი ყუ-
რებს,
მტერს ვინ უწინაღმდეგებს, რომელიც ჩვენ შეგვყუ-
რებს?
ერთმანეთის მტერს ველარც მამული გვიმსახურებს
და ახალს დროს დაგვასმენს, შვილის-შვილთ მოგ-
ვამდურებს.

მაგრამ, ვაი! ეს სიტყვა შენ როგორღაც გემწარა,
მეუბნები: „შენ ვინ ხარ, ვისი ტიკი-ტომარა?“
მაგრამ, ჩემო კეთილო, იფიქრე, ნუ სჯი ჩქარა
და მაშინ აღიარე—მართალს ვამბობ, თუ არა?!..

შენიშვნა. **ა**მ ლექსმა, რომელიც ბატონყმობის გადავარდნამდეა დაწერილი, ძალიან უსიამოვნება გამოიწვია თავადებში და ბევრიც მტერიც შემძინა. **ე**რთმა მათგანმა თავადმა მიქელაძემ სასიკვდილოდ შემომიტია და ალალ ბედზედ გადამარჩინეს.



მოგონება

სიმნი მკვნესარნი სამარის ხმითა
ზედ დასტირიან რაღაც საგანსა
და უცნაურის თანაგრძნობითა
ეს ჩემი გულიც ეტყვის მათ ბანსა.

—

ღმერთო! რა მიყვარს ეს მწარე მოთქმა!..
ვეტრფიალები ამ ჩემსა ჩანგსა! —
მხოლოდ ამისი ეს მაცდური ხმა
გულს გადამფერავს მოდებულს ჯანგსა.

—

ეს არის ჩემი თანამგრძნობელი,
ეს ისმენს მხოლოდ ჩემს აღსარებას;
მეალერსება ვითა მშობელი
და ცრემლით ადნობს ჩემს მწუხარებას.

—

აი, ეხლაცა ჩემი გონება
სიმთ გააცოცხლეს, აამღელვარეს,
მომცეს წარსულთა დროთ მოგონება
და გარდმიტანეს სამშობლო მხარეს.

—

ჰა! წარმომიდგა თვალ-წინ ჭაბუკი...
გაჭირვებისგან რომ ცრემლსა ღვრიდა,
მაგრამ მტკიცე და პატიოსანი
უფროსების წინ თავს არა ჰხრიდა.

პირმოთნეობით ის დაჩაგრული
არავის სთხოვდა თვის წარმატებას
და, სიმართლისთვის თავ-განწირული,
აღიარებდა ჭეშმარიტებას.

—

შეშლიდა მოძმეთ სულის მდაბლობას,
ჰგმობდა მათ შორის ის უპირობას,
მაგრამ ეტყოდენ რაგვარ მადლობას?
ემუქრებოდენ ტყავის გაძრობას!

—

„ბამოახილეთ, ამბობდა, თვალი,
შეიტყეთ, გლეხიც თქვენი ძმა არი!“
და რას ისმენდა ნაცვლად საწყალი?
„ჩუ, თორემ ცხვირში წაგსკდება ძმარი“!

—

დაჩაგრულს გლეხებს ეფერებოდა,
დიდ-კაცებს ჰგმობდა პირ-უთნეველად,
მისთვის მას ყველა ემტერებოდა...
ყველას მიაჩნდა საზიზღარ ველად!

მაგრამ მაინცა თავს არ იხრიდა
უფროსების წინ, იმათი მტერი,
თუმც ჩუმად ხშირად ცრემლებს კი ჰღვრიდა,
ბაუკითხავი ყველგნით.... მშიერი.

—

შიმშილ-წყურვილით გახდა ის ავად,
მისი დაცემა ყველამ იხარა;

მოკვდა საბრალო გაუკითხავად
და საუკუნოდ მიწამ დაჰფარა.

—

ოჰ, უგნურებავ! ოჰ, საძაგლობა!
ის მოკვდა, მაგრამ არ არის მკვდარი;
მას მოიგონებს შთამომავლობა
და მას უგალობს აწ წმინდა ქნარი.

—

ვინც მოუსწრაფა საწყალს სიკვდილი,
იმას კი გრძნობით არვინ აკურთხებს,
მას შეაჩვენებს მისივე შვილი
და მამის საფლავს გადააფურთხებს.

—

ქურთხეულმც იყოს ამგვარი შვილი!
და ამას ამბობს ეს ჩემი ქნარი:
ვინც სამშობლოსა უყო კეთილი,
ჩვენი მამაცა მხოლოდ ის არი!



სიმღერა მკის დროს

ბავლესოთ, ძმებო, ნამგალი,
პური შეგვქნია სამკალი,
ჯერ ,,ჰოპუმ'' დავაგუგუნოთ
და მერე ,,ჰარი-ჰარალი!''

ვერა ხედავთ ჩვენს მეთაურს,
როგორა ხტის? ბული უხურს!
რა სიამით და სიხარბით
შეჰყურებს დამწიფებულს პურს!

მეთაურო, დაგვაცალე,
ჯერ ეს ყანწი გამოცალე,
მერე გნახავთ, რაც ბიჭი ხარ,
ნამგალი დაატრიალე!...

მკაში არც ჩვენ ჩამოგრჩებით,
ჩვენც გვერდში ამოგიდგებით:
ბულ-გაღებული, პერანგა,
პურს ცეცხლივით მოვედებით!

ჯერ თანასწორ დავუაროთ,
ბულს დარდები გავუქარვოთ,
და, ვინც მკაში ჩამოგვრჩება,
პირში პური მივაყაროთ!

მეთაურო, თაბაგარო, *)
ნუ გგონია, რომ დაგვჩაგრო!
ნახავ მკაში, რომ შენც ჩვენთან
ბევრი ოფლი გადმოღვარო!

მომკლები ვართ ჩვენცა სრული,
არ ვყოფილვართ დაჩაგრული,
თაბაგრები თუმც არა ვართ,
მკა კი ვიცით თაბაგრული.

ჰე! დატრიალდა ნამგლები;
ბიჭებო, თქვენ გენაცვლები!
ბიცნობთ, სადაურიცა ხართ:
შორაპნიდგან იმერლები!

ამას ჰქვიან ხელაური,
ასე უნდა მომკათ პური!
მეთაურო, შენ კარგად მკი,
მაგრამ აგდის კი ალმური!

ჩუ! მტრედმა დაიღუღუნა,
მკა ხომ ჩვენ არ დაგვიწუნა?
ჰა, ბიჭებო, დატრიალდით,
ჰოოპუნა! **ჰ**ოოპუნა!

*) თაბაგარი გვარია, პირველი მომკლები იმერეთში და სახელ-განთქმულები.

ჰოოპუნა! ავხე! ავხე!
ბიჭო, ჩემი მკაცა ნახე
და, თუ შენ მკაში ჩამოგრჩე,
ძალაჩუნა დამიძახე!

ჰოპ! ჰოპ! ჰერი! ჰერი!
ჩუ, გამოხტა აგერ მწყერი,
ნამგლებით გარს შემოვერტყათ,
დავიჭიროთ პურის მტერი.

მეთაურო, ბარაქალა!
ხომ ნახე აწ ჩვენი ძალა:
საღამომდე სულ მოვრჩებით,
ნამგალმაც თუ დაგვაცალა!

ნელა, ბიჭო! აწ კი კმარა,
ჰხედავ? მზემაც გადიხარა:
ჯერ რიგიანად ვისამხროთ,
მერე მოვმკით უფრო ჩქარა!

იმერული ნანინა

ვუძღვნი სიბატონო ყმების ახალ-შობილ შვილებს

ბაპუტულო გლეხის შვილო, შენ პაწაწინაო!
აგრე ტკბილად, უდარდელად რამ დაგაძინაო?
ლედის მკერდში მიგიგნია შენ ტკბილი ბინაო...
ლაიძინე, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!...

ლედა ეტყვის: ,,გენაცვალოს შენი მშობელიო,
ძუძუებში ჩაგივლია პაწაწა ხელიო!
შენს ვაშ-კაცობას მომასწრებს მე **ლ**ვთის-მშობელიო,
მამიშენის ბედის არ ხარ, შენ სხვა ბედს ელიო:

შენი ვარსკვლავი სხვა არის!—ბედმა გიცინაო?
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!...

ლმერთს შენი ბედნიერება წინედ უსახავსო,
შენც მის ნაცვლად ემსახურე, ნურას იზამ ავსო,
ლედას თმას ნუ მაწეწინებ, ნუ ჩამაცმევ შავსო!
სხვებ რა გიჭირს: ხომ შეიტყე, ბატონი არ გყავსო!

რისთვის შეჰკრთი? მართალია! რამ შეგაშინაო?
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!...

ბაიზრდები, გენაცვალე, თავისუფალიო;
ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერც გაგტეხს ვალიო;

შენს მტერსა და მოშურნესა დაუდგეს თვალიო:
ჭირისა და ავ თვალისგან გიხსნის შფალიო!

ხომ გიამა, გენაცვალე! მან გაგაცინაო?
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!...

დიდი-კაცის შვილს სკოლაში გვერდთ მოუჯდებიო;
აბა შენ იცი, ბიჭოჯან, როგორ ეცდებიო;
ძველ ბატონის შვილს სწავლაში ნუ ჩამორჩებიო,
ბლეხსა ნიჟი არა აქვსო, არ აფიქრებიო!...

შენი დაჩაგრული ძმები შენ უნდა იხსნაო,
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!

ჩინოვნიკებიც არიან ჩვენი გამწვალეო:
ჩვენ საქმეზე როცა მივალთ, გვეტყვიან: „ხვალეო“,
და ჩვენ როცა დაგვსაქმებენ, მაშინ კი—„მალეო!
ამას შენ ველარ გეტყვიან, შენ გენაცვალეო,

რომ ველარ დაგიბრიყვებენ, თუ რომ თავი სცანო!
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!

პაწაწინა იადონო და ვარდის კონაო,
დღეს ხომ კარგად გაიგონე, ჩემი ნანინაო?
და თუ კარგად გაიგონე, ხომ მოგეწონაო?
მაშ ნუ გძინავს! გაიღვიძე! იცან ქვეყანაო!

შენც შეიტყე ამა სოფლის ცრუ გამოცანაო!
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!

ჩანგურის ძალა

მოდი, ჩემო ჩანგურო,
მსურს, ისევ გემსახურო,
გამღერო სულ სიმართლე
და ბევრი მოგამდურო!

—

ოდეს შენი მომტანი,
მე მუზი გავიცანი,
თითქოს ხელ-ახლად ვიშევ
და .თავიც მაშინ ვცანი.

—

სულმან ჰგრძნო უცხო ძალი,
გულში ამენთო ალი;
ვნახე, თურმე ბრმა ვიყავ
და გავახილე თვალი...

—

უცხო ძალი ვიგრძნე რა,
გულმა დამიწყო ძგერა,
მაშინ აგიღე ხელში
და ვიწყე საღმრთო მღერა...

—

რასაც თვალი ჰხედავდა,
გულიც მის თქმას ჰბედავდა;
და იმ დღიდგან მშვიდობა,
მგოსნისათვის გათავდა...

Ვნახე, რომ მეგობარი
ᲗᲣრმე იყო ხუმარი!...
Და იმის სიყვარულიც
ჩემდამო კი სიზმარი!...

ᲗᲐვს ვუთხარი: „გასწორდი!
Ქმა, რაც დღემდის მოღორდი?“
Ზიზღით ზურგი ვუჩვენე
Მეგობარს და მოვშორდი.

Ვიხილე სწავლულები
Მე სახელ-განთქმულები:
Ვნახე, ტვინზედ ეწერათ:
„Უგნურების შვილები!“

Მაშინ მოვსდრიკე ქედი,
Გადავსწყვიტე იმედი,
Დავჯექ კურცხალის ყრითა
Და მოვსთქვი ჩემი ბედი!

Ვსთქვი რა მწარე ნანინა,
ᲗᲕალთ ცრემლი მომედინა!...
Ჩანგურო! შენც მოგშორდი!..
Ხომ გახსოვს — დამეძინა...

Მაგრამ მოჰფრინდა მუზი,
Რისხვით მითხრა: „რას უზი?„

ბულის მითხრა: „გახსენი
ეგ გრძნობისა აუზი!

ხან სიტკბო აიაფე,
ხან ნაღველი აქაფე,
ჭეშმარიტება აქე
და ბოროტი აკაფე!...“

—

ხალხს სძულს ეს სამსახური,
დაგრჩება უმადური,
შებრალებით ვუჩვენე
მათ ზურგი და მოვშორდი.

—

ქეთილ კაცთან მივედი,
მაზედ-ღა მრჩა იმედი,
ვნახე და რისხვით გული
ამენთო ვით აბედი:

—

ტკბილად დაიწყო სტვენა,
მოჰხიბლა ყველას სმენა
და ბროლის კბილებითა
დამალა შავი ენა.

—

სისხლით უყარდა ხელი,
ბულში ედვა მას გველი,
და შუბლზე კი ეწერა
შავად: „ფარისეველი!“

Თავს ვუთხარი: „გასწორდი!
ქმა, რაც დღემდი მოღორდი!“
წყევით ზურგი ვუჩვენე
იმასაც და მოვშორდი.

—

და მუზს გარისხებული
ვეტყოდი: „ხარ წყეული!
რად წამართვი სიამე
და ალმიშფოთე გული?

—

მესმის ყველგნით მტერობა,
გამიქრა მეგობრობა
მას შემდეგ, რაც შენ იწყე,
მუზავ, ჩემთან სტუმრობა.

—

წამართვი ტახტად გული.
ზედ დასდევ სიყვარული,
და მას შემდეგ ალარ მაქვს
შიგ არრა დაფარული!

—

აწ ალარ მაქვს მე ფარად
პირმოთნეობა მარად,
და მისთვისც ვერვის ვხედავ
მეგობრად გამახარად!...“

—

მუზმა დამიგდო ყური
და მითხრა: „განა ჰსური,

რომ გყავდეს მეგობარი?
აჰა ჩემი ჩანგური!

—

შენი კვნესით მოიწყენს,
შენის შვებით მოილხენს
და ცრემლში დამდნარ ნაღველს
სიმებით შესვავს, იდენს!...

და ვინც კი ხორციელი
ნახო მის ბანის მთქმელი,
ის მიგაჩნდეს მეგობრად!
იმას მიეცი ხელი!“

—

ეს მითხრა და გაფრინდა
ის მშვენიერი წმინდა
და კურთხევით დამძახა:
„**ა**გისრულებ, რაც გინდა!“

—

შემდეგ შენ ხარ ნუგეში,
ბიდებ გრძნობით უბეში,
ტკბილ გრძნობას დაგღილინებ
და სევდას ზედ დაგხვნეში!

ვედრება

ძმაო მკითხველო! ძმობას გაფიცები,
კაცი რომ ნახო შენ დაცემული,
თუ რად დაეცა, მიზეზს ნუ ეძებ?
შენი ვალია, შეგტკივდეს გული!...

--

შეგტკივდეს, მაგრამ ესეც უნდა სცნა,
რომ დაცემული არის ორ-გვარი:
ერთს ჰსურს ადგომა, უნდა თავის ხსნა,
და მეორე კი გდია ვით მკვდარი!...

-

ერთი მოელის კაცთაგან შველას:
ებრძვის თვის დამცემს, რაც შეეძლება;
მეორე ვერ ჰგრძნობს ამაებს ყველას
და მტერს პირუტყვებრ ემორჩილება!

--

პირველს თუ შეხვდე, შრომა უკურთხე,
ხელი მიეცი, წამოაყენე,
და მეორეს კი ზედ დააფურთხე!...
იტირე, მაგრამ ზურგი უჩვენე!...

—

შემდეგი აზრი სთქვას აქ წერტილმა,
თორემ ჩემს კალამს არა აქვს ნება!...
უნდა მონებით ჩავიწყვიტო ხმა,
თორემ ბატონს ჩემს ეს ეწყინება!...

—

უნდა ჩაჰყლაპო სიტყვები ძალით,
გულს თუ დამადგა, ვერც დავახველო...
ამას კი ვიტყვი, გინდა მომკალით:
„შურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო!“

ვასუსი კ. ი. ჯ.

სევდით სავსე, სახედ ქალი,
გულში ალი ეკიდება
და წამწამებზედ კურცხალი
მარგალიტებრ ეკიდება.

—

თვის ნაშობ ცრემლს მისი თვალი
თვით ვერ ჰხედავს, შორს გაჰყურებს,
და ვინ იცის—მაშინ ქალი
რას უჩივის? ვის იმდურებს?

—

ოცნებით დროს სევდას ჰპარავს,
ჰფიქრობს: „სევდა ველარ მავნებს!“

მდუმარებით სევდას ჰფარავს,
მაგრამ ცრემლი კი ამჟღავნებს:

—

იგი მცირე მარგალიტი
ზრძელი ამბის შემცველია,
თვით დამდნარი გულის წვეთი
ვარდ-ღაწვების შემწველია.

— —

ქართველის მწარე აწმყო ბედი,
ზამქრალი ძველი დიდება
და მომავალი იმედი
მასში ერთად იხატება.

— —

იმ ცრემლს ჰშობს წარსული ბედი,
აწმყო თვალსა მოაჩქერებს
და მომავალი იმედი
წამწამებზედ შეაჩერებს.

—

მეც თანავგრძნობ მაგის შობას,
პატივსა ვსცემ მოჩქერებას
და ტკბილ-გრძნობით გამარჯვებას
მივულოცავ შეჩერებას.

იეფთაის ასული

(ბაირონით)

თუ ჩემს გამჩენსა და ჩვენს ხალხსაცა
ჰსურს, მამა ჩემო, ჩემი სიკვდილი,
რადგან მის გამო დღეს ჩვენ მოგვეცა
მტერზედა ძლევა—ჰა, ჩემი გული!

გააპე, სავსე ის სიყვარულით
მამულისადმი, მე არ ვინაღვლი:
შესრულებული საყვარლის ხელით
ვერ შემაშინებს მწარე სიკვდილი!

როგორც დედისგან შვილთ სიყვარული,
ისე წმინდაა ეს ჩემი სისხლი!..
დეე მფარავდეს მე შენი სული,
რომ მეტკბოს ჟამი უკანასკნელი.

დეე ვიტირო, ნუ გენაღვლება!
იყავ მამაცად და მხნე მსაჯულად!
მით შენ მოგეცი მე გამარჯვება
და ჩვენს ტკბილს მამულს თავს ვსწირავ მსხვერპლად.

იცოდე, ოდეს სული ამომხდეს
და საუკუნოდ ამ სოფლად გავჰქრე,
თუ როგორ მოვჰკვდი არ დაგავიწყდეს:
მხნედ, წმინდად, წყნარად და მომცინარე.

ნადიროობა

ვუძღვნი ჩემს ძაღლს

ᲥᲣᲓ-ᲥᲘᲪᲘᲜᲐ და ᲨᲐᲕ-ᲧᲣᲠᲐ,
ᲩᲔᲛᲝ ᲫᲐᲦᲚᲝ, ᲩᲔᲛᲝ ᲛᲣᲠᲐ.
ᲡᲣᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲭᲘᲠᲘ ᲛᲝᲒᲭᲐᲛᲝᲡ,
ᲕᲘᲜᲪ ᲛᲔ ᲢᲧᲕᲘᲚᲐᲓ ᲓᲐᲛᲔᲛᲓᲣᲠᲐ!...

—

ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲙᲐᲪᲨᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ
ᲣᲡᲐᲡᲧᲘᲓᲝ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲐᲠᲘ,
ᲡᲣᲚ ᲫᲔᲑᲜᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲓᲕᲘᲐᲠᲝᲗ
ᲞᲪ-ᲓᲐ-ᲐᲗᲘ ᲛᲗᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲘ:

—

ᲐᲬ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲐᲓ ᲒᲘᲠᲩᲔᲕ ᲨᲔᲜᲐ!...
ᲗᲣᲛᲪ, ᲠᲘᲠ-ᲣᲢᲧᲕᲝ, ᲐᲠ ᲒᲐᲥᲕᲡ ᲔᲜᲐ,
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲨᲕᲔᲜᲘᲡ ᲙᲣᲓᲘᲡ ᲥᲜᲔᲕᲘᲗ
ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲐ.

—

ᲛᲔ ᲠᲝᲛ ᲡᲔᲕᲓᲘᲗ ᲛᲘᲬᲣᲮᲡ ᲡᲣᲚᲘ,
ᲨᲔᲜᲪ ᲒᲘᲦᲠᲘᲜᲐᲕᲡ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲒᲣᲚᲘ,
ᲬᲣᲬᲙᲣᲜᲘᲗ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲪᲥᲔᲠ
ᲨᲔᲜ ᲙᲣᲓ-ᲐᲛᲝᲫᲣᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲓᲐ, ᲛᲝᲚᲮᲔᲜᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲐᲢᲧᲝᲑ,
ᲩᲔᲛᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲡ ᲨᲣᲐ ᲘᲧᲝᲤ
ᲥᲣᲓᲡ ᲐᲥᲘᲪᲘᲜᲔᲑ, ᲜᲐᲕᲐᲠᲓᲝᲑ,
ᲣᲣᲠᲔᲑᲡ ᲡᲪᲥᲕᲔᲢ, ᲭᲧᲔᲤ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲧᲝᲑ!

Არ ხარ კაცივით შავ-პირი,
მეგობრებს აწ აღარ ვსტირი,
რადგანც შენ დაგემეგობრე—
Უველამ შენ მოგჰამოს ჰირი!...

ბევრნი ტყვილა თავს იმკობენ,
ქაცნი ვართო, ამაყობენ,
მაგრამ მხოლოდ შენ გბაძავენ:
ძაღლობენ და ვერ იტყობენ.

—

Უსაქმურად ტყვილა ჰყეფენ,
საზრდოს სუნით დაეძებენ,
ძლიერს ფეხებს უსლაქავენ,
სუსტებს კი საზრდოს სტაცებენ.

—

Წხედავ, გაძვირდენ კაცები,
ნაცვლად მრავლობენ მხეცები,
მაგრამ ბევრნი ვერა ჰხედვენ,
რადგანც არიან ბეცები!...

—

Აწ მე და შენ ვინადიროთ
და მჭვრეტელნი გავაკვირვოთ:
მოედანზედ გამოვაგდოთ
Ის მხეცები, დავიჭიროთ.

ᲩᲣ! გამოხტა ერთი მხეცი!
ᲡᲡᲘ!... ჰკარ მაგას!... მაგას ეცი!...

რა მხეცია, ერთი ვნახოთ?
დამართნია კიდეც ქეცი!..

თავ-მსხვილაა და შავ-პირი,
ჩამოუგდია ქვიქვირი,
ეხლა ვიცი, ვინც ბძანდება:
ბატონია... დიდი ვირი!

—

ეგ კუდ-მოკლე, შუბლ-მაგარი
პირუტყვების თავი არი,
თუმც გარჩევა კი არა აქვს,
სწორად უჩნს მას მთა და ბარი!...

მეგობრები ჰყავს ათასი,
თუმც კიტრია მაგის ფასი!...
...შეუტივე მაგ ყურ-გრძელსა,
ამუ! ამუ! ჰკარ მაგას!... სსსი!...

—

ტყვილად გახლართულა თოკში,
სჯობს, წაბძანდეს ვირის ჯოგში!
„აცე, ვირო! აცე, ვირო!“
მივაძახოთ: „ჩოქში! ჩოქში!“

—

აბა, კიდევ, ჩემო ძაღლო,
მოუყეფე ახლო-მახლო,
გამოაგდე მოედანზედ
მხეცი, ,,ბილი კი არ ახლო!...

ჩუ! გამოხტა!... ესეც ორი!...
რა მხეცია? --გახლავსთ ღორი!
ღრუჩუნითა მოძუნძულობს,
მსუქნადა აქვს ტანზედ მძორი.

—

ძუდს აბზეკს და თავს დაბლა ჰხრის,
მისის დრუნჩით მამულსა სთხრის,
სხვის ეზოში ნაგავსა სჩხრეკს,
ზამოაქვს და შარაზედ ჰყრის.

—

მაგის ყველას ეშინია,
რადგანც აქვს დიდი ზვინია,
თვისას სვრის, სხვის ეზოს სწმენდავს,
ერთგული და მომჭირნეა!...

—

ჰკარ მაგას! ნუ შეგეშინდა!
ეგ პირუტყვი ჩვენ ნუ გვინდა!
წასულია მაგისი დრო,
მაგის დილა დაიბინდა!

—

სსსი! აწ თავი მოუარე,
უკბინე და გაამწარე,
რომ ხალხში აღარ გამოჩნდეს,
მოძებნოს თავის საღორე!

—

მოუყეფე! აბა! ეცი!...
ჩუ! გამოხტა კიდევ მხეცი!

ᲐᲑᲐ ᲡᲪᲐᲜᲘᲗ, ᲠᲐ ᲛᲮᲔᲪᲘᲐ,
ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲮᲐᲠᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲑᲔᲪᲘ!

—

ᲫᲣᲠ-ᲪᲥᲕᲘᲢᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲓ-ᲒᲠᲫᲔᲚᲐ,
ᲛᲝᲪᲣᲜᲪᲣᲚᲔᲑᲡ ᲜᲔᲚᲐ-ᲜᲔᲚᲐ!
ᲐᲑᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲪᲜᲝᲗ,
ᲓᲐᲕᲣᲙᲕᲘᲠᲓᲔᲗ ᲛᲐᲒᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ!

—

ᲕᲮᲔᲓᲐᲕᲗ, ᲕᲘᲪᲜᲝᲑᲗ: ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲡᲗ ᲛᲔᲚᲐ,
ᲛᲐᲒᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲒᲕᲘᲜᲔᲚᲐ:
ᲐᲠᲪ ᲛᲢᲔᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲡ,
ᲐᲠ ᲖᲝᲒᲐᲕᲡ, ᲗᲣ ᲓᲐᲘᲮᲔᲚᲐ!...

. -

ᲬᲘᲜ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲨᲝᲠᲡ ᲘᲧᲣᲠᲔᲑᲐ,
ᲡᲮᲕᲘᲡ ᲔᲖᲝᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲫᲕᲠᲔᲑᲐ,
ᲓᲐ ᲕᲐᲘ ᲛᲐᲒᲘᲡ ᲛᲘᲕᲓᲝᲛᲡᲐ,
ᲠᲐ ᲣᲬᲧᲐᲚᲝᲓ ᲢᲧᲐᲕᲘ ᲡᲫᲕᲠᲔᲑᲐ!

—

ᲡᲮᲕᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ ᲒᲐᲡᲣᲥᲔᲑᲣᲚᲘ
ᲓᲐᲓᲘᲡ ᲔᲒ ᲒᲐᲬᲣᲬᲙᲔᲑᲣᲚᲘ,
ᲒᲐᲣᲢᲐᲜᲚᲝᲑᲘᲗ, ᲦᲐᲚᲐᲢᲘᲗ
ᲓᲐ ᲔᲨᲛᲐᲙᲝᲑᲘᲗ ᲥᲔᲑᲣᲚᲘ!

ᲡᲡᲡᲘ! ᲛᲣᲠᲐ, ᲛᲐᲒᲐᲡ ᲣᲙᲑᲘᲜᲔ!
ᲡᲔᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲑᲔᲜᲘᲜᲔ!
ᲥᲣᲓᲘᲓᲐᲛ ᲢᲧᲐᲕᲘ ᲐᲐᲫᲠᲔ
ᲓᲐ ᲗᲐᲕᲖᲔᲓ ᲒᲐᲓᲐᲐᲤᲘᲜᲔ!

მოუყეფე! მორბის მგელი,
ეგ მყრალი და საძაგელი;
სულ მაგისგან ამოვარდა
საწყალი ჩვენი სოფელი!...

—

ურცხვად, უშიშრად ტანტალობს,
საზრდოს სტაცებს ყველას, ძალობს,
მაგრამ ვერვინ რას უბედავს,
რადგან თვითონ ლომი სწყალობს.

—

მაგრამ ლომსაც მოუვა დრო,
მოაგონდეს თვისი სორო,
უტეხს ტყეში გლიჯინობდეს,
აღარ ჰქონდეს ბინა მყუდრო!

—

მაშინ მგელსაც დაივიწყებს,
ტაცებაზედ ხელს აიღებს
და, ახლა რომ ფეხებს სლაქავს,
იგივე ძაღლი შეუყეფს.

მოუყეფე კიდევ ჩქარა!
ან და ნუ ჰყეფ! აწ კი კმარა!...
თორემ ამ ერთგულებისთვის
დაგვერქმევა მეტიჩარა!...

დღეს სიმართლეს ვინლა ეძებს!
დავანებოთ თავი მხეცებს!..

Თუ სუყველა გამოვაგდეთ,
Цოტას ვნახავთ ჩვენში კაცებს!...

—

ესე ჩვენი ერთგულება,
ვფიქრობთ, ბევრს არ ეყურება!..
მართლისათვის, კარგად ვიცით,
რომ ბევრი დაგვემდურება!..

—

მაგრამ შენ, ჩემო ქუცურა,
ტკბილად მყეფო, კარგო მურა,
სუყველა შენ გენაცვალოს,
ვინც ამ ლექსზედ დამემდურა!...

შენიშვნა. ერთი მეფე იყო, ორი შვილი ჰყავდა, ერთი გლახა და მეორე კარგი. **რ**ოცა მეფე მოკვდა, ხალხმა მოითხოვა კარგი შვილის გამეფება, მაგრამ თვითონ ის კარგი კი უარზე დადგა. **დ**ა რომ აღარ მოეშვა მისი სამეფო, ხალხს უთხრა: მაშ კარგი! მაცალეთ ცოტა, სხვებსაც ვკითხავ რჩევას და მერე გეტყვით გადაწყვეტილ პასუხსო. **ე**ს რომ უთხრა ფეხის-ადგილში შევიდა, იქ ცოტა ხანს იცადა და იქიდან რომ გამოვიდა, პირდაპირ მიადგა სარკმელს, გაჰყო თავი და მიაძახა გარეთ მოგროვებულ ხალხს: „არ შემიძლია! არ მირჩიესო!“ **ბ**აოცებულმა ხალხმა

შეუბრუნა სიტყვა: ხომ არავის გამოლაპარაკებიხართ? ჩვენ ყველა ვხედავდით, რომ ფეხის ადგილში შებძანდით და ისევ გამობძანდითო!...

ჰო, და კიდეც იქ მირჩიესო: რომ შეეედი სუნი მეცა და თავი მოვარიდეო. ძეეშიდან ვიღაცამ ამომიძახა: რას მარიდებ თავს, რომ მარიდებო? სანამ ცოცხალი ვიყავ, მე კაი ქათამი ვიყავი და რომ დამკლეს და ადამიანის ყბაში ჩავვარდი, ასე ავყროლდიო! მეორემ სთქვა: ცხვარი ვიყავ და ადამიანის კბილი, რომ მომხვდა, ასე ავყროლდიო! მესამემ სთქვა: ნესვი ვიყავი სუნნელოვანი და ადამიანის პირში რომ ჩავვარდი, ასე ავყროლდიო, და სხვანი.

ახლა, ჩემო ძმებო! ჯერ-ჯერობით კარგი ვარ და თქვენც მაქებთ, მაგრამ პირში რომ ჩაგივარდებით და ყბად ამიღებთ, ავყროლდები და ამას ვერიდებიო.

მკითხველთან ბოდიშს ვიხდი ამ არაკისათვის, მაგრამ მეტად საგულისხმოა! მართლა, რომ საბრთხილოა ქვეყნის პირში ჩავარდნა. ხალხმა თუ ეტთხელვე ყბად აიღო ვინმე, მორჩა, გათავდა!

ხალხი, ბრბო, პირუტყვულ მიმბაძაობით სცხოვრობს. ერთმა ცხვარმა თუ დაიძახა „ბეკეკეო!" მთელი ფარა აბღავლდება. ბრბოც ასეა: ერთმა თუ რამე წაიცდინა, სხვებიც აჰყვებიან, ერთი მეორის წამხედურობით ააგორებენ ნათქვამს თოვლის გუნდასავით და აღარსად არის გაკითხვა!... სწორედ მეც ამ გვარად ვიყავ ყბად-აღებული და წკიპზე ეკი-

და ჩემი გულის გატეხაც, მაგრამ, ტყვილად-კი არ არის ნათქვამი, რომ „ღმერთი არ გასწირავს, ბედისაგან განაწირსაო“!...

Იმ ხანებში ერთ ღვთისნიერ კაცს, Ზიორგი Ჭილაძეს სასტუმრო „Ქოლხიდა“ ეჭირა. Ის შემხვდა და მითხრა: „Ნუ გეშინიან! Ფიქრი ნუ გაქვს! Ნუ დაზოგავ ამ მუქთა-ხორა ხალხს, ეგრე რომ გდევნიანო!.. Ზადმოდი ჩემთან. Საკუთარი ოთახი გექნება, საჭმელი, სასმელი, მოსამსახურე გეყოლება, ასე რომ, ყველაფერი უზრუნველად გექნება გარდა ტანისამოსისა. Როცა გექნეს, გადამიხადე და თუ არ გექნება, ალალი იყოს შენზეო!... Მე არ შემეძლო არ მიმეღო ამ კეთილი კაცის წინა-დადება და გადავედი „Ქოლხიდაში“. Ჭონებრივად ხელ-გამობრუნებულს, ზნეობრივი გამხნევებაც მეჭირვებოდა და ესეც ვიპოვე Ნიკოლაძისა და ხელთუფლიშვილის ოჯახებში, მათთან ერთად გადავსწყვიტე მაშინ, რომ, რაც უნდა დამმართოდა, არ გადამეხვია არჩეულ გზისათვის და როგორც გეგმა დავსწერე: „გავკაჟებივარ შავ-ბედსა“ და სხვანი. Აღაოავის ვზოგავდი, ვისაც კი შევნიშნავდი საზოგადო უკულმართობას და არავის ვეპუებოდი; სხვათა შორის მაშინ დაიწერა ეს ლექსიც: „Ნადირობა“.

Ამ ლექსში გამოხატულები იყვნენ მაშინდელი გავლენიანი ბობოლა პირები, მაგრამ მე რომ თვითო მქონდა სახეში, მოდავე ას-ასი გამოჩნდა. Ეველა თავისს თავზე იწერდა და ატყდა ერთი ვაი-უშველებელი.

მათმა მრისხანებამ ჩემზე უმწვერვალესობამდე მიაღწია. მხოლოდ ერთი იმათგანი, სპირიდონ მაჰავარიანი, ღენერალი, სხვანაირად მომექცა...

ერთხელ თურმე მეფე სოლომონ პირველი ზეგუთში ნადირობდა. ავდრიანი დღე იყო. ზამოაგდეს ბროწოულას კურდღელი და მიუტევეს მწევრები. აკქვიტა, განსაცდელში ჩავარდნილმა მსხვერპლმა, ყურები, დაადგა ტალახიან გზას და ისე გარბოდა, რომ მწევრები ჩამოიშორა. მეფემ დაინახა. მოშალა ნადირობა და ბრძანა: ვერ უყურებთ ამ კურდღელსო? ტალახიან გზაზე რომ ასე გარბის, მშრალი რომ იყოს, მაშინ ხომ უფრო მეტს სიმარდეს გამოიჩენსო? იმ კურდღლისა არ იყოს, სპირიდონ მაჰავარიანიც ცუდ დროს... ტალახიან დროს, იყო დაბადებული და გაზრდილი, წინ მშრალი არ ედვა!. იმ დროში არავინ იცოდა „საზოგადო“ რა იყო? ყველა თავისს კუჭზე ჰფიქრობდა, საპირადოს მისდევდა და სპირიდონ მაჰავარიანიც ჩაება „თანამედროვეთა ფერხულში“ და, როგორც შესანიშნავ ნიჭისა და ჭკუის პატრონმა, ყველას გაუსწრო: თავში დაუდგა და გაითქვა სახელი. აი, ეს კაცი შემოვიდა ჩემთან მხიარულად, მომკინარის სახით და ტკბილად მითხრა: საჩხუბრად და სასაყვედუროდ არ მოვდივარ შენთან! მინდა რომ გულ-გახსნით, მეგობრულად გესაუბრო!.. ეს რა ლექსი დაგიწერია, რომ ქვეყანა ააყაყანე? თუმცა მეც-კი მელიად გამოგიყვანივარ, მაგრამ მაინც დიდი თანამგრძნობი

ვარ და მომწონს... **ი**ს კი არ არის მართალი, რომ მე „არც მტერსა და არც მოყვარეს არ ვზოგავდე!“ **ე**გ სენი ღმერთმა მაშოროს! **ს**ხვა კი შეგიძლია სთქვა. **რ**ასაც შენა ჰგრძნობ და ჰფიქრობ. იმაზე მეც ბევრჯელ მიფიქრია!... **ი**ს არც ჩემთვის არის უცხო!.. **მ**აგრამ თვალი დაუდგეს დროსა და ვითარებას!... **დ**იდი **ბ**რიგოლ **წ**ერეთელი რომ მეფობდა **ი**მერეთში,—ასე ვსთქვათ მეფობდაო... მართალია, მეფე არ ყოფილა, მაგრამ, იმ ახალ რუსობის დროს, მეფის ოდენი ძალა ეჭირა ხელში. **რ**აც უნდოდა, გაიტანდა. **შ**ორს-მჭვრეტელი კაცი იყო და აწმყოს რომ თავისს ნებაზე ხმარობდა, იმავე დროს მომავალსაც იმზადებდა. **ი**მ დროს მე, **ბ**ესარიონ **ხ**ელთუფლიშვილს, **ს**ისო **მ**ესხს და ორიოდე სხვასაც, როგორც ნიჭიერებს სახელი გვქონდა კარგი „ჩინოვნიკობის“. **ე**რთხელ დაგვპატიჟა ყველა ერთად **ბ**რიგოლ **წ**ერეთელმა, გაგვიმასპინძლდა და ნასადილევს დაგვიკეტა კარები და აღარ გამოგვიშვა, სანამ მის ერთგულებაზე არ დაგვაფიცა: დღეიდან თუ რამე საქმე შეგხვდესთ ჩემ შესახებ, ჩემ სასარგებლოდ იმოქმედეთო. **ა**ი როგორ დროს ვარ დაბადებული და გაზრდილი! **დ**ღესაც რომ კიდევ ასეთი სიბნელეა ჩვენში, აბა, იფიქრე, რა იქნებოდა მაშინ? **ა**ი მანდერ შენ!.. **ვ**ინა გყავს თანამგრძნობი? **დ**ა რომ კიდეც გყავდეს, ვინ გაჰბედავს, გამოაცხადოს? **დ**იდი გვარისშვილი ხარ, დიდი ოჯახის, ხომ ხედავ რა დღეს გაყენებენ? **დ**ა მე უბრა-

ლო გვარისას, იმ დროში რა დღეს დამაყენებდენ, რომ ჩემ გულის-თქმას მიეჰყოლოდი? **დ**ა ან რას გავაწყობდი? **რ**ა გამოვიდოდა? **ჩ**ავები საზოგადო ფერხულში, ეგებ, თავს მაინც ვარგო თქო და, მადლობა ღმერთს, სიბნელეში მარჯვედა ვჰფრენ!.. **ღ**ამურა ვარ... **ქ**იდევ მეტიც... **თ**უმცა ეს ჩემი ბუნების მოთხოვნილება არ არის!.. **ჩ**ემი ბნელი ცხოვრების გზა გამივლია. **წ**ინ ორი პარასკევი აღარ მრჩება და ახლა ახალ გზაზე დადგომას და, რაც ძველი გზით შემიძენია, მის დაკარგვას, ვეღარ მოვახერხებ!.. **მ**აგრამ მომავალი დროის მახარობელ მერცხლებად ვისაც-კი ვხედავ, თანავუგრძნობ. **რ**ამდენიც უნდა მლანძღო, რაც უნდა მიყო, მე მაინც შენი მოყვარული და თანამგრძნობი ვიქნები! **ბ**უშინ მიმიხმო „შენმა მგელმა" და მკითხა: მართალია, იმ მოუსვენარს ვუგინებივართო: შენც, მეც და ჩვენზე უფროსებიცო? **დ**ა მე მოვახსენე, რომ ტყუილი მოუხსენებიათ თქო!.. **ი**მ იგავ-არაკში... იმ სატირაში, **ქ**რილოვის იგავარაკისა არ იყოს, არც სახელი და არც გვარი ვისმესი არ არის მოხსენებული და თავისს თავზე რად უნდა მიიღოს ვინმემ მეთქი? **ზ**ოგიერთი ადგილიც გადავუთარგმნე... **ბ**ევრი იცინა. **ბ**ოლოს მითხრა: ურჩევ, რომ სამსახურში შემოვიდეს ჩემთან, კარგ ადგილს მივსცემ. **ბ**აჭირვებასაც გადარჩება და კიდეც დაწინაურდებაო!.. **ბ**ანა ვერ ჰხედავს, რომ მადლიერი არავინა ჰყავს და მისიანებივე უჩივიან... **ბ**ეზღებით გამაყრუესო?!..

— **მ**ადლობელი ვარ, როგორც თქვენი, ისე მისიც — ვუთხარი მე — მაგრამ თქვენ თქვენდა თავად რას მირჩევთ? **შ**ევიდე სამსახურში და დავანებო „ამ ჩხირ-კედელობას“, როგორც საზოგადოდ მიაჩნიათ, თავი?

— **ა**რ გირჩევ! **ს**ანამ ძალ-ღონე გაქვს, მაგ გზით იარე!.. **ნ**ათქვამია: **ი**ერუსალიმს მიმავალს ნუ ეტყვი, რომ ვერ ჩახვალო!.. **თ**უ **ი**ერუსალიმამდი ვერ მივა, **ს**ტამბოლში ხომ ჩავა, ისიც კარგიაო! **ა**მისი არ იყოს, შენ, ეგები, რასაც ჰფიქრობ, იქამდი ვერ მიაღწიო, მაგრამ გზის გაკვლევით ცოტათი მაინც დააწინაურებ ხალხს და მერე სხვებმა, შენმა მომყოლებმა, გაჰკვალონ ძირამდი!.. **მ**აგ გზას, რომელზედაც დგეხარ, ნუღა მოშორდები და მეც მიგულე საიდუმლო თანამოაზრედ!.. **ე**ს მითხრა და გამომეთხოვა, მართლა, მეგობრულად... **მ**ას-უკან კიდევ დიდხანს იცოცხლა **ს**პირიდონ **მ**აჰავარიანმა. **ვ**აკვირდებოდი მის მოქმედებას და თან-და-თან ვრწმუნდებოდი მის გულის თქმაში...



უდარდო კაცი

ᲣᲕელასათვის კარგი მსურს,
ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲡ მტერი ვარ,
ᲖᲣᲚᲨᲘ არ შევუშვებ შურს
ᲓᲐ მით ბედნიერი ვარ!...

ᲛᲔ ბევრს არას დავეძებ,
ᲠᲐც მაქვს, ცოტას ვჯერივარ,
ᲫᲕᲠᲘᲕ-ᲮᲔᲠᲡ არას ჭტაცებ,
ᲘᲡᲔᲪ ბედნიერი ვარ!...

ᲞᲐტიოსან ოფლსა ვღვრი,
ᲛᲔც მუშაკად ვწერივარ;
ᲣᲡაქმურ კაცს ვუყვირი:
„**ᲛᲮ**ᲔᲓᲐᲕ, ბედნიერი ვარ!..“

ᲮᲐნ მაქვს წყალი და პური,
ᲮᲐნ-და-ᲮᲐᲜ მშიერი ვარ,
ᲛᲐგრამ ბედს არ ვემდური,
ᲛᲐინც ბედნიერი ვარ!..

ᲑᲐტონიც ვარ, ყმაცა ვარ,
ᲩᲔმთვის ყველაფერი ვარ!
ᲮᲝმა მხედავთ, რაცა ვარ?
ᲕᲐრ და ბედნიერი ვარ!..

მიყვარს გაჟირვებული,
მეც მისებრ ოხერი ვარ!
თუმც არ მაქვს გროში ფული,
მაგრამ ბედნიერი ვარ!..

დიდ-კაცებს თავს არ ვუკრავ.
—**რ**ა მათი საფერი ვარ?—
უმათოდაც, არ ვფარავ,
ჩემით ბედნიერი ვარ!...

სანამდის მაქვს ძალ-ღონე,
ვიდრე არც ხნიერი ვარ,
ვიძახებ თავ-მომწონე:
„**ვ**არ და ბედნიერი ვარ!“

ქრის გოდება

(ბერანეთ)

ვაი, კუბოში ძევს ჩემი ცოლი!
ღმერთო, იხილე, ჰა შენი მონა!...
და განასვენე ამისი სული
აბრაამისა წიაღთა შინა!...

—

მიეც სატანის მას განშორება
იმ საშინელსა განკითხვისა დღეს,

Იქ მოუხდება მას განსვენება...
რომ აქ მეორედ აღარ მოვიდეს!...

Ვაი, კუბოში ძევს ჩემი ცოლი და სხვ...

—

Ეჰ, საუკუნო რა არს ამ ქვეყნად?
მის ხელში ვიყავ ნეტარებაში
და მოვილხენდი გაუწყვეტელად...
მხოლოდ სამის დღის განმავლობაში!

Ვაი, კუბოში ძევს ჩემი ცოლი და სხვ...

ჩემთან ხანდისხან თუმც თვალთ-მაქცობდა,
მაგრამ არ არის საგინებელი,
რადგანც ტრფობაში არ ზარმაცობდა...
უყვარდა ჩვენი მას მეზობელი!

Ვაი, კუბოში ძევს ჩემი ცოლი და სხვ...

—

თითქმის ყველასთან გულ-გრილად იყო,
უკანასკნელს დროს, როცა კვდებოდა,
მაგრამ ტირილი მწარედ დაიწყო,
როცა მის კუროს ეთხოვებოდა!

Ვაი, კუბოში ძევს ჩემი ცოლი და სხვ...

—

Ვიცი, ამ დარდსა მე ვერ გავუძლებ:
ბული მისკდება, ცხარე ცრემლსა ვღვრი...
სჯობს, გავასვენებ და გავაცილებ,
ჩქარა დავმარხავ, მიწას მივაყრი!...

ვაი, კუბოში ძევს ჩემი ცოლი!...
ღმერთო, იხილე, ჰა შენი მონა!
და განასვენე ამისი სული
აბრაამისა წიაღთა შინა!..

ვამოცანა

ვუძღვნი ჩემს მოგვარეს

ანწლისაგან არ ივარგებს, რომ გაკეთდეს სტვირი,
ჩოჩრისაგან გაიზრდება მხოლოდ დიდი ვირი;
საპნითაც არ გათეთრდება კაცის შავი პირი;
ბამოიცანთ, ვიზედ ვამბობ ამას და ვის ვსტირი?

როდესაც ვარდი დასჭკნდება, აღარ ჰყეფს ბულბული,
მეგობრები გვშორდებიან, თუ დაგვაკლდა ფული,
ლომიც ხშირად გვინახავს ჩვენ კუდ-მოძუებული!
აბა მიხვდით ვიზედ ვამბობ? **ვ**ისთვის მიწუხს გული?

არ შვენის ვირს უნაგირი, მოუხდება კეხი,
ბრიყვი არ დაჭკვიანდება, გინდ გადავლოს ლიხი,
ლიხს აქეთ თუ ჩოქში უთხრეს, იქ მიელის: ხი! ხი!
აბა სცანით, ვიზედ ვამბობ? ვის უყვარს: ხი! ხი! ხი!

პირუტყვია, თუ გამაგრდა კაცის შუბლზედ კანი,
ნეტა სწავლას რით იჩემებს, ვისაც უპირს „ანი"?
შერცხვეს კაცი ბოროტი და თვის ძმის არ გამტანი;
ამ სიტყვებით ვის ვიგონებ, მკითხველო, შენ სცანი!

და ტროადელის გმირისა, ვის ჰქვიან სახელი?
ენა გესლით ვის უყარს და გულში უძევს გველი?
ახალ-გაზდა ქართველების ვინ არს შურით მკვლელი?
ამის ახსნას გამოცნობით მკითხველისგან ველი!

შენიშვნა. **ე**რთი სტუდენტი დაბრუნდა **პ**ეტერ-ბურღიდან და ჩამოიტანა ამბავი: ჩვენმა ღუბერ-ნიის წინამძღოლმა უმაღლესად მოახსენა, რომ ქარ-თველი ყმაწვილები სტუდენტობის დროს, იქ ფუტ-დებიან, რჯულზე ხელს იღებენ, ნათესაობა აღარა სწამთ, მთავრობის ორგული არიანო და სხვანი.

ამან მა'შინდელი თავად-აზნაურობა ააღელვა. **დ**არბაისლებმა, ვინც კი იყვენ, მოიყარეს თავი **ნ**ი-კო **ა**ბაშიძისას და შეჰკრეს პირობა, რომ ამისთანა წინამძღოლს არც ჭირში და არც ლხინში აღარ მიეკარონ. **ყ**ოველივე კავშირი სამტერ-მოყვრო გას-წყვიტონ მასთან. **ა**მოასვენეს ძელი-ჭეშმარიტი, რომელიც მუდამ გულზე ეკიდა თ. **ი**რაკლი **ლ**ორ-თქიფანიძეს და შეჰფიცეს ერთმანეთს. **რ**ოცა ჯერი ჩემზე მოდგა, მე მოვახსენე ყე: „**ი**ს კაცი ჩემი მოგ-

ვარეა. შვილად მივაჩნივარ და ჩემთან საპირადო კარგის მეტი არა მიუძღვის რა... მაგრამ, რადგანაც საზოგადო საქმეა, მეც თქვენთან ვიქნები... არ ჩამოშორდებით, მაგრამ ფიცით კი არ დავიფიცავ მეთქი.“ მეორე დღესვე დავსწერე ლექსი: „ჩემს მოგვარეს.“ ეს ლექსი პოეზიის მხრით ვერაფერი შვილია, მაგრამ რადგანაც, იმ დროისთვის გამოჩენილ, პირს შეეხებოდა... დიდი ალიაქოთი ასტეხა: როგორ გაბედა? ვის გაუბედაო? და სხვანი. ბაიმართა საპასუხოდ ვითომ შაირები, მაგრამ ლანძღვა-გინება მხოლოდ. მაგინებდენ უშვერად არა მარტო მე!.. ჩემ ცოლშვილსა და დედ-მამასაც კი. მამამ დიდის მწუხარებით მითხრა: შვილო რას მერჩოდი, რომ ქვეყანა გადამამტერე? მტრებს მიზეზი მიეცი და მოყვრები ჩამომაშორეო. აბა ამაზე არის ნათქვამი: „ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო“ და სხვანი... მიზეზი რომ ავუხსენი, არ დაიჯერა: „რა ქვეყანაშიაც ხარ, იმ ქვეყნის ქუდი უნდა გეხუროსო.“ ჩვენ ერთმანეთს ვერ დავეთანხმეთ და დიდხანსაც მყავდა მამა გაშწყრალი. მხოლოდ ღრმა მოხუცებულობაში რომ შევიდა, მაშინ შემირიგა. ჩემმა ლანძღვა-გინებამ სტამბამდინაც მიაწია. მაშინდელმა ოდესის სტუდენტმა, დათიკო ერისთავმა დამიწერა უცნაური ლანძღვა, მაგრამ, რადგანაც მხოლოდ ჩემი ლანძღვის მეტი არა იყო რა, ხმა არ გამიცია. მეორედ იმ ხანებში „ცისკრის“ რედაქციაში შევედი. რედაქტორი აღელვებული დამხვდა

და მითხრა: ეს ეს არის შენზე ლანძღვის ლექსი მივიღე, მაგრამ ვაი დაბეჭდვასა და ვაი დაუბეჭდაობას!.. თუ დავჰბეჭდე, შენ გეწყინება, და თუ არა, თანამშრომელს დავჰკარგავ! და მერე ვის? უგანათლებულესს, სვიტის ღენერალს, გრიგოლ დადიანს, რომელიც ქოლხიდელის სახელით თანამშრომლობს, რადგანაც თავისს ვინაობის გამომჟღავნების ეშინიაო!... მე სიცილი ამიტყდა და ვუთხარი: დაბეჭდე, მაგრამ იმ პირობით კი, რომ იქვე ჩემი ლექსიც საპასუხოდ მიუბეჭდო მეთქი. მაშინვე დავსწერე საპასუხო ლექსი და გადავეცი. აი ქოლხიდელის ლექსი და ჩემი მაზე პასუხიც:

გამოცანის მწერალს

გამოცანა.

ოდესმე ერთი ირმისა ნუკრი
შორის ლომებთა გამოიზარდა,
სადაც ენახა ლომი ბრძოლაში,
თვის სიალმათეს ვით არ იხმარდა.

მით წესი ბრძოლის მცირედ გაიცნო,
მაგრამ ესოდენ კი გაეხარდა,

სთქვა, თუ ჩემს ტოლში ლომი ვიქნები,
ასე ეგონა, თუ გადაგვარდა.

—

და რომ მოემთხვა თვისსა არესა,
იფიქრა, ტოლშიდ გამოვერევი,
ჩემის ხევისას, ჩემის ქუსყნისას,
სადღა იქნება ჩემი მომრევი?

—

ვისაც შევულრენ, სულ შევაშინებ,
ვინ გამოჩნდება ჩემი წამქცევი?
არ გამიჩნდება ლომშიდ გაზრდილსა
ბრძოლის უღლისა ჩემთან გამწევი!

—

ქბილი და ბრჭყალი გასაბზარავად,
რადგან მას, ნუკრსა ეძვირებოდა,
და მაინც რჩოლა თავის ტომისად,
დაუყონებლად ესურვებოდა,

—

იკბინებოდა, ტორსა იქნევდა,
ტლიკებსა ყრიდა, ირქინებოდა.
ერთისა სიტყვით არვინ უზოგავს,
რაც მისის ღონით შეიძლებოდა.

—

ამგვარად ნუკრის უზრდელობანი
მიწიჯდნენ ცნობადმდე ქორ-ბუდიანთა,
მათ მშვენიერთა, ტომის ერთგულთა,
თვითვე ძლიერთა, სწორ-მხედვიანთა.

რქენაში უფრო გამოცდილებთა,
მაგრამ სარქენად მუნემ გვიანთა.
სანამდის ნუკრს არ გამოუცხადონ,
ნუ ყრის ტლიკებსა ის ჩლიქიანსა.

დასტურ ამისთვის შეკრბენ, არჩიეს
დამარლეველი ნუკრის ზრდილობის,
სთქვეს თუ, მოისპოს ვინც ამაყია,
და გამლანძღველი ჩვენში კერძობის.

—

თავი ლომად უჩნს, სხვას წიხლსა ურტყავს,
ღირსია ნუკრი ექსორიობის,
მაგრამ პირველად შევატყობინოთ
მიზეზი ნუა თავის ბრკოლების.

მეგრელი

მეგრული ალეღორია.

დიდს ირემსა ირმის ნუკრი
უმდაბლესად ეუძღვნი სალამს.
ბზეს მივართმევ, ქერს დავუყრი,
ნეტავ თვის ჯიშს რაღად მალავს?

საცნობია ხომ ყურებით
ვინც ბრძანდება, რა გვარია?

Მაგრამ არ დავემდურებით,
Ყურ-გრძელის მეგობარია!

Ირმის ნუკრსა ცილსა სწამებს,
Ემუქრება ჩუმად კბენას.
Მით მეგობარს ასიამებს,
Მაგრამ ტყვილად ჰღალავს ენას!

—

Ჩემობს ქორ-ბუდიანობას,
Ყურები რქად მიუღია,
Იმტკიცებს კუდიანობას,
Უქმად პირი დაუღია!

--

Ჯეშმარიტების მტერია,
Სჩანს ყურ-გრძელის არს ამყოლი,
Და შუბლზედაც აწერია
Სხვილ ასოთი: დიდი ნოლი.

იმერელი

15 იანვარი 1868 წ.

მეორე დღესვე ორივე ერთად დაიბეჭდა. Ამან კიდევ უფრო ააღელვა საზოგადოება. Დიდმა და პატარამ ჩემზე მოიტანა იერიში. Ცენზურა შეეფახეს, მთავრობას დამაბეზღეს და აღარ ვიცი, როგორ ავიტანდი ამ განსაცდელს, რომ ქალები და ახალგაზდები არ მყოლოდენ თანამგრძნობი?!.

ამ ალიაქოთს დაერთო კიდევ გლეხების განთაგისუფლება, რომელსაც მე თანავუგრძნობდი და დავსწერე „იავ-ნანა“, მაშინ კი აუტანელი შეიქმნა ჩემი ცხოვრება: ჩამოვშორდი დედ-მამას, ოჯახს... ცოლ-შვილი საყოლში გავისტუმრე და მე გავკერპდი, ავიღე საპირადო ცხოვრებაზე ხელი, განზე გადავდევი ყოლიფერი და აშკარად შევუდექი ჩემ გზას, რაც დამემართოს, დაემართოს მეთქი.

და მის შემდეგ, ორჯელ-სამჯელ სიკვდილს გადარჩენილს, მოთბინება ფარად მქონდა და თვითონ კი უშიშრად ვუყეფდი ყოველგვარ ცუდმოვლინებას ჩვენში. **შ**ეიძლება ზოგჯერ კიდეც შევმცდარვიყო, მაგრამ ყოველთვის კი გულწრფელი ვყოფილვარ...

მ ო ზ ა რ ე

ვუძღვნი ჩვენს პოეტებს

როს ჭირის-უფლად ვიყავ მწუხარე,
და სატრფო მედვა კუბოში მკვდარი,
მაშინ მოვიხმე ჩემსას მოზარე
და ვათქმევინე კუბოზედ ზარი.

„**ვ**აი-ვაის“ ხმა მისი მხეცური
ბულს მიტანჯავდა, იყო უგვანი,

მაგრამ მე მაინც მივუგდე ყური,
რადგანც ჩემივე იყო ის ბანი.

მოუწვეველად გაჩნდა მღერალი
და კარს მომადგა ჩანგ-მომართული;
ბამოიჩინა მგოსნობის ძალი:
„**ს**ალხინო“ სთქვა მან ტკბილი და სრული!

მაგრამ უდროვო მისი ტკბილ-სტვენა
და უადგილო მისი ჩანგური
ბაკიცხვის ხმებად მე მომეჩვენა
და მეც მას ნაცვლად ვუძღვენ პანღური!

როს უკადრისი პანღური მოხვდა,
და ჩანჩალითა განვლო ის არე.
ჩვენი მღერალი მაშინ კი მიხვდა,
თუ რად მერჩია იმას მოზარე.

შემდეგ ჩემისა იმ მწუხარების
როდეს გავიდა დიდი დროება,
ვითა წესია ჩვენის ბუნების,
მე მოვიქარვე ის მწუხარება.

მოლხენით ვიყავ, მქონდა ქორწილი.
მხიარულებდენ ჩემი სტუმრები,
ტკბილ-ბაასი და გულით სიცილი
ბექონდა, გვიმღერდენ მეჩანგურები.

ჩვენც ლხინისადმი მოუყირჭებლად
მადა გვეხსნოდა, გვიდიდდებოდა,
შევექცეოდით, და ლხინის მსხვერპლად
მგრძნობარე გული თითქოს დნებოდა.

ამ დროს მოგვადგა მოზარე კარზედ
და შესაზარი დაიწყო ზარი;
თუმც კარგს კილოზედ სთქვა და კარგს გვარზედ,
მაგრამ მე მაინც ვუჩვენე კარი!...

ვსთქვი: „ეს მეორედ შემომელახა!..
ნეტავ მთვრალია, თუ გიჟი ცეტი?“
მან გულ-მოსულმა ეს შემომძახა:
„ქართველებისა ვარ მე პოეტი!“

*
* *

წარსული გულს მწყვეტს, აწმყო მაღონებს,
მომავალისგან თუმც ბევრს მოველი,
მაგრამ ბევრია ჩვენში გვამები
ძოვლის კეთილის ხელის შემშლელი.

როდის იქნება ის დრო, რომ ჩვენში
ზიზღით თითებით მათ გვიჩვენებდენ
და საზოგადოდ, არ თუ ღირსებას,
იმათს სახელსაც კი აჩვენებდენ?!

დაუფარავად, პირ-უთნეველად
მრისხანედ სჯიდენ სულ იმათ ავზედ
და, ოდეს მოჰკვდენ, სამაგალითოდ
ზედ აფურთხებდენ იმათ საფლავზედ!..

ნ ი ნ ო

ჰე, ლოთებო, ვის უნახავს
ბოგო, ჩემი საყვარელი?
ბეფიცებით სხვას არა ჰგავს,
არავინ ჰყავს სადარელი!...
ვენაცვალე ჩემსა ნინოს:
ძმობას ვფიცავ, შემიყვარდა!
მდიდარი კი არ გეგონოსთ:
მხოლოდ ერთი აქვს ხაბარდა!...
ადრე თუმცა მდიდრად იყო,
თვლებიც ბევრი კი ჰქონია,
მაგრამ ბოლოს ხელი მიჰყო,
საყვარლებში გააბნია!
და მის შემდეგ ამის ტანზედ
აღარ ცმულა კაბად ფარჩა!
ახლა მღერს სულ სხვა საგანზედ,
ერთი ხაბარდა-ღა დარჩა!..

მაგრამ არის სულ სხვა ქალი!
ერთხელ მცივანს შემეყარა;
ამივარდა მე კანკალი,
მანც ხაბარდა დამაფარა!...
ჩემს ნინუცას ვენაცვალე!
ჰხედავთ, როგორ შემიყვარა?
რომ გავეთბე გოგოს მალე,
მე ხაბარდა დამაფარა!...
ახლა მჯორვენ,—მაგრამ მიკვირს!—
ნუ თუ მე მან არ მიკმარა,
ბასცა და იმ საძაგელს ვირს
პირ-იქითვე ჩაუყარა?!
და არ ნაღვლობს ფულისათვის!
ეშმაკისა რამ ხიდია!...
ჰხედავთ, სხვისი გულისათვის
ხაბარდაც გაუყიდია!!...
პერანგიც შემოჰხევია,
იჩენს გულ-მკერდის სითეთრეს,
ნოჯიც აუწევია:
აცხადებს, რაც აქვს, სიმდიდრეს...
ეს ტურფა გოგო ლამაზი,
დღეს თუმცა ქვეყნის ბარგია,
არ დაჰკარგვია მით ფასი,
უხაბარდოდაც ვარგია!..
ბამოუჩნდება მშველელი,
დრო იქნება, მისცემს ფულებს,
მაგრამ ვინმე საყვარელი

საწყალს კიდევ გააშიშვლებს!
და ჩემი ლამაზი ნინო
დარჩება სულ მარტოდ-მარტო
შეიქნება სასაცინო
და მოკვდება უხაბარდო!!...

მაზურკის სმა

გრძნობით აღვსილი დარია,
თვით ანგელოზის დარია,
ვისაც ის სხივებს მიაფენს,
მის გულში მაშინ დარია.

—

მაისის ვარდის ფერია
ცით მოვლენილი ფერია,
შედარებითა ვენერაც
იმასთან არაფერია.

—

მას ვუძღვნათ სული და გული,
მისგან დამწვარი, დაგული,
სიცოცხლეც ფიანდაზადა
მის წინაშე ვჰყოთ დაგული.

Თაფლს ბუდედ ჰქონდა მანანა,
ვინც მე სიკოკცხლე მანანა,
Ისაა გრძნობის დამტკბობი,
ვით უდაბნოში მანანა.

—

Სიკოკცხლისა შენ იმედო,
ზულს ისარი შენი მედო,
ანგელოზებრ გიტრფიალებ,
მე გეძმობი, შენ კი მედო.

დიდი ჰოეტების მიბაძვა

Აახ! ოხ! უხ! ვაი და ვუი!
ვაი და ვუი! ოხ! ახ! უხ!
Ოჰ, რა გულ-საკვდავად ვზუი!
ზინდ დარიც იყოს, მაინც ვქუხ!
Ეს ჩემი ანწლის ჩანგური,
უცხო მხარეს არს გათლილი,
Უნდა ვიმღერო კატური,
Რომ დაგიკარგოთ მით ძილი!..
Სხვა სჯულზედ მოვრთავ ამ ჩემ ჩანგს,
სიმებს შევუყენებ ჯორას,
Მსმენელს მოვსდებ ყურებში ჯანგს,
Დავსდგამ „ვაის“ მაღალ ხორას!
Უცხო-უცხო ქვეყნის პირებს
ბადავაცვამ ქართულ კაბას,
Თათრებს ვალოცებ ჩვენ ხატებს,

ქრისტიანს გავგზავნი ქაბას:
„ვაის“, „ვუის“ გავახშირებ,
ვიყვირებ: „მგელი მიაქვს კრავს!“
ცოცხლებზე ძველ მკვდრებს ვატირებ,
და დროებაც ტაშს დამიკრავს.
მაშ აწ თქვენც დამიგდეთ ყური,
მინდა მოგალხინოთ ზარით,
და, თუ გულში არ გაქვთ შური,
ვთხოვთ, თქვენც ტაში დამიკარით:
„აგვისტო არის, ამდგარა მტვერი
და სიცხისაგან იწვის ქვეყანა,
თითქო უწყალო ის ჩვენი მტერი
თავს დაგვტრიალებს შავი სატანა,
რომ ჯოჯოხეთის მცხარის სხივებით
ვამომეტებით დაგვწვას, დაგვდაგოს,
სისხლი გვიღელვოს ბოროტის ენებით
და უთავ-ბოლოდ ჩვენ გვაქადაგოს.
ბზუილ-ბზუილით პირსა და ცხვირში
ვეკბენენ უწყალოდ ჩვენ კოლოები,
როგორც ბნელს ღამეს სადმე ხის ძირში
უხაბარდოდა. . . . . აჰ!.. გოგოები!..
ფრთებ-ჩამოყრილი სჩანს მაღალ ხიდან
და ძლივსღა ჰსუნთქავს მარდი მომინო,
ვით წამოსული ორთაჭალიდან
ქეიფის შემდეგ ლამაზი ნინო.
ხის ქვეშაც ძაღლი დიდ გულ-მოსული
ვაბრაზებული უღრენს მკბენარ მწერს,

Тითქოს პოეტი თვით-გამსჭვალული
მტერთ გასაგმირად სატირასა სწერს.
შურ-გრძელი ვირი, თავ-დაქინდრული
აგერ ჩეროში გამდგარა განზედ,
როგორც პლატონი, სიბრძნითა სრული,
ჰფიქრობს რაღაცა მაღალ საგანზედ.
მხოლოდ მუშაკი ტვირთ-მოდებული
ძოჩაში მოდის ფეხებ-შიშველა,
არვის შესტკივა საწყალზედ გული,
არავის უნდა საბრალოს შველა!
სიკივე იყოს, თუ გინდა სიცხე,
ვერ მოისვენებს, მისთვის ერთია!
იშრომე, ძმაო, კუპი გაიძღე,
შენ შემწედ მხოლოდ ერთი ღმერთია.
ბიჭირს იყიდო შენ საზრდო პური,
მაგრამ ნუ შიშობ, სჯობს, დამიჯერე,
აი რას გეტყვი, დამიგდე ყური:
ჩვენი თხზულება გამოიწერე!
და იქ შეიტყობ, ვით ვასრულებთ ვალს:
ჩვენ ვფიქრობთ მუდამ თქვენ კარგს და ავზედ
და სამკურნალოდ ფეხების წამალს
ტირილით გადებთ უტკივარ თავზედ,
რადგანაც კაცის ბედნიერება
ჩვენ მარტო თავში არ გვეგულება:
კაცი ფეხებით დაიარება,
და მაშ იქ არის მიმართულება!

*
* *

Ეჰ, ქართველო, აბა მითხარ, ვინა ხარ?
მოწინავეს ჩამორჩი, უკანაზედ წინა ხარ,
უცხო კაცად არ ვარგხარ, აღარცარა შინა ხარ,
ორთა შუა აგდიხარ, სანაგველას ფინა ხარ!

ჯერ ქართულიც არ იცი, უცხოს რაღას ედები?
სიარულიც რომ გიჭირს, მაღლა რაღაზე ჰხტები?
სულ ბევრიც რომ იხტუნო, წელს ზევით ვერ ახტები,
დაეცემი, მერწმუნე, სასაცილო გახდები.

პირში მთქმელი არ გიყვარს, მართლისთვის ილანძღები,
თუ გშია, პატრიოტობ, შენ მოძმებსაც უწყრები;
მაგრამ მაშინ კი სხვა ხარ, როდესაც გამოძღები,
თავი ქონით გაქვს სავსე და ტვინით კი — ფეხები.

კნეინების ლათარია

რად მინდოდა სითეთრე?
ვყოფილიყავ მოშავო!
და თქვენ კი არ გამეცვნეთ,
შალომავ და მოშავო!

მოკლე ხნით რად მინდოდა
ოქრომკედი, „შლეიფი“,
თუ აწ მაინც დიდ-ხნობით
დამეკარგვის ქეიფი!

—

მაგრამ ჩემი შეცდომაც
მოიტანა ალომა,
და მით გამებატონა
მე მოშა და შალომა!

—

იტიროს ჩემმა ქმარმა,
ბელლებმა და კალომა!..
ვაი, რამდენს იცინებს
ჩვენზედ მოშა... შალომა!..

ზოგიერთების ლოცვა

სულო ბოროტო! შენდა მოვისწრაფვი,
ბედნიერებას არ გთხოვ, ნუ მომცემ!
შენგან წყალობად იმას მივითვლი,
თუ ჩემს მოძმეებს როგორმე დასცემ!

—

ბაქებ, გადიდებ, სულო ბოროტო,
მუხლ-მოყრით ყოველ ღამე გილოცავ.

თუ ეცდები და ჩემს მოძმეებსა
პატიოსნებას ამოუხოცავ!

—

შენდა პატივად აღთქმასაც დავსდებ.
ხმელა წყალ-პურზე მე ვიმარხულებ,
თუ იმდენსაც იქმ, რომ ქართველებსა
ერთი-ერთმანეთს შენ შეაძულებ!

—

შიშველი ვივლი, წყურვილს მოვიკლავ,
შიმშილს მოვითმენ და არ ვითხოვ პურს,
მხოლოდ უსაქმოდ ნუ დამაყენებ
და ნუ გამოლევ ამ ჩემს გულში შურს!

—

მომეცი მხოლოდ იმდენი სწავლა,
ხერხი, გონების განვითარება,
რომ მე შემეძლოს ხალხის დაჩაგვრა,
და მით გულს მივსცე მე ნეტარება!

—

პირმოთნეობის, მოღალატობის
და ორპირობის მომმატე ნიჭი,
რომ ვიმოქმედო ჩვენს ქვეყანაში
და თან-და-თან წინ წავადგა ბიჯი!

—

სულო ბოროტო! ეს აღმისრულე
და მეტს არ ვითხოვ შენგან დიდებას,
მაშინ შენც ჰნახავ, რომ ყველა ერთ-ხმად
მე დამიწყებენ ჩვენში დიდს ქებას.

ᲮᲐᲡᲣᲚᲘ ᲭᲚᲐᲓᲘᲓᲔᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ

„ᲘᲧᲐᲕ ᲣᲛᲐᲜᲙᲝ, ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲛᲢᲠᲔᲓᲘ
ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ, ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲒᲕᲔᲚᲘ!“
Ამას გვასწავებს წინა-მორბედი,
Ამას გვიმოძღვრებს თვით ჩვენი მხსნელი..

—

Თუ ეს ღირსება ორივე ერთად
Აქვს კაცსა ზეცით მონიჭებული,
Მაშინ ის მოსჩანს სულ-დგმულში ღმერთად,
Არს პირუტყვებზედ ამაღლებული.

—

Მაგრამ თუ კი ეს ორივ ღირსება
Არა აქვს ერთად შეთვისებული,
Მაშინ ნახევრობს მისი არსება,
Არ არის კაცად-კაცადი, სრული;

—

Თუ უმანკოა მხოლოდ, ვით მტრედი,
Და აღარა აქვს სიბრძნე მას გველის,
Მაშინ მოელის საწყალს შავ-ბედი
Და ქვეყნად შვებას ნუღა მოელის!

—

Მისთვის, რომ მოძმეთ ის მიენდობა,
ᲰᲒᲝᲜᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲘ
Და მით მათგანვე კი დაემხობა:
Ისე გაჰგლეჯენ, ვით მტრედსა ქორი!

თუ არ აქვს მტრედის უმანკოება
და მხოლოდ გველებრ არს მეცნიერი.
არც მაშინა აქვს კაცს მყუდროება:
ის არის თვითვე თავისი მტერი,

—

რომ უყვარს მხოლოდ მასთავი თვისი,
სარჩოს იმატებს, მოძმეთ მკბენარი,
მაგრამ ამხილებს მას სინიდისი
და მის გამო არს მოუსვენარი!

—

ჰსურს, მოატყუოს მან თვისი ტომი,
ტკბილი სიტყვა აქვს რიდედ და ფარად;
მაგრამ ხშირად კი სიკვდილის მდომი,
ჩუმად იტანჯვის მარად და მარად!

—

მის ცრუ ღირსებით დაბრმავებული
ბევრი შეჰნატრის ამ გვარ კაცის ბედს,
და არ იციან, რომ მისი გული
ედრება ხშირად ცეცხლ-ნადებ აბედს...

—

მაშ, მხოლოდ ნეტარ არს იგი კაცი,
ვინც უმანკოა და მეცნიერი!
მისი სიცოცხლე აოის ორ-კეცი,
ის არის ქვეყნად სრულ ბედნიერი.

—

ავიც და კარგიც მას ეყურება,
თვით არ იზამს ავს, სხვის ავს იცილებს;

მოძმეთ უმანკოდ ემსახურება
და სიცოცხლესაც მითი იტკბილებს.

—

ამ გვარი კაცი არის პოეტი:
დროზედ იმტრედებს და დროზედ გველობს;
მის ტომს მისთვის სძულს, ჰგონია ცეტი
და მის ქცევაზედ უმართლოდ ხელობს.

—

მაგრამ პოეტი კაცი გველ-მტრედი·
მოძმეთ ცრუ აზრსა არ აგდებს არად...
ახალ-გაზდობის მას აქვს იმედი—
და იმას უმღერს მარად და მარად!..

—

ხან მტრედებრ აღმა ჰფრენს მოწონებით,
ხან გველივითა ქვესკნელში ძვრება:
მაგრამ ყოველთვის თვის მოქმედებით
ის მხოლოდ მამულს ემსახურება!

—

ვერ შეაშინებს მას სოფლის ღელვა,
მხნედ მიაცურებს იგი თვის წრფელ ნავს,
და, გზას უნათებს რა საღმრთო ელვა,—
ის სიბნელიდან ნათლად გამოჰყავს.

გიორგის აღსარება

ადრე ყოფილა ჩემი გვარი „ქართველიშვილი“,
შემდეგ მეძახდენ „ბურჯი-ოღლის“ დიდხანს თათრები,
ღღეს კი „ბრუზინსკით“ შევიქენი მე გარდაქმნილი...
სულ დამეკარგა გვარ-ტომობის ძველი დავთრები!

მამა ყოფილა ჩემი თურმე მამაცი, სრული,
მტრისა მებრძოლი, გულადი და შეუპოვარი,
ბრძოლის ველზედა სისხლით იყო ის დაწურული,
ბარათაშვილმა მისთვის მორთო უკვდავი ქნარი!

ღედა-ჩემიცა ქალი იყო სულით მაღალი,
მამულისათვის შვილის მზრდელი სისხლის სათხეველად!
მას აუხსნია შვილებისთვის მათ-მათი ვალი,
ისინი ჩხუბში დახოცილან, მე დავრჩი მძეველად...

ჯერ არ შემეძლო მომეხმარა კარგად ფარ-ხმალი,
როდესაც მამა ბრძოლის ველზედ სისხლად დასწურეს!
იმან ქართულად აასრულა მით თვისი ვალი,
ყიზილბაშებმა ტფილისისკენ როგ მოაშურეს.

ღედამ ოდეს სცნა ეს ამბავი, მას ელდა ეცა;
ვეღარ გაუძლო იმდენ ჯავრსა, მუცელს გადაჰყვა!
ასე ჩვენს ოჯახს გაურისხდა სასტიკად ზეცა;
მე დავრჩი ობლად და მომვლულიც აღარავინ მყვა.

მაშინ ხელთ მიგდო ვიღაც უცხო მე დედა-კაცმა;
დიდხანს დამდევდა და მაშინ კი იშოვნა მან დრო:
ხელში ჩამიგდო კაკიები მან ერთი აცმა,
მით მომატყუა და ცრემლებიც მითი შემაშრო.

მაგრამ ნაცვალი დედის, იცით თქვენც, თუ რა არი.
ბერისა კუჭი მისგან ხომ ვერ გამოძღებოდა!
ოჰ, მიეყაროს იმ კუდურსა თვალში ნაცარი,
რომ ობლის კვერი იმის ხელში გვიან ცხვებოდა!

წინა-განზრახვით არ მომცა მე მაღალი სწავლა,
ოქრო-ქსოვილით ამიხვია ორივე თვალი,
რომ ვერ შევიძლო მე უმისოდ სწორ გზაზე გავლა
და მისს მონასა მებნეოდეს აწ გზა და კვალი!

არავინ მომცა მე საშველად დაცემულს ხელი
და სიყრმიდანვე შეეზარდე ამა მონებას!
აღარ მამძიმებს ეს მონების მძიმე უღელი...
სული მკვდარია... და არცველი მე აქ ცხონებას!..

და როს მოვჰკვდები, თუ მის შემდეგ ჩემი შვილები
აიცილებენ მამის ხვედრსა, უბედურებას,
მაშინ საფლავში შეიძვრიან მსწრაფლ ჩემი ძვლები
და სული ზეცას მაინც იცნობს ტკბილ ნეტარებას!..

ჰასუსი მაცდურს

მისთვის ველარ ვმღერ როგორც ბულბული,
რომ გულში ვარდი აღარ მიყვავა...
მის ნაცვლად ეკლით ამევსო გული
და ზედ ყორანი შავი დამჩხავა!

—

ეს არის ჩემი შავბედის წერა,
მოძმეებისგან გამოკვებული:
მისთვის აღარ აქვს ჩემს გულს ტკბილ ძგერა,
სევდის ჯაჭვითა არის დაბმული.

—

მეხსიერება დროსა წარსულსა
უსუსტრად, მტრულად მარად მაგონებს,
მით მომავალი მიშფოთებს სულსა,
წარსული გულს მწყვეტს, აწმყო მაღონებს.

—

ჰოი, სად ხარ, დროვ! ოდეს ეთერსა,
ვით ტრფობის ქალ-ღმერთს, თაყვანი ვეცი?
მაშინ მოყვასად ვრაცხდი თვით მტერსა
და სიცოცხლეცა მქონდა ორ-კეცი.

—

არ მითქვამს მისთვის: „მიყვარხარ, ქალო!“
არც იმას უთქვამს, თუ მამწონხარო;
თურმე ჩუმი ხარ, ტრფობისა ძალო,
ვით უკვდავების მკურნალო წყარო,

რომლის მიგნებას და დაწაფებას
ბევრს არ ანიჭებს ნუგეშად ღმერთი!
იგემებს მხოლოდ ამ ნეტარებას
მისგან რჩეული ათასში ერთი!

—

სატრფოსა გულსა ჩუმი ტრფიალით
მიიზიდავდა ძგერით ეს გული,
თითქოს ვიყავით უცნაურ ძალით
ერთმანეთისთვის დაბადებული!

—

დღეს კი ამაო იქმნა ეს ფიქრი,
მე დავრჩი ობლად, შენ გამეყარე,
მაგრამ შენ გმონებ მაინც, თუმც განჭქრი:—
ბულს მახატია შენი სამარე.

—

და საფლავის ქვას რომ წარმოვიდგენ,
რომელზედაცა ასე სწერია:
„**ნ**ეტარნი დღენი ადრე წავიდენ;
შენი ეთერი დღეს აქ მტვერია", —

—

მაშინ ხელიდან მვარდება ჩანგი,
რომელზედაცა ნაღველს ცრემლად ვღვრი,
მისგან ედება სიმებსა ჯანგი,
და იმიტომაც აღარას ვმღერი!

ყ ე ე ნ ო ბ ა

ვუძღვნი აზნაურობას

ბათავდა ყეენობა...
დიდი ამბავი იყო:
ქრივი და ცუდ-ენობა!...
ბევრს გადაჰხდა საბრიყვო!...

ამ დიდ-მარხვის ორშაბათს
შეკრბა ხალხი მრავალი!...
ძლიერად სცემდენ ნობათს
და მაზედ ჰქონდათ თვალი,

თუ ვინ ამოირჩიონ
ორშაბათის ყეენად,
რომ მაჰმად-ხანს დასცინონ
პატრიოტთ მოსალხენად!

ნახეს ერთი გლახაკი,
ის მოკაზმეს ყეენად:
მოჰგვარეს ვირი ჭაკი,
მისცეს ბედაურ ცხენად!

და ზედ შესვეს პამპულა,
აბჟანდიც დაუგრძელეს!..
აილეს თასი, კულა,
ბატონად ადღეგრძელეს!

Დალიეს, შეჯორიკდენ:
Იწყეს აყალ-მაყალი!
„Ავირჩიოთ,— ჰყვიროდენ,—
Სჯობს ყეენი ახალი“!

Ძველს ყეენს სტაცეს ხელი,
ლაფში გადაუძახეს,
Გაძარცვეს და შიშველი
ლანძღეს!.. რა არ უძახეს?!.

Ახალი ყეენობა
Ბევრმა მოიწადინა!
Შეიქნა მოენობა—
ძმამ ძმას სისხლი ადინა.

ჭუჩებში ხრიალობდენ,
Როს დაფა-ზურნა დაჰკრეს,
Ერთმანეთზედ ძალობდენ,
Კისერშიაც ბევრს წაჰკრეს!

Გაჩნდა კრივი ძლიერი,
Გაიყენენ „პარტიებათ“:
Ჩხუბობენ, ასდისთ მტვერი,
Თავის ტეხა ექებათ.

Ბანებიდან ქალები
Მაჩხუბრებს ბანს აძლევენ...
Ეღალებათ ხელები,
Ერთმანეთს ვერა სძლევენ!...

ძმობილო, ძმაზედ მიდი!
სთხლიშე, არ იგვიანო!..
ბიჭებო, ჰაი გიდი!
ქაჟის-თავებიანო!...

დაუშინეთ ერთმანეთს,
მაგისთვის არვინ დაგსჯით!
მოგცემენ თითო მანეთს,
ტყუილად არვინ გაგრჯით!..

ვინც მოგცეს მეტი ფასი,
შენც იმისკენ იყავი,
აიღე სავსე თასი,
იმას დაუკარ თავი!

ეგ ყეენები ყველა
ერთმანეთის დარია!..
ალია და ოსმალა—
ორივე თათარია!..

მაგრამ რჩევა რად უნდა
ამ დალოცვილ მეომრებს?..
მოსცვივა ქვა და გუნდა,
ერთმანეთს სტეხენ კისრებს!..

ასრულებენ სხვის ნებას,
ბოლოს სახლში მიდიან

Და თვის პატიოსნებას
Თითო გროშად ჰყიდიან!..

Ამ ხალხის სულელობა
Მინდა მიტომ დავსძრახო,
Რომ მსგავსი ყეენობა
Მასში აღარა ვნახო.

ბ ა ი ა თ ი

Მაცდურმა მახე დამიგო,
Მიჯნურთ ბადეში გამიბა,
Პასუხიც აღარ მომიგო,
Ბული მან ჯაჭვით დამიბა!

—

Მიიპყრა ჩემი გონება,
Ბამიხდა გულის მეფადა,
Მით მისი სრული მონება
Ბლახ გულში ხარკად მებადა!..

—

Მაგრამ ამ გვარი მონება
Არ დამამცირებს არ ოდეს!..
Მითი მაქვს თავ-მოწონება,
Თუ გინდ არც დაიფაროდეს!..

Თაყვანს ვსცემ ტურფად შემკულსა
ვინც არს შვენების ღვთაება! —
ვიშ!.. საყვარელო!.. ჩემს გულსა
რა ტკბილი ჯაჭვით დაება!...

———

№—ს

მაგ თვალებმა ნაპერწკალი
ზულში მკრეს და დამიმონეს!..
განმიახლეს ძველი ალი.
აბაჟრჟოლეს, დამაღონეს!

—

მოვიგონე ძველი ქნარი,
სიმთა იწყეს ტკბილად ჟღერა;
გრძნობა გულში ნაგუბარი
ტოკავს და გულს მით აქვს ძგერა!..

—

ჩალად მიჩანს აწ შავ-ბედი,
თვალთ შემაშრა მდუღარება!..
ბინდ ვიწვიდე ვით აბედი...
მალხენს ტკბილი მდუმარება'..

—

შავ ფიქრების უკუ-მყრელად
სახე მისი ჩემთვის მზეობს!..

Გული, ქმნილი მისგან ხელად,
ჟირთა მძლეობს, ამაყ-მხნეობს!..

Ფრფელ აზრების შეურყევლად
სიყვარულის იმ წმინდა მსხვერპლს
თაყვანს ვსცემ და საკურთხევლად
აღვიარებ მე მისს სახელს!..

—

Ის სახელი მადლიანი
წმინდა, ტკბილი ვით მანანა,
სამ-აზრი, სამ-მარცვლიანი
მიყვარს, თუ მანც არ მანანა!..

*
* *

Წარმოდგენავ შენ ოცნების,
გულთ მადარო, ზესთ სადარო!
ამპარტავნებავ შვენების,
უკვდავების ტკბილო წყარო!

—

შენის ჭვრეტით ვერ გამაძღარს
გული მტკივა ხშირის ძგერით!
ვაი, ვისაც ჩემებრ უყვარს
უნუგეშოდ, შორს სიმღერით!

—

თუ ახლოს ვარ, შენ მიმონებ
და ხარკად გაქვს მდუმარება!

თუ მოგშორდი, მე გიგონებ,
და მდის ცრემლი-მდულარება!

—

და თუ ვიწყებ შორით წერას
შეთან, ხელი მიკანკალებს,
და მიხშირებს გულის-ძგერას,
რა შიგ ცეცხლი გამიალებს!

—

ვეცადე, ეს სიყვარული
დამეფარა და გამექრო;
მაგრამ რა ვჰქნა,—სუსტი გული
ხან-მსვლელობით მეწვის უფრო!

—

ვიცი, მაგ ცივს, ამაყს გულში
ვერვინ ჰნახავს ცეცხლ-მოდებას,
მაგრამ მე შენ სიყვარულში
მაინც ვჰპოვებ ნეტარებას!

—

დაე, გულმა ნუ იხაროს,
შენი ეშხით დავიდაგო!
მაგრამ მიკვირს—განკითხვის დროს
რა პასუხი უნდა მაგო?!.

ციცინათელა

ჩემო ციცინათელა!
რად მიჰფრენ ნელა-ნელა?
შენმა შორით ნათებამ
დამწვა და დამანელა!

ანათებ და კარგი ხარ,
მე თუმც არას მარგიხარ!..
ჩემი იყო ის მინდა,
შენ კი სხვისი ბარგი ხარ!..

აბრეშუმის პეპელა,
ფუტკარი და წურბელა,
შენზედ სარგებლიანი,
შენ გენაცვალოს ყველა!..

წურბელა მკურნალია,
მაგრამ ცოტა მყრალია...
მშიერი, სისხლის მტერი,
რომ გაძღება, მთვრალია!..

მაშ რად მინდა წურბელა?
მან გული დამიბნელა!
ისევ შენ და ისევ შენ,
ჩემო ციცინათელა!..

მეორე თაფლს და სანთელს
ბვიკეთებს, და სარგებელს
მით გვაძლევს, მაგრამ კბენით
ბვისივებს ცხვირ-პირს და ხელს!..

მაშ რად მინდა ფუტკარი,
მკბენარი, მოისარი?
ისევ ციცინათელა,
უწყინარი ის არი!

მესამე ტანს გვიმოსავს,
წყნარია და არ იქმს ავს;
მაგრამ უგნურებითა
პარკში იღრჩობს თავის თავს!

მაშ რად მინდა პეპელი,
უგნურად თავის მკვლელი,
და როგორ არ მერჩიოს
მასაც ციცინათელი?

ჩემო ციცინათელა,
საით ჰფრენ ნელა-ნელა?
მე ვარ შენი ერთგული,
სხვა მოგატყუებს ყველა.

მებრალები, კარგი ხარ!
და ვაი! სხვის ბარგი ხარ!

ხხვებს ბნელშიაც უნათებ,
მე-კი დღეც არ მარგიხარ!

ნეტავ რისა გაქვს რიდი?
ჩემსკენაც გამოფრინდი,
ნათელი მომაფინე,
მეც გამინათე ბინდი!

ქმა, რაც დღემდის ვიწამე;
აწ საყვარლად მიწამე,
და მიშინ შენს სიყვარულს
დამავიწყებს მიწა მე!..

ჩემო ციცინათელა,
სადღა ჰფრენ ნელა-ნელა?
შენმა შორ-შორ ნათებამ
უდროოდ დამანელა!..

ახ... ს.

სიზმრად ვნახე შენი გული,
ეს სიტყვები ზედ ეწერა:
„ბამოცვლილა სიყვარული
აქ ოთხმოც-და-ცხრამეტჯერა!“

მეასედ მეც მზად ვიყავი
ჩემი თავი ჩამეწერა,
მაგრამ თავი გააქნიე,
მომაყვირე: „ვერა! ვერა!"

—

რა დამგმო და არ მინება
შენმა გულმა, დავრჩი ასე:
ვსცნობდე მაინც, ვინ იქნება
შესაბრალი ის მეასე?

დამკვიდრდება მაგ შენ გულში
ის, მეასედ ჩაწერილი,
თუ გამოსცელი მასაც სხვაში,
და დარჩება თავ-დახრილი?

—

დიაღ შენს გულსა აქვს ძალა
და მასთანც გამოცდილება,
სადაც ასი წაიშალა,
იქ სხვა ერთიც წაიშლება!

*
* *

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!..

მით ჯოჯოხეთს მარად გულით ვატარებ!
თუ მარტო ვარ, თავს მომაკვდავს ვადარებ,
თუ ხალხში ვარ, ძალით ღრუბელს ვადარებ
და მოწყენით ჩემზედ მტერს არ ვახარებ,
რომ არა სთქვან ჩემზედ: „რა ოხერია!"

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიყღერია!
ჩემო გულო. ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!..

ალარა აქვს ბოლო ამ ჩემს სატანჯველს,
არვინ მაძლევს სანუგეშოდ ძმურად ხელს;
ჩემს შარბათში ნაღველს ვსჭვრეტ ჯ ვარდში გველს,
მისთვის ვწყველი და ვემდური ამ სოფელს,
რომლისგანაც მე გზები ამერია!..

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიყღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!

რაღას ველი, დრო არს განჭრეს იმედი;
ზინდ მეწვიოს, ვერას მარგებს აწ ბედი,
დამწვარი ვარ ისე, როგორც აბედი!
აჰა ღმერთო, რა უდროოდ დავბერდი:
საფლავისკენ ფეხი გამიშვერია!..

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!..

დავუძლურდი, განჭრა გიჟი ოცნება...
ნაღვლიანად ჩემს თავზედ მეცინება
და ღმერთს ვევედრებ: „ღმერთო, მოვეცი ნება,
რომ მეღირსოს საფლავში დაძინება!...
სჯობს, სულ განჭრეს კაცი, რადგანც მტერია!“

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!

ალლა-ვერდი!

ალლა-ვერდი ჩვენ ქალებს!
ალლა-ვერდი კნიაზებს!
ალლავერდი „კნიაჟნებს!“
უმანკოების ვაზებს!

ბუშინ გვქონდა მოლხენა,
დღეს რად მოგვიწყენია?
რად ჩაგვვარდნია ენა,
ხომ არაფრის გვრცხვენია?!

მდიდრული მორთულობით
აკი ჩვენ გვაკვირვებდით;
არ სწუხდით უფულობით
და ვაჭრებს იპირებდით!

დღეს მწუხარებით განა
ბიღელავსთ ეგ გულ-მკერდი,
როს არშინით თქვენთანა
მოდიან: „ალლა-ვერდი!“

მოშა მისი წვერებით
მოდის, თანაც ახველებს;
ტყვილად ნუ ეფერებით:
„არაო“—აქნევს ხელებს.

იფიცავს დაბადებას,
იხსენიებს თავის სჯულს;
არ გაძლევთ მოცდის ნებას,
დღესვე ითხოვს თავის ფულს!

ალლა-ვერდი ჩვენს ქალებს! და სხვ...

შალომა დილ-დილობით
ჩამოუვლის კნეინებს;

ჩვეულებრივ ზრდილობით,
მუსაიფით აკინებს.

ფულებს არ სთხოვს, ვექსილს სცვლის,
წვერებზედაც ხელს ისვამს!..
თავნზედ სარგებელს ათვლის,
ერთი-ორად ზედ ისვამს!..

მერე კოხტურად თავს ჰხრის,
ზრდილობით აძლევს სალამს
და, რა ყურთ-მაჯს შეიყრის,
გულში სხვა გრძნობას მალამს!...

ალლა-ვერდი ჩვენს ქალებს! და სხვ...

ისპანიოლკით ბრძნულად
მოდის ფიფინა შვილი,
თავს გიკრავთ ფრანციულად,
პირზედ მოსდის ღიმილი:

„პარდონ! რომ შეგაწუხეთ,
მაგრამ მისთვის მოველი,
რაც ნისია წაიღეთ,
იმის ფულებს მოველი!

უე ვუ პრი! ამავე ხნით
გავსწორდეთ ანგარიშში,

რადგანაც ფულებს ვგზავნით
სავაჭროზედ პარიჟში!...“

ალლა-ვერდი კნეინებს! და სხვ...

ხარაზოვი მრისხანედ
მოდის გაჯავრებული:
„რისთვის დააგვიანეთ?
დროა, გვიბოძოთ ფული!

კრედიტი ჩვენ არ ვიცით,
ესე იგი ნისია;
რა ვჰქნათ, ირწმუნეთ ფიცით,
რომ სავაჭრო სხვისია.

ჩვენც ვჰყიდულობთ, ფულს ვიღებთ,
მითი გვიდგია სული,
და ნურც თქვენ დაივიწყებთ,
აწ კი გვიბოძეთ ფული!“

ალლა-ვერდი ჩვენს ქალებს! და სხვ...

და წვრილ-წვრილი ვაჭრები
შემოდიან დას-დასად!
სირმეები და ნაჭრები
გიჯდებათ ოხრის ფასად!

Ცოლი ქმარს ებუტება,
ქმარი კი ცოლს ემდურის;
ყველას გული უკვდება,
ყველა სიმწრის ოფლსა ჰღვრის!

ერთმანეთს ადებენ ბრალს,
ერთმანეთს იმდურებენ,
მაგრამ ამითი ხომ ვალს
ვეღარ გაისტუმრებენ?!

ეჰ, რაღა გაეწყობა,
ჩვენ ადრევე ვიცოდით.
რომ თქვენი გამოწყობა
ბოლოს დაგწვავდათ ცოდვით!

ალლა-ვერდი ჩვენს ქალებს!
ალლა-ვერდი კნიაზებს!
ალლა-ვერდი „კნიაჟნებს"
უმანკოების ვაზებს!!!

ბანკობია

იძინეთ, ძმებო, კვნესით... ღრჭა ძილით!
საკმაოდ გისვამთ, გეტყობათ, ბანგი!..
ეგებ სიზმარში ნახოთ სიცილით.
რომ აგიყვავდათ თქვენ თქვენი ბანკი.

მე კი ცხადად ვსჭვრეტ და ჭეშმარიტად,
რომ თქვენი ბანკი, თქვენი ალალი,
ბადაქცეულა პატარა გვრიტად
და მას მრისხანედ დამზერს ალალი.

მაგრამ თქვენ გძინავსთ, თქვენ ვერას ხედავთ,
ზოგ-ზოგნი ძილსა კიდეც იგონებთ!
„ჰოუ! ჰოუს“ თქმა არავის გნებავთ
და წინ-დახედვით თავსაც იწონებთ!

მაშ ისევ ძილით დრო გაატარეთ!
და თუ სხვამ ვინმემ ქორს მიაძახოს,
თქვენ მას მისდექით, ქვა მიაყარეთ,
რომ ტკბილნი დღენი მან ვეღარ ნახოს.

და თავი ისევ მიეცით სიზმრებს,
რომ ვეღარავინ გიბრთხობდეთ ძილსა!

ემონეთ მხეცებს!.. ენდვეთ უმეცრებს
და საზიაროს ნუ სდევთ წიწილსა!

და მაშინ თქვენცა... აქ, უკაცრავად,
უნდა გავაგდო ჩემი კალამი,
რადგანაც ცოტად ვახლავართ ავად
და ექიმს უნდა მივსცე სალამი!

„ვარდის ხმაზედ"

ვუძღვნი ან. მუსხელიშვილისას

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
ბანამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწმიდით ახურებდეს!

ერთი ჰქონდეს მას საგანი:
ჰარმონია მისი ხმების
ცხოვრებაში იყოს ბანი
ხან ლხენის, ხან მწუხარების!

ალტაცებით სიმთა ჟღერა
გამოსცემდეს მაგნიტის ხმას
და მაზედაც ჩემი მღერა
ოარ-ხმოვანად გამოისმას,

რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ისარივით ესობოდეს!..

მაშინ მხოლოდ ამ ჩემს ჩანგურს
აშორდება უქმად გდება
და, ვინც გრძნობით დაუგდებს ყურს,
ვჰფიცავ, არც ის მოსტყუვდება!

გამიქვავდეს მაშინ ენა,
თუ რომ ვისმეს მივეფერო,
და გამიხმეს ეს მარჯვენა,
თუ სიმრუდით სიმთ ვაჟღერო!..

რა გინდ ბედით ვიყო კრული,
საშინელიც მექნეს ბოლო,
არ შედრკება ჩემი გული,
გინდა ქვითაც დავიქოლო!

ხხვისი ლხინით ხომ ვიხარებ,
თუ რომ ჩემს თავს დავრჩი ავად,

და მაინც არ აღვიარებ
შავს თეთრად და თეთრსა შავად!..

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმარლეს მსახურებდეს,
ბანამტკიცოს აზრი წმინდა
და გულს წრფელად ახურებდეს!

სიყვარული

მით მომწონდა ჩემი თავი,
ეს მიმაჩნდა მე საკვეხრად,
რომ კლდე ვიყავ მაგარ გულით,
მეტად ძნელი გასატეხად;

—

მაგრამ შენ კი, უცნაურო,
ძლავრად მოხვდი ჩემს გულს მეხად:
ულოდნელად დამარბილე,
სანთელივით დასაგრეხად!

—

ბულში ცეცხლი გამიჩინე,
ამიდუღე მით ნაღველი,
უხმოდ ვიწვი, ნალ-ნელ ვსდნები,
ვით ხატისა წინ სანთელი;

Შენ კი შორით მეჩვენები,
Ვით ეშმაკი წამწყმედელი,
Რომელსაცა ეჯავრება
Სიწმინდე და ეს სოფელი!

—

Ვინც ციურს ნიჭს, უფსკრულს გრძნობას
Ცივ-გულობით თვით ვერ იგრძნობს,
Ნამდვილს გრძნობას, ტკბილს სიყვარულს
Სხვისას აბა ვითღა იცნობს?!

—

Მისთვის ყვავიც ბულბულია,
Მისთვის ცრუც კი მართლად უბნობს!
Და რად უნდა სხივი მზისა, —
Მთვარის სხივიც კი დააჭკნობს!

—

Ეს ვიცი და არ გამტყუნებ,
Ზეთხოვები, გაძლევ სალამს!
Იმედიც მაქვს, რომ ეს გული
Თავის გრძნობას თვით დამალავს:

—

Აღარც ენას ათქმევინებს,
Არც ენდობა ჩვეულ კალამს,
Თუმცა სხვისი ტრფიალება
ხელ-მეორედ ვერ გაალამს!...

გამოთხოვება

უნებურ ცეცხლის აღმგზნებელო გულში, დამწვ-
ლო,
ჩემის ცხოვრების ტკბილო საგანო და სანუგეშო!
როდემდის უნდა მაგრე გჰვრიტო, შენ შეუცვლელო,
რომ ჩემზედ გული არ მოგიბრუნდეს და მით ვიხვ-
ნეშო?

ხომ კარგად ჰხედავ, ტრფობის ჯაჭვით გული დამება
და თავ-შეწირვა უფიქრალი არს ჩემთვის ტკბილი?
და მაშა შენცა, ჩემო მფლობო, ჩემო ღვთაება,
მომმადლე ხოლმე შენს შემვედრეს მცირე ღიმილი;

ის... ის ღიმილი, რომელიცა მაგ სახეს მეტყველს
გამოუთქმელის სილამაზით უფრო აშვენებს
და მე კი მიდებს საწყალს გულში ძლიერ ცეცხლს
დამწველს,
და მღელვარესა გულის ძგერით აღარ მასვენებს!

თუმცა კი ვსცდილობ, რომ ის გრძნობა სხვას
დავუფარო:
ხუმრობით სიტყვებს ბანზედ ვაგდებ, მადევს პირ-ბადე,
მაგრამ გულში კი, არ შემიძლია, არ აღვიარო:
„**მ**ე ბედ-გამწყრალი უნუგეშოდ რად დავიბადე?“

რად მინდა გრძნობა, თუ არავის გავუზიარებ?
რად მინდა ცოდნა, თუ მეგობარს არ მივეც რჩევა?
რად მსურს სიცოცხლე, თუ სიმწარედ მას აღვიარებ?
მაშინ დამრჩება მე ამ სოფლად კრულვა და წყევა!..

ოდეს გიხილე, მეგონა, თუ მყის დავიბადე!
ჩვეულებრივად გულმა გრძნობა ველარ დაჰფარა,
მით ამეხადა უნებურად ჩემი პირ-ბადე,
და თვის ღვთაებად შენ დაგნიშნა, შენ აღგიარა!

მაგრამ, ვაიმე! არ მიმიღე მსხვერპლის მწირველად,
არ შეიწირე მრისხანეშან საბრალოს „წვლილი“!..
მის გამო დავშთი ასე შმაგად და ასე ხელად,
ასე საბრალოდ და უდროოდ მე გულ-მოკლული!

აწ კი მშვიდობით, ჩემო ავო და ჩემო კარგო!..
გშორდები, მაგრამ შენთან რჩება საბრალო გული!..
უმჯობესია, ამ სოფლიდგან გადავიკარგო
და იქ დავლიო შენს ხსოვნაში საბრალო სული!..

*
* *

I

Ბამტანია ჩვენი ერი,
Ბარეგანად მშვენიერი,
Თკალში მცქერი, პირ-მომფერი,
ქვეშ-ქვეშ შტერი, ტკბილად მმღერი!

. . . . . .

Ისე უყვარს ქვრივ-ოხერი,
რომ ჰსურს, იყოს ჩვენ'ში ბევრი.
ჰაი გიდი, ჩვენი ერი!...
ჰერი! ჰერი! ჰერი! ჰერი!...

II

Უკაცრავად, მე ჩვენს ხალხზედ
Ცოტა აზრი შემეცვალა,
რასაც ჰბადავს, თვითონვე ზრდის,
Სხვა არ უნდა ძიძა-ლალა:
ხომ ჭარმაციც არ ყოფილა,
Იხედება თვალ-და-თვალა.
მკა და თესვა კარგად იცის,
Თუ რომ ბედმაც დააცალა;
Ალმა ხვნენ და დალმა ფარცხვენ,
Ყანებს დაატანეს ძალა!
მაგრამ პატივს დააყრიან,
Მზად არიან, დღეს თუ ხვალა!
Და აწ თქვენს ადვოკატებსაც
Ერთი გუდა ხიზილალა!

ფ ო თ ი

ფულით ვერ ძღება დღეს ფოთი,
ვით დიდ-მუცელა პოლოზი;
სულ ოცნებაა იმისი —
რკინის გზები და ბოლოზი!...

—

შემწვარი კიბოს სუნით ჰყარს,
დაბერდა როგორც პაპია!
ოჰ! ოჰ! რა დიდი სვავია, —
უზომოდ ფულის-ყლაპია!

—

სიცრუით ბევრსა გვპირდება...
ამბობენ: გვიხვევს თვალსაო;
შტუკ-მეისტრებსა ამდიდრებს
და ხალხს კი ადებს ვალსაო!

—

ნეტავ რას ჩავცივებიავართ
ამ ბებერს გამომხრჩვალსაო,
არა სჯობია, „კავკაზი“
შეუდგეს სხვა გზა-კვალსაო?

—

ვით სპილო არ მრწამს სპილოდა,
თუ აღარა აქვს ხორთუმი, —
ისე ქავკასი ქავკასად,
თუ არ ექნება ბათუმი!

ჭოროხი ჩვენს ძველ დიდებას
წაიღებს, შავს ზღვას შერთავსო,
თუ დაგვეკარგა ის წყალი,
ჩვენს „ვაის“ „უის“ შერთავსო!

—

ზედ იალბუზზედ შემდგარი
ქართლოსი ამბობს ამასო,
და როს იქნება, შვილებმაც
ერთ-ხმად მივსძახოთ მამასო!...

—

ოკრ-აზროვანი ღიმილით
შენც ხომ ყურს უგდებ აჰარა?..
ძველ დროში ჩვენო ძმა ტკბილო,
რომელს ძმად გხედავთ აწ არა!...

ფარშავანგი

უცხოს წალკოტს და მშვენიერს
აღყვავებულს მრავალ-ფერად,
სადაც იადონი უმღერს
საამოდ და გულ-საძგერად,

ერთი ფარშავანგი გვყვანდა,
მოსაწონი, დახატული,

ქვერცხის დება არ იცოდა,
ჰქონდა მხოლოდ კარგი გული!

საარაკო ფრინველს ჰგავდა,
მას ვუმღერდით, მას ვაქებდით;
მაზედ ცუდს ვინც გაბედავდა,
ბატის ფრთებზედ ავაგებდით!..

დრომ ვერ დასდო მას თვის კვალი,
დარჩა როგორც იყო ტკბილი;
ახალ-გაზრდათ წმინდა თვალი
მისკენ იყო მიპყრობილი!..

ერთს დღეს მოგვესმა ყიყლიყო,
აღარ გვესმა ტკბილი ჰანგი...
მიველთ, ვნახეთ, აღარ იყო
ბაღში ჩვენი ფარშავანგი!..

ნაცვლად მისსა დათვი დაგვხვდა,
მას თან ჰყავდა ორი ბელი!..
მაშინ მივხვდით: საქმე წახდა!
შემოვირტყით თავში ხელი!..

მას აქეთ, შეწუხებული,
ფარშავანგს ვეძებთ მწუხარე,
მას ვიგლოვთ გულ-დაწყვეტილი
და ცრემლები გვდის მდუღარე!

ᲒᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗ, ᲡᲐᲘᲗ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐ
ᲘᲡ ᲩᲘᲢᲘ ᲦᲕᲗᲘᲗ-ᲛᲐᲓᲚᲘᲐᲜᲘ
ᲓᲐ ᲛᲝᲒᲕᲐᲨᲝᲠᲔᲗ, ᲐᲠ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ
ᲔᲡ ᲓᲐᲗᲕᲘ ᲝᲠ-ᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ!

ᲐᲚᲐᲠ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ

ᲐᲚᲐᲠ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ, ᲓᲐᲕᲭᲐᲠᲒᲔᲗ ᲒᲝᲜᲘ,
ᲑᲐᲒᲕᲘᲥᲠᲐ ᲡᲣᲚᲘ ᲛᲐᲛᲐ-ᲞᲐᲞᲣᲠᲘ!
ᲩᲘᲜᲘ ᲨᲔᲒᲕᲔᲥᲜᲐ ᲭᲙᲣᲘᲡ ᲡᲐᲬᲝᲜᲘ
ᲓᲐ ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ — ᲑᲝᲠᲝᲢᲘ, ᲨᲣᲠᲘ!

—

ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲘᲒᲘ, ᲡᲐᲓ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲡ
ᲡᲘᲡᲮᲚᲘ ᲣᲦᲕᲠᲘᲐ ᲗᲐᲕ-ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲡᲐ,
ᲨᲕᲘᲚᲗ ᲒᲕᲔᲖᲘᲖᲦᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ, ᲐᲦᲐᲠ ᲒᲕᲘᲧᲕᲐᲠᲡ
ᲓᲐ ᲕᲔᲠ ᲒᲕᲘᲮᲣᲠᲔᲑᲡ ᲒᲐᲧᲘᲜᲣᲚᲡ ᲒᲣᲚᲡᲐ!..

—

ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲫᲕᲔᲚᲐᲓ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡ
ᲮᲔᲚᲡ ᲛᲘᲐᲬᲕᲓᲔᲜᲓᲐ ᲫᲛᲣᲠᲐᲓ, ᲡᲐᲨᲕᲔᲚᲐᲓ,
ᲦᲦᲔᲡ ᲘᲥ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲧᲔᲚᲨᲘ ᲣᲭᲔᲠᲡ ᲮᲔᲚᲡ
ᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲫᲛᲔᲡ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲐᲛᲝᲡᲐᲮᲦᲔᲚᲐᲓ!...

—

ᲯᲔᲠ ᲛᲝᲭᲚᲐᲕᲡ ᲢᲐᲜᲯᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲔᲕᲜᲘᲗ ᲡᲐᲬᲧᲐᲚᲡ,
ᲛᲔᲠᲔ ᲛᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲖᲐᲠᲘᲗ ᲘᲢᲘᲠᲔᲑᲡ,

ასრულებს ის უკანასკნელს ვალს
ფარისევლობით მჭვრეტელს აკვირვებს!..

—

ფარისეველო! **ბ**აუტანელო!
სხვასთან თავ-მხრელო, შინ ორმოს-მთხრელო,
ნაგავის მყრელო, შენ ჭრელო გველო!
რამ შეგაძულა, სთქვი, საქართველო?!

- -

რისთვის გაჰყიდე... მაგრამ კითხვა ღირს?
ბანა ეს ისეც არ შეგვიტყვია:
მხოლოდ ის ჰკურნებს ქართველისა ჰირს,
თუ თავის მოძმეს გულში ჰკრა ტყვია!..

—

დავჰკარგეთ გრძნობა, აღარ გვაქვს გონი,
ბაგვიქრა სული მამა-პაპური!
ჯილდო შეგვექნა ჰკუის საწონი
და ძმობის ნაცვლად—შური და შური!..

ბანჰქრენ ჟამნი

ბანჰქრენ ჟამნი ოცნების,
რაც მრწამდა, აღარ მჯერა!
ბაგეთ არ ეოცნების,
აღარც გულს გააქვს ძგერა!

აწ თვალნიცა სწორ-მხედნი
ვარდშიც სჭვრეტენ ეკალსა!
სოფელო! ველარ მხედნი:
ოკრგზის ვერ ვიხდი ვალსა!..

—

ბინდა რომ მომეელინო
ათას-ფერ მაღალ ნიჭად,
ნუ ჰფიქრობ შემაცდინო,
მაინც მექმნები იჭვად!..

—

თუ მეჩვენე საყვარლად
და ამიძგერე გული,
ღიმილით გეტყვი ტკბილად:
„ბატონო, არ მაქვს ფული!“

—

არ მომიცდი მაშინა,
ტყვილად არ დაუალღები!
ვით რკინის გზის მაჭინა,
სხვისკენ წასრიალდები!

—

თუ მეჩვენე მეგობრად,
ნახე სახლის კარები,
ფულს გთხოვ... გაგიხდი უბრად:
ველარ მომეკარები!

—

თუ მოდი ნათესავად,
საწყლობას მოვიგონებ,

და შენც, რა მნახავ ავად,
აღარ მომიცდი, ვჰგონებ!..

როგორც გინდა გვეჩვენო,
ცხადად, გინდ მოლანდებით,
ერთგზის ნაცნობო ჩვენო,
ბიცნობთ, ვინცა ბძანდებით!

სიჯაბუკე შორს-ღა ჰფრენს
მას გაჰყვა ქარი-მარი,
და აწ ველარ შეგვაცდენს
შენისთანა სტუმარი!

ბანჰქრენ ჟამნი ოცნების,
რაც მრწამდა, აღარ მჯერა!...
ბაგეთ არ ეკოცნების
და აღარც გულს აქვს ძგერა!

ჩიტუნიები

ჩიტო! ჩიტუნიებო!
შინ ღომის წუნიებო,
სხვის სახლში შაქრის ქამით
არ გახდეთ უგუნებო!

ნუ გსურსთ სხვისი ალერსი,
პატივი უკეთესი!...

ეგ სულ ვაკრული არის
ანგარი'ში და წესი,

თორემ პირადობითა,
საკუთარ მინდობითა,
არავინ არ გაგიტანსთ
არც ძმობით, არც დობითა!

თავზედ რომ ვარდს გადებენ,
ქვეშ ეკალს გიმზადებენ:
სულ სტყუიან, იცოდეთ,
რასაც რომ გიქადებენ.

ნახავთ ერთ დღეს თქვენც საზარს,
ფეხზედ შეგხსნიან ბაწარს,
საკინლად აგიგდებენ
და გიჩვენებენ თქვენც კარს.

მაშ სჯობს, ჩიტუნიებო,
შინ ღომის წუნიებო,
სხვის სახლში შაქრის ჭამით
არ გახდეთ უგუნებო!

სავლე

როდესაც პირველ ჭეშმარიტებას
დაქადაგებდენ მოციქულები,
შარსა ჰყოფდენ ულირს დიდებას,
სიწმინდით სძგერდა რა მათ გულები;

დაბად და დაბად და ქალაქებად
ჭეშმარიტებას ხალხს ახარებდენ,
ავს საგინებლად და კარგს საქებად
დაუფარავად აღიარებდენ, -

მაშინ კერპებმა განიფრთხეს ძილი,
რადგანაც ნათელს ერჩიათ ბნელი
და მოციქულებს სწამეს რა ცილი,
მათ სადევნელად ამართეს ხელი!..

მაგრამ ქადაგნი შეუპოვარად
აღიარებდენ ჭეშმარიტებას,
თავ-განწირულნი მარად და მარად
შეურაცხ-ჰყოფდენ მათს ბოროტებას!..

და მით კერპები გამძვინვებული
ველარ ჰფარავდენ თვის მახინჯობას!...
შემედობით უძგერდათ გული,
სჭვრეტდენ მოციქულთ რა გამარჯვებას!..

ბასტყდენ კერპები! **ე**რთი მათგანი,
თავ-კაცთაგანი, სახელად **ს**ავლე,
ბამოიცვალა რა მან საგანი,
ახალის სჯულის იქმნა მოსწავლე!...

აღიარა რა ჭეშმარიტება,
ნათელს მიჰმართა, განვიდა ბნელით,
და თვით დაიწყო მან ქადაგება
მოციქულისა **პ**ავლეს სახელით!

სავლეებს ჩვენშიც ბევრს ვეგულები,
ცრუ აზრი მართლად რომ შეიცვალონ,
მაგრამ სადა გვყავს მოციქულები,
ჭეშმარიტება რომ მათ ასწავლონ?

ორი **ს**ურათი

საფლავებრ ბნელი მაისის ღამე
ბადასწოლია მძინარ ბუნებას,
რომელიც თითქმის მთლად გაუმსჭვალავს,
ჯოჯოხეთურსა უცნაურ ენებას!

ყოვლგან ხელმწიფობს მკვდრული სიჩუმე...
მხოლოდ ხან-და-ხან ისმის კივილი

და მას პასუხს სცემს რალაც ფრთქიალით,
როგორც ტვინის წვას, გულის ტკივილი!..

ნეტავ რა ხმაა ეს საზარელი?
კუდიანებს ხომ არ ეძახიან
ბრუტ-საბძელაზედ და ისინიცა
ბატონ როკაპთან მიისწრაფიან?

არა! **ს**აზარი და შავ-ბედითი
ეს ხმა ზარნაშოს კივილი არი,
და ნანგრევიდგან მეღამურები
ბამოფრინვიან ამ ხმით დამფრთხარი.

წყევის ბეჭედი აძევს ბუნებას!..
მთლად დაუტვირთავს ის შეჩვენებას!..
არარაობა სჯობს ამ არსებას
და ტანჯვით შფოთვა ამ მოსვენებას!..

მაგრამ უეცრად მთის გადაღმიდან
ბამოჩნდა მთვარე სხივ-მომფინარე,
მასთანც მუდამი მისი თან-მსრბოლი
მცირე ვარსკვლავი მოსხივ-ცისკარე!

თვის შუქით ჰკურნებს ტანჯულ ბუნებას,
მშობლურ ალერსით სჭვრეტს მომცინარე!..
მით მოუბრუნდა ბუნებას მაჯა
და სულს იბრუნებს მთლად არე-მარე!..

ყოველს სულ-დგმულსა, ყოველს მცენარეს
ერთბაში ტკბილი აქვსთ გულის ძგერა!..
ყვავილნი ფშვინვენ სურნელებასა,
და ბულბულთ იწყეს ჩვეულებრ მღერა.

ნიავი უქრის, მცენარე თავს ჰხრის,
შოთოლთ საამოდ გააქვთ შრიალი!..
მიკვირს, ბუნება რად იტანჯოდა,
თუ თვით ჰქონია ამდენი ძალი?!

ვგონებ, მაგალითს გვაძლევს ბუნება:
ჯერ უნდა ვნახოთ ჩვენ განსაცდელი,
რომ მით, გვირგვინი გამოცდილების,
ბოლოს ვიხილოთ ბნელით ნათელი!..

მაგრამ ძნელი ხარ, შენ განსაცდელო,
ვინ გაგიძლოს შენ, თუ არ რჩეულმა?!
აურაცხელი და უწონელი
ვით აიტანოს ტანჯვა გლახ გულმა?!.

შენი მებრძოლი, სულით ობოლი,
ბევრი გვინახავს შვილდებრ ღუნული,
და რომელიც კი არ მოგღუნვია,
დაგიმტვრევია, როგორც ყინული?!..

•

შემცნეული მაქვს მეც შენი ძალა,
რასაც მექადის, ვხედავ, მე ბედი.

მაგრამ დავიმტვრე, არ მოვიღუნვი,
მსურს, მატყუებდეს მისთვის იმედი!..

თუმცა კრული მაქვს აწმყო არსება,
მეხსიერებაც, ყოველს ჩემს წარსულს
ზარნაშოსავით რა თავს დამძახის,
ტვინსა მიდუღებს, მით მიშფოთებს სულს!

და მის ხმაზედა შავი ფიქრები,
ვით მელამურა, თავზედ დამფრენენ
და, აწმყოს წარსულს რა უერთებენ,
ბნელზედ ორ-კეცად უკუნს მაფენენ!

მაგრამ მე მაინც სრულ იმედითა
ველი იმ მთვარეს და იმ ვარსკვლავსა!
მოვსტყუვდე, მაინც არ მოვიღუნვი
და ჩავალ სწორი სწორსა საფლავსა!

ახალი სამართალი

კატა და ძაღლი

მორბის კატა ვით ისარი,
ძაღლმა გამოუნავარდა!..
ოჰ, რა კუდიანი არი:
არ კი ხეზედ შეუვარდა!..

—

აბუძგული, კუდ-პრეხილი
ძაღლს მაღლიდამ დაჰფხუკურებს;
შღრენს მურა კბილ-ღრჭენილი,
კუდის ქნევით რა შეჰყურებს.

—

კატუნია იმას ჰყავა,
რომ განსაცდელს თვალით ჰხედავს,
ძაღლი ხეზედ თუმც ვერ გავა,
მაგრამ ძირს ის ვერ მობედავს.

—

შცდის მურა მას ხის ძირში
თაგვის მტერს, ნივრის წუნიას,
თუ ჩამოვა, შიგ ცხვირ-პირში
მიახტება ციცუნიას!

—

საწყალი ვინ დაიფაროს?
რა ჰქნას კატამ დატანჯულმა?
მაგრამ უეცრად იმა დროს
იქ გაიარა მსაჯულმა!..

Როგორც ჩვენ გვყავს მსაჯულები,
პირუტყვთაც ისე ჰყავსთ ვირი;
ბოქაულად მათაც მგლები,
„ადვოკატად“ მელა-ძვირი!..

—

ვირმა, რაკი დაინახა
ჩხუბი ძაღლისა და კატის,
ბრძანების ხმით მიაძახა
ორთავ შოვნა „ადვოკატის“.

—

უთხრა: „მიკვირს, ჩხუბს ვით ჰბედავთ,
დაგავიწყდათ მსაჯულიო?
ახლა მაინც ხომ კი მხედავთ,
დაიმშვიდეთ ჯერ გულიო!..

—

უკანონოდ ნუ ირჯებით,
საჩივარი მომართვითო,
თორემ ორნივ დაისჯებით:
დაგიჭერენ თითო თვითო!..“

—

რა გზა ჰქონდათ!.. დაუჯერეს,
ვერ გაუბედეს უარი:
დროთი ჩხუბი შეაჩერეს
და მიართვეს საჩივარი!

—

ეს საქმე რომ განეხილა,
მართლ-მსაჯული დაეჩქარა,

Დრო დაუნიშნა „ხვალ დილა“
და ორივე დაიბარა...

Თვითონ კი დაადგა შარას,
არავინ არ დაუძრახავს!..
ზოგ-ზოგ მსაჯულს მეტიჩარას
არ ჰგავს, ჩვენში რომ გვინახავს!..

—

აწ სად იყო და სად არა,
ეცა სუნი, გაჩნდა მელა!
ჰხედავს, რომ ჩხუბი ამტყდარა,
მოკუნცულდა ნელა-ნელა!...

—

ვითომც უეცრად იმ მხარეს
მან თავისთვის გაიარა;
მომჩივრებმა გაიხარეს
და მ-მართეს მისკენ ჩქარა.

—

ორივე დიდის ვედრებით
მას მივარდენ, როგორც გიჟი.
მაგრამ მელამ შეფერებით
ჯერ გაიდვა თავ-პატიჟი,

—

მერე ძალით დაეთანხმა,
მაგრამ სთხოვა ბევრი ფული!
მურას არ იამა ეს თქმა
და დარჩა პირ-დაღებული!

—

ბოლოს უთხრა: „ეჰ, ბატონო,
საქმე ჰქმენ ღვთის სასიამო...
ლარიბი ვარ და უღონო,
მე რა მაქვს, რომ შენ გაჭამო!“

—„არ გაქვს? ჩემი რა ბრალია?
მღვდელმა ტყვილად ვის უწირა?
რიგი და სამართალია,
ადვოკატს რომ მისცე ქირა!“

—

—„პატრონისგან განაჩენი
ღღეში მაქვს მე თითო მჭადი,
ნახევარი იყოს თქვენი!“
მაგრამ მელამ უთხრა: — „წადი!..

—

ეგ არის ცხადი დამცრობა
ჩემისთანა ადვოკატის!..
სჯობს, მოვისმინო პირობა
ისევ საცოდავი კატის!“

—

სთქვა და კატას მიუბრუნდა,
მურას შეაქცია ზურგი!..
აბა ადვოკატს რად უნდა
მომჩივარი მისი ურგი!?

—

კატამ დაუწყო:—„ბატონო,
ახალი სჯულის ჰახრაკო!

რა მაქვს, რომ შენ მოგაწონო?
და რა არის საარაკო

—

თქვენის შრომის შესაფერი?
რაც მაქვს, სულ დასაწუნია!..
დალარიბდეს თქვენი მტერი,
ვარ ღარიბი ციცუნია!

—

მაგრამ, თუ მექნა იმედი
თქვენ კრიმანჭულ-შობილების,
არ დამჩაგრავს ჩემი ბედი,
შემწე ჩემი ბრჭყალ-კბილების:

—

ქუპატებს, თევზებს და ყველებს
ჩემს პატრონს ხშირად მოვჰპარავ!
და ეს არც შენ დაგახველებს,
მოგართმევ, თუ დამიფარავ!“

—

მელამ რომ ეს გაიგონა,
წამოუდგა ნერწყვი პირში!
ქატას თავი მოუქონა
და შველაც უქადა ჭირში.

—

უთხრა: „ყველა ნაქურდალი
ნახევარი ჩემი იყოს;
ვერას გიზამს სამართალი,
არავინ არ გაგაბრიყვოს!

Ვერას იზამენ ჩემს საწყენს,
მსაჯულები მე ხელში მყავს!..
Ისინიც რომ იღებენ ძღვენს,
Ორჯელ-სამჯერ ჩვენც გვინახავს!“

—

Ამ სიტყვით დააიმედა,
ქუდი კუდში გაუყარა!...
საწყალმა ძაღლმა შეხედა
Და ყურები ჩამოჰყარა!

—

Გათენდა დილა თუ არა,
Დაბძანდა მსაჯულად ვირი,
Მომჩივრად წამოდგა მურა,
Მოჰყვა თვისი გასაჭირი:

—„Დიდ-შობილებაო, ვირო,
Თავ-დიდო და ყურებ-გრძელო,
ჩვენი მსაჯულების პირო,
Როგორც სხვებრ, გვარითაც ძველო!

—

Ღარიბი ვარ, თქვენთ ფერხთ-მტკერი,
Არავინ მიადვოკატა,
Ამით მჩაგრავს ჩემი მტერი,
Ამას ჰხარობს დღეს ეს კატა!..

—

Თქვენვე იცით, არ გახლავარ
Მელასავით ხერხიანი,

მაგრამ მოგახსენოთ, ᲛᲖა ვარ
მე, საწყალი, შავ-დღიანი!

—

არ გახლავარ მᲭᲔᲕᲠ-მეტყველი,
ᲔᲜა მიხმება მწუხარეს;
მაგრამ თქვენის სიბრძნით ველი,
არ დასჩაგრავთ მართალ მხარეს!..

—

რა ვქნა, თავი შეიწუხე!
მომისმინე ყურადღებით:
მე და ჩემი მოპასუხე
ᲔᲠთს ბატონს ვემსახურებით.

—

ჩემი გვარი ადრევ, ძველად
Უსამართლო მსაჯულებმა
Დაამტკიცეს ეზოს მცველად:
—**Დ**ასᲭᲐᲛᲐ ისინი მგლებმა!—

—

მეც ეზო და მთლად სახლ-კარი
მაბარია, მაქვს ბრძანება;
ᲖᲐფხულია, თუ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ,
მაინც არ მაქვს მოსვენება!

—

მთელი დღე და მთელი ღამე
Ვყეფ მე ყურებ-დაᲪᲥᲕᲔᲢᲘᲚᲘ!
სად არის ჩემთვის სიამე!
ან სად არის ტკბილი ძილი?

ზაფხულობით სიცხე მაღრჩობს,
ზამთარ-ზამთარ სიცივე მკლავს.
ერთგულობით ვერავინ მჯობს,
ჩემისთანა არვინ ახლავს!

--

მაგრამ მაინც უმადური
პატრონი არაფრად მაგდებს,
და, რომ ვსთხოვო ლუკმა პური,
ცემით კარში გამომაგდებს.

ახლა ნახეთ თქვენ ეს კატა,
ჩემი მტერი, ჩემი მკვლელი!...
ნეტავ ამან რა შემატა
და ან მე რა დავაკელი,

——

ჩვენს ბატონს რომ ასე უყვარს
და მე კი მადენს სიმწრის წვენს?
მე მიკეტავს ყოველთვის კარს
და ამას საწოლში იწვენს!

——

ამას არ ვჩივი ხარბობით:
როგორც უნდა, ისე ჰყავდეს:
მაგრამ ამ კატის შარობით
მე ის რად უნდა მირტყამდეს?

——

შარშან ამ დროს, მარტის თვეში,
როცა კატები ჩხავიან,

მე ვიწექი კიბეს ქვეშა,
შუალამის შემდეგ გვიან.

მომესმა კატის ჩხავილი,
შევიტყე იყო მამალი,
რადგან ხმა ჰქონდა მას მსხვილი...
აღარ გავახილე თვალი.

ვსთქვი: ეს კატა გარეული
ჩვენს ციცასთან სიძედ მოდის,
იმისათვის უცემს გული,
ჩემთან რად მოიხდის ბოდიშს?!

ვსთქვი და დავაპირე ძილი,
მაგრამ უცბად გავიგონე
ძალბატონის მე ხმა ტკბილი,
შეფერებით თავ-მომწონე:

„ჩემო კატუნო, რა არი?
რას შემომჭყავი გარსაო?
ბვერდს მიწევს მე ჩემი ქმარი,
შენ ვინ გაგიღებს კარსაო?“

ამაზედ კატა აყვირდა:
„მიაუო!“ ვაის ხმითა;
ეს მე ცოტა გამიკვირდა
და როგორლაც არ დამიჯდა.

Ვიფიქრე თუ: ახლა ბნელა;
Ეს რომ ბატონებს მიწუხებს,
Ვუკბენ, მივეპარვი ნელა,
Ამოვაკვეთინებ ფეხებს!

—

Რომ წამოვდექი, მივედი,
Ალი დამხვდა „კანკურაზი“!
Ავენთე, როგორც აბედი,
Მომერია მაშინ ბრაზი!

—

Რბილ ადგილში ვსტაცე კბილი,
Ღვარად სისხლი გავადინე,
Ჩვენი ეზო და ადგილი
სიმწრით გადავარბენინე!...

—

Მეორეს დღეს თავ-მომწონედ
მე სასახლეში შევედი,
Მაგრამ უცბად ქალ-ბატონმა
Თავზედ მხეთქა დიდი კეტი

—

Და ვაჟ-ბატონს ასე უთხრა:
„Ამ ძალმა ის მაწყინაო,
Რომ წუხელი აღარ დასცხრა
Და კატა დამიკბინაო!“

—

Რა თქმა უნდა, ტკბილ სიტყვითა
ქმარს შეაცდენს ცოლი ფრახი,

და ვაჟ-ბატონმაც რისხვითა
ბადამიჭირა მათრახი.

—

ამ გვარად კატის შარობით
მე გადამწყდა განსაცდელი
და აწიცა ამ გვარობიო
ამისგან ბევრს ტანჯვას ველი.

—

ეს პირველი საჩივარი!
აწ მეორეს მოგახსენებ...
მისგანა ვარ მე დამწვარი,
ბული მტკივა, ვერ ვისვენებ:

—

საფერის-ცვალობოდ ბატონს
ძღვნად მოერთვა ორაგული,
და მასპინძელსაც თავ-მომწონს
სიამით უძგერდა გული!

—

სთქვა: „მეზობლებს დავპატიჟებ,
მოეხდი ჩემს ძველის-ძველს ღვინოს,
სტუმრებს ყველას დავაგიჟებ,
მინდა ყველამ მოილხინოს!“

—

თევზის მოხარშვა უბრძანა,
ხახვ-ნიგოზი ჩაანაყეს
და მთლად წვნიან-ფოჩიანა
ის თახჩა'ში შეინახეს.

Თევზის სუნმა გაამხეცა
ჩვენი ცია... გაიწურა!..
აქეთ ეცა, იქით ეცა,
როგორც იქმნა, თევზთან შეძვრა.

—

და მის ეშხით გაბრუებულს
აღარ ესმის: „აცხა! აცხა!“
აბა, კი იჯერებდა გულს:
რომ უნდოდა, ისე გაძღა!

. .

ერქიდამ ძლივსლა გადმოხტა,
ღია დარჩა თახჩის კარი.
აჰ, ღმერთო ჩემო, რა მოხდა!..
მთელს ოჯახს დაეცა ზარი!

—

ვაჟ-ბატონი აღრიალდა...
ჰყვირის: „ეს ვინ გამიბედა!
ეს ქურდობაც მე დამბრალდა
და მაყვირეს: „ვაი, დედა!..“

—

მე რომ ჯოხი მამწარებდა,
ვწუწუნებდი ცრემლის ღვრითა,
ძატა სეირს მიყურებდა,
ულვაშების ცმაცურითა!..

- -

ბევრი რამ მახსოვს ამ გვარი,
უფრო ბევრს აწიც მოველი,

თავსა თქვენ წინ მისთვის ვიხრი
და ვარ სამართლის მთხოველი!“

—

ვირმა რომ ეს ასე ნახა,
სახეში მიიღო ყველა,
მოპასუხეს დაუძახა,
და მის ნაცვლად წარსდგა მელა.

თავი დაუკრა მსაჯულსა,
ბრძელი კუდი გაუქნია!..
ვნახოთ, კატას გატანჯულსა
რა მოსარჩლე მიუგნია!..

—

ადვოკატმა ჩაახველა,
ჯერ ვითომ ხმა გაისწორა,
მერე მოჰყვა: — „ერთად ყველა
ერთგვარად და თანა-სწორა,

—

მტყუანი, გინდა მართალი,
თქვენს სამართალს თხოულობენ!..
ჰსურთ, ერთმანეთს დასდვან ბრალი
და გამტყუნებას სცდილობენ,

—

მაგრამ თქვენის სიბრძნის ქება
სხვა ქვეყნებშიც გასულია!..
ვისაცა ჰსურს მოტყუება,
მისი საქმე წასულია!

თქვენ, ბრძენნო მტყუანს და მართალს
ერთი შეხედვით შეატყობთ.
სიცრუით ვინ აგიხვევთ თვალს?
მტყუანს ანგელოზს დაუფრთხობთ!

—

ჩვენ სხვა არავინ გვგონია
მსაჯულად თქვენი სადარი!..
ჯერ არვის გაუგონია,
რომ ყოფილიყოთ შემცდარი.

—

მაშ ვერ გვაშინებს შავ-ბედი,
თუ თქვენ მოგვფინეთ სინათლე,
რადგანც ჩვენა გვაქვს იმედი,
რომ წინ მიგვიძღვის სიმართლე.

—

სიცრუით მაბეზღებელსა
ძაღლს რაზედ მოსვლია გული?
ამ ჩემსა მარწმუნებელსა
რა აქვსო დანაშაული?

—

ეს რომ უყვარს ამის პატრონს,
სულ-ყოველ დღე ეფერება:
ხან ყველს აჭმევს და ხან მაწონს,—
მურა მისთვის ემტერება?

—

სწორედ ახირებულია!..
ტყვილა ხომ არ უგდებენ ყურს:

ესეც მათი ერთგულია,
ესეც იჩენს მათს სამსახურს!..

ეგ ძაღლი თუ ეზოს იცავს,
ეს შინ იცავს სახლების ჭერს,
და დაუძინებლად სისხლს სვამს
თაგვებისას... ვით მტრებს, იჭერს!

—

ღამ-ღამობით ფეხთით უწევს
ჭალბატონს და შეჰკრუტუნობს;
არც ბრჭყალავს, არც რამესა ჰხევს
და არც მოსაკითხსა სწუნობს.

—

თვითონც დახატული არი,
სუყველას თავს მოაწონებს,
დროზედ მარდი, დროზედ წყნარი...
მისთვის უყვარს მის ბატონებს!

—

და სხვა, რაც კი შეეხება
ძაღლთან ამის პირადობას,
მურა უსაფუძვლოდ სწყრება,
ეწამება ღალატობას.

—

სხვამ რომ კატის ხმით იძახა,
ჩვენც ვიტყვით, რომ მართალია,
ბატონმაც ძაღლი გალახა,
მაგრამ კატის რა ბრალია?

საყვარლისთვის უკბენია,
ძალბატონიც დაემდურა,
ხომ არვის დაუსმენია
და კატას რას ერჩის მურა?

—

თევზი რომ შესანახავად
ბატონმა სხვას მიაბარა
და კატა მოიქცა ავად
რომ ის თევზი მოიპარა,

—

მისთვისაც მურა გალახეს,
კინაღამ სული გალია?
ხომ არვის სდომებია ეს,—
და მაშ კატის რა ბრალია?

—

პატრონების არის ნება
ბალახვაც და მოფერება!
ძალობა ხომ არ იქნება?
კატას რისთვის ემტერება?!.

—

ეს გახლავსთ, თუ მოიხსენებთ,
სულ კატის დანაშაული
და თუ მაინც გაამტყუნებთ,
თქვენი ნება იყოს სრული!“

—

ვირმა ესეც მოისმინა,
შეიფერა, რა თქმა უნდა!..

ბუნებაში ჩაიკინა
და ორივეს მიუბრუნდა:

—

- „თქვენში ვინ არის მტყუანი
და ან მართალი, არ ვიცი!..
ბყავსთ მოწმები მოსაყვანი,
რომ მიიღონ იმათ ფიცი,

—

და ისე სიმართლე თქვენი
თვითოეულად ამიხსნან,
რადგანც განჩინება ჩვენი
მსურს, რომ სხვაგანაც მართლად სცნან?“

—

ქატა მარდად დაეთანხმა
და დანიშნა მოწმედ ტურა,
მაგრამ რა უნდა ჰქნას ძაღლმა?
დაფიქრდა საწყალი მურა.

—

და მოახსენა ბატონ ვირს:
— „მელა ნიშნავს თვის მოძმებსო,
თორემ შინაურს, ეს მიკვირს,
ტურა როგორ უმოწმებსო?“

—

და სთხოვა გადაყენება,
მაგრამ ვირი ვერ მოიმხრო,
რადგანაც იმან ინება,
დაენიშნა ახალი დრო...

ეს დრო დიდხანს გაგრძელდება?
როგორც ჩვენში, ერთის წლობით!
და საქმე რით გათავდება?
ქოცნითა და მასპინძლობით...

საქართველოს დღევანდელი სახე.

ვის იგლოვ იერემია?
თავზე რად იყრი ნაცარსა?
რათ სტირი იერუსალიმს
და სოლომონის ტაძარსა?

—

ვინ იგულისხმებს გოდებას,
როცა შენ ერთი სტიროდე,
თუ იმავე დროს ილხენდეს
ათი ათასი ეროდე?

—

„ძალა ალმართს ხნავს!“ ღვთის რისხვას
ხელი არ შეეფარება!...
ძნელია, როცა მოყვრულათ
მტერი კაცს შეეპარება.

—

უქმია მაშინ ტირილი
და—უნაყოფო გოდება!..
იხრწნება ფარისევლობით
თანასწორ ყველა წოდება:

—

თავადი აღარ თავადობს,
არც სადმე აზნაურია!
აღარც მღვდელია, არც ერი...
ყველა ღვთის უმადურია!

—

იუდიანი ირეოდე
ურწილათ რომაელია:
მგელია მისის ქვეყნისთვის...
სამშობლოს გამომხვრელია!

—

თუმც კაიაფა და ანნა
ებრაელთ მღვდელ-მთავარია,
მაგრამ კი რომაელობა
მათშიაც ნახევარია.

—

ხალხიც შეყურებს თავადებს
და მათი მიმდევარია
რომი ხელს უწყობს ცალ-ცალკე,
აბრიყვებს და უხარია!

—

მოტყუებული ქვეყანა,
ივიწყებს ძველსა დიდებას;
წამოაყენებს იუდას
და ყიდის ჰეშმარიტებას.

—

პონტოელი კი პილატე
ფიქრობს: დაუდგათ თვალიო!
ბანზე გამდგარი, ხელს იბანს,
ამბობს: „მე არ მაქვს ბრალიო!“

—

ეს ყველა ერთაშორისი
ძალ-მომრეობის წესია:
იქ ვარდს და იას ვინ მოჰკრეფს,
სადაც ეკალი სთესია!

—

აი რას ხედავს და სტირის
წინასწარ იერემია!..
ცრემლი მკვდარს თუ ვერ აღადგენს,
მაგრამ ნუგეშის მცემია!..

—

იერემიას გოდებით
რომ ვინუგეშო მეც მინდა,
თუ სევდა გადამეყარა
და თვალზე ცრემლი მეწმინდა.

—

Ბაგრამ მე რა მჯის მიბაძვას?
სად წმინდა კვერთხი, სად ჩხირი?
სად ჩემი სტვირი, სად მისი
იერიქონის საყვირი?

—

ის მაღალ ჰანგზე გოდებდა,
მე ბლიაძურათ გავყვირი,
თუმც კი ორივეს საგლოვის
ერთია სარჩულ საპირი.

—

შემკრა-შემბოჭა შავ ბედმა,
ტანჯვები გამიზვიადა
და მწუხარება შავ-კუპრი
ბულზე დამაწვა ტყვიადა.

—

მეზარევ, ზარი აუშვი
ამირან გმირის კვნესითა!
ხმა გრძნობას შეუთანახმე
ძველ ჩვეულება—წესითა.

—

და ნაღველ-ქაფათ გამილღვე
ეს მძიმე ტვირთი გულისა,
რომ ნიშნათ გადმოვანთხიო,
მომავალ სიხარულისა!

—

ამ ორ ძალზე უფრო დიდი
არის კიდევ სადმე ძალი,
რომ წარსულმა ვერ დაბადა
და წარმოშობს მომავალი?

—

არის!.. ის რაც შესაფერათ
თვით ბუნებამ განამტკიცა:
ძლიერება—ეროვნებათ
შენახორცა ცა და მიწა!..

—

ეროვნებავ ღვთის ნიჭი ხარ,
არც საპოვნი, ვერც საყიდი
და მხოლოდ თვითარსებობა
არის შენი გზა და ხიდი!—

—

და თუ ეს გზა და ეს ხიდი
უშიშრათ არ გაუვლია,
დახმარება ამირანის
თვით გმირსაც არ შეუძლია!—

—

მაგრამ ვხედავ „მომავალში“
გამოსულა მუშათ ერი,
ერთმანეთთან შეთანხმებით
ძლიერი და ბედნიერი.

—

Გზა Გაყავს და ხიდსაც აგებს,
Სისხლითა და ოფლით რწყულსა;
Და მამულის მოიმედე,
Აღარ იმჩნევს წყლულათ წყლულსა.

—

Გამარჯობა ნამდვილ მუშებს!
Უაშა, Უაშა მომავალსა!.
Ის ასწორებს დღევანდლების
Გამრუდებულ გზა და კვალსა.

—

Გაასწორებს და გზას მისცემს
Ტარიელს და ავთანდილსა,
Ამირანის სისხლს—ცრემლებით
Ქართველებათ გამოზდილსა.

—

Ნეტავ იმ დროს და მის დამსწრეს,
ᲬᲔზეულ გრძნობს ცხონებასა:
Არც ისურვებს ბატონობას
Და არც ვისმეს მონებასა.

—

Აღიარებს მხოლოდ ძმობას,
Თანსწორობას, სიყვარულსა
Და საზღვარი არ ექნება
Მის უმანკო სიხარულსა!

—

შორით ვხედავ იმ ნეტარ დროს,
ამ ცუდ –დროში დანაბადი
და ანდერძათ მხოლოდ რჩება
ჩემი გუდა და ნაბადი!

—

დიახ... მხოლოდ ·ანდერძად ღა!
მაგრამ მაინც იმედია!...
მომავალი სიხარულიც,
ნეტარება და ბედია!..

—

რა ვუყოთ, რომ ვერ მოვესწარ!
სიკვდილის წინ ხომ მაინც ვგრძნობ
მომავალ—ბედს? და ამ გრძნობას
სულთა მბრძოლი თან ჩავიდნობ:

—

არ მომკვდარა საქართველო!
აყვავდება ერთხელ კიდე!
და გაისმის ძველებურათ
იმისი ხმა კიდით—კიდე.

ᲒᲐᲛᲖᲠᲓᲔᲚᲘ.

(ნამდვილი ამბავი)

I

ᲥᲗᲘᲡ მწვერვალზე, ცის მახლობლათ,
მერცხლის ბუდეთ რაღაც მოჩანს;
თვალთ ისარი, შენატყორცი,
ვერ ვარჩევს მის სიგრძეს და განს.

—

ᲘᲡ ფაცხაა, ღვიმის პირათ
მიწნული და მიგრეხილი,
დრო და ჟამის შესაფერათ—
ზამთარ თფილი, ზაფხულ გრილი.

—

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ მთა-ბარს და ვაკეს
ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ წარღვნა-ღელვას,—
ᲤᲐᲪᲮᲐᲪ ღრუბელს გარს იბურავს,
ᲔᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ ჭექა-ელვას.

—

მაგრამ როცა დაქათქათებს
თავზე იქვე მზე და მთვარე
და თვალის წინ ფიანდაზათ
ეფინება არე-მარე,

—

. მაშინ ფაცხა უბრალობით
მომხიბლავათ ლამაზია
და იმასთან ყველა ტყუის,
რაც კი ციხე-დარბაზია.

—

გზა მოუძღვის საცალფეხო,
მიხვეული, მოხვეული;
მასზე გამვლელს უნდა ქონდეს
მარჯვე თვალი, მტკიცე გული;

—

ანუ ყავდეს რაში ცხენი,
მთაში გაზდილ-გამოწვრთნილი;
ქლდიდან ქლდეზე გადამფრენი,
უშიშარი და თან ფრთხილი.

—

ამ შორეულ ფაცხა-ღვიმეს
ვინ პატრონობს, ვისი არის
და საამო კარ-მიდამოს
ვინ შეტრფის და ვინ შეხარის?

—

ერთი ვინმე ახალგაზდა
აფხაზია, ამ მთის შვილი,
რთულ-ცხოვრების უარ მყოფი,
მცირედითაც კმაყოფილი.

—

კარგი თოფი, კარგი ხმალი,
კარგი ცხენი და ნაბადი!..
რას ინატრებს სხვას ამის მეტს
კაცი, მისებრ დანაბადი?

—

მხოლოთ ერთს კი... და ის ერთიც
არის მარტო სიყვარული,
რითაც მხოლოთ ქვეყნიური
ნეტარება არის სრული.

—

ბედმა ესეც არ დააკლო,
განასხვავა, ვით რჩეული...
სიყვარულსა, მის მონაშუქს,
მოაშუქა სიყვარული:

—

ერთი თვეა, რაც რომ ცოლათ
მიიყვანა, ვინც უყვარდა,
ვისაც გულში ცასქვეშეთი
შეუწონა, შეუფარდა...

—

ნაზი-ბროლა — სახელია,
სამეგრელოს ასულია,
მოწყვეტილი ცით ვარსკვლავი
ედემს ალვად ასულია!..

—

ელ-ფერობით ვარდი არის,
სინაზით-კი — მორცხვი ია...
ტრფობისათვის ჯერ პირველათ
გულის კარი გაუღია.

—

ცა და ქვეყნის შუამავლათ
მიაჩნია მას აფხაზი!..
გულში გულს დებს, სულ ში სულს ცვლის
ხორცს ეწმახვნის სურო-ვაზი!..

—

ნეტავი მათ!.. მათ სიყვარულს
და მათ უხმო აღსარებას!..
ერთად გრძნობენ ამ ქვეყნადვე
სასუფევლის ნეტარებას...

—

მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი
გაახარებს ვისმე განა?
თაფლში ურევს მწარე ნაღველს
მტრისას მისი გამოცანა!..

— —

II

ბნე ა ისე, რომ აღარ ჩანს
თითი, თვალთან მიტანილი!..
ცა მრისხანებს, ელვა-ჭექამ
ნადირსაც-კი უფრთხო ძილი!..

—

ძარი ზუის გულ-საკლავათ,
წვიმა უშვებს კოკის პირათ;
ხან აქ, ხან იქ მთა-ღრეებში
ბავარდება მეხი ხშირათ.

—

თითქო მართლა თვით ჯოჯოხეთს
აუშვია ქვეყნათ ზარი!
აიტანა შიშის ქარმა
თანასწორად მთა და ბარი!

—

ამ დროს ხოლმე თვით ეშმაკიც
ეძებს ძრწოლით თავ-შესაფარს,
მაგრამ, დახეთ, ვილაც მგზავრი
სტუმრათ მოდგა აფხაზის კარს!!..

—

დაურეკა და ხმა მისცა;
„ბამომხედეთ!.. ვინ ხართ შინა?
სტუმარი ღვთის კარზე ვდგავარ,
ცხენს და კაცსაც გვინდა ბინა.“

—

Ბაუკვირდა აფხაზს და თქვა:
„ამ თავსხმაში ეს ვინ არი?“
შეუკიდა ცეცხლს და უცბათ
ბამოაღო ფაცხის კარი.

—

ბავიდა და შემოუძღვა
ფეხებამდე დასველებულს,
მიიყვანა ცეცხლის პირათ,
უდგამს სამ-ფეხ სკამს დაღალულს.

—

ხმას არ იღებს ჯერ სტუმარი,
ნაბდის თასმებს ნელა იხსნის;
თავ პირი აქვს შებუდნული
უაბალახით და იცინის!..

—

ჯერ ნაბადი მიაყუდა,
ბნელ კუთხისკენ მიდგა წყნარა
და ბაშლიყი რომ გადიძრო,
მოტრიალდა უკან ჩქარა.

—

—მასპინძელო! სიცილით თქვა,
ნახდა ჩემი ხუმრობაო!..
ვერ მიცანი, თუ გეწყინა
ეს უდროვო სტუმრობაო?

—

—საფარ! შენ ხარ?.. ენაცვალოს
ძიძის შვილი მაგ შენს თავსო...
ეს თვალები რაღას ნახვენ
შენს უკეთეს სანახავსო?

—

მოეხვია, გადაკოცნა,
როგორც ძმა და თვისი ტოლი
და მერე კი გაადვიძა
შიგნით მწოლი თვისი ცოლი.

—

შეეხვეწა: აბა, ჩქარა
მოამზადე ვახშამიო:
შორი გზა აქვს გამოვლილი,
არ ექნება ნაჭამიო.

—

—არა, ბათუ, ვახშამს არ ვჭამ,
არ მცალია იმისთვისო!
მე სხვა მადა მაქვს აშლილი.
სხვა ნაირი გულის თქმისო...

—

უპასუხა და მოუყვა:
„მინდა გითხრა ჩემი ჭირი:
დღემდის მტკიცე პირიანსა,
დღეს მიტყდება, ძმაო, პირი!“

—

—„Ალმასხიტს ხომ კარგათ იცნობ,
Თავმომწონე ინალიფას?
მის ცხენსა და მის იარაღს
ვერ ვინ დადებს დიდებულ ფასს.“

—

—„ვაჟკაცია თვალ-ტანადი,
ცხენოსანი უებარი!..
მეტოქეა ჩემი მხოლოთ
ერთად-ერთი, საშიშარი.“

—

—„შორს გაისმის მისი ქება,
ჩვენშიც ხშირი სტუმარია;
ბიჭობით და სილამაზით
ქალებიც კი გადარია.“

—

—„ერთი მხოლოთ ზია-ხანუმ
არათ აგდებს, არც უყურებს,
რადგან იცის, რომ სხვებსავით
იმას ის ვერ იმსახურებს.“

—

—„ზია-ხანუმ, შენც კი იცი,
რომ შვენებით განთქმულია;
ბევრი კარგი ახალგაზდა
მისი ეშხით დაბმულია!..“

—

—„მთვარესავით ხელ-უხლები,
სხივებს ფენს და არვის ათბობს;
მომხიბლავი შორეულათ
თანასწორათ ყველას ატკბობს.“

—

—„ჯერ დაღალავს, მიიბირებს,
დაიმონებს, იგდებს ხელში,
მერე უნდა გამოცადოს:
აგდებს თვისს მსხვერპლს განსაცდელში!.“

—

—„მეც მომხიბლა ჯადოსანმა,
დამამარცხა, დამიმონა!..
და თუ ქალი მაჯობებდა, —
არ ვფიქრობდი, არ მეგონა...“

—

—„დამაჩქმა: „თუ გიყვარვარ
და ხარ ჩემი მოგვარეო,
ინალიფას ღურჯი ცხენი
ამ სამ დღეში მომგვარეო.“

—

—„ინალიფა თვისს ბედაურს
არ დაუთმობს ნებით გამჩენს
და თუ ვინმე ძალას იხმარს,
შეაკვდება, არ შეარჩენს!“

—

—„სხვა გზა არ მაქვს: მოპარვაა
მხოლოთ ერთად-ერთი ღონე,
თუმც კი სხვა დროს არ იკადრებს
ამას კაცი, თავ-მომწონე.“

—

—„აი, რისთვის მოვსულვარ აქ,
ჩემო კარგო მეგობარო!
მე მინდა, რომ ალმასხიტის
ლურჯი-ლაფშა მოვიპარო.“

—

მოუსმინა ძიძის შვილმა,
ძველა კარგათ გაიგონა,
მაგრამ საქმემ უკულმართმა
შეაწუხა, დააღონა.

—

უთხრა: „ვწუხვარ, რომ ეგ საქმე
უკადრისი გიკისრია,
მაგრამ, რადგანც სიყვარულის
ტკბილი სენი შენც შეგყრია.“

—

—„გზა აღარ გაქვს!.. უნდა გული
დაუდვა და ემსახურო,
რომ სატრფოს წინ შენ სირცხვილის
ოფლი აღარ მოიწურო “

—

— „მის ოცნებას, მის გულის თქმას
უნდა მიყვე, დაემონო,
ზინდ სიცოცხლეც შენი ტკბილი
მწარე სიკვდილს შეუწონო.“

—

—„ეს შენც იცი,—არ ხარ ქვეყნის
უცადი და უმეცარი,—
სავაჟკაცოთ გამოსული,
უდრეკი და უშიშარი!“

—

— „მაგრამ მარტო უშიშრობა
ძლევისათვის არა კმარა,
თუ სიფრთხილეც გონივრული
დროზე მას არ დაეხმარა.“

—

„ერთმანეთის მინამზგავსი,
შიში სხვაა, სიფრთხილე სხვა,
ისე, როგორც სხვა და სხვაა
ღვთის წყალობა და ღვთის რისხვა.“

—

—„რომ მიდიხარ, სად მიდიხარ?
მართალია, გიპრის თვალი,
მაგრამ ჩვენში, როგორც უცხოს,
აგებნევა გზა და კვალი.“

—

—„შენ ეგ საქმე მე მომანდე,
მე ვიზამ შენს მაგივრობას:
ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს
შევწირავ შენს მეგობრობას!“

—

—„შენ აქ დარჩი, დაიძინე,
გამოშუშდი ცეცხლის პირას!..
და თუ დამრჩა გამარჯვება,
მაშინ მოგთხოვ ფეხის ქირას.“

—

გაეხუმრა, გამოეწყო
სამგზავროდ და გავლო კარი.
მიდის, ელვა გზას უნათებს
და დაზუის თავზე ქარი.

III

ირაჟრაჟა, ქარი ჩადგა,
გადიყარა, დადგა დარი;
ლურჯ ბედაურს მოაგელვებს
მეგობრისთვის მეგობარი.

—

მოიყვანა, დაბა და
შინ შევიდა წყნარათ, ფრთხილათ.
გრძელ ნაბადში გამოხვეულს
სტუმარს სძინავს იქვე თფილათ.

—

Აუარა გვერდი, მიდის
იქ, სადაც ის ეგულება,
ვინც სიცოცხლეს ურჩევნია,
სულს სწირავს და თავს ევლება.

გულში ამბობს: ერთს დავხედავ
ტკბილათ მძინარ ნაზი-ბროლას,
თუ გაუძელ გულის ძგერას,
სულის ბრუნვას, ხორცის ერეოლას...

—

სასოებით შედის ქვაბში
და რას ხედავს იქ საკვირველს!!
ნაზი-ბროლა ჩუმათ ტირის,
პირს ისოკავს, იკაწრავს ყელს!..

—

თმა-გაშლილი, ტირნის კედელს
თავს ახლის და ხმას არ იღებს...
მინგრეულს და მონგრეულსა
ხედავს იქვე მის ქვეშაგებს!!..

—

მიხვდა ქმარი, რაც მომხდარა,
ზარმა დაკრა, ელდა ეცა!..
და რომ კრინტიც არ დაუძრავს,
იქვე უხმოთ ჩაიკეცა.

—

Დიდ ხანს იჯდა რეტ-დასხმული,
უყურებდა ცოლის ტანჯვას;
ბოლოს ღონე მოიკრიფა
და მოეგო ისევ ჭკუას.

—

მივიდა და უთხრა მტირალს:
„ჩუ, ნუ ტირი გენაცვალე!
რაც გინახავ!— სიზმარია,
დაივიწყე ისევ მალე!“

—

—„ყოველ გვარი მოსავალი
ქაცის თავზე უნებური,
ღვთის რისხვაა და ტყვილათ ბედს
რას უჩივი, რათ ემდური?“

—

—„ბადაიგდე გულიდან ეგ
ცრუ ზღაპარი და სიზმარი!..
მე და შენი სიყვარული
წმინდა არის, ვით ლამპარი.“

—

მოეხვია და ცრემლები
ამოუშრო თვალში კოცნით,
დააწყნარა, დაამშვიდა
ალერსით და ბევრი ხვეწნით.

—

მაშინ მხოლოთ გამობრუნდა
სტუმრისაკენ და უთხრა ეს:
„აღე, ძმაო, გაღვიძებას
არ აპირებ მგონია დღეს!

—

წამოვარდა ზეზე საფარ
შემკრთალი და დარცხვენილი
მაგრამ, როცა მშვიდ სახეზე
შეამჩნია მას ღიმილი.

—

გაიფიქრა: „მადლობა ღმერთს!
არაფერი შეუტყვია,
თვარა გულ-მკერდს გამიხვრეტდა
ხანჯლის წვერი და ან ტყვია!“

—

— „არ უთქვამს ქალს, რაც შევცოდე,
ჩანს, ნამუსი შეუნახავს.
ჩემ საქციელს, სამარცხვინოს,
ვინ გაიგებს, ვინ დამძრახავს?

—

მერე უთხრა თვისს ძიძიშვილს:
„გატყობ, რომ ხარ კმაყოფილი,
შეასრულე განა ჩემი
ძნელი ნატვრა და სურვილი?“

—

—„შევასრულე: მოგიყვანე.
დროა, აწ კი გაეშურე!
ნუ დამძრახავ, საკადრისათ
თუ რომ ვერას გემსახურე!

—

ხან ესა თქვეს, ხან ისა თქვეს,
ისაუბრეს ჯერ ერთ-ხანათ,
მერე წყალიც მოუტანა
მას ხელ-პირის დასაბანათ.

—

გამოაწყო, არ დააკლო,
რაც წესია, სამსახური,
რომ სტუმარი არ გაუშვას
გულნაკლი და უმადური.

—

შეუკაზმა ცხენი, შესვა,
თვითონ შეჯდა ნაქურდალზე
და ორივემ მათრახები
ატკაცუნეს ერთხანს ძალზე.

—

გაახურვეს მით ცხენები,
აღელვეს, ააჩქარეს
და ვიწრო გზით ის დალმართი
სულ კუნტრუშით ჩაატარეს.

—

რომ ჩავიდენ შორი-ახლოს
მინდვრის პირათ, იქვე დაბლა,
მასპინძელმა შეაჩერა
ცხენი და ხმა აიმაღლა:

—

—„საფარ-ბეგო! პირშაყობა
შენი ვიცი, შემიტყვია!..
და დღეიდან ჩვენ ორს შუა
მოციქული არის ტყვია!“

—

—„არა თქვა რა!.. არც მე გკითხავ:
არის ზოგი შეცოდება,
რომ სათქმელათ საძნელოა...
არც შენდობა უხერხდება!“

—

—„ახლა წადი! დამეკარგე!
ფრთხილათ! არსად შემეყარო,
რომ ცუდ გულზე უცაბედათ
შენი სისხლი არ დავღვარო!“

—

ეს რომ უთხრა, შეკრთა საფარ,
გაშრა, ფერი დაედვა მკვდრის,
ჩაუვარდა ენა პირში,
გაქვავდა და აღარ იძვრის...

—

ძლივს წარმოსთქვა: „მართალი ხარ...
ალარა მაქვს მე სათქმელი!..
შემაცდინა თვით ეშმაკმა
და დამრია ცოდვილს ხელი!..

—

—„შენი ტყვე ვარ!.. ჰა, ხომ ხედავ,
იარაღი დამიყრია...
სასიკვდილოთ ჩემი ნებით
შენ წინ თავი დამიხრია...“

—

—„ჩემ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს,
მომკალ... ტანჯულს რამ მიშველე,
მაზღვევინე, რაც შეგცოდე,
სინიდისი გამიმართლე!..“

—

—„არა! შენ ვერ შეგეხება
სასიკვდილოთ ჩემი ტყვია:
დედი ჩემის გაზდილი ხარ,
მისი ძუძუ გიწოვია. .

—

—„რაც ქვეყანას მიაჩნია
რჯულზე უფრო უმტკიცესათ,
რომ გატეხე, ის გეყოფა
სიკვდილამდე შენ საკვნესათ.“

—

—„წადი ჩემგან შენდობილი,
მაგრამ შორს კი... და მშვიდობით!..
დღეიდან ჩვენ წმინდის გულით
ერთმანეთს ვერ მივენდობით!“

—

—„წადი, ნახე ის მოძღვარი,
ვინც შვილივით გამოგზარდა
და უამბე შენი პირით,
რაც სირცხვილი დაგემართა“.

—

ბადმოხტა და ლურჯი ლაფშა
მისცა ხელ'ში, ჩააბარა,
მოტრიალდა და აღმართი
ძლივს ბარბაცით აიარა.

IV

არც გვარით, არც ვაჟკაცობით,
არც სიმდიდრით, არც ქონებით,—
ჰაჯი-უსუბ ცნობილია
მხოლოთ ჭკუით და გონებით.

—

ბირში, ლხინში საზოგადოთ
უმისობა არ იქნება;
ხელის გულზე უწერია
თვით მაჰმადის წმინდა მცნება.

—

ზღვა და ხმელი მოვლილი აქვს,
მნახველია ცა და ქვეყნის;
ჯერ ისევ ჭანმაკია,
თუმც არ არის კი მცირე ხნის.

—

ხელ-ფეხს ერჩის, თვალსაც უჭრის,—
არ ტყუილი ქადილია;
სადაც კია გვარიშვილი,
ყველა მისი გაზდილია.

—

საფარ-ბეგიც მან გაზარდა,
ისე, როგორც სხვები ყველა,
მაგრამ მარტო წრთენა რას იზამს,
თუ ბუნებამც არ უშველა?

—

აი, სწორეთ ამ უსუბთან
მიდის ეხლა საფარ-ბეგი,
მორდუობის გამტეხი და
ჩვეულების გადამდეგი.

—

ეუბნება ყოველიფერს,
უნებურათ რაც შემეთხვა;
ცრემლები დის და ეჩრება
ბურთად ყელში მწარე სიტყვა.

—

ᲫᲣᲠᲡ ᲣᲒᲓᲔᲑᲓᲐ ᲰᲐᲯᲘ-ᲣᲡᲣᲑ,
ᲡᲐᲮᲔ ᲛᲝᲘᲜᲐᲦᲕᲚᲘᲐᲜᲐ:
ᲡᲘᲓᲘᲐᲓᲔ ᲐᲛ ᲛᲣᲮᲗᲚᲝᲑᲘᲡ
ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲜ ᲒᲐᲘᲡᲘᲒᲫᲔᲒᲐᲜᲐ.

—

ᲛᲮᲔᲠᲘᲗ ᲙᲘᲗᲮᲐ: „ᲛᲔᲠᲔ? ᲛᲔᲠᲔ?
ᲠᲝᲛ ᲒᲐᲘᲒᲝ, ᲠᲐ ᲗᲥᲕᲐ ᲥᲛᲐᲠᲛᲐ?“
—„ᲛᲐᲞᲐᲢᲘᲕᲐ ᲨᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲐ,
ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲫᲛᲐᲛ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲛᲐ!..“

—

—„ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲔᲡ ᲙᲘ ᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲐ:
ᲜᲐᲮᲔ ᲨᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲖᲠᲓᲔᲚᲘᲝᲗ
ᲓᲐ ᲨᲐᲒ ᲨᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲙᲘᲔᲚᲘᲡ
ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲝᲕᲔᲚᲘᲝᲗ.“

—

—ᲛᲔᲡᲛᲘᲡ, ᲛᲔᲡᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲪ
ᲩᲔᲛᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲝᲗ,
ᲠᲝᲛ ᲜᲐᲛᲣᲡᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲬᲛᲔᲜᲓᲐᲗ
ᲩᲔᲛᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲡᲘᲡᲮᲚᲡ ᲓᲐᲕᲦᲠᲘᲝᲗ!..

—

ᲨᲔᲕᲐᲧᲔᲜᲐ ᲖᲔᲓᲐ ᲤᲔᲮᲖᲔ
ᲛᲐᲜ ᲓᲐᲭᲘᲠᲐᲩᲐ ᲒᲐᲢᲔᲜᲘᲚᲘ;
ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲣᲚ-ᲛᲙᲔᲠᲓᲡ ᲣᲨᲕᲔᲠᲡ
ᲡᲐᲤᲐᲠ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲖᲓᲘᲚᲘ.

—

მაგრამ უსუბ ეუბნება:
„შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!
სასიკვდილო მე ვარ მხოლოთ,
რომ კაცათ ვერ გამიზდახარ!“

—

წარმოსთქვა და საფეთქელში
მიიჭედა ცხელი ტყვია!..
ჩაიკეცა სულთან-მბრძოლი,
წამლის კვამლში გაეხვია...

— —

თამარ მეფე.

ველთაგან დაწყებული, ჯერ არ ყოფილა ედა-მიწის ზურგზე მისთანა საისტორიო ერი, რომელსაც სხვადასხვა გვარ უბედურების მიზეზად ქალი არ დაესახელებიოს. მაგალითად: ბერძნებმა, ტროადის ლაშქრობით აშფოთებულებმა, დიდებულ ილიონის დარღვევისა და, თან მოყოლებულის ატრიდანთ ოჯახის ყოველ გვარ უბედურების მიზეზად, ელენე შვენიერი გამოსახეს.

ერთ დროს ოდესმე ზვიადი, უკადრისი და, სხვათა ერთა მოძულე ებრაელები, რომელთაც თავისი ეროვნული ძლიერება სამსონ ძლიერში გამოხატეს, დასუსტებასა და დამარცხებას დალილას აბრალებდენ. ეგვიპტის ბოლო-მოღებას და ბუნ-მაღალ ფარაონთა დამხობას კლეოპატრას მხურვალებას აწერენ. და სხვანიცა ამგვარადვე... რომ ყველა არ ჩამოვთვალოთ, საკმაო იქნება აღვიაროთ, რომ თვით მთელმა კაცობრიობამ, შეერთებულათ, სამოთხის დაკარგვის მიზეზათ პირველი დედა, ევა, დაასახელა. საკვირველია, ცასქვეშეთში ყოლიფერი იცვლება, დრო და ჟამი თავისს წეს-რიგს არ იშლის, საუკუნე საუკუნეს ენაცვალება, ახალ-ახალის მოთხოვნილებითა და პირობებით; ხალხი იცვლება, ძველები გადადიან და მათ მოადგილეთ ახლები შემოდიან ისტორიულ სარბიელზე. რჯული რჯულს ენაცვალება, ემხობიან ძველი კერპები ქვეყნის თვალში და ქალების შესახები აზრი კი ერთხელვე დარჩენილის შეურყეველია. თანამედროვე ხალხიც ძველებზე უკეთესი შეხედულობის არ არის ქალებზე. მაჰმადმა, რომელმაც თავისს აქლემს ადამიანის ნახევარი სული მიანიჭა, ქალში მეოთხედიც არ იწამა. ნეტარი ავგუსტინე „ეშმაკის ჭურჭლათ“ აღიარებს დედაკაცს. დღესაც, ერთმა ფრიათ განათლებულმა ერმა, ფრანგებმა, ქალის შესახებ სასაცილო ანდაზა მიუძღვნეს თანამედროვეთ: „ეძიე ქალიო!“ (ვითომ რაც მოხდეს ქალს დაბრალდესო).

საკვირველია! ყველა ამაების შემდეგ რატომ არ ვეკრძალვით ქალებს და არ გაურბით მათ ვერაგობას, როგორც ჩვენის უბედურების, არა თუ მარტო საამქვეყნო, საიმქვეყნო მიზეზსაც კი? რა გვიშლის ხელს? რაიდა და... უბრალო სიმართლის ალღო, რომელთანაც უძლური არიან, როგორც ბრძნული გადმონაცემები ძველთაგან, ისე ახლების მახვილგონიერული შენიშვნები.

Диах, ქალი სრულიადაც არ არის ისეთი, როგორათაც მამაკაცების კუდაბზიკური თავ-მოყვარეობა გვისახავს. ნუ თუ „ხმა ერისა ხმა ღვთისა“ არ არის?—შეიძლება იკითხონ ზოგიერთებმა.—და ამ შემთხვევაში სწორეთ არა! განა ყოველგვარი „ხმა ერისა“ იმავე დროს „ხმა ღვთისაცა“ არის? რასაც საუკუნოების განმავლობაში, ჭეშმარიტების ბრძმედში არ გაუვლია, იმას არ ეთქმის „ხმა ღვთისაო“. ეს არის წამიერი, აღელვებული და ერთმანეთის წამხედურობით გატაცებულ ბრბოის უსამართლო გულის-თქმა. და სწორეთ ამგვარმა „ხმამ ერისამ„ ჯვარს აცვა მაცხოვარი, დასწვა იორდანე ბრუნნო, გასწირა გალილეი და სხვანიცა ჭეშმარიტების მქადაგებელნი. და „ხმათ ღვთისათ“ კი მხოლოთ ის „ხმა ერისა“ იწოდება, რომელმაც აღადგინა სიმართლე და როგორც უეჭველი ჭეშმარიტება დასდვა სამარადისოთ. ქალების შესახებაც დარჩენილი მაწანწალა აზრი „ხმათ ღვთისათ“ მისათვლელი არ არის. მოვა დრო, ერთხელაც არის, კაცობრიობა

შეიგნებს ჭეშმარიტებას და ქალს დასახავს ევად, მაგრამ იმ პირველ ევად კი არა, რომელმაც ვითომ ედემი დააკარგვინა! არა! იმ სხვა ევად, რომელიც ქვეყნად გაუღებს მას სამოთხის კარებს. ნათქვამია, რომ „უნაკო კანონი არ იქნებაო“. ძველ ხალხებშიც, ერია ერთი ტომის ხალხი, ივერიელები, ანუ ქართველები, რომ სულ სხვა თვალით უყურებდენ ქალებს. უფლებით გათანასწორებულ ამაზონელებს პატივისცემით ეპყრობოდენ და უკეთესს მათგანს გოცებით იხსენებდენ, როგორც, მაგალითათ, საოცარ მედიას და გრძნეულ თირთაის, კოლხიდელ ქალებს. ეს იყო კერპთ თაყვანის მცემლობის დროს და შემდეგ, ქრისტიანობის დროს, დედაკაცი კიდევ უფრო ამაღლდა მამაკაცების თვალში საქართველოში. უამისობაც არ შეიძლებოდა, რადგანაც ამ პატარა საქრისტიანო სამეფოში, როგორც ღვთის-მშობლის საუფლისწულოში, პირველობა ყოლიფერში ქალებს ერგოთ: ერთი უბრალო მოგზაურ, უძლურ, კაბადოკიელ ქართველ ქალის, წმიდა ნინოს წინაშე, რომელსაც, გარდა მისივე თმებით ჯვარათ შეკონილ ვაზის მეტი არა ეჭირა რა ხელში, ემხობიან თავიდან ფეხებამდი აღჭურვილი მეფე და დიდებულები. ქეთევან დედოფალი საოცარ მაგალითს უჩვენებს საქრისტიანოს რჯულისა და ეროვნობისათვის წმიდა მოწამეობისას. თამარ დედოფალი, რომლის მეფობის დროს სიკვდილით არავინ დასჯილა, უმტკიცებს მის შემდეგ გვირ-

გვინოსნებს, რომ ქვეყნის გაერთგულება და ამაღ-
ლება შეიძლება მხოლოდ სიტკბოებით, ლმობიე-
რებითა და სიყვარულით. აი ეს სამი ქალი, ეს
„მთიებთა სამაია“ ნათლის სვეტათ წინ უძღოდა
ჩვენ დედებს, ქართველ ქალებს და მათდა სადიდე-
ბლათ, უნდა გამოვტყდეთ, რომ არც იმათ ულა-
ლატნიათ ისტორიულ სიმართლისათვის და ღირსე-
ული მიმდევარი ყოფილან იმ სამთა წინამორბედთა.
მეისტორიენი, სიძველეთა მკლევარნი გაოცებით
ეკითხებიან თავიანთ თავს: რა მიზეზი იყო და რითი
აიხსნება, ზეციურ სასწაულით, თუ ქვეყნიურ
გრძნეულობით, რომ ამ პატარა საქრისტიანო ქვე-
ყანამ, მოიგერა მაზედ მოზღვავებული მტერი, ის
ძლიერი მაჰმადიანთა ერი, რომელმაც გაუჭირველათ
დაამხო დიდებული ბიზანტია და დაინაწილა სლა-
ვიანთა სამთავროები? ადვილი საპასუხოა: ეს სას-
წაული და გრძნეულება ქართველი ქალი იყო, ის
ჭირშიაც და ლხინშიაც მეუღლეობას უწევდა ქმარს
და შვილებს გმირებათ უმზადებდა მომავალს. დღეს,
როდესაც ქვეყანა დაკნინდა და ყოლიფერმა იცვა-
ლა ელ-ფერი, დაქვეითდა ყველაზე უფრო ქალებს
დაეტყო და გარეშე თვალს, მათ შემხედვარეს, სიტ-
ყვა: „ისტორიული ქართველი ქალი“ ზღაპრული
ოცნება, ან სამარადისოთ გადასული და გამქრალი
სახელი ეგონება. მაგრამ შეცდება!.. ყოველი ისე
არ არის, როგორც ჩვენ გვგონია ხოლმე. მსოფლიო
კანონიც საზოგადოა: ყოლიფერი, რაც არსებობს

და მოძრაობს, იღალება... და დაღლილობას კი მოხდა ეპირვება. ტყუილა კი არ უთქვამს მგოსან ბარათაშვილს: „მზე მიტომ ჩადის საღამ-საღამოობით, რომ [illegible] შეისვენოს და დიდ-დილობით უფრო მეტის ძლიერებით ამოელვარდეს ქვეყნის გასათბობ-გასანათლებლადო“. აქაც ისევ: ჩვენ, ქართველებსაც, ქრისტიანობისა და ეროვნობის გულისათვის მტერთან ბრძოლაში საუკუნოების განმავლობაში დაქანცულებს, გვეპირვება შესვენება... დღევანდელი დროებითი ძილი და უმოქმედობა ძალ-ღონის ხელახალი შეკრებაა, რომ გამოღვიძების შემდეგ ძლიერ სახელმწიფოებთან ერთად სვლა შეგვეძლოს განათლებ-წარმატების გზით. მაშინ მოსალოდნელია, რომ პირველ რაზმში ქართველი ქალებიც ჩადგებიან. მაგრამ ჯერ ჯერობით ეს მივანდოთ მომავალს და ჩვენ მიუბრუნდეთ ისევ წარსულს.

არაბთა ცივილიზაციამ პირველ ხანებშივე შემოაშუქა საქართველოში, მურვან ყრუს შემოსევის შემდეგ მე-VIII საუკუნეში. ამ ორ ხალხს შუა კავშირი ერთმანერთობისა არ გაწყვეტილა, უკეთესი არაბთა მეცნიერნი და დიდებულნი უახლოვდებოდენ მეფის ტახტს და მათი გავლენაც დაეტყო ქართველობას. რასაც ყურანი უშლიდა მუსულმანთა ქალებს, იმას სახარება არ უკრძალავდა ქრისტიან ქალებს და მიტომაც არაბთა გავლენით ისარგებლეს ქართველმა ქალებმაც იმ ხანებში. გამობრწყინდენ ქართველი ქალები შიგადა შიგ და მე-

თერთმეტე საუკუნეში უმწვერვალესობამდი მიაღწიეს, არა თუ მარტო საშინაო საქმეში საგარეოშიაც კი—საპოლიტიკო ასპარეზზე. ამისთანები იყვენ: ძმისწული დავით აღმაშენებლის თამარი მთელს მცირე აზიაში განთქმული და „გურჯთ-ვეჭილ-თამარათ წოდებული", ბურდუხანუმი, გიორგი III მეუღლე და რუსუდან გ ორგისვე და თამარ მეფეს მამიდა და გამზდელი, ხოროსნის სულტნის ნაცოლარი ქერეი, კარავ ჯაყელი, ხოშაკ ცოველი—რატი სურამელის დედა ვახახი და სხვანი. და ამ მთიებთა გუნდში უბ ნწყინვალესათ გამოერია თამარი.

ს აარაკო და უჩვეულო მოვლინებამ 1184 წ. მიიზიდა საქართველოს ყოველ კუთხიდან თფილისისაკენ ხალხი. სამეფო ტახტზე აჰყავდათ მეფე გიორგის III-ის ასული თამარი, მშვენიერებით განთქმული. მისის მშვენიერებით თვალშოკრიელი დამსწრენი, მისმა სეფე სიტყვამ კიდევ უფრო გააოცა: „შიშველი მოველ და შიშვლადვე მეგულების განსვლათ ამიერ სოფლით—ამ სიტყვებით მიმართა ერს ტახტზე ასულმა—ყოველივე ქვეყნიური აქვე დარჩება, არა არის აქ ჩემი სასაკუთრო და სამეფო ჩემი კუთვნილებაა თქვენივე. მე ამამაღლა განგებამ მისთვის რომ თქვენდა საკეთილდღეოთ აღვამაღლო სამეფო. და განა შეეძლებ ̇მე ამას, უძლური დედაკაცი, თუ არა თქვენის დახმარებითა და თანამშრომლობით? პირველათ თქვენ მოგმართავთ მამაჩემის გაწრთვნილო, მხედართ მთავარნო და მეო-

მარნო. მომეცით შეძლება, რომ პირველ ყოვლისა გავიმაგრო სამეფოს საზღვრები, გარეშე მტრების მოსაგერებლათ. მერმე მივყობთ ხელს შინაგან გაწესრიგებას და თქვენ უნდა მიწინამძღვროთ, წმინდა მამებო, რადგანც თქვენ, როგორც სასულიერო წოდებას, ჯაწევსთ ორ გვარი მოვალეობა, ხორციელი და სულიერი; რისთვისაც მოგეტისთ ორკეცი მადლობა: აქ—მეფისა და იქ ზეციური კურთხევა. ხოლო თქვენ, დიდებულნო და ერისთავნო, შემი წყვეთ ხელი, რომ მივსცეთ გზა და განი სწავლას, შრომას და ნიჭს, რომელთა ქვა-კუთხედ-ით უნდა დაიდვას საერო სიყვარულიო".

ამ პროგრამით დაიჭირა ხელში სამეფო და არ გაუვლია არც სამ წელიწადს, რომ მისმა არჩეულმა ერისთავებმა სპასალარ, სიქრ მხარგძელის მეთაურობით არა თუ გაამაგრეს, კიდევაც გაადიდეს საქართველოს საზღვრები. ახალგაზდა დედოფლის სახელი და დიდება მოეფინა მთელ მცირე—აზიას. და „შაძხორს" ძლევა მოსილობამ და ადერ ბეიჯანის ეგირის დამარცხებამ თავ-ზარი დასცა მაჰმადიანებს. დიდება ძლევამოსილ, ქრისტე, აღმსარებელი ქალის, ვედარ აიტანა იკონიის სულთანმა, ჯალალედინმა: შეყარა ყოველი მხრით მართლმორწმუნენი და მიადგა საქართველოს. ალარ ეშვობდა, რომ 400 ათასის მეომრით დედამიწასთან გაასწორებდა საქრისტიანო საქართველოს—მაგრამ განგებამ სხვანაირათ გარდასწყვიტა საქმე და სირცხვილეული

დამარცხებული, სულთანი უკუნიქცა, რომ ტყვეობისათვის დაეხწია თავი.

მთელი ბანკი მისი აუარებელი ქონებით დარჩა მძლეველებს. ამას შემდეგ შეაჩერა მახვილი, მოხარკა სამეფოები და მიყო ხელი შინაგან საქმეებს:

აახლებდა და აგებდა ციხე-ქალაქებს, ურწყულ ადგილებში გაყავდა არხები, აშენებდა ტაძრებსა და უძღვნიდა შესაწირავებს არა თუ მარტო თავის სამშობლოს ყოველ კუთხეში, გარეშეც კი, მაგალითათ: იერუსალიმში, ანტიოქიაში, ალექსანდრიაში, ფრაკიაში, მაკედონიაში, კონსტანტინოპოლში; ათონზე, კვიპრზე და სხვანი. დააარსა ტრაპიზონის იმპერია, სადაც გაახელმწიფა ბიზანტიის იმპერატორის ანდრონიკე—კომნენის შვილი ალექსი და სიკვდილამდე ყოველგვარათ დიდებულ და უზრუნველ ჰყო საქართველო. მის მეფობის დროს თითქმის 28 წ. განმავლობაში, სამწუხარო მხოლოთ ერთხელ შეხვდა. ეს მოხდა 1190 წ. როცა აჯანყებულმა იმერთა ერისთავებმა ვარდან დადიანმა, ბოცო ჯაყელმა გიუზანმა, ბედიანმა, დალათო შარვაშიძემ, ბარამ ვარდანიძემ და სხვებმა გამოიწვიეს კონსტანტინოპოლიდან, პირვანდელი ქმარი თამარის რუს-გიორგი და გამოაცხადეს საქართველოს მეფეთ გეგუთს. მაგრამ დიდი დრო და ბევრი ჯაფა არ დასჭირვებია, ძლევამოსილ დედოფალს აჯანყებულთა დასამორჩილებლათ. და ამ უსიამობამ ისე ჩაიარა მის ცხოვრებაში, როგორც უსიანო რამ

სწრაფლწარმავალმა სიზმარმა. სულ 28 წ. განმავლობაში იმდენი საქმეები ჩაიდინა, ისე აამაღლა საქართველო, რომ ყოლიფერი მის შესახებ, რომ უტყუარი ისტორიული საბუთები არ გვეჭიროს ხელში, ზღაპარი ან სიზმარი გვეგონებოდა. შთამომავლობამ აღარ იცოდა რაგვარი სამადლობელი, უნდა შეეწირა ამ საარაკო ქალისთვის. და ისტორიამაც სხვა უკეთესი რამ ვეღარა მოიგნო-რა, „თამარ მეფე“ უწოდა—მამაკაცის სახელი მიანიჭა და მით გვერდში ამოუყენა მსოფლიო მამაკაც გმირმირონცხებულებს. ქართველთა ეკლესიამ წმიდათა თანა შერაცხა ეს მეფეთა შორის საკვირველება, და სადღესასწაულოთ დანიშნა პირველი მაისი, ანუ როგორც ძველათ უწოდებდენ ვარდისთვე.

Дღეს მის სახელს დღესასწაულობს, არა მარტო დღევანდელი ქართველები ისინიც კი, რომელნიც ოდესმე ქართველებათ ყოფილან, მაგრამ შემდეგ კი დრო და ვითარების უკუღმარდობით გადარჯულებულან...

დავითის გვირგვინი.

ქართველ ებრაელთ ლეგენდა.

ითვარე ღამე ამოდის, ვარსკვლავები ბნელში ბრწყინავენ, მაგრამ როცა მზე ამოიელვარებს, მაშინ კი ყველა უჩინარია!... ღვთისაგან რჩეულ ურიებს არაოდეს არ კლებიათ წინასწარმეტყველთა გუნდი, მაგრამ მთავარ-მეტყველები ჩრდილავდენ და მათ აღარავინ იხსენიებდა.—ასე იყო სამუელის დროსაც, როდესაც ერთი დაჩრდილულთაგენი გავიდა უდაბნოთ და განმარტოვებულათ სცხოვრებდა ქვაბში. ქვეყანას ერიდებოდა, აღარავის იკარებდა, არავის ხედავდა.—მხოლოთ ათასში ერთხელ გულ-კეთილი სოფლელები მწყემსები ხელით მოსაკითხს უგზავნიდენ: დაუდგამდენ ქვაბის პირათ სავსე ჯამ-შურკლებს და მეორე დილას, დაცლილი, უკანვე მიქონდათ. ხან და ხან იმ ჭურჭლებთან ერთათ საჩუქარიც დაუხვდებოდათ ხოლმე: რაღაც უცნაურათ გამოკოპიტებული ხე, წელქვეით გამობერილი, წელ-ზეით ჯოხის გვარი, ყელში

უსწორ-მასწორ ნახვრეტებით და შიგ გაყრილ-გამოყრილ ჩხირებით; შუაზე სიგძისათ თავიდან ბოლომდე ერთი ძაფი ქონდა გადაჭიმული და შვიდი სხვა კი ისე ეწყო გულზე გაუბმელათ.

„აი, ახირებული კაცის უცნაური საჩუქარიო!“ —ამბობდენ სიცილით მწყემსები—„რა უნდა იყოს? და ან რა სახმარია?!. სათამაშო არ არის!.. ჭურჭლათ არ გამოდგება!—კომბლათ მჩატეა და ჯოხათ მოკლეო“. იცინოდენ და გულ-გრილათ ამსხვრევდენ ქვაზე—მხოლოთ ძაფებს კი ატმასნიდენ ერთმანეთს... აგრეხდენ, გამოყავდათ წვრილი ბაწარი და საბელ-ბორკილებს უკეთებდენ თხებს.

მაისი მიწურულიყო, დღე და ღამე იყრებოდა. ღამე დღის მშვენიერებით და დღე ღამის სიკეკლუცით მიზიდული, ერთი მეორეს თვალს ვეღარ აშორებდა და ერთ ხანს, თითქო გაქვავებულსავით ერთმანეთს შეყურებდენ!..

სწორეთ ამ დროს გამოსულიყო ქვაბიდან განდეგილი, შეყურებდა ცა და ქვეყანას და ჩანგით ხელში ადიდებდა შემოქმედს: ჩანგი კვნესოდა!. წყვლა-კრულვის ხმა, შვება-ლხენის ჟღერასთან ერთათ, შეერთებულათ გამოისმოდა!. სიმები მორჩილებით იმეორებდენ დამკვრელის გულისთქმას: ხან ეგვიპტურ ტყვეობას ქკითინებდენ, ხან კიჟინასა სცემდენ ზღვა-მეწამულში დანთქმულ ფარაონს, ხან უდაბნოში ეგზო-უკვლოთ ხეტიალს წუწუნებდენ და ხან, აღთქმულ-ქვეყნის მოპოებით გულ-

დამშვიდებულნი, ხმა-ტკბილათ ადიდებდენ ყოვლის შემძლებელს!..

ძარი ჩამდგარიყო, თითქო შეჩერებულ-მდინარეს ხმა ვაეკმიდა და მოხიბლული არე მარე სულგანაბული ყურს უგდებდა!. დაიქანცა მოხუცი!. მიდვა განზე ქნარი და ერთხელ კიდევ მიმოიხედა. მის მახლობლათ იდგა გაქვავებული ერთი მშვენიერი თვალ-ჭრელი ახალ-გაზდა; ოქროს ფერი ხუჭუჭი განიერ ბეჭებზე ტევრათ ეყრებოდა, სახე გაბრწყინვებოდა და მოელვარე თვალებით მოწიწებით შეეყურებდა.

—„ვინა ხარ შვილო?“ კითხა გაკვირვებულმა.

—მწყემსი! მიუგო ახალგაზდამ.

—აქ, ამ უდაბნოში, რას მოუყვანიხარ?

—თხები დავკარგე და საძებრათ დავდივარ.

—მარტო მწყესიდი?

—სხვებიც იყვნენ, მაგრამ ყველა თავ-თავისას უვლიდა!.. მე კი ჩემსას თავი ვეღარ გავართვი!. მეთაური-თხა მოუსვენარია. გარბი-გამორბის და ჯოგსაც გაიტაცებს ხოლმე.

—ბანა სხვა მწყემსების თხები კი უფრო მშვიდობიანი არიან?

—არა!. მაგრამ ბორკილი ეყრიათ!.. სხვები თქვენი საჩუქარის ძაფებსა გრეხენ ბაწრათ და ფილმანდებს აკეთებენ.

—შენ?! არ მიგიღია?. არ გრგებია საჩუქარი?

—როგორ არა, მაგრამ სხვებსავით ვერ გავი-

მეტე,—უთხრა დარცხვენით—შინ რომ მიმქონდა, გზაში ეცრათ თითი მოვდევი ძაფს და საკოდვავათ დაიკვნესა, თითქოს ტკლობას ეჩივილო!.. შემებრალა და გვერდით მეორე ძაფი გავუჭი; ვსინჯე და იმანაც ხმა გამოიღო. შევდევი ავაბი და რვავე ერთათ ავაწკრიალე!.. მოვინდომე მათი შეთანხმება, მაგრამ...

—მაგრამ?

—ვერ დავიმორჩილე!... ვერ შევახმატკბილე ისე, როგორც შენ!.“ მოხუცმა თავი მაღლა აიღო, შეხედა ცას და ხმის კანკალით წამოიძახა: „ოჰ, იეგოვა!.. ეს ის შენი რჩეულია, რომელსაც დიდი ხანია მოველოდი“!.. მოკიდა ხელი ახალ-მოწაფეს და წაიყვანა გამოქვაბულში.

ეურჩა უფალს საულ-მეფე და გაარისხა ღმერთი. მოევლინა ჭირი ურიასტანს და აღელდა ერი. მაშინ გამოეცხადა მეანბოხეთ წინასწარმეტყველი, როგორც შუამავალი და გადასცა ნება მომავლინებელისა: „დაუტევეთ საულ და აირჩიეთ სხვაო!“ —იყო კაცი ვინმე სათნო და ღვთის მოყვარე, იესე ბეთლემელი, მისას მივიდა სამუელ და უთხრა: „კურთხეულ არს ამიერიდან სახელი შენი! - მოვალ რათა ვაკურთხო ძე შენი და ვსცხო ზეთიო!“ გმოცებულმა მამამ წარმოუდგინა პირმშო, თვით საულზე არა ნაკლე თვალ-ტანადი და მისივე მხედართ-მთავარი, მაგრამ არ მიიღო წინასწარმეტყველმა. გამოგვარა მეორე—ესიც დაიწუნა. შვიდი შვილი

ერთი მეორეზე უკეთესი ეჩვენა და არც ერთი არ გამოდგა სამეფოთ. ბოლოს მოიხვეს ყველაზე უნ-�, ჯერ კიდევ მწყემსი დავით. შეხვდა სამუ-ელმა და კითხა: ეგ რა გადაგიკიდებია მხარზე?

—შურდული!—მიუგო მორჩილათ მწყემ მა.

—ეკ არის შენი ფარ-ხმალი?

—სხვას არა ვხმარობ!. მხოლოთ ამითი ვიგე-რებ ნადირს! ბევრჯელ მძვინვარე ლომიც კი გამი-ბრუნებია... მომიკლავს კიდეც!—დაუმატა მშვიდათ.

—ხელში რადა გიჭირავს?

—მეუდაბნოეს საჩუქარი, ჩემგან ქნარათ გა-დაკეთებული. დაკვრა კი თვით მეუდაბნოემ მას-წავლა ამის მეტი ხელობა არა ვიცი რა!.. ეს არის ჩემი ჭირი და ლხინი, ჩემი მანუგეშებელი და სიმ-ხნის მომცემი; ამის ხმაზე ვაგროვებ აქეთ იქით გა-ფანტულ თხებს და დასასრულ ამით ვადიდებ უფალს.

„ეძას ვეძებდ!—ეს არის!“ სთქვა წინასწარ-მეტყველმა. „იმ თავითვე ხელში დაგიჭერია ნიშანი მეფობისა: ეგ ჩანგი არის შენი სამეფო და სიმები სხვადასხვა ერი. შენ არ მიგიგრეხია სიმები ერთმა-ნეთზე, რომ მით შუა ძაფი გაგედიდებია და გაგე-ხადა საბმელათ!.. მხოლოთ შეგიკავშირებია ერთ-მანეთისათვის შეუცვლელათ თავ-თავის საკუთარის ხმით და სიდიდით!. შეგიხმატკბილებია ერთ ჰანგათ და მოგინადირებია სამწყესო. ბწყსე სამეფოცა შენი მაგგვარათ დაჯდე საყდარსა ზედა უკუნისამდეო!“ აიღო ჭურჭელი და სცხო ზეთი... გაიხსნა ცა, გად-

მოვიდა მაღლით გვირგვინი და დაედგა თავზე დავითს. სამუელმა ნიშნათ მადლობისა ხელები ააპყრო ზეცისადმი. იესემ მუხლები მოიყარა და ეამბორა კალთაზე წინასწარმეტყველს. გაკვირვებული ერი თავდაღმა დაემხო! ახალცხებულმა ჩამოკრა სიმებს და ააღერა საგალობელი: „ყოველი სული აქებდით უფალსა! აქებდით ღმერთსა ყოველნი ერნი!“ და ყოველსა ენასა ზედაო!“ მისცა ზეცამ ბანი და ფსალმუნი საგულისხმო გაისმა კიდით-კიდე.

ფ უ ლ ი.

ულო, ეშმაკის ნაქედო,
მადანო ჯოჯოხეთისო!
ბანვედი ჩემგან!.. კრულ იყავ!!
არ მსურს გემონ... გეთვისო.

—

ძვეყნიერება თაყვანს გცემს
და შენი მაძებარია;
უშენოთ ჩვენი ცხოვრება,
მართლა, რომ, ნაღველ-ძმარია,

—

მაგრამ მე მაინც არ ვეძებ
შენს თანა-მეგობრობასა!.
ლარიბი ღარიბს ვადიდებ...
არ მოვ ული შენთან მტრობასა!...

—

ვიცი ვინცა ხარ და რა ძალაც,
ცხოვრებით გადაქცეული,
სწორი გზის ამრევ დამრეკი,
ეშმაკის მახე, წყეული.

—

ჯიბიდან შეეპარები,
წმიდა გულს, გასახრწნელადა,
სწორ მხედველობას წაართმევ,
ნათელს უჩვენებ ბნელადა.

—

მაგრამ სანამდი? და რისთვის?
ბანა ეს არის ცხოვრება?
რაღათ ღარს მაშინ სინათლე,
თუ ისევ მალე გაქრება?

—

სამარადისო არც შენ ხარ,
ბაქრები როგორც სიზმარი;
მოვა, შენს ადგილს დაიპერს
მოთხოვნილება სხვა გვარი:

—

შრომა და პატიოსანი
ოფლის ღვრა სწორის-სწორისო;
თავის-უფლება, ერთობა
და ძმობა ერთა შორისო.

გაზაფხული.

ღეს მერცხალი შემოფრინდა,—
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
„გაზაფხული! გაზაფხული!“
გულს იმედი დამესახა.

—

მივდექ სარკმელს, გადვიხედე,
არე-მარე მესხვაფერა!—
სასოებამ ფთა გაშალა,
გულსა მკრა და ამიძგერა!

—

სუნი მეცა გაზაფხულის,
უცნაური ვიგრძენ ძალი...
ვსთქვი, თუ გულსა რაღათ ვიტეხ?
ახლოს არის მომავალი!

—

მოვესწრები, რაც მინდოდა
ზამთრისაგან დაჩაგრულსა:
ვნახამ ქორწილს ბუნებისას,
გავიგონებ მის მაყრულსა.

—

უკანასკნელი ნატვრა.

ანამ მესხა წვერ-ულვაში,
ბულიც მქონდა საგულესა,
ბედმა ხორცი ეკლით მჩხვლიტა,
სულს ნაღველი გაულესა!

—

დღეს, როდესაც გული გატყდა
და თმა იმკო ჭაღარითა,
ნულა მოვა ბედი ტყვილათ
სიცილით და ნაღარითა!...

—

მის გულს ვეღარ გაამთელებს
ია-ვარდის კონებითა,
ვინც სრულიათ ურწმუნოა
ბრძნობითა და გონებითა!

—

ის დანაშთენ სიცოცხლეში
არ ნატრობს მეტს აღარასა:
რომ სამშობლოს მტრის სისხლითა
ილებავდეს ჭაღარასა!....

სასოწარკვეთილება.

ეი სამშობლოვ, სხვებისთვის დედავ,
ჩემთვის კი ავო დედი-ნაცვალო,
ვიცი, დაიბან პილატეებრ ხელსა
და იტყვი, რომ ხარ შენ დღეს უბრალო.

—

ჩემს ტანჯვაში და ჩემს განსაცდელში.
მაგრამ მსურს გითხრა მე საყვედური
მხოლოთ მისთვის, რომ უნდა გათავდეს
ჩემი შენდამო აწ სამსახური.

—

დღეს პირველათ და უკანასკნელათ
დაუფარავათ ვიტყვენ შენზედ გულს
და ეღარ ვმალავ იმ მძიმე ტვირთსა
დღემდის კი მხოლოთ ჩემთან დამარხულს!

—

სული და გული, ბუნების ნიჭი,
სიჭაბუკე და წამი ყოველი
შენ შემოგწირე და რა მივიღე
სამაგიერო მე სასყიდელი?

—

უსამართლობა, მტრობა და დევნა!
ცილის-წამება გულის საკლავი!
და საუკუნოთ განსასვენებლათ
მოსწრაფებული შავი საფლავი!

—

შავი საფლავი, სადამდის მტრობა
ვეღარ ჩაყვება ძალ-მიხდიდს მკვდარსა
და მცილებელთა შავნი საქმ ნი
ფერს ვერ უცვლიან თეთრსა სუდარსა.

—

უკანასკნელ ჟამს ძე ეს მამხნევებს,
ეს მრწამს დასიკვდილს მიტომ არ ვნაღვლობ
და სინიდისის სიწმინდისათვის
მტერ-მოყვარესა ჩემს ბღდსა ვმადლობ!

—

დღე, მან დაგმოს ჩემი საფლავი
და მან დამქოლოს წყევისა ხმითა,
ვისაც ეშრომოს აქ ჩემზედ მტერათ,
სიტყვით ან საქმით, ან გულის თქმითა!

—

და მან გამკიცხოს და შემარცხვინოს
უსამართლოთ და უცროვოთ მკვდარი,
ვისაც ჩემსავით აქვს სიყვარულით
სული წმინდა და გული მდიდარი!

—

მშვიდობით, ჩემო დედინ ცვალო,
ჩემთან პირ-შავო ჩემო სიმშობლო!
შენდობილ იყო ჩემგან ამიერ,
და ღმერთმა მოგცეს კეთილი ბოლო!

გამოფხიზლება.

ავკაჟებივარ შავ-ბედსა,
დავდივარ შეუპოვარი!
ვერ შემაშინებს რიცხვით ცა,
ჭირზედა ჭირის მთოვარი!

—

არ ვულალატებ სინდისს,
თავს შევინახავ წმინდადა
და ჩემ სიცოცხლის ვიგულებ
ჩემის სამშობლოს წინდადა!

—

ოფლით მოვრეცხავ სამშობლოს,
იმ წმინდა სისხლით ღებულსა,
რომ შევეყარო პირ-ნათლათ
იქ ჩვენს წინაპრებს ქებულსა!

—

და აქ კი შესანდობარსა
ჩავარაკრაკებ კულითა
და შემოვძახებ თამამათ
ბრძნობით აღვსილის გულითა:

—

„ჩონგურო, ჩემო დიდებავ,
და ძლიერებავ კალამო,
ზოგჯერ ფინთიხო გულისა,
ზოგჯერ წყლულისა მალამო!

—

ნუ გამომილევთ ძალ-ღონეს
საბრალოს მუშას მთესველსა,
მებრძოლსა გულ-გაუტეხელს,
ბნელში იმედით მკვესელსა!

*
* *

(ს ცენიდან ნათქვამი)

ქ, სადაც, ძმებო, უმეტესობას
უკუღმა ესმის პატიოსნება,
ურს ვინ დაუკდებს სიმართლის მღერის
და ვის რათ უნდა ტკბილი მგოსნება?

—

ქ, სადაც მხოლოთ პირადობისკენ
აქვთ მიქცეული თვალი და ყური,
რათ იამებათ, აბა შითხარით,
ლექსი ტკბილი და ტკბილი ჩანგური?

—

ქ, სადაც მოძმე თავისვე ძმასა
მტერთან აბეზღებს მარათ-და-მარათ,
ვინ ეყოლება საბრალო მღერალს
გაჭირვების დროს შემწეთ და ფარად!

—

Იქ, სადაც თურმე ქვეყნისთვის შრომა
მაიმუნობა ბევრსა გონია,
მართალი სიტყვა სცენიდან თქმული,
რა სასიამო გასაგონია!

სიმღერა.

ულბულმა სთქვა:—„პოეტები
ვარდის ჩიტათ მიწოდებენ;
სიყვარულის ტყვე ვგონივართ,
მიბრალებენ!... მიკოდებენ!

—

გონიათ, თუ აგზნებულათ
ხხვადასხვა ხმით მისთვის ვმღერი,
რომ მიყვარდეს ვარდის სუნი
და მომწონდეს მისი ფერი!

—

ვერ უგრძვნია იმათ გულსა,
ვერც მიმხვდარა მათი ჭკუა,
რომ ვარდისკენ მიმიზიდავს
ცის ნამი და ჭია-ჭუა!“

სხვადასხვა გვარი სიყვარული.

ართველ ქალმა სიყვარული
ტრფიალებით გამოხატა,
კაცის გული რკინათ სახა,
თვისი მასზედ ანდამატა.
იმერელმა კი ამ გრძნობას
ანგარიშიც დაუმატა,—
სთქვა: „თუ კაცი თაგვი არის,
ძალი უნდა იყოს კატა!

—

რომ კედ ქნევით და კრუტუნით
შეაცდინოს, დაიჭიროს,
ხან შეიპყრას, ხან გაუშვას,
ხან აცინოს, ხან ატიროს,
არც მოკლას და არც არჩინოს,
მის მკვრეტელი გააკვირვოს,
და მსხვერპლი რომ დაუკლექდეს,
მერმე სხვებზედ ინადიროს!“

—

მეგრელმა სთქვა: „სიყვარული
    უნდა იყოს დაფარული, —
ტურასავით ფაცხაში ძვრეს,
    თუ დაუხვდეს კარ-ხურული;
მაჟვაბელად თავს დამაწვეს,
    მით დამიფრთხოს ტკბილი რული
და მთელ ღამეს მაცოდვილოს,
    ქმარმა ხვრინვით სთქვას მაყრული!“

—

გურულმა სთქვა: „სიყვარული
    რას მიქვია დაფარული,
გაბედული უნდა იყოს,
    პირდაპირი, ვით შურდული,
გაუწყვეტის კავშირითა
    გადააბას ორი გული
შიგ ყვავილი ჩამისახოს
    და მუდამ გაზაფხული.

—

ქაცი უნდა ლომი იყოს,
    დ(ედალ ვეფხვად მე დამსახოს,
მე ჩიტივით მეპიკპიკოს,
    სხვებს ზარის ხმით შეუძახოს,
რომ მის შიშით ყველა ძრწოდეს,
    ხელი ვერავინ ვერ შემახოს;
და იგი ღმერთმა შეარცხვინოს,
    ვინც ამ გვარი ტრფობა სძრახოს!“

სხვა გვარი ტრფობა.

ქალო, ნუ იცხებ ფერ-უმარულსა,
ნურც იხუჭუჭებ შენ კეკლუცად
თმას:
ვერ მოიმიტებ მით სიყვარულსა,
ვერც გაადიდებ ამ ჩემს გულის-თქმას.

—

დრო გადაგსვლია! არ ხარ ყმაწვილი,
გამოგიტყდები, ვერ დაგიფარავ,
გაკლია კიდეც საძირის კბილი;
ნულარ ყმაწვილობ, წლებს ნუ იპარავ!

—

რა საჭიროა, რომ კარგად იცი,
ისეც მიყვარხარ გულ-აღფლვებულს!
თუ შენ გიყვარვარ, რად ‘ვინდა ფიცი:
სცნობს საყვარელი საყვარლისა გულს!

—

საქვეყნოთ გეტყვი, რომ დაიჯერო:
შვმსჭვალული ვარ მე სიყვარულით!
მსურს, გული მხოლოდ შენთვის ვაძგერო
და გეტრფიალო სულით და გულით!

—

მისთვის მიყვარხარ, რომ შენ ხარ ქალი
ჯეშმარიტების გრძნობით აღვსილი;

რომ აასრულე მშობელის ვალი
და გამოზარდე მამულის შვილი!...

—

რომ ნანინაში შენს პატარა შვილს
არ უმღეროდი მრუდე მაღლობას
და სიყრმიდანვე იმ. უმანკო ჩჩვილს.
რომ არ აჩვევდი მით საძაგლობას!

—

ეტყოდი: „თუმც ხარ შენ ჩემი შვილი,
მაგრამ ეკუთვნი პირველ სამშობლოს!
შენ კი მიიღე ღირსი სიკვდილი
და დედა-შენმა, დეე, იობლოს!

—

უმეცრებისგან დამონებული
ვართ, შვილო! არ გვაქვს ჩვენში ჩვენ ბინა,
და შენ აივსე მათ შურით გული,—
ეს არის, შვილო, ჩემი ნანინა!“

—

წრთვნიდი რა შენ შვილს აი ამ გვარათ,
პატიოსნების გზა მოუპოვნე
და სიყვარული მამულის მარად
დედის რძესთანა თან შეაწოვნე!

—

მომეცი ხელი, გული მაქვს ცხელი,
რომ მოგეხვიო, მომეცი ნება!
შენ გენაცვალოს კეკლუც ყოველი;
ოხერიც იყოს მათი შვენება!

მე შენ არ გეტრფი შვენებისათვის,
არც თითები გაქვს ბროლივით თლილი!
მე გიამბორებ ხელზედ მისათვის,
რომ მაგით გეპყრა მამულის-შვილი!

—

შენს მკერდს ვემთხვიო, მაქვს მე სურ-
ვილი,
თეთრი რომ არის—მისთვის კი არა!
არა... მისთვის, რომ მამულის-შვილი
ჯეშმარიტ დედას მაგ გულში გეპყრა!

—

მაშ ნუღა იცხებ ფერ უმარულსა,
ნურც იხუჭუჭებ შენ კეკლუცათ თმას!
ვერ მომიმატებ მით სიყვარულსა,
ვერც გაადიდებ მით ჩემ გულის-თქმას.

გამოსალმება.

ემო ჩანგო, ობოლ მწირო,
ჩემის უბედობის ძირო,
მტრებისაგან ქვებ ნასროლო,
მოყვრებისგან განაწირო!

—

ბეთხოვები შენი მონა...
ვერ მოგიმკე ვაროის კონა! ..
ნაცვლად ეკლის თაიგული
ბიძღვენ მწარ-სიცოცხლის წონა!...

—

ვის ვსტირიროდით ჩვენს არეში
ან დღე, ან ღამე—მთვარეში?
უპასუხოდ რად მ..ვდივართ,
მეგობარო, სამარეში?...

—

რას ვკითხულობთ? შორს არ არი,
წავიდეთ სამარის კარი!...
უკანასკნელად იუღერონ
სიმებმა სიკვდილის ზარი,

—

რომ დამშვიდდეს გულის ვნება:
ერთს წამს ვნახო განსვენება
და ოცნებით დამეხატოს
მე ამ გვარი მოჩვენება:

—

ბამოჩნდეს ქართველი ქალი,
რომ ემოსოს კაცის ძალი
და მამულის სიყვარულის
ბულში ედვას ტრფობის ალი!

—

მას ჭაბუკი აძლევდეს ხელს,
ვით თანამგრძნობს მის სასურველს,

და ორ-კეცის სიყვარულით
ბადიოდენ ბრძოლისა ველს!...

—

რომ მათ ჰქონდეთ ერთი პირი,
ერთი ლხინი, ერთი ჭირი
და ერთად გამოეზარდოსთ
მამულისთვის შვილი გმირი!

—

მაგრამ, ვაი, რასა ვჰსური?
თითქო ვიყო უსუსური!...
რად ვერ ვგრძნობ, რომ ოცნებითაც
ვერ იხარებს უბედური!...

—

ეჰ! გაჩუმდი, ჩანგო კრულო!..
სუ! ნუღა სძგერ, გულო წყლულო!..
და, რაც მტანჯე, ის მაკმარე...
უშფოთველად გაქრი, სულო!...

ჩემს მეგობარს.

ბელში მიჰირავს შენი უსტარი,
ნუგეშად, სატრფოდ მონაწერია,
ბრძნულის აზრისა, გრძნობით დამტკბარი,
და მით ამ გულის ამაძკერია!. .

—

მოგიწერია, ყველაზედ მეტო,
ჩემი წყლულების ტკბილო მალამო:
„ბრძნობით აღვსილო, ჩემო პოეტო,
შენსა სევდასა ნუ მიმალამო!“

—

შენ არ მოსტყუვდი ჩემის ღიმილით,
სჩანს, გეყურება ამ გულის ძგერა!...
და მეგობრულის თანგრძნობით ტკბილით
მსურს მომისმინო მე აღსარება,

—

რომ ჩემი მჭკნობი, ჩემი მღალავი,
ბლახ ჩემი ტვირთი გაიზიარო?
მაშ მოამზადე, თანმგრძნობო, თავი,
რომ შენცა ჩემთან ცრემლები ჰღვაროო!..

—

წარსული, აწმყო და მომავალი
ჩემი არს ბრძოლა ჩემივე ბედის!
მით სისხლის ცრემლით მომერწყო ცვალი
და სურვილიცა განქრა იმედის!

—

ძმათ სიყვარულით აღმევსო გული,
რა რომ შევიძელ ავ-კარგის ცნობა,
ვშრომობდი მათთვის თავ-განწირული,
მაგრამ ვერ ვჰპოვე მათში თანგრძნობა!..

—

ვიდოდი ხალხში შეუპოვარად
პირ ბადიანი და მომღიმარი,

მაგრამ ჩუმად კი მიწურავს ღვარად
ოხვრით ნართავი ცრემლები მწარი!...

—

სულით და გულით ობოლი, მწირი
ჩემთ დღეთა ასე ვათენ-ვალამებ,
რომ სისუსტისგან თავს მაინც არ ვხრი
და უგუნურს მტრებს მით არ ვახარებ.

—

მაგრამ კაცი ვარ მეც-ხორც-შესხმული,
უბედურს წამებს მეც ხშირად ვმონებ,
და მაშინ, რომ კვლავ გამემხნეს გული,
სიმხნის მალამოდ მე შენ გიგონებ...

—

გიგონებ და კვლავ ისევ ხალისით
ჩემს მწარე მიზანს ვემსახურები
და განწმენდილის მე სინიდისით
საფლავისაკენ მივეშურები...

—

რადგანც ვიხილავ მე განსვენებას
უგრძნობლობითა იმ უმწარ-ტკბილით,
ბოლოს მოუღებ რა მოთმინებას
საუკუნოსა უფსკრულის ძილით!

—

სადაც სიცოცხლით გაჟირვებული
გავხდები მე მყის მდიდარი მკვდარი,
რადგანც ჩემ ცრემლით დასოვლებული
იქ თან ჩამყვება შენი უსტარი!...

Უსტარი ტკბილი, ცოცხლის ნუგეში,
Უსტარი ცივის მკვდრისა სიმდიდრე,
Უსტარი მყოფი ამ ჩემს უბეში,
Რომლითც გიგონებ, ცოცხალ ვარ ვიდრე!..

რჩევა ახალგაზდა მწერლებს *)

ეაკიკინე აკი-ბაკია!
Მართალს, ჰკვიანურს ნურას იმღერი
Თორემ გამოჰხრავს შენს ჩანგს, ვით ჭია,
Ჯკუის მტარვალი ტვინ-მეისტერი.

—

„რჩევა ახალგაზდა მწერლებს“.

*) Განსვენებული Დავით Ერისთავი, დრამების გადამკეთებელი, მეტად გულ-წრფელი და კეთილი კაცი იყო. ამას შემდეგი ამტკიცებს: როცა ის Ოდესაში სტუდენტი იყო, და ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობდით, თურმე მე იმას საშინლად ვეჯავრებოდი დ› ვსძულდი. Ეს მწერლობითაც აღნიშნა განსვენებულმა: დამიწერა ლანძღვა-კრულვის ლექსი, სადაც გველიც კი მიწოდა და სხ.. მე, რასაკვირველია, ხმაც არ გამიცია. Ოდესიდან, რომ დაბრუნდა, მაშინ, კი ძალიან ვერი-

როგორ არ იცი? ჩვენში მართალი
ისე წამხდარა და სცვლია ფერი,
როგორც ურიის მყრალი ფართალი!
ამას გვიმტკიცებს ტვინ-მეისტერი!

—

მაგრამ სიცრუეს და ორ-პიროობას
მარად თაყვანს სცემს ერი და ბერი,
და ვინც არა სცემს — სჩადის ვიროობას!
ამას გვარწმუნებს ტვინ-მეისტერი!

—

შენ ხარ პოეტი, ცხოვრების სარკე,
სადაც იხატვის ყოველიფერი,
მაგრამ ნუ ხატავ ყველას, თავს არგე!
ნუ გადიმტერე ტვინ-მეისტერი!

—

. —

დებოდი, რადგანაც ვიცოდი, რომ არ ვესიამოვნებოდი. **ე**რთხელ მოულოდნელად შემოვიდა ჩემთან, ცოტა ფერ მიხდილი და დამეკითხა: — ?იმიღებო?

—**რ**ატომ არა? დიდის სიამოვნებით—უთხარი მე—ყოველგვარი ნიკი მიყვარს და პატივის მცემელი ვარ!

—**ა**ი, მაგრამ მე რომ ცუდათ გიხსენიებდი?!

—**ე**გ შენი საქმეა!.. **ა**ლბად ცუდათ მიცნობდი...

—**ხ**აქმეც ის არის, რომ სულაც არ გიცნობდი!.. მხოლოდ განაგონებით მყავდი წარმოდგენილი.

„Ეარყუმს რა მოჰკლავს? თავისი ენა!“
ვინ გეხვეწება შენ რომ იმღერი?
ეველას მაგისთვის ჰსურს შენი წყენა
და მას გიწყრება ტვინ-მეისტერი!

—

შენ თუ ხალხს სძულხარ, შენ რაღად
გიყვარს?
წყალმაც წაიღოს მთლად ქვრივ-ოხერი!
შენ რა გატირებს? რად მოჰყვები ზარს?
ამას გიწყრება ტვინ-მეისტერი!

—

ტყვილად ნუ სცდილობ დიდ-კაცის გმობას,
ბინდ მამულისა იყოს ის მტერი,
თორემ შეცდები, ვფიცავ შენს ძმობას,
და გაგიწყრება ტვინ მეისტერი!

—

— —

—ახლა?

ახლა კი თვალ-ყურს ვადევნებ შენ ნაწერებს და ვრწმუნდები, რომ ახირებული კაცი ხარ, მაგრამ საგმობელი კი არა! ახლა მიტომ შემოველ შენთან, რომ ბოდიში მოვიხადო და სიყვარულით შევეხო იმ ხელს, რომელმაც ეს ლექსი „რჩევა ახალ-გაზდა მწერლებს“ დასწერაო.

მითხრა და გამომიშვირა გაზეთი სადაც ეს ლექსი იყო დაბეჭდილი, იმდღიდან მეგობრები ვიყავით ერთმანეთის და ისიც, როგორც მეგობარი მირჩევდა ხოლმე იმერულად ნუ სწერო!...

სჯობს, ნუ დასცინებ ხელ-ჯოხიანებს,
ბინდა შიგ თავშიც უფრენდეს მწყერი,
თორემ იცოდე, რომ გაზიანებს
და გაგიწყრება ტვინ-მეისტერი!...

—

ხალხში სამართალს ტყვილა ნუ ელი!
თუ გსურს არ მოჰკვდე ჩვენში მშიერი,
ფარისევლობას მიჰყავი ხელი
და მოგიწონებს ტვინ-მეისტერი!

—

ხელ-ჯოხიანებს სიტყვა თუ ფული
წინ დაუყარე, როგორც ცხენს ქერი,
თუ გსურს მოიგო იმათი გული
და ასიამო ტვინ-მეისტერი!...

—

დიდ-კაცს რომ შეხვდე, წინ გაუგორდი,
ზურგით ასწმინდე მის ფერხთა მტვერი,
უჰცროსი სჩაგრე, ტოლს გაუსწორდი
და დაგიმადლებს ტვინ-მეისტერი!

—

ბანზე შეაგდე შენი კალამი,
რომ დაეყაროს ბლომად მას მტვერი,
თუ გსურს მიიღო ხალხის სალამი
და შეირიგო ტვინ-მეისტერი!

—

აჯიჯინე აჭი ბაჭია!
მართალს, ჭკვიანურს ნურას იმღერი,

Თორემ გამოჰხრავს შენს ჩანგს, ვით ჭია,
ჭკუის მტარვალი ტვინ-მეისტერი!

სიმღერა.

აგვიზამთრდა, სუსხმა დაგვკრა,
ტკბილ ტაროსი შეგვეცვალა
და უწყალო ქარიშხალმაც
აორკეცა თვისი ძალა!...

—

ვინც თკის ტომის ტყავისაგან
შეიკერა ქერქი თბილი,
მას სიცივე ვერას ავნებს
და ცხოვრებაც ელის ტკბილი.

—

მაგრამ რა ქნას, ვისაც ამ გზით
არ უკერავს სამოსელი,
სიცივე რომ მიადგება
და შიმშილი კუჭის მწველი!

—

სჯობს, მიჰბაძოს იმან მერცხალს:
სიცივეს თუ შეუშინდეს,
გაეშუროს დასავლეთით,
ფრთა გაშალოს, გადაფრინდეს.

—

საზრდო მისცეს სულსა და გულს.
მით სურვილი დაიმწიფოს;
და როს ზამთრის შეუპოვრად
თვისი ღონე მოიკრიფოს,

—

მაშინ ისევ გადმოფოინდეს,
აჭიკჭიკდეს, ვით მერცხალი,
რომ სხვებმაც სთქვან: „გაზაფხული
ახლო არის მომავალი!“

—

დე, დაზამთრდეს, სუსხმა დაგვკრას,
ქარიშხალმაც გვბეროს ველით,
ზამთარი ვერ შეგვაშინებს,
თუ გაზაფხულს კი მოველით!

—

გა**უ**ბ**ე**დ**ა**ვ**ი **ს**ი**ყ**ვ**ა**რ**ულ**ი.

ბერი წელი,
მწარედ მწველი
ბულს მიდაგავს ტრფიალება!
და უბრალოდ
სავალალოდ
ჩემს გულშივე იმალება!

—

მიძგერს გული,
აგზნებული,
მაგრამ გონი მიბამს ენას;
მისი სხივით
სანთელივით
ვსდნები და თანც ვმადლობ ზენას!.

—

თუ ისიც მცნობს
და ისიც გრძნობს,
ჩემებრ იწვის უხმოდ, ერთი..
მაშ, ოხ, ღმერთო,
რად წაგვერთო
ჩვენ კავშირი შემაერთი?!

—

ვიცი, გზნობის
ნამდვილ გრძნობის
ნიშანია მდუმარება,
ცხადად ტკბილი
რამ ღიმილი,
ჩუმად ცრემლი, მდუღარება.

—

მაგრამ მაინც
მეტრფის მე ვინც,
მსურს, რომ ერთხელ გამაგონოს:
„შენ ჩემი ხარ!
„ბულს მიზიხარ!“
მითხრას ეშხით... დამაღონოს!.

Ოთავ ვიცით,
ფიცით მტკიცით
ბრძნობა ჩვენი შეგვიტყვია!
თუმც კი ვხედავთ,
თქმას ვერ ვხედავთ,
ბულზედ გვაწვევს, როგორც ტყვია!..

—

ათი წელი
მეტად მწველი
ბულში გვაქვს ეს ნეტარება!..
ფუგდებთ რა ყურს,
ორივეს გვსურს
და ვერ გვითქვამს აღსარება!..

სიყვარული.

ციყვარულო, ნიჭო სრულო!
ვის აგდებ და ვისკენა ჰფრენ?
ბრმად დახვალ რა უგზო-უკვლოდ,
ძველ ბანაკსა ეკლებით ჰფენ?

—

ბულსა შენგან დახაზულსა
ველარ ჰკურნებს დრო და ჟამი:
თან იტაცებ სიხარულსა,
თან გდევს ოცნებისა წამი.

—

ან რად მოხვალ? რისთვის აღგვძრავ?
და თუ აღგვძრავ, რაღად გვტოვებ?
სიჯაბუკის ვარდსა გვიზრავ,
გვაობლებ და გვამარტოვებ!

—

და გვაობლებ განა გვამით?..
გვამი ჰპოებს მალე თვის ტოლს!..
მაგრამ შენ კი გვტანჯავ ამით,
რომ სულს სტოვებ საწყლად, ობოლს!

—

და ობლობის სამკურნალო
ერთი მხოლოდ საფლავია!
უშენოდ, სამოთხის ძალო,
ტრფობავ, სიცოცხლე ავია!

—

სიყვარულო! სიყვარულო!
წამ-ტკბილო და ხანგრძლივ მწარე!
დროა, ტანჯვა დამისრულო:
გულზედ მიწა დაგაყარე!

სიჯაბუკე.

ციჯაბუკევ, კეთილ-მტკბარო,
სასუფევლის საიდუმლო,

Უკვდავების წმინდა წყარო,
სად ხარ, ჩემთვის დაკარგულო?

—

Ცეცხლის ოხვრით შენი მგონე
Თავს ვამონებ ოცნებას ტკბილს
Და, წარსულით თავ-მომწონე,
Წამთა ვპარავ გულის ტკივილს!

—

Ვცდილობ, ის დრო, აწ გამქრალი,
Დავიბრუნო, მით ვიხარო;
Ძვლავ აღვიგზნო გულში ალი,
ნეტარების ცრემლი ვღვარო.

—

Მაგრამ, ვაი, ჩემსა ჩანგსა
Დავიწყნია ტკბილი ჟღერა
Და ჩვეულებრ მისსა ჰანგსა
ხარკად არ აქვს გულის ძგერა!

—

ტკბილისა წილ ხმასა მწარეს
ნაღვლით სავსე ნაღვლად ვისმენ,
ნაღველს ცრემლად ვღვრი მდუმარეს
Და მას ხარბად სიმნი ისმენ!

—

Ველარ გპოებ ვერც ოცნებით,
Დროვო ერთ-გზის დაკარგულო!
Მაშ სჯობს, იყო მოსვენებით,
ნაღვლით სავსე, წყლულო გულო!

და შენ კი, ერთგულო ჩანგო,
მსურს, რომ ისევ ხელი გახო,—
გაუყრელო ამხანაგო,—
და გულ-მკვლელად შემოვსძახო:

—

„სიკაბუკევ, კეთილ მტკბარო,
სასუფევლის საიდუმლო!
უკვდავების წმინდა წყარო,
სად ხარ, ჩემთვის დაკარგულო?!.“



ენების გასამართლება. *)

ვუძღვნი **ბ. მ**უხრან-ბატონს.

ეუხრანიდან ჯარი მოდის,
წყალივითა იწყო დენა;
მუხრან-ბატონი სარდლად ჰყავს,
უნდა თავის გამოჩენა.

ენების გასამართლება.

*) **ბ. მ**უხრან-ბატონმა გამოსცა წიგნი სხვადასხვა ერების გაერთიანებაზე. **ი**მ წიგნაკში ის აზრი იყო გატარებული რომ პატარა ერებს უფლება არა აქვსთ თვითარსებობის და დიდ ერებში **უ**ნ-

ქართლ-ბატონს შემოსწყრომია,
შეიცნია მაღლა ზენა,
რომ მოყვრობით არ დაზოგავს,
შენდა ამოჰგლიჯოს ენა!
მისი რისხვა და მუქარა
ქართველ-ბატონს მოეხსენა;
ზაჯავრდა და თან გაჰკვირდა:
„რა გვაქვს საჩხუბარი ჩვენა?
თავის გვარი როგორ დაჰგმო,
სჯული როგორ შეაჩვენა?
რა ფათერაკს შეხვდომია!
რა ეშმაკი მოეჩვენა...
რომ სულ უმიზეზოდ შეოთავს
და აღარც ჩვენ მოგვასვენა?
შემიგროვეთ, რაც მყავს ჯარი,
მივეგებო ცხენ-და ცხენა;

და გაითქვიფონო. ამან დიდი უსიამოვნობა გამოიწვია საზოგადოთ, მაგრამ ვინ რას იტყოდა? ერთმა მხოლოდ Iრაკლი ბრუზინსკიმ ჰკითხა: რამ დაგაწერია ამისთანა საუკუღმართო რამ? ან რამ გაფიქრებიაო? —მე დიდიხანია მოფიქრებულიც მქონდა და დაწერილიც, მიუგო მუხრან-ბატონმა—მაგრამ დაბეკდით არ ვბეკდავდი რადგანც შენ გიცდიდიო და როცა შენც შენი ვინაობა აბანოზე გაცვალე, მაშინ კი დეგბეკდეო!.. ეს მე გადმომცა სიცილით ბიორგიმ და თანვე დაშეკითხა: შენ რაღას იტყვი პოეტო?

რომ გავჩუმდეთ, არ ივარგებს,
რადგანც უნდა ჩვენი წყენა!"
ასე ბრძანა ქართლ-ბატონმა
და ზედ ცხენი მიაკენა!
მიეგება მომავალსა,
თავს უჩვენებს აწ დამხვდურად.
მიაძახა: „მოღალატევ!
ფუ, ვერ გხედავ ძმასა ძმურად:
ბული გესლიო აგივსია,
ნათესავის დასამდურად!
მოძმის სისხლში ბელს თუ ისვრი,
მაშ დაგხვდები მეც მეფურად,
სასიკვდილოდ გაგიმეტებ,
ნაღლა გიკვირს ჩემგან ნურად.
ერთს ანდაზას მოგაგონებ,
საგულისხმოდ იხვენ ყურად,

—რაღაი კი საქმე გაბან-გარეცხაზე მივარდება, ერთი აბანო საკმაო არ არის ორაკლისათვისაც, მაგრამ თქვენს წიგნაკსაც კი ბევრი მოუნდება მეთქი—მოვახსენე. მეორე წიგნაკი, თუმცა მზათ ჰქონდა, მაგრამ აღარ გამოუცია და ცენზურასაც ნაბძანები ჰქონდა თვალ-ყური ედევნებია, რომ არავის არა დაეწერა რა იმ გამოსულ წიგნაკზე. ეს ლექსი „ენების გასამართლება," ალეგორიულად დაწერილი შევაპარე ცენზურას. მაშინ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ ლექსმა, მაგრამ დღეს კი აღარა აქვს მნიშვნელობა.

ძმის გაწირვა, მტრის მიდგომა
არ გეთვლება სამსახურად.
ტყუილა ნუ ვსწყვეტთ მაგდენ ჯარს,
ცუდად, სისხლის მოსაწყურად:
თუ გულს გერჩის, ჩვენ შევებათ
ერთმანეთსა, სჯობს, „კახურად“.
მუხრან ბატონს გაეცინა
და უთხრა: „ეგ რა სჩუახეო!
ქაცი ვარ მე ქვეყნის ტოლი
და სუსტად ვით დამძრახეო?
რაც დღეს შენ ჭირი მოგადგეს,
ის შენს თავსვე დასძახეო.
რად მაგჩავნიდი სხვა ქვეყნად,
რად შემიცვალე სახეო?
იქ მე მასწავლეს ხერხები
და ათასგვარი მახეო;
ვერ შემაშინებ მუქარით,
ბირჩევ, სხვა ვინმე ჰფახეო,
თორემ ვერ მომაშლევინებ,
რაც გულით განვიზრახეო.
სასაცილოა ეგ თქვენი
რაღაც სიტყვები მკვახეო...
უმჯობესია, რომ დამრჩე...
სხვა ენით დაიძ·ხეო!“
ქართლ-ბატონს ფერი ეცვალა,
შეიქნა დაღონებული!
რა ექნა, ჯარი არ ჰყვანდა:

მან დაუჩაგრა მას გული,
რომ მომხრედ ვერვის ხედავდა,
ყველასგან დავიწყებული!
დაჯდა საკინძი შეიხსნა,
მოსთქვამდა გამწარებული:
„ვაი, გავკოტრდი, კრეზივით
მე ერთ დღეს გამდიდრებული!
და აწ სიცოცხლე რად მინდა,
დამმარხეთ გაშავ-დღებული!“
ამ მოთქმაზედ მთლად შეიძრა
ქართლ-კახეთი, იმერეთი,
მოვიდენ და მოახსენეს:
„ბატონო, დაგვეცა რეტი;
მართალია, თქვენ მომხრედ დღეს
არ ვარგივართ ჩვენ არც ერთი,
მაგრამ შვილებს გამოგიზდით,
თუ ხელს მოგვიმართავს ღმერთი.
მანამდი კი მოითმინეთ,
ჯირს როგორმე გაუძელით;
თორემ ჩვენ ყველას ყელს დაგვჭრით
და თქვენც გამოიჭრით ხელით;
სჯობს, ჯერედ ცოტას დასჯერდით,
იმერლები იახელით!
მართალია, მათგან შველას
და კურნებას მთლად ნუ ელით,
მაგრამ არაობას ხომ სჯობს,
რომ დავრჩებით ცალ-უღელით?!.“

*
* *

ერთხელ ვნახე, მეტად ვერა,
ვინც მე გული ამიძგერა,
ვისიც სახე და სახელი
ზულის ფიცარს დამეწერა.

—

ხევდავ, ხელი მით შეგახე,
რომ მეორედ ვერსად ვნახე
ცხადად!.. მაგრამ ოცნებით კი
თვალ-წინ მიდგა მისი სახე:

—

პირ-ეთერი, ტანად სარო,
სათაყვანო, სანეტარო,
ჭმუნვილისთვის სამკურნალო,
უკვდავების ვითა წყარო.

—

ბროლ-ფიქალზედ ვარდ ღაწვები,
— ზულო რად არ დაიწვები? —
ბროლ ბალახში, ბაგე-ლალი,
ბაგეთ ტკბილად დასაწები.

—

შავ-ხუჭუჭ-თმა, ნაწნაკ ბევრი,
წამწამ-ხშირი, წარბებ-ტევრი...
კერძოდ ყველა-სიყვარული,
ერთად — სიყვარულის წევრი.

ხალ-ნასობი, ყელი ბროლი,
სიამითა ამაჟრჟოლი,
უყირჭებლად სურვილისა
სამარეში თან-ჩამყოლი!

—

მოკიმკიმე, თვალ-მაყალა,
პარ-ნათელი, მხიარული,
უძლეველი რამე ძალა,
ყოვლით სრული სიყვარული!

—

ამაჟრჟოლი, ხმა-ნარნარი
ერთბელ ვნახე, მეტად ვერა,
მაგრამ მაინც მოვრთე ქნარი
და მის ეშხზედ ვიწყე მღერა!

—

ვით ბულბული ტურფა ვარდსა
შორით უყეფს, ბედზედ მწყრალი,
მეც ისე ჩემს გულის დარდსა
შორით ვუმღერ, ეშხით მთვრალი.

—

მიხდილ ფერით, გულის ძგერით,
აღშფოთებით ვიფრთხობ ძილსა,
და სურვილს ვკლავ, რა სიმღერით
ოცნებასა ვმონებ ტკბილსა..



ძველი და ახალი წელი.

ციპუ! ციპუ! ციუუ!
ხელში მიჭირავს ქამანჩა;
მსურს, გავბერო სტვირის გუდა,
რომ ლექსებით ძველ ბატონსა
მივაყაროთ ქვა და გუნდა!..
რაც რომ იმან ჩვენ გვაკვნესა,
ქმარა!... მეტი აღარ ულდა!..
მტარვალობდა, მაგრამ ბოლოს
მასაც ფერი გაუხუნდა
და ახლისა მოსვლის წინად
უსირცხვილოდ წალაყუნდა!..
ზოგიერთი პირუტყვები
შეიკრიბენ გუნდა გუნდა
გაჰყვნენ, ცრემლით გააცილე!,
წინ უძღოდათ მელა-კუდა.

—

თავს სტირიან: „რაღა ვქნა?.ო?
ჩვენს ბუმბერაზს ვშორდებითო;
იმის ხელ'ში აღმა მსვლელი,
აწ თავ·დაღმა ვგორდებითო
და წმინდასა ანგარიშში
ვერვის გაუსწორდებითო!...“

—

ტირიან და ქვითინებენ,
ცრემლ-მორეულს ხუჭვენ თვალსა...
დახეთ!.. დახეთ თვალთ-მაქცებსა!
აშადლიან მომავალსა.
მაგრამ გულში სულ სხვას ჰგრძნობენ,
იწყევლიან გზა და კვალსა,
რომ შიშის ქრად ისახავენ
ახალ-ბატონს მომავალსა,
რომელიცა კარგად არჩევს,
თურმე, ვარდსა და ეკალსა!

—

ჩვეულებრივ თვალთ მაქცობით
მას ვერ აუხვევენ თვალსა!..
არ აჰყვება მოენეებს,
არც კიკოებს, არც იმ ქალსა,
რომელიცა საქნიელზედ
მიმინოებს უქნევს თვალსა!..
როგორც მისი ჭკუა ურჩევს,
ისე აჩენს სამართალსა!..
ერთის სიტყვით, სულ არა ჰგავს
თურმე იმ ძველ ბატონს მთვრალსა!
ხალხიც მისგან სამკურნალოდ
მიტომ ელის დღეს წამალსა,
რომ აწ წყლული მოუშუშოს
ერთგულსა და შესაბრალსა
და ჩვენც ვფიქრობთ, რომ ამ იმედს
აგვისრულებს ვითა ვალსა.

მაგრამ უნდა გავიხსენოთ
ჯერ რუსთველის ნაუბარი:
„მას მკურნალმა ვითა არგოს,
ვინც არ სთქვასო სატკივარი?“
და თვითონ ჩვენ უნდა ვუთხრათ
ჩვენი წყლული-სარჩივარი,
თუ ვით დღემდის მარილს სიტყვას
დახურული ჰქონდა კარი,
და მძარცველებს ჰქონდათ ხელში
ბურთ-მოედან-მთა და ბარი...
დროა, იმათ ბნელ საქმეებს
მიენათოს დღეს ლამპარი,
რომ გამოჩნდეს ნათლად და მთლად
საქმე მათი შესაზარი,
და შენც, ჩვენო ახალ-ეროვნო,
სმენად ყური მოგვაპყარი!...

—

რა გამრავლდენ ტურა, მელა
და ძაღლები შინაური,
გაწყვა ჩვენში საქონელი,
ქათამი და ინდაური;
სულ საპნობით მიდის ღვინო
და ტომრებით მისდევს პური!..
ბატონ მელებს გაუმარჯოსთ!
მოგვწონს მათი სამსახური,
ეუდის ქნევა, ფეხის სლაქვა
და ცქვიტინა მათი ყური:

არც იქით მხრით, არც აქეთ მხრით
არავინ ჰყავსთ უმადური:
აზნაურსა ბლეხი ჰნატრის,
ბლეხს შენატრის აზნაური
და ერთად კი ორივესა
აქვს მაძღარი ძაღლის შური! .

—

ამ ჩიტების გუნდში ვიცნობთ
ჩვენ მხოლოდ სამს შუამავალს,
რომელნიცა საზოგადოდ
ჯერ არ შესდგომიან სხვის კვალს:
ხელქვეითებს ტყავს არ ხდიან,
არ აგლეჯენ რბილსა და ძვალს
და მით ახალ ქურქს არ ჰკერვენ,
სჯერდებიან გამონაცვალს!..

—

შვიდი მგელი კიდევ სხვა გვყავს,
თითო თითოს მაზრებშია,
ყველა ერთად ბოდიშს იხდის
ჭკუასა და ზრებშია!..
მათი ნაშრომ-ნაღვაწევი
ბევრჯელ ვნახეთ ბაზრებშია,
ერთი მათშიც ურევია
ყარგი, როგორც ფაზრებშია!..

—

ბავჩუმდებით, არას ვიტყვით
იმ ერთს დათვის ნახლებზედა,

რომელსაცა იმედი აქვს
დღესაც კარის ძაღლებზედა
და უძახის: „გეში! გეში!“
თითს უშვერს მათ სახლებზედა
და ძველებთან გადასული
ქბილს ილესავს ახლებზედა!

—

ერთიც არის... მაგრამ არა,
სჯობს, იმაზედ არა ვსთქვათ-რა,
თორემ ვიცი არ დაგვზოგავს,
ბიჟია და მეტიჩარა...
ცულლუტი და გაიძვერა
დატრიალობს, როგორც ჯარა,
ვინც რომ კი დაუკვირდება,
უჩემოდაც იცნობს ჩქარა!..
და ეს ჩემი მესტვირობაც,
მე მგონია, აწ კი კმარა!
ბოდიშს ვიხდი მკითხველებთან,
გავჩუმდებით სწორედ, თვარა
სტვირის გუდა დაიჩუტა,
ჟელში სული გაეპარა!.
პიიპუ! პიპუ! პუუუ!

ქართული «ან-ბანი».

ამაწვილო, თუ გსურს გიყვარდეს,
შენი სამშობლო ძალიან,
ჯერ წიგნი უნდა ისწავლო...
პირველი ასო არის: ა.

--

თუ სწავლით თვით ვერ ამაღლდი,
მამულს ჩირქს ისე ვერ მოჰბან,
ჩირქს, მოდებულსა მტრისაგან...
მაგრამ იკითხე ჯერ ეს: ბ.

—

სამშობლო შვილსა ერთგულსა
ითხოვს ყოველთვის, ყოველგან
და ნუ უმტყუნებ შენს მშობელს...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: გ.

—

შენს ვალსა აასრულებდე,
ერთგულად, რაც კი მოგანდონ!
ნუ შეგაშინებს სიკვდილი. .
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: დ.

—

პირადი სარგებლობისა,
იცოდე, ძებნას დაეხსენ!
იყავ შენ მუშა ქვეყნისა...
მაგრამ იკითხე ჯერ ეს: ე.

Თავ-განწირულსა მუშასა
ვერ შეაშინებს ვერავინ,
ვერც ცეცხლი, წყალი, ვერც ტყვია...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ᲯᲐ.

—

ვით მაღლით ჩაგონებული,
საქმეს რომ მისდგე, აღეგზენ,
რომ ნაშრომს დასდო ბეჭედი ..
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ᲠᲘ.

—

სხვებიცა შენის მიხედვით
ბამრავლდებიან თანდათან
მამულის წყლულის მკურნალად ..
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: Ო.

—

მიჰბაძე იმას, ვისაცა
თავს ედგა ეკლის გვირგვინი,
ბვირგვინი ახლის აღთქმისა..
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: Ნ.

—

წინ სწორედ წადი, რომ კვალი
მრუდედ არ დარჩეს შენს უკან! .
მაშ გახდი ჯერ სწორ-მხედველი...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ᲒᲝ.

—

ეცადე სოფლის ბრუნვამა
ეგ შენი გული არ მოჰკლას!..

ბამაგრდი, როგორც სამსონი...
მაკრამ ისწავლე ჯერ ეს: დ.

—

რომ ვეღარ შესძლოს მტარვლობა
სუსტის მჩაგვრელმა ძალამან,
შესძარი სვეტი ბომონის...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: მ.

—

ვით დიოგენი, კეთილ კაცს,
ეძებდე, გეპყრას ფარანი,
რა ნახო, დაეძმობილე...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ნ.

—

რომ შენით შენმა მოძმებმა
ცოტა რამ შვება იპოვონ;
სხვას რაღას ეძებ ამ ქვეყნად...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ო.

—

და მაშინ შენი სახელი
იბრწყინებს; ვითა ლამპარი,
მარადის გაუქრობელი...
მაგრამ ისწავლე ჯერ: პ.

—

ზღაპრად ხომ იცი, მტრის ღალატს
არ შეუშინდა არც ბეჟან,
თუ შეგხვდეს, ნურც შენ შეკრთები...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ჟ.

ჭირში და ლხინში ყოველთვის
შენს მოძმეებზედ იფიქრე,
რომ არ გიკვირდეს არც ერთი...
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: რ.

—

რა სჯობს, რომ შენსა ნაღვაწსა
ჩანგზედ დამღერდეს მგოსანი
და იმ ხმით სძგერდენ გულები...
მაგრამ ისწავლე ჯერ: ს.

—

ვისაც ეს წილად რგებია,
ბედისგან ის არს ნეტარი,
სახარბი, სამაგალითო...
მაგრამ ისწავლე ჯერ: ტ.

—

და „ვაი“ კაცსა ურგებსა:
მას ბნელი ადევს უკუნი
და წყევა საშვილიშვილო...
მაგრამ ისწავლე ჯერ: უ.

—

მას ველარ იხსნის წყევისგან
ვერცა დიპლომი, ვერც ფარი,
ვერც მოქედილი საყელო...
მაგრამ ისწავლე ჯერ: ფ.

—

ხალხის მართლ-განჩინებასა
ხელს ვერ შეუშლის მანქანი,

მანქანი ხრიკით ნაჭედი. .
მაგრამ ისწავლე ჯერ: ქ.

—

ნუ დაივიწყებ ნურც იმას,
რაც ზემოდ გითხარ მე წელან!
თავიდან გაიმეორე ..
მაგრამ ისწავლე ჯერ ეს: ღ.

—

რაც წაიკითხო, იფიქრე,
ბეჯითად გული მიაპყარ
და მერე კიდევ განვაგრძოთ...
შემდეგი ასო არის: ყ

—

თუ დაიღალე, მითხარი,
ხვალამდინ გაგიშვებ შენ შინ
და ხვალ რომ მოხვალ, შეიტყობ,
რომ ყარის შემდეგ არის: შ.

—

რა ამდენს ასოს ისწავლი,
მერე არ გინდა ჩიჩინი:
შენ უჩემოდაც მიხვდები,
თუ რა ასოა ის: ჩ.

—

ხომ ხედავ, გაგიადვილდა,
ჩინი უჩემოდ გამოსცან!
თუ სცანი, კიდეც მოშორდი
და გაიკვეთე ეხლა: ცჰ.

შენს გაზდას, თუ მოგეწყინოს,
ან მოგივიდეს აწ ძილი,
ქითხვა ხვალამდე გადავსდოთ;
მაშინ ვისწავლოთ ეს: ქ.

—

მაგრამ არ გირჩევ, რადგანაც
მცირეღა დაგვრჩა ნაწილი
ამ ჩვენის „ანა-ბანისა“...
მაშ წაიკითხე აწ: წ.

—

გამოიფხიზლე, ადუღდი,
გაცხარდი, როგორც მაჭარი,
და უფრო მკვირცხლად ისწავლი,
თუ რა ასოა ეს: ჭ

—

თუ დაიღალე, მითხარი,
სჯობს შეისვენო ხან-და-ხან,
რომ მერე შესვენებულზედ
უფრო გამოსცნო შენ ეს: ხ.

—

ხვალ ამოსაღებს დაიწყებ,
რადგან გემატა დღეს ჯანი
მთლად „ანა-ბანის“ დასწავლით,
მაგრამ, ოჰ, დაგვრჩა ეს: ჯ.

—

Და ვინც სულ არასა სწავლობს,
მათ უნდა ეუთხრათ ხომ „ჰაი,“
რადგანაც გამოუცნობი
Დარჩებათ იმათ ეს: ჭ.

პატრიოტის აღსარება. *)

ოღო-ბუზო! ჭიანჭველო!
ძუდ-მოხდილო! ფეხ-შიშველო!
შენს თავს რომ შენ ვერ არგიხარ,
როგორ გინდა სხვებს უშველო!

—

ეგ ბზუილი შესაზარი
არავისთვის აღარ არი!

პატრიოტის აღსარება.

*) 1870 წელს ჩამობრძანდა ხელმწიფე საქართველოში, ხალხს უნდა მიეტანია ადრესი და გაეცხადებია სათხოვარიც თუ რამ ექნებოდა.—აირჩიეს კომისია ადრესის შესადგენად რვა კაცი; ოთხი ახალთაობიდან: ილია ჭავჭავაძე, თარხნიშვილი (მერე აკადემიკოსი), ბესარიონ ღოღობერიძე და ნ. ნიკოლაძე. ოთხიც ძველიდან: ბ. ორბელიანი, ე. ბართველიჩი თუმანიშვილი, დიმიტრი ჯორჯაძე და რევაზ ანდრონიკაშვილი

ერთი სიო სულ გაგფანტავსთ,
ზღვაში ჩაგყრისთ ზენა ქარი!

—

აბა სად გაქვს, გვითხარ, ღონე,
რომ დაჰფრინავ თავ მომწონე!
გულით გირჩევ, შენცა ჩემებრ
სდუმენ, ძალას დაემონე!

—

დაგარიგებ შესაბრალსა,
მით ვასრულებ ჩემსა ვალსა:
დამიჯერე, არ გატყუებ
მიმავალი მომავალსა!

—

(მარშალი). ახალ-თაობა ქვეყნის სურვილისამებრ ითხოვდა უნივერსტეტს, ან სხვა რამ მაღალ-სასწავლებელს, მაგრამ რადგანც ამის წინააღმდეგი იყო ბარონ ნიკოლაი, ძველები შეჩერდენ კადეტის კორპუსზე, რომელიც მაინც უნდა გახსნილიყო. ახალთაობასა და ქვეყნის სურვილმა ხმის უმეტესობით გაიმარჯვა და ადრესში იყო ნაოხოვი უმაღლესი სასწავლებელი. წაგრამ თავ-მჯდომარემ და ძველებმა, რადგანც იმათ ბესარიონ ლოღობერიძეც მიუდგა გადაასხვაფერეს ადრესი, სასწავლებლის მაგიერ სრულიად უმნიშვნელო საგანი ითხოვეს და ისე მიართვეს ხელმწიფეს. ამან გამოიწვია უსიამობა ძველის და ახალთაობის შუა. ილია ჭავჭავაძემ დასწერა

Თვარა, ჩემო ჭიანჭველო,
ჭუდ მოხდილო, ფეხ-შიშველო!
შენ თავს შენ რომ ვერ არგიხარ,
ვით გინდა, რომ სხვებს უშველო!?

კოლო-ბუზების პასუხი.

მიმავალო, მშვიდობით!
აწ დრო არის, მოგვშორდე,
ძველ დროს გამოეთხოვო,
ახალ დროს გაუსწორდე!

—

ლექსი, სადაც მოიხსენია ძველები. დასტალუღათ ამბობდა: „ქვეყანა და ქვეყნის საქმე ამას ფეხებზე ჰკიდიაო!“ ამ ლექსს უპასუხა გრიგოლ ორბელიანმა: „კოღო-ბუზებო? ლიბერალებოო!“ და სხვანი. იქ მეტად გალანძღული და შერასხული იყო ახალთაობა. სხვათა შორის, (თუმცა მე არაფერ შუაში ვყოფილვარ,) მეც ვიყავი მოხსენებული: „აკაკიები, ბაკაკიები“ და სხვანი, და მეც ახალთაობის სახელით დავსწერე: „ღენერანალი ხარაბუზა“ და გაიმართა უცენზურო მ²ერლობა. უცენზურო მიტომ, რომ დიდ-კაცებს ეხებოდა. ეი ეს ალეგორიებიც: „პატრიოტის აღსარება“ (ვითომ ძველების მხრით). „ქოღო ბუზების“ პასუხი და დავით ორბელიანი მაშინ დაიწერა.

თუ რომ გული წმინდა გაქვს,
თუ რომ არ გრძნობ რაღაც შიშს
მომავალთან, ვინა გთხოვს
ან რჩევას, ან ანგარიშს!

—

შენ რომ გზა გაგივლია,
ის ჩვენ აღარ გვარგია;
და ის ჩვენთვის ცუდია,
რაც რომ თქვენთვის კარგია!

—

ძოღო ვართ, თქვენ ბობოლა!
მაშ ჩვენ ვინ გაგვატოლა?
ჩვენ ბზუილი შეგვშვენის...
თქვენ გვერდზე წამოწოლა.

—

თქვენ სხვა ხართ და ჩვენ სულ სხვა,
არა გვაქვს-რა საერთო,
მის მეტი რომ ჩვენს კვნესას
თქვენგან ცილიც დაერთოს!

—

თქვენი გზა თუ კარგია,
ღმერთმა თქვენ მოგახმაროს
და ჩვენ კი იმავ გზისგან,
საწყლები, დაგვიფაროს!

—

ჩვენ ქუდ-მოხდილ, ფეხ-შიშვლებს,
არ გვიდრკება გულები,

სანამ თვალ წინ გვიდგიან
პირველ მოციქულები!

—

თქვენ კი ფრთხილად იყავით,
მიჰბაძეთ ფარისევლებს,
დაგვქოლეთ და დასცინეთ
გაუსხლეტელს ჩვენს ცრემლებს.

—

ზღაპრად თქმულა, რომ დიდ ლომს
ქოლო არ შეუშინდა
და კიდეც დაამარცხა,
ცხვირში რომ შეუფრინდა!

—

და ბობოლას ომი კი
არვის გაუგონია!...
ის სხვას უქსოვს სამოსელს
და მით თავ-მომწონია!

—

ჩვენ ბუზები გახლავართ,
თქვენ ბობოლა ბრძანდებით!
მაგრამ რად იგვიანებთ,
რატომ არ წაბძანდებით!

—

მიმავალნო, მშვიდობით!
გზა გვიტიეთ მომავალს!...
რად სწუხდებით რჩევისთვის?
ჩვენ ვპოებთ ჩვენს გზა და კვალს...

სიმღერა

ულბული ვარდს მაშინ დაჰყეფს,
როცა ეშხით მთვრალია!
მერცხლის ტკბილი ჭიკჭიკიცა
ბაზაფხულის ბრალია!..

—

თუ მე გიმღერ, მშვენიერო,
ეს სულ შენი ბრალია;
და ის სცდება, ვინც რომ ჩემზედ
ამ მღერისთვის მწყრალია.

—

არ დაჭკნება მითი ვარდი,
რომ დააფრთხო ბულბული,
მერცხალი რომ კიდეც მოჰკლა,
მაინც მოვა ზაფხული!

—

მე რომ კიდეც გამაჩუმოთ,
მითი შენ რა გაკლდება:
ჩემს ადგილზედ სხვა მღერალი
ათასი სხვა გაჩნდება...

—

მსურს, მოვფინო, მშვენიერო,
შენი ქება ცის კიდეს!..
ვფიცავ, ლხინად მიმაჩნია
ჯირი შენს გადამკიდეს!..

—

რომ დამიბან კიდეც ენა,
ბულს ხომ მაინც ვიძგერებ!
ტურფავ, შენის გულისათვის,
ქვეყანას დავიმტერებ.

—

ნათესავებს და მეგობრებს
შენთვის ყველას ვაყრები!
უსასყიდლოდ გმსახურებ და
მძიმე ტვირთს ქვეშ ვიხრები!

—

და თუ ბედმა უნებურად
მომაშორა ეგ სახე,
მაშინ. ტურფავ, შორს მყოფიცა
ერთგულ მონად დამსახე

—

თვითონაც ვგრძნობ, რომ ეს ჟინი,
ტურფავ, შენი ბრალია,
და ბრიყვი კი უსამართლოდ
ღღეს ჩემზედ გამწყრალია!

I

ხალგაზდა ქალი ბროლობს და
ლალობს,
სიბერეში დამაჭანკლობს, დალალობს,

ხუყოველდღე ჩამოივლის დუქნებსა,
ბით იქარვებს სიყმაწვილის ბუქნებსა!

—

რომ შეხვდება ახალგაზდა ქალ-ვაჟსა,
ბულში ამბობს: „ვინა მთხოვდა მე ბაჟსა!
ხვისი რჩევა რისთვის დავიჯერეო
და ტრფიალით გული არ ვიჯერეო?“

—

ბულ დაწყვეტით ამას ამბობს ბებერი;
ველარ შველის უმარილი და ფერი,
ვერ იბრუნებს დაკარგულს დროს
ადრინდელს,
რადა რჩება? — მაჭანკლობას ჰკიდებს ხელს,

—

და იმისთვის, ვინცა ბროლობს ბლალობს
სიხარულით დამაჭანკლობს, დალალობს,
ბულ-მოდგინედ ჩამოივლის დუქნებსა
და იქარვებს სიყმაწვილის ბუქნებსა!.

II

ილამაზით პეპელა ხარ ხატი!ა,
მიხვრა მოხვრა და ქცევა გაქვს კატ^სა;
ღეში ასჯერ შეიცვლები მარტივით,
მისთვის გეტრფის გული ანდამატისა!

—

რადგანაც ხარ შენ ნარნარი ქმნილება,
„**პ**ოეტლუსტა“ მისთვის გეადვილება;
არ შეგშვენის ბშობლიური არა რა;
„**მ**ოდნა“ არის ეგ სხვა გვარი ცვლილება!

—

„**მ**ოდნებს“ დასდევ, იმაში ხარ გართული,
წერა-კითხვა გეზარება ქართული;
ერთის სიტყვით, რომ უნდათ, ისეთი ხარ,
მისთვის გეტრფის ეშხით სავსე აწ გული!

—

ეგ თვალები ეშხის ცეცხლით მწველია,
ეგ ტუჩები ტკბილად საკოცნელია,
შეხებამდე სატრფიალო რამა ხარ
და დათმობა შენი მიტომ ძნელია!

—

შენ მიმხვდარხარ, თუ რად ხარ გაჩენილი:
რომ შეგშვენის უსაქმობა და ძილი!
შრომის ნაცვლად და კეთილის საქმისა
მხოლოდ ლხინში აგიღია შენ წილი!

—

სილამაზით პეპელა ხარ ხატისა,
მიხვრა-მოხვრა და ქცევა გაქვს კატისა;
დღეში ასჯერ შეიცვლები მარტივით,
მისთვის გეტრფის გული ანდამატისა!



*
* *

ერულ იყოს მისი სახელი,
ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!
თვის ტომის დამწუნებელსა
ჯირი მიუვა კარზედა!

—

ნურავინ ისხავს სხვის ქურქსა
და ნუ სცვლის თავის ენასა,
თორემ ბოლოს დროს მოიმკის
უსუსტარ ცრემლთა დენასა!

—

ბადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია,
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია!

—

ძველ ტომში გამოსხლეტილსა
არ მოუშლიან კბენასა
და ახალ ტომშიც გაჰკიცხვენ:
დაუწუნებენ ფრენასა.

—

კრულია მისი ხსენება,
ვინც დაჰგმობს დედა ენასა;
თვის ტომს ჰღალატობს და მითი
თვით ჰფიქრობს მაღლა ფრენასა!

ლეგენდიდან — «ვარდი და ეკალი»

საფლავის ქვაზე

ვით ამ წყვდიადსა და ბნელსა ღამეს
ანათებს მთვარე, სხივ-მომფინარე,
ისე აბრწყენდა ქველ-მოქმედებით
ცხოვრების ბნელ გზას აქა მდებარე.

—

ვით ლაჟვარდოვან ცაზედ კაშკაშით
ჩნდება თანდათან ვარსკვლავთა კრება,
ისე ბრწყინავდა მისი აზრები,
ვინც ამ ბნელ საფლავ ქვეშ იფარება;

—

და ვით ეს ვარდი, ნორჩი, კოკობი
ამოკ საჭკრეტი, წმინდა, სუნნელი,
ისე რჩეული იყო მის გრძნობა,
ვისაც აქ იცავს საფლავი ბნელი;

—

ვითა ბულბული სტვენს მრავალ-გვარად
და შორს გაისმის მისი გალობა,
ისე უმღერებს ჩანგ მომართვითა
ამ გვარ კაცებსა ჩამომავლობა!

მეორე ქვაზე

ველ-ბაყაყის ბუდე იყო
სიცოცხლეში მისი გული,
ვი'იც გვამი დაწყევლილი
დღეს აქ არის დამარხული.

—

ძვრიე ობლების დამჩაგვრელმა
არ იცოდა ქვეყნად მადლი
და სამშობლოს ისე ჰხრავდა,
ვით საფლავის მას ჰხრავს მატლი.

—

აზრებით მტრელს, ძმის დამჩაგვრელს
მრუდე ჰქონდა გზა და კვალი
და, რაც სთესა სიცოცხლეში,
ამოვიდა ვ'თ ეკალი.

—

და ვაი მას, ვინც ამ გვარად
საუკუნოდ დაიძინა:
მის საფლავში ველ-ბაყაყებს
და მატლებს აქვთ მხოლოდ ბინა!

—

იმას დაჰგმობს შემდეგი დგმა,
შეაჩვენებს და დასცინებს,
და სახსოვრად საუკუნოდ
მას ბაყაყი უყიყინებს!..

ლეგენდიდან — «გოგია მეჩანგურე»

ჩემს სამშობლოსა ღალატი
შავ ნისლივით ჩამოაწვა:
ძმამ ძმას საფრთხე გაუთხარა,
შვილმა მამა ჯვარზედ აცვა!..

—

ისარგებლა მით სტუმარმა,
ჩემგანავე მოწვეულმა,
და სტუმრობა არ იკმარა:
მასპინძლობა უთხრა გულმა.

—

მაგრამ იმის მასპინძლობას
ჩვენ ქვეყნისთვის არ აქვს მადლი:
უცხო სენი თვალთ-მაქცური
გულ-ღვიძლს უხრავს, ვითა მატლი!

—

და მის შემდეგ ჩემს სამშობლოს
თვისი ფერი შეეცვალა,
და ნაყოფის მოცემაში
დაეკარგა ძველი ძალა!

—

ვარდი ეკლად შეეცვალა,
სიპატიო გახდა ანწლი

და პურის წილ ითესება
მგორვალა და მაგნე ღვარძლი!..

—

მაგრამ, ძმებო, ნუ შეეკრთებით!
სასხლავს მივჰყოთ ყველამ ხელი;
ეკალს ძირი ამოუგდოთ,
სისხლით ვღებოთ მთა და ველი!..

ეკლნარშია მწარ სიცოცხლეს
ვარდნარშია სჯობს სიკვდალი!..
ამ აზრით უნდა იმსჭვალოდეს
მამულისა ვარგი შვილი!..

—

უსამართლო ძლიერებას
საუკუნო არ აქვს ძალი!..
უძლეველი საბოლოოდ
არის მხოლოდ სამართალი.

—

და მაშ, ძმებო, დრო ძვირად ღირს...
ნუ დავჰკარგავთ, დავეშუროთ
და ჩვენისა თავ-გაწირვით
შვილებს ქუდი დავახუროთ,

—

რომ ჩვენისა თავ-შეწირვით
აღარ ექმნესთ მონებით წვა,
და აღარც სთქვან, რომ ღალატი
მათაც უღლად ზე დააწვა!

დედის სიმღერა.

ეხრა თვეს მუცლით გატარებდი
„ვაით“ გშობე, „უით“ გზარდე,
და რად გიკვირს, ყოველს ქალზედ
უფრო დედას რომ უყვარდე?

—

ძალი მამას ქმარში გასცვლის,
ცოლი ქვრივი სხვას წაჰყვება;
მაგრამ დედას შვილის ტრფობა
სამარეში თან ჩაჰყვება!

—

ახლოს გული მისთვის უძგერს,
შორს მყოფს ფიქრით თავს ევლება:
უფიქრელად თავს შესწირავს!
დედა თვის შვილს ენაცვლება!..

—

მაგრამ შვილი ხშირად დედას
გასცვლის ხოლმე საყვარელ'ში!..
არ იცის, რომ მოტყუებულს
სხვისი სატრფო რჩება ხელში!..

—

მაგრამ ნება ბუნებისა
ეს არის და ასე იყოს:
დედამ უნდა შვილისათვის
თავის თავი დაივიწყოს!..

—

რა მოგშორდი, შვილო, შემდეგ
შავი ფიქრი გულს მიბრუნავს...
ვაჰ, თუ გშია! ან გწყურია!
ან გცივა და არა გხურავს!

—

ეგებ გდიხარ ბრძოლის ველზედ,
გულს გასვრია მტრის ისარი
და, რომ წყლული შეგიხვიოს,
დედა შენი არსად არი!..

—

ვაი, თუ შენს ლამაზს თვალებს
ეკვავი ჰკორტნის და ყორანი;
და უნაგრით უპატრონოდ
დაგხვიხვინებს თავს მერანი!...

—

ვაჰ, თუ შენსა ხუჭუჭ თმასა
ჩიტი ბუდეს შიგ უფენდეს?
მაშინ დედა შენიც ჩიტად
გადაიქცეს, შენსკენ ჰფრენდეს!...

დის სიმღერა.

ამა კარგი და რიგიანი
დისთვის არის საქებარი,

თუ მასთანაც იმავე დროს
არის მისი მეგობარი.

—

მეგობრობა არის გრძნობის
და აზრების შეთანხმება,
თვარა უამათოდ არის
ანგარიში, და გაქრება!...

—

მე გოგია მისთვის მიყვარს,
რომ ძმაა და მეგობარი;
და მისთვის მსურს მისი ხილვა,
მასთან ხშირი საუბარი,

—

რომ თავიდან ფეხებამდე
ის მამულის-შვილი არი!...
თვის მარჯვენას მისთვის ხმარობს
და მისთვის ჟღერს მისი ქნარი.

—

ღმერთო, მიეც გამარჯვება,
განსაცდლისგან დაიხსენი!
დაგვიბრუნე შინ მშვიდობით,
გკვედრები მონა შენი!

—

და თუ მოკვდეს ბრძოლის ველზედ,
გაემსჭვალოთ ისრით გული,
მაშინ ჩიტად გადამქმენი!
მსურს, შევიქნე მე ბულბული,

რომ მის საფლავს მარტოხელსა
მე ვუსტვენდე გრძნობა-მტკბარი,
და იმ ხმასაც ყურს უგდებდენ
არე მარე, მთა და ბარი...



ცოლის სიმღერა.

ითხარით, ლამაზ ცოლისთვის
ნეტა რა არის ქმარიო?
ადვილად გამოსაცვალი
ვერცხლისა რამ ქამარიო!

—

დღეს ერთს მოირტყავს, მეორით
ხვალ დაიშვენებს წელსაო;
თუ დაეკარგა, იტირებს,
მაგრამ გაუძლებს სენსაო!

—

ლამაზი ქვრივი ცრემლებსა
დაშვენებისთვის დაჰღვრისო,
და რომ შენიშნავს ლამაზს ვაჟს,
აეკლუცად თავს ძირს დაჰხრისო.

—

და ქვეშ-ქვეშ იწყებს ჰვრეტასა,
მორცხვობით თვალებს ნაბავსო;

მაგრამ ამ ხერხით საქმროსა
უცბად მახეში აბამსო!

—

ერთხელ ნაცადი ცოლობის
ხელში დაიჭერს ქმარსაო
და, თუ არ იქმნა მორჩილი,
ცხვირიდან ადენს ძმარსაო!

—

გაბატონდება ოჯახში,
განზედ გაიჩენს კუროსო,
და ქმარი ვერას გააწყობს,
ბევრიც რომ იფხაკუროსო!..

—

ჯკვიან ქალს ვერ შეაშინებს
ქვრივობა, ქმრის სიკვდილიო:
შავს იცვამს, მაგრამ იმედი
გულში უჩნდება ტკბილიო!

—

მითხარით, ლამაზ ცოლისთვის
აბა რა არის ქმარიო,
თუ არ ადვილად საცვალი
უბრალო რამ ქამარიო?!

*
* *

ალვლიან გულისა ვნებამ
დამაწყევია შავ-ბედი!
ფრთებ-დაკვეცილმა ოცნებამ
მთლად წამიწყმიდა იმედი!

—

სიცოცხლე-გამწარებულსა
მით შემეცვალა გუნება:
ნდობა აღარ აქვს გლახ გულსა,
სულმაც დაჰკარგა რწმუნება!...

—

და ასე ამბობს გონება:
„დააცხრე გულის ვნებაო!
სიცოცხლე არის მონება,
სიკვდილი — განსვენებაო!“

———

*
* *

ულმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,
სერზედ შევდეგ, ჰმუნვის ალი
მენელა;
ზეზემან სხივი ძომაფინა მაშინა,
სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა.

შემიდუღდა მაშინ სული და გული;
იმ ნადუღში თვით მე ვიყავ დაგული.
გულმა ძგერა, სულმა შფოთვა დამიწყო,
ხმა სიმართლის შეუპოვრად გაისმა,
(აწ იგი ხმა ვერ ისმინოს გაისმა).
ცის მახლობლად ფეხ ქვეშ ვიგრძენ მიწა მე,
ვსთქვი: „ცხოვრებავ, მეც ერთ კაცად
მიწამე!“
და ვიფიქრე. „ჩემი სატრფო სად არი?
ნისლი ჰბურავს, თუ დღე უდგას სადარი?“
გადვიხედე, ვნახე, რომ სხვას ჰმონობდა!
გამიკვირდა! ვსთქვი: „მტერს როგორ
მონებდა?
მოხიბლულა, შემცდარია, ის არი...
ალერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი!“
მივაძახე: „ჭინჭარში ნუ ვარდები!...
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!
შეიბრალე თავი შენი, იცოდე!
მაგ შარბათში საწამლავს სვამ, იცოდე!“
არ მისმინა მწუხარებით დანაგულს
და დამასო საუკუნოდ დანა გულს!
აღმართ-აღმართ მივდიოდი ნეტა რად,
თუ ამ სერზედ თავს ვერ ვგრძნობდი
ნეტარად?
ჩემო თავო! ვეღარ გკურნვენ წამალით!
დაღმართ-დაღმართ დაუყევი, წა მალით!

Იქ ჩაბძანდი, სად გელიან ლოდებით!
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით!
დაივიწყე, ვინც გახსოვდა მარად ის,
ხელ-დაკრებით განისვენე მარადის!

*
* *

ერთმა მტერსაც ააშოროს
მეგობარი შენისთანა:
დილას სხვა ხარ, საღამოს სხვა,
ავ კარგობის გამოცანა.

—

შენს მეგობარს, ტკბილ-მოუბარს
მითი უბნევ გზა და კვალსა,
რომ ხან მასთან გულს იყინვებ,
ხან იკიდებ ტრფობის ალსა;

—

ხან სიცოცხლეს სრულად სწირავ,
ხან უდგები გან-და-განა;
მაგრამ რადგანც პოეტი ხარ,
უნდა იყო გამოცანა!

იმერული ლექსი.

ატარა საყვარელო,
რისთვის მომიკალ გული?
ბალიაში გაგზარდე,
ვით მაისის ბულბული.

—

შაქრით მყავდი გაზრდილი,
შენთვის ვლე კიდის კიდე!
პატარა საყვარელო,
ცეცხლი რად მომიკიდე?

—

ბული შენ მოგიძღვენი,
სულიც ხომ შემოგწირე!
პატარა საყვარელო,
შენ რაღად დამამცირე?

—

რომ დამგმე უმიზეზოდ
და გამცვალე სხვაშია;
მიჯობს, დამწვა ცეცხლითა,
ან ჩამაგდო ზღვაშია!

—

პატარა საყვარელო,
ჩემო მკვლელო უგულო,
ბალიაში გაზრდილო,
ბაზაფხულის ბულბულო!

მუხამბაზი.

ომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
ზეფიცები, ტურფავ, შეგიყვარ-
დები!

ცაზედ მზეა, ქვეყანაზედ შენა ხარ!
შეცდომით ძირს ჩამოსული ზენა ხარ.
შაქრის გულო, ბულბულისა ენა ხარ!
სიხარულო, ჩემის ცრემლის დენა ბარ!
ეკლით ნუ მჩხვლეტ... დამიბრუნე ვარდები!
რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
ზეფიცები, ისევ შეგიყვარდები!

სიყვარული ისა სჯობს, რაც ძველია:
საუკუნო მეგობრობის მცველია!
ახალი კი დროებითად მწველია
და ყმაწვილთა მხოლოდ სანატრელია.
შენ ერიდე!.. მოიფარე ფარდები!
რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
ზეფიცები, ქალო, შეგიყვარდები!

ჩემსავით რომ შეგიყვაროს, ვინ არი?
ვინ გაღმერთოს ციურად მომცინარი,
თუ არ მევე?.. გინდა ვიყო მძინარი,

შენი სახე მაინც ჩემ თვალთ წინ არი;
თუ გამიქრა, კლდეზედ გადავარდები!

რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
ზეფიცები, ისევ შეგიყვარდები!
აწ რაღა ვარ შენგან ტრფობას ჩვეული?
ვეხეტები გზა და კვალ დაბნეული!
ლხინს ვშორდები, ჭირისაგან წვეული!..
ბაყრის წამი ჩვენი იყოს წყეული!..
სჯობს, შეკრიგდეთ!... ფეხთ-ქვეშ დაგი-
ვარდები!

რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
ზეფიცები, ისევ შეგიყვარდები!



საწყალი და დარბაისელი.

ინც ტიკვით იბერება,
ისე დადის ამ სოფელში,
იმას რჩება მოედანი,
ბურთიც მას უჭირავს ხელში.

—

Თორემ ამისთანა საწყალს
ვინ მიაქცევს ყურადღებას?
უპირ-ბადო მაწანწალა
თავს აძლევს თვით დავიწყებას.

—

ვინცა მხოლოდ გარეგნობით
თავს იწონებს ხალხის თვალში,
ის მოსწონთ და მის ზნეობას
არვინ ჩაუდგება კვალში!

—

Თორემ ამისთანა ვინმე,
ზინდა იყოს კაცი სრული,
ზარეგანის უხერხობით
აქვს ღირსება დაფარული!..

—

ზამჭრიახი ჩვენი ხალხი
თვალს იხუჭავს სიმართლეზედ:
დიდებულს ქურდს ვერას ჰკადრებს,
მართალ საწყალს იჭერს თხლეზედ!

—

მაგალითად, ეს საწყალი
ამ დიდ-კაცსა შევადაროთ,
ავწონოთ და დავაფასოთ,
ისე, მხოლოდ სამასხაროდ!

—

დიდი კაცი მსუქანია,
თავ-მსხვილი და მუცელ-დიდა;

Და თუ კარგის ზნის არ იყოს,
პოლიტიკით რა გაზრდიდა?

—

Ეს საბრალო კატის შიშს ჰგავს,
ძლივს დაღოღავს ცოცხალ-მკვდარი;
Და თუ არ უზნეურობით,
რისგან არი მაშ გამხდარი?

—

Დიდი კაცი მდიდარია,
საწყალი კი დღიურ მუშა,
Და თუ ეს ჭკვიანი იყოს,
Ამის საქმე რამ დაფუშა?

—

Დიდი კაცი ანგარიშით
Იცინის და იჭყანება;
შიგნით სხვაა, გარეთ სულ სხვა,
Გაწვრთნილი აქვს გულის ნება!...

—

Საწყალს კი ეს ანგარიში
Აროდეს არ ეყურება:
Სიცილის დროს სულ ხარხარობს
Და ტირის, თუ ეტირება!

—

Დიდ-კაცი იქ იტყვის „დიახ“,
Სადაც „არ“ არ შეიძლება,
Და ამისთვის ასი რომ სთქვას,
Ერთხელაც არ შეეშლება.

საწყალი კი სულ ტიკტიკობს,
საეჭოც კი, ჰსურს, რომ ახსნას
და ამ გვარად ასზედ ათჯერ
რომ არ შესცდეს, რა უნდა ქნას!

—

აი დიდ კაცს ზნეობითი
ამაღლება რით ატყვია!
მაგრამ ამ ჩვენს დღიურ მუშას
საწყალს ჯერ ვერ შეუტყვია,

—

რომ, ვინც მხოლოდ იბერება
ძოლოტივით ამ სოფელში,
იმას რჩება მოედანი
და ბურთიცა მას აქვს ხელში!



გაზაფხულის სიმღერა.

ზის სხივებით შემოსილი
ქვეყნად მოვალ პატარძალი;
ბუნებაო, კმარა ძილი,
შენთვის მომაქვს ჩემი ძალი!

—

აჰყვავდი და აბიბინდი,
ძალა შენი თვით იჩინე;

მთლად გაჰფანტე შენი ბინდი,
გარს ნათელი მოიფინე.

—

შეიმოსე საქორწინოდ,
მომეგებე მომავალსა
და მერმისთვის მეც სალხინოდ
შენზედ დავსდებ ჩემსა კვალსა.

—

ძვალს კეთილს და ნაყოფიერს,
საბოლოოდ მოსამკელსა,
და მისათვის ვიცვლი მე ფერს,
გაცმევ მდიდრულ სამოსელსა.

—

მზის სხივებით შემოსილი
ქვეყნად მოველ პატარძალი,
და, ბუნებავ, შენ ქორწილი
გამიმართე მე ახალი!...

ზაფხულის სიმღერა.

ვირთი ბოლოს სასარგებლო
მძიმეც მჩატედ გვეჩვენება!...
ვისაც მწარე უკამია,
იცის სიტკბოს გემოვნება!

—

ეს სიცხე და მხურვალება
ჩემს ტვირთს ზდის და ამაკრებსა!...
ვისაც ჭირით არ უთესავს,
ის ლხინით რას მოიკრებსა?

—

ბულ-გახსნილი, სიცხიანი
ვემონები დღეს ჩემს ბედსა
და მძიმე ტვირთს სიხარულით
ვითმენ, როგორც დიდს იმედსა.

—

ბუნებავ, შენცა წამბაძე,
მე ამიღე მაგალითად
და ნაყოფი ქვეყნის საზრდო
აიკიდე ზურგზედ ტვირთად.

—

მზის სხივი და მხურვალება
ტვირთს ზდის და თანც ამაგრებსა;
ვისაც ოფლით არ უთესავს,
ის ვერაფერს მოიკრებსა.



ᲨᲔᲛᲝᲬᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ.

ეუძუ მევსება ტკბილის რძით,
და შენც კი გშიან განაო?

მოსწოვე, შენი სარჩოა,
შვილო! ნანინა-ნანაო!

—

მხოლოდ ძუძუით იზრდება
ბევრი სხვაც შენისთანაო;
სანამ არ გაძღე, ეს ძუძუ
სულ პირში გედვას!.. ნანაო!

—

თან სწოვე, თანაც იზარდე,
რომ ქვეყნის გამოცანაო
ერთს დროში შენვე გაიგო,
ნანია. ნანა-ნანაო!

—

რომ რძე დაგაკლდეს, მაშინ ხომ
სჯობს გაგიყარო დანაო;
მაგრამ ეს ღმერთმა გვაშოროს,
ნანინა, ნანა-ნანაო!

—

ამ თვეებს მისაბაძავი
არვინ ჰყავს ჩემისთანაო;
ქვეყანას. ძუძუ აწოვეთ,
შეძახეთ: „ნანი-ნანაო!“

—

ძუძუს მოადგა ტკბილი რძე,
აწვება თანდათანაო,
შვილო, მიმეელე, მოწოვე!...
ნანინა, ნანა-ნანაო!

ზამთრის სიმღერა.

ოვლით, წვიმით და ქარიშხლით
მოვალ, ყივნაც თან დამყვება!
ჩემის სუსხით დამსჭვალული
საქონელიც ხშირად სწყვება...

—

ქვრივ-ობლისა და ღარიბის
მე არა მაქვს სიბრალული!
ვაი, ვინც არ დამიხვდება
თფილს ოთახში!.. ქურქ-მოსხმული!

—

ბოქაულად შევუგზავნი
ანთებაებს, სურდოს და მქვალს,
და თუ მარჯვედ არ დამიხვდა,
საუკუნოდ დახუჭავს თვალს.

—

არე-მარეს გავაბრუებ,
წყლებსაც შეუყენებ დენას,
ქვე-წარმავალს გავაშშებ
და ავუბამ ფრინველს ენას.

—

ხმელ შეშას ფასს მოვუმატებ,
ცეცხლსაც გავაგემრიელებ:
ყველას დავაძახებ: „მცივა!“
არვის მოვიმადლიერებ!

—

Თოვლით, წვიმით და ქარიშხლით
მოვალ, სუსხიც თან მეხლება
და ვაი მას, ვისაც ჩემი
ისარი გულს მიეხლება!

* * * *)

ოქვენ უნდა იქნეთ სწორედ
ჩვენი თავს-მჯდომარეო,
რადგანაც გაგიცვნიათ
ვარსკვლავი და მთვარეო!

—

---

*) ძუთაისში სათავად-აზნაურო ბანკის გახსნამ იმ წესებით, რომელიც არსებობს დღეს, ორად გაჰყო ახალ-თაობა. შკმაყოფილო დარჩენ „დროების'' თანამშრომლები და გაიმართა წერა. ერთხელ მოწინააღმდეგები შეიყარენ და რჩევა შექმნეს: „ჩვენც ახალი გაზეთი გავიჩინოთ და ისე ვუპასუხოთ ხოლმე. საქმე ისე გამწვავდ, რომ პირადობაზე მიდგა. ერთი მეორეს აღარ ზოგავდა: ოპოზიციაში ცოტანი იყვენ: ვ. წერეთელი, ი. მესხი, ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე და სხვანი. ეს ლექსები: „თქვენ უნდა იქმნეთ" და „თაგვების ლათაია" იმ ხანებშია დაწერილი—„კატად" ნიკოლაძეა მოხსენებული და „ვირთაგვად'' მეორე მხარის ბანკის მომხრის მეთაური.

Ისევ თქვენ უნდა იქნეთ
ჩვენი თავს-მჯდომარეო,
რადგანაც გვეხვეწებით
ჩუმად: „მოგვეხმარეო!“

—

თქვენ მეტი არვინ გვინდა,
სწორედ, თავს-მჯდომარეო,
რადგანაც ბებერი ხართ
და გელისთ სამარეო!

—

ეს უნდა ავირჩიოთ
ბანკის დირექტორადო,
რადგანაც მაგის ქება
თქვენგან გვესმის ჭორადო!

—-

მეორედ ესა გვყავდეს
ბანკის დირექტორადო,
რადგანაც ბანკის ფულებს
მოგვცემს ერთი-ორადო.

- —

და ან ეს უნდა იყოს
ბანკის დირექტორადო,
რადგანაც ჩვენი კენჭი
მივჭყიდეთ ერთ ღორადო!

—

აი, ეს უნდა იქნეს
ბანკის ზედ-დამხედველი,

რადგანც მაგის წყალობით
„დამფასებლობას“ ველი.

—

სწორედ ეგ უნდა იქნეს
ბანკის ზედა მხედველი,
რადგანც თავში ბაყაყი
და გულშიდა ჰყავს გველი!

—

და ან ეს უნდა იქნეს
ბანკის ზედა-მხედველი,
რადგანც სიბერით ყრუა
და თვალით ვერ-მხედველი.



თაგვების ლათაია.

„დავკარგე ფერის“ ხმაზედ.

ეყრილან თაგვები
რჩევა ჰქონიათ,
როცა კატის ხმა
გაუგონიათ.

—

უთქვამს ვირ-თაგვას
უკუდოს და ხმელს:

„რატომ ერთმანეთს“
ჩვენ არ მივსცემთ ხელს?

—

ნუ თუ არ გესმით
ქატის ჭყივილი,
რომლისგანაც გვაქვს
ზურგის ქავილი?

—

თქვენ ჯერ არა ხართ
გამოცდილები
და მე კი მახსოვს
მათ ბრჭყალ-კბილები!

—

თუ არ გსმენიათ,
აწ მომისმინეთ,
თუ მე რა მიყვეს
სამის წლის წინეთ:

—

გამინავარდეს,
წინ გამიხტუნეს,
საქმე და ქცევა
რომ დამიწუნეს.

—

ბრჭყალები გამკრეს,
ამაწრიპინეს;
მაგრამ ხელი ვერ
„ამაღებინეს.

Იმ თაროზედა,
სითკენც მე მარად
მივიპაროდი
ჩუმად, მშიშარად!

—

ახლა მე იქ ვარ
სრული პატრონი
და იმედიც მაქვს
მომეცხოს ქონი,

—

თუ ეს კატები
არ იქნებიან:
თორემ, იცოდეთ,
ადრე თუ გვიან,

—

თქვენ არ დაგზოგვენ
ბაუტანლები!
მე კარკად ვიცი
მათი ბრეყალები!"

—

მათს რიცხვში თურმე
იყო თრითინა;
რომ გაიგონა
ეს, გაიცინა.

—

ადგა და უთხრა
ზოგ-ზოგ თაგვებსა:

„თქვენ ვერ მოარტყამთ
იმ კატებს ქვებსა.

—

თქვენგანი ეექვანს
ვერვინ შეაბამს!
და რასაც ჰფიქრობთ,
ის დაგიშაბამს.

—

. დაღონდა ამით
ჩვენი ვირ-თაგვა;
სევდა მოედვა,
აქვს წვა და დაგვა!

—

და აღარ იცის,
ვის მიეკედლოს?
სიყვითლეს კიდევ
როგორ გაუძლოს!

*
* *

ციდ ხანს ვსძებნე იდეალი,
მაგრამ არსად მოინახა!
დღეს ავაღე ყველას თვალი
და ვიცანი: ხა, ხა, ხა, ხა!

ჩვენი ცხოვრების სარკეში
თვალთ-მაქცობა ჩაისაპა!
რა იმედი! რის ნუგეში!
მეცინება: ხა, ხა, ხა, ხა!

—

ბევრი ვნახე ჩამოსული,
ჩვენში ბრძოლა განეზრახა,
მაგრამ გადუბრუნდათ გული
სასაცილოდ: ხა, ხა, ხა, ხ.

—

მოიშალა რა ფაფხური,
ცხოვრებით რა შეილახა,
მტერს დაუწყო სამსახური
და შესცინის: ხა, ხა, ხა, ხა!

—

ადრე და!ცინოდა ტუზებს,
დღეს თვით დაუღია ხახა
და უსაქმოდ ჰყლაპავს ბუზებს,
და იცინის: ხა, ხა, ხა, ხა!

—

ქაცი იყოს, გინდა ქალი
ჩვენში ყველა არის გლახა;
და რად ვსძებნოთ იდეალი?
სჯობს, ვიცინოთ: ხა, ხა, ხა, ხა!

ბაბრწყინდი, ჩემო კანდელო,
მინათლე ბნელი ღამისა!..
მინათლე, რადგანც დაგირჩა
სინათლე მცირეს ჟამისა!...

—

ჩემი სიცოცხლეც შენსავით
იწვის და თანდათან სდნება;
წარსული აღარას მარგებს,
მომავალი მენანება!

—

და მაშ შენც, ჩემო სიცოცხლევ,
რადგანც მშორდები ხვალისად,
დღეის დღე მაინც მილხინე,
რომ დრო ვატარო ხალისად.



ირადად ხმას არვის გავსცემ,
ბინდა მლანძღოს, გინდა მაქოს!
უსამართლოდ თუ რამე სთქვეს,
მე გავაგდებ მაშინ მაქოს!

Რომ მეტყვიან: „ჰა ვკეთდებით,
ჩვენი ბანკი გაუხსნიათ!“
მე გავაგდებ მაშინ მაქოს,
ვიტყვი: „ჯერ ვერ შეუტყვიათ!“

—

Რომ მეტყვიან: „იმ კაცებსა
ქარგი საქმე დაუწყიათ!“
მე გავაგდებ ჩემსა მაქოს,
ვიტყვი: „ჯერ ვერ შეუტყვიათ!“

—

Რასაც კი რომ გავიგონებ
ჭკუაში არ მოსასვლელსა,
ვიტყვი: „ჯერ ვერ შეუტყვიათ!“
და ჩემს მაქოს ვსტაცებ ხელსა.

—

მაგრამ, როცა გაიგებენ
და მოხვდებათ გულში ტყვიათ,
მაშინ მაქოს გამოვაგდებ,
ვიტყვი: „ახლა შეუტყვიათ!“

ფარეშეების სიმღერა.

ამან ეს სთქვა!... იმან ის სთქვა!
ეს ეს არი!... ის ის არი!
ამას ეს ქვა!.. იმას ის ქვა!
ეს ისარი!.. ის ისარი!

Ვიცით, გვითხრეს სხვებმა სხვისი,
რომ უქმნია ვინცლას რაცლა!...
ბაჩნდეს კბენა!... ნძგა, მაგას. . სსსი!
მიავ! მიავ! აცხა! აცხა!...

—

ძაღლი კატას ემუქრება,
კატა მტრულად ძაღლს უყურებს!
მოედანი კი ვირს რჩება...
მღერის, აპანტურებს ყურებს!

-

ამან ეს სთქვა!... იმან ის სთქვა
ეს ეს არი!... ის ის არი!
ამას ეს ქვა!... იმას ის ქვა!
ეს ისარი! .. ის ისარი!

თვალის ახილვა.

ადლობა ღმერთს, აღარა მაქვს!
სიჭაბუკის აწ სათვალე!
რაც მე იმან შემაცდინა,
ის, მკითხველო, შენ დათვალე!

—

სადაც მივიხ-მოვიხედე,
მომეჩვენა ია-ვარდი,
და მოკრება რომ მინდოდა,
შიგ ჭინჭარში გადავვარდი!

Დავიშუშხე და მკურნალად
ბამოვძებნე მეგობარი,
მაგრამ წყლულზედ გადამავლო
იმ წყეულმა ცხარე ძმარი.

—

ამ უგულო გამეტებამ
წყლული უფრო გამიმწარა;
ბაჭირვების ტალ-კვესზედა
საყვარ.ლისკენ გამაჩქარა.

—

სატრფო დამხვდა უსიამოდ,
ბამილესა მე ნაღველი;
თვით ფერხულში გაერია,
ბადახვია მან სავას ხელი...

—

ბულში ცეცხლი მომეკიდა...
ვაი ჩემს თავს, ამის მნახველს!
ნათესავებს მივაშურე,
ვსთქვი: „საშველად მომცემენ ხელს!“

—

მაგრამ სახლში რომ მივედი,
ქარი დამხვდა დაკეტილი
ვარახუნე... ხმაც არ გამცეს;
მოიგონეს, თურმე, ძილი!

—

ბულ-მოკლული გამოვბრუნდი,
მსაჯულს ვსთხოვე სამართალი,

მაგრამ საწყლად რომ წავდეგი,
აშარიდა მანცა თვალი!..

—

ზნეობითად დაჩაგრულსა
მომაგონდა მე მოძღვარი;
მიველ... ისიც მომეგება,
ბადამსახა ლოცვით ჯვარი.

—

ჩემი ტანჯვა მოისმინა,
აუჩჩვილდა მასაც გული,
მკითხა: „შვილო, დაცემის დროს
ხომ არ დაგკარგვია ფული?“

—

მოვახსენე: „როგორ არა!..
დამეკარგა... თანც სათვალე...“
არ იამა... ზე წამოდგა
და მიჩვენა კარი მალე...

—

მაშინ მივხვდი, რომ წაქცევამ
საქმე მიყო მეგობრული!..
სოფელს თავი დავანებე,
ტყე-ტყე ვიწყე სიარული.

—

ჩემი ჩანგიც თან წავიღე,
მით ვიქარვებ გულის ვნებას
და მხეცებს რომ შევეყრები,
წმინდის გულით ვამკობ ქებას:

Დიდო მგელო, შენ სჯობიხარ
ნათესავს და მეგობარსა:
შენ, თუ გშიან, მოიტაცებ
მთელ ჯოგიდან ერთსა ცხვარსა;

—

Ისინი კი გამაძღრებიც
არ დაზოგვენ არცა ერთსა!..
თვალთ-მაქცობით ატყუებენ
დაბლა კაცს და მაღლა ღმერთსა!

—

სჯობს მსაჯულის განაჩენსა,
დათვო, შენი სამართალი:
ისე შენი არ იბნევა,
როგორც მისი გზა და კვალი!

—

მსუქნებს სტყავებს სიცოცხლითვე,
ხელს არ ჰკიდებს მჭლეს და მძორსა
და, მერწმუნე, ბევრად მეტობს
მისი ტორი შენსა ტორსა.

—

მოძღვრები და სულის კაცი
ბავიცანი სოფლად ყველა...
სიწმიდით და უმანკობით
შენ სჯობიხარ იმათ, მელა:

—

შენ იპარავ: ქათმებს, ბატებს,
იხვებსა და ინდაურებს...

ისინი კი ყველაფერზედ
თვალს ჭყეტენ და ცქვეტენ ყურებს...

—

ქბილ ბასრო და ბრჭყალ-მახვილო
ბარეულო კატუნია!..
ვინც რომ შენ არ გამჯობინებს
საყვარელსა... ვერ უცვნია!

—

შენ არავის მიიკარებ
არც რისხვით და არცა თნევით,
ის კი აცდენს მამა-კაცსა
ძრუტუნით და კუდის ქნევით!

—

მხეცებო და პირუტყვებო!
ბაგიანით ყველა კარგა...
და ღმერთს ვმადლობ, რომ მაცდური
მე სათვალე დამეკარგა!

სხვადასხვა ერი. *)

ალალმა ღმერთმა ხელახლა
კაცს დაუბრუნა ედემი,
სადაც სცხოვრობდა ცოდვამდის
პირველი მამა ადამი.

—

ქოვლის მხრიდამ მოატყდა
ადამის ტომი სამოთხეს!
გაიყვეს, გაინაწილეს,
დასახლდენ თავ-თავის კუთხეს.

—

და მაშინ ბრძანა უფალმა:
„თქვენია მთლად ეს ქონება!..
მე ხელს არ გიშლით... იხმარეთ!
გამოიჩინეთ გონება!..“

—

ის ანგელოზიც გაფრინდა,
კარზედ რომ იდგა მცველადა,

—

*) „სხვადასხვა ერი“. აქ ბევრი სხვა ერებიც იყვენ მოხსენებული მაგალითად: ისპანიელები, თათრები, სომხები, რუსები და სხვანი. მაგრამ ცენზურამ არ გაუშვა დაიჭირა და მე კი აღდგენა აქ ვეღარ მოვახერხე. განსაკუთრებით სასაცინო იყო სომხები და რუსები.

და ხილ-ულ იქმნა **ს**ამოთხე
ისევე, როგორც ძველადა.

—

ჭოველმა ერმა თვის კუთხე
უნდა სდვას კილო და კვალი,
და ვინც აჯობებს იმათში,
იმას აკურთხებს უფალი.

ინგლისელები.

ინგლისელებმა შვენებას
არ მიაქციეს იქ ყური!..
აჰკაფეს ვარდი და ია,
ნაცვლად დათესეს ზედ პური.

—

მთები გახვრიტეს, კლდე აპეს,
ზღვა ზღვას შეურთეს არხითა
და ააბრუნეს ქარხნები
სხვადასხვა გვარის ჩარხითა

—

ამართეს დროშა მუდამი,
ზედ ეს დასწერეს სიტყვები:
„**მ**ხოლოდ შრომა და ვაჭრობა,
სხვას ქვეყნად არას მივყვები!“

—

და თავ-მომწონედ, ამაყად
ის დროშა ხელში იჭირეს;

სხვის თვალში ბეწვსა სწუნობენ,
თვისაში იქებენ დირეს.

ნემცები.

მეორე დროშა ამართეს
ნემცებმა; ზედ ეს ეწერა:
„ჩვენი თავი და ოჯახი,
ამ ქვეყნად სხვა არ-რა გვჯერა!

—

სანამ გვექნება სიგარი,
ძუპატი, ლუდი, პურიო,
არას დავეძებთ!.. ჩვენ სხვების
არ გვმართებს სამსახურიო!“

—

ამ განზრახვითა შეუდგნენ
მეცნიერება-სწავლასა
და ერთნაირად იკვლევენ
დარბაზებსა და თავლასა.

—

საპირის-გემო ქარხნები
აგეს ფერად-ფერადი
და ზედაც დაღი დაასვეს
სასაკუთრო და პირადი.

—

მერე დაიწყეს ოცნება,
როგორც მაძღარის წესია,

Და იქ ჰფიქრობენ მოიმკონ,
სადაც მათ არ უთესია.

Იტალიელები.

Იტალიელთა რომ ნახეს
Ის მშვენიერი ბუნება,
აიგზნეს სიყვარულითა,
ბაუორკეცდათ გუნება.

—

Დროშაზედ ასე მოქარგეს:
„Ეს არის ჩვენი მცნებაო:
სიყვარული და ოცნება,
სხვადასხვა ხელოვნებაო!“

—

ჰხატვენ, უკვრენ და მღერიან,
ბუნებას ეჯიბრებიან;
სხვებს მაგალითებს აძლევენ,
ჭვეყანას ემოძღვრებიან.

—

Თვალს სდევენ, გულსა ჰყვებიან,
ქუჩს ივიწყებენ ხშირადა,
Და მის ბრალია, თუ ზოგჯერ
Თავი უჯდებათ ძვირადა.

—

ფრანგები.

ფრანგებმა თავის წილ-ხვედრი
სხვადასხვა რიგად ვამართეს;
ბევრიც იშფოთეს და შემდეგ
წითელი დროშა ამართეს...

—

დასწერეს: „თავისუფლება,
ძმობა და სიყვარულიო
ვისაც არ ჰსურდეს ქვეყნისა-ვის,
ღვთისაგან იყოს კრულიო!“

—

სწავლა და ხელოვანება,
სიბრძნე და მეცნიერება
მისათვის უნდათ, რომ სხვებსაც
მისცენ მით ბედნიერება!

—

შრომობენ შესანიშნავად,
ბულ-გახსნით, პირ-მომცინარად
და ჯერ არავის უნახავს
უსაქმურად და მძინარად.

—

ჭირში და ლხინში ერთ-ვარად
მაღალ-სულობით ქებულან;
ბევრჯერც ჰქონიათ შავი დღე,
მაგრამ არ შეშინებულან!

—

სიოკენაც უნდა ისროლოთ,
ვით კატა, ფეხზედ სდგებიან!..
რა ჭირიც უნდა მიადგესთ,
სხვის შემწედ ემზადებიან.

—

ქისრულიც ბევრჯერ უქნიათ,
არ დამტვრევიათ ფეხები...
და სჩანს, რომ ვერას დააკლებს
მათ, გინდ აწვიმოს მეხები.

———

ქართველები.

ქართველნი როცა შევიდენ,
და თავის კუთხე მონახეს,
ურთ-მაჯა მაღლა შეიგდეს
და აღტაცებით დასძახეს:

—

„შენი გამჩენის ჭირიმე!..
ცხონება ეს ყოფილაო:
ზაფხულში საამოდ გრილა,
ზამთარში კარგად თბილაო.

—

რასაც კი თვალი ისურვებს,
ან გული მოინატრებსო,
სულ აქ ყოფილა; ღვთის მადლით
სრულად ვერავინ აკრებსო!...

—

Და რაღა უნდა ამ ქვეყნად
Ადამის შვილსა მეტიო?
Ვინც ამას არ დასჯერდება,
Ბიჟი იქნება, რეტიო!

—

Ამა სამოთხის კუნჭულსა
Რაღა აკლია ერთიო?!.
Დავჯდეთ და ლხინი გავწიოთ,
Ვახსენოთ მაღლა ღმერთიო!

—

Დაჰკრეს ზურნა და ნაღარა,
Დასძახეს „ჰარი ჰარალი!“
Წითელ ნუნუას ეწოფნენ,
Სთქვეს: „კუპრიელსო ზარალი!“

—

Ამართეს დროშა მაღალი,
Ოქრო მკედითა ნაკერი!
Ბამოეხატათ ზედ ჯვარი
Და ქვეშ ეს იყო ნაწერი:

—

„Ენა და სარწმუნოება,
Ზნეობა საამურიო;
Ამ ქვეყნად ყველას პატივი,
Მაღლა—ღვთის სამსახურიო!

—

Მოყვრისთვის თავის გაწირვა
Და მეგობრული ვალიო!

მტრისათვის მოსაგერებლად
ბასრი შიშველი ხმალიო!..“

—

აბე დასწერეს, მაგრამ კი
ისინი ძილმა წაიღო,
და მათი კარგი ყოველი
ჩხიკვმა და ყვავმა გაიყო!

—

ჯერ ცუდი სანახავია
იმათი მხარე მძინარი;
მაგრამ თუ გამოიღვიძეს,
ბედი იმათი წინ არი...

ბერძნები.

წინდახედულად, ხერხითა,
საწყლად შევიდა ბერძენი,
ოდესმე გამოჩენილი,
ქვეყნისთვის ბევრის შემძენი.

—

შეხედა სხვების შენობას,
ბულ-და-გულ ათვალიერა;
მერე დროშაზედ ქარაგმით
ტკბილის იმედით დასწერა:

—

„სჯობს მაშინ ხერხი ვიხმარო,
როცა აღარ სჭრის ხმალიო,

და ვიეშმაკო იქ. სადაც
არ გადის სამართალიო,

—

რომ დავიბრუნო ოდესმე
ჩემი დიდება ძველიო!..
და ნურვინ სცდილობს უბრალოდ
შემაშლევინოს ხელიო!

—

არ ვკითხავ სლოვიანებსა,
დედას ვუტირებ თათრებსო,
და ინგლისელებს—მათ მომხრებს—
დავაკარგვინებ დავთრებსო!"

—

ედემში სხვებიც შევიდენ,
მაგრამ არ მოვიხსენიებთ,
რადგანც მიდგომით ვერ ვაქებთ
და მართლით კი ვაწყენიებთ...

—

როცა ყველანი დასახლდენ,
მობრძანდა მაღლით უფალი
და გადაავლო ედემსა
მამობრივ-წყალობის თვალი.

—

ბრძანა: „მსურს ყველას ვუჩვენო
მე ორი მაგალითიო
და ერთს კარგზედ და ერთს ცუდზედ
მათ მივუშვირო თითიო!"

ჯერ ფრანცუზებზედ უჩვენა:
„მისდიეთ იმათ კვალსაო,
და მაშინ მაღლით ვაკურთხებ
თქვენს ბედს და მომავალსაო!“

—

მერე სკვითებსაც შეხედა:
„ამას ხომ ხედავთ თქვენაო?
არ მიჰყვეთ მაგის გზა და კვალს,
არ გაირისხოთ ზენაო!“

—

ბრძანა და ნათლით ამაღლდა
ზეცასვე ღმერთი უფალი...
და, ვისაც არ სწამს ღვთის სიტყვა,
დაუბნელდება მას თვალი!..



უცხო მხარე.

ავალ, სადაც სიღარიბეს
ბოროტებად არა სთვლიან,
სადაც პირად ღირსებაებს
ნაბოძვარში არა სცვლიან!

—

სადაც ყველა თანსწორია,
ერთს მეორის არ აქვს შიში,
სადაც მოსპო ქრისტეს მცნებამ
ფარისევლის ანგარიში!

ამისთანა უცხო მხარე
ვიცი მხოლოდ ერთად-ერთი:
ოცნებისა სამთავროში, —
იმას ჰქვია... სიზმარეთი!

სიმღერა.

ეუშინ ღამ მთვარე
სხივ-ვომფინარე
ვნახე ლურჯ ცაზედ მონარნარებდა;
ეშხით მგზნებარე,
ის შევადარე
ჩემს საყვარელსა... გული ხარობდა!

—

დიდ ხანს და დიდ ხანს
იმ ნათელ საგანს
მე შევყურებდი სულ-განაბული;
ამ სულს და ამ ტანს
ერთოლის თან ამტანს
ათამაშებდა ძგერითა გული...

—

გრძნობით გამსჭვალულს,
ფიქრით მოხიბლულს,
არ მეტყობოდა ქვეყნიურება;
უკვდავსა და სრულს
ვგრძნობდი სიყვარულს,
ჯეშმარიტებად მჩნდა მაცდურება!

Მაგრამ ბოლოს ჟამს,
სიტკბოების წამს
Იგივ მნათობი მენაღველ-ძმარა:
სულს აწვეთებს შხამს
Და გულს მით მიწვამს,
Რომ ჩემგან მარად აწ მიეფარა.

—

Განქრა ოცნება,
Აშხამდა ვნება,
Სიცოცხლეც გაქრეს!.. რაღას მოველი,
Თუ მოსვენება
Აღარ მექნება,
Შიგნივ და გარედ მედება ბნელი!..

Დედა და შვილები.

Ავრივ ოხრობის განაცადმა,
Სიმწრის ლუკმით გამოზდილებს,
Ცოტა იმედ-მოცემულმა,
Ერთხელ დედამ უთხრა შვილებს:

—

Სხვის ეზოში მელა არის,
ჩვენსაში კი დიდი მგელი
Და, შვილებო, მასახელეთ:
Თოფ-იარაღს სტაცეთ ხელი!"

Უფროსმა სთქვა: „მე რას დავდევ?
რისთვის უნდა ვიჩერჩეტო,
რომ მივიდე და შავება?!
თავი როგორ გავიმეტო?“

—

მეორემ სთქვა: „მეზობლისას
ბვიჯობს თავი მოვიყაროთ:
მოკლათ მელა და ისინიც
მერე მგელზედ მოვიხმაროთ!“

—

უმცროსმა სთქვა: „აჰ! მეზობლის
მოხმარება ვეღარ გვარგებს:
სანამ თქვენ აქ მოხვიდოდეთ,
მგელი სრულად ამოგვაგდებს!“

—

ვერ დათანხმდენ კერპობითა,
მოუვიდათ დიდი ჩხუბი!..
სასიკვდილოდ მოუღირეს
ერთმანეთსა ძმებმა შუბი...

—

სანამ უგნურ მაჩხუბრებსა
ვაი ჰქონდათ და ვაგლახი,
დიდმა მგელმა შეუპოვრად
ამოაგდო მთლად ოჯახი.

—

ჭერივ-ოხრობის განაცადმა,
დედამ რომ ეს დაინახა,

Ცხელი ცრემლი გადმოღვარა...
მწუხარებით დაიძახა:

„ღმერთო ჩემო! რადგან ბედმა
მე შვილებში მომატყუა,
შვილის-შვილებს მაინც მიეც
შეძლება და მეტი ჭკუა!“

კითხვა მიგება.

კითხვა.

ჩემს ძარღვებში სისხლი ჰბრუნავს
პილპილითა შეკაზმული;
ხან ჯოჯოხეთს, ხან სამოთხეს
წამ-და-უწუმ იცვლის გული.

—

ზოგჯერ ჩემს ბედს არვინ ღირსა,
ზოგჯერ ვრჩები შესაბრალი;
ხან კოღო ვარ სისუსტითა,
ხან გულში მაქვს ლომის ძალი.

—

ეს შარბათი, მე რომა ვსვამ,
ხან მწარეა და ხან ტკბილი,
და არ ვიცი—რა ვარჩიო
მე: სიცოცხლე, თუ სიკვდილი?

ᲕᲡᲣᲮᲐ.

თუ მაგ შენის გრძნობის ცვლისა
ბრალი იყო ტურფა ქალი,
ტკბილ შარბათსა დაეწაფე,
მწარეს აარიდე თვალი!

სადაც ვარდი აკოკრდება,
იქ ეკალიც ხომ იჩენს პირს;
მაგრამ ბრძენი მხოლოდ ვარდს კრეფს,
ეკალზედ კი არ ახევს ცხვირს.

ქალიც ვარდის ჯაგი არის:
ეკალთან აქვს ყვავილები!...
ორში ერთი აირჩიე,—
თვითონ ჯაგს თავს რად ევლები?!

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ.

ინდა რომ ვსთქვა...
მაგრამ თევზი მაგონდება მის
ანდაზით
და რა გითხრა გაცხადებით
შენ გათქმულო სილამაზით?

„პირველ ყოვლის მოგაგონებ
შენს ცხოვრებას წმინდას, წასულს...

არ დავფარავ!... დაგაღონებ
და ვაშფოთებ ამით შენს გულს!

—

ბახსოვს, ოდეს ცხრა კლიტულში
შენ სცხოვრობდი დედოფლურად?...
სიმხნე გედვა მაგ კლდე გულში
და ვერ გპოვეს მათ უძლურად?...

—

იმ დროებში შენი შოვნა
ბევრს უნდოდა ანგარიშით,
მაგრამ ვერვინ დაგიმონა
ვერც შეცდენით, ვერცა შიშით!

—

სხვადასხვა ტომის პირებსა
არ ჩაუგდე თავი ხელში,
ბულით მტრედს და სულით ბრძენსა
ვინ გჩაგრავდა ამ სოფელში?!..

—

თავ-შეხვეულს შენ მოტრფიალს
უგზავნიდი ხშირ შერცხვენას,
არ დასდევდი შენ მისსა გულს
და არცა რას იმის წყენას!...

—

მხოლოდ ერთი მე გიყვარდი!..
ჩემიც გსურდა სიყვარული!...
შენ ჰყვაოდი, ვითა ვარდი,
მეც გეტრფოდი, ვით ბულბული!...

მაგრამ ბოლოს მიღალატე
ულოდნელად, დიაცურად!..
გულში ცეცხლი მომიმატე,
გამაშმაგე არ კაცურად!..

—

მოხიბლულმა, ვითა ჩერო,
მე დამაგდე ცოცხალ-მკვდარი
და ხომ გახსოვს, მშვენიერო,
თუ მე მაშინ რა გითხარი?

—

„ნუ სტყუვდები, თავის მტერო!...
მე მაგდებ და სხვასთან მიხვალ?
მაგრამ დღეს კი, ბედნიერო,
რად არ ჰფიქრობ, რა გელის ხვალ?!

—

მონის ფასად დაგიჯდება
ღღეანდელი ეგ ალერსი!..
ხასისათვის ვინ გიჟდება? ..
რად არ იცი შენ ეგ წესი?!..

—

ბევრის აღთქმით, დიდის ხერხით
რომ ჩაგითრევს და შეგაცდენს,
მერე ზედ შედგება ფეხით,
დაგიმონებს, ცრემლებს გადენს!..

—

ლეჩაქს მოგხდის, გაგაშიშვლებს,
ბანგს შეგასმევს, დაგაძინებს,

Ზამოგიზრდის მონად შვილებს
Და თვითონვე შენ დაგცინებს!

—

Ამ თავითვე იჭკვიანე!
Ნუ ენდობი გარყვნილს, მაგ ავს!
Და მაშინ მეც, გეთაყვანე,
Მსხვერპლად შემოგწირავ ჩემ თავს!..

—

Მაგრამ, ვაი, ყურს არ მიგდებ,
Მაცდურისკენ თვალს იშტერებ!..
Მისთვის გულში მწველ ცეცხლს იდებ!.
მისთვის მხოლოდ გულს აძგერებ!..

—

Მიკვირს, მიკვირს, რად არ
გრცხვენის?
ჰხედავ, როგორ გიშვერენ თითს?!..
Და „Ივდითის Ოლნოფრესთან“
Რად არ ჰბაძავ შენც მაგალითს?.

—

Ეს გითხარი, მაგრამ შენ კი
ჩემი აღარ დაიჯერე:
შეიყვარე ის გულ-მანკი,
Ზულიც მისთვის აიძგერე!..

—

Აიძგერე და ახლა კი,
Რაც გირჩიე მაშინ, ყველა

ბაგონდება, ვით არაკი,
და აღარ გაქვს მაინც შველა!...

—

მაგრამ იცი, მე რას გირჩევ,
ვით სნეულსა და ავადმყოფს?
თუ ორს ჭირში ერთს აირჩევ, —
გარყვნას ისევ სიკვდილი სჯობს!...

—

სხვასაც გირჩევ, მაგრამ თევზი
მაგონდება მის ანდაზით
და სიტყვებსა ეს მიზეზი
ბულში მიკლავს უხმოდ ბრაზით!"...



მზრუნველებს.

ამის სული გაუშვიათ,
ბაპისას კი იგონებენ;
დედას დედი-ნაცვალზედა
სცვლიან და თავს იწონებენ!

—

ნუ თუ შინ ვერ მოუნახავსთ
ვერც ცოცხალი, ვერცა მკვდარი
ღირსი მათის ყურადღების,
სახსოვი და საქებარი?

მაგრამ ამ ჩვენს სნეულ დროში,
როცა მეფობს ანგარიში,
რომელსაც ჰყავს დიდ-ვეზირად
ოკრგულობა, ანუ შიში.

—

ვის რად უკვირს, რომ მშობელი
მის ნაშობსა თვითვე ჰყიდის...
რომ შობილი თვის მშობლისვე
მოსაკლავად ბარჯვედ მიდის?!..

—

ხა! ხა! ხა! ხა! ქების ტაში
დაჰკარ!.. ბუქნაც დაუარეთ!...
შინაურებს შიმშილით ჰკვლენ,
მდიდრებს უდგმენ ტაბლას გარეთ!..

ჩემს მეგობარს.

აღა დროს შენი მღერაა,
ბიანური და ნაღარა:
მუხლებში ღონემ გისუსტა,
თმაში გერევა ჭაღარა?!..

—

მაგრამ ჩვენს ძველებს რომ უთქვამთ:
„არ დაბერდება გულიო,

თუ არ ყოფილა ზნეობით
ვაგლახად შელახულიო.

—

და გვამიც რაც უნდა დასუსტდეს,
მაინც ძლიერობს სულიო,
როგორც ძველ, ნახმარ ჭურჭელში
ძახური შენახულიო,“—

—

თურმე მართალი ყოფილა!..
მაგალითს ვხედავ შენითა:
სული და გული მრთელი გაქვს,
ხორცი თუმც გაქვალავს სენითა!

—

მაგრამ შენ შენთვის არ ფიქრობ:
ჭირი რომ გადგას კარზედა,
შენ მაშინ სტირი და ჩივი
სამშობლოს სატკივარზედა...

—

ამით ირისხებ უფროსებს,
ივდურებ ამხანაგებსა ..
ფრთხილად!.. ერიდე ხაფანგსა,
ყოველის კუთხით ნაგებსა! .

—

თავს ნუ იმეტებ, სანამდი
შენს სამშობლოსა არგიხარ
და სანამ თითონ არ იგრძნო,
რომ ქვეყნის ურგო ბარგი ხარ!

ვინც რა უნდა სთქვას, ნუ დასდევ!
შენვე ხარ შენი მსაჯული!
და მაგალითად ის გყავდეს,
ვინც ჩვენთვის იყო ტანჯული.



ბ . . . . . ს

ხალ-თაობის კაცია
და გულით კარგი სწადია,
მაგრამ, ბევრისა ვერ შემძლე,
ტრიალობს, როგორც გადია,

—

რომელსაც უნდა გულითა
თვით გამოზარდოს ყოველი:
ბატონის-შვილი, სხვის შვილი,
და მრავალ-გვარი ცხოველი!

—

ხან ცხვრებსა დასდევს მინდვრებში,
ხან მივარდება წიწილებს;
ძროხებსაც სწველის, ხბოს უვლის,
ღორს სდევნის, გოჭებს აჭყივლებს.

—

რა საქმეც უნდა გამოჩნდეს,
სუყველას ეპოტინება

Და, თუ სხვა ნახა უსაქმოდ,
Იცის პირ-და-პირ გინება.

—

ხან-და-ხან კიდეც დასწყევლის,
Მაგრამ უგულოდ... ენითა!...
Ღმერთმან ხომ იცის, არ შვრება
Ამას ის თავის ჩენითა?!

—

ხედავს, რომ თავს ვერ გაართმევს
Მარტო ის ამდენ საქმეებს
Და, ვინც ზარმაცობს ოჯახში,
Მის გამო უღრენს და უყეფს.

—

Მაგრამ ამ გვარად მშრომელი
Და გადამხდელი ომისა,
Ბოლოს სიძულვილს მოიმკის
Ნაყოფად თვისის შრომისა.

—

Და გაკიცხულსა, საბრალოს
Თუმცა ხელს კი ვერ ახებენ,
Მაგრამ გახეთქენ გულზედა...
Მიწაში ჩაუძახებენ!...

ნ ა ტ ვ რ ა.

ეტავი ჩიტი ვიყო, ჩიტუნია პატარა,
ტკბილის ხმით მოჰიკჭიკე, სიამით მონავარდე,
რომ გავგოგდე... ავფრინდე... ფრთები გავშალო ჩქარა
და ცისკენ თავისუფლად ისარივით ავვარდე!

—

მივფრინდები იმ არეს, სად ვარსკვლავნი კრთებიან,
სადაც ხშირად კაშკაში გააქვს მოწმენდილ მთვარეს;
იქ, სადაც მტრის ისრები მე ვეღარ მომწვდებიან,
იქიდან გადმოვხედავ ჩემსა სამშობლო მხარეს.

—

მხარეს, მაგრამ რა მხარეს? ოდესმე ბედნიერსა
დღეს კი ჭირში ჩავარდნილს, დღეს კი ცოცხალ-
მკვდარ მხარეს,
სადაც ის აღარ არის რაც რომ ძველად ყავდა!
სადაც ძმა ძმასვე მხოლოდ უთხრის სამარეს.

—

ვნახავ იმ ბრძოლის ველებს, სადაც ბედი სწყდებოდა,
მტერი, მგონი, შემუსვრის ანგარიშში სცდებოდა,
რადგანც ქართველს იმა დროს თავი ავიწყდებოდ›...
ბრძოლა!... სჯული და ენა კი მითი მტკიცდებოდ›.

—

დავეცემი გულ-მკერდით... იმ ველზედ დავეშვები,
ნისკარტით ვუამბორებ წმინდას სახსოვარს მიწას!

წინა-პრების სახსოვრად კვნესით ჭიკჭიკს მოვჰყვები:
ძვეყანას შევაბრალებ... შევავედრებ მათ ზეცას.

—

მაგრამ ვით გავარჩიო ჩვენი მკვდარი და მტერი?
ხომ სულ ერთად ჰყრიან არეულ-დარეული?
წმინდა ბრე წინაპრების და მტრების ბილწი მტვერი
რატომ არ არის ნეტავ გარჩეულ-გასაზღვრული?

—

არ დავსდევთ, მაგრამ ის კი თვით ბუნებამ გასაზღვრა:
იქ ეკალი ამოდის, სადაც მტერი მარხია
და სადაც ჩვენმა ძვალმა წმინდა სისხლი დაჰღვარა,
იქ მოდის ყვავილები და ზოგანც ვარდის ხეა.

—

ეკალს და ბალახ-ბულახს, მტრის გულზედ ამოსულსა,
მივანებებ ბაყაყებს... დეე, მათ უყიყინონ!
მე ვარდის ყვავილებზედ ავიღელვებ ამ გულსა,
ვიჭიკჭიკებ... და მკვდრებმა საუკუნოდ იძინონ.

—

ნეტავი ჩიტი ვიყო, ჩიტუნია პატარა,
რომ ჭიკჭიკით გამოვსთქვა ენება ჩემის გულისა!
ვნახო ჩემი სამშობლოს ბედნიერება ჩქარა
და ვიმღერო სიმღერა შორის გაზაფხულისა.

უ ს.

ბაბრალო არის დატვირთული უზომოდ ვირი.
ფეხებ არევით, თავ-ქინდრული მოდის თავ-
დაღმა;
ველარ ახერხებს საყროყინოდ გააღოს პირი
და უწყეპლოდაც აღარ ესმის აღარც „აცის“ ხმა.

—

მაგრამ იგივე რომ ავკიდოთ ტვირთი, ბედაურს,
არად შეიმჩნევს, ვითომ ვერც გრძნობს: არი თუ არა?
კუნტრუშ-ხვიხვინით მონავარდობს, წაიცქვეტს რა
ყურს,
და ვირის საველელ გზას გაივლის თორმეტჯერ ჩქარა.

—

ვირს კი ჰგონია, თუ მშრომელი მხოლოდ ის არი
და, ვინც მისსავით არ იტანჯვის ტვირთ-მოდებული,
არ ეკადრება მის ვირობას! არ არს სადარი!..
და ვირულ-სიბრძნით იბერება შეფერებული.

—

საბრალო ვირო! ჭკუა ძვირო! ვინ გააკვირო?
ყურ-პანტურობა და ყროყინი შენი წესია!..
ჰაგით, ნუ ფიქრობ, ბედაური გააშავპირო!
ყველა მას მომკის, რაც რომ თითონ დაუთესია!

—

და თუ ვერ მიხვდი უბრალო აზრს მაგ დიდის თავით,
რატომ არ გესმის, აბა რად გაქვს დიდი ყურები?
„ვირები რა გინდ ტვირთ-ქვეშ მოჰკვდენ, ისრისონ
მაინც არ ეთქმისთ უბედურებს ბედაურები!“ [ზვავით,

—·—

ნ . . . . ს.

ხალ თაობას ჩემულობს
და ვითომც კარგი სწადია,—
და რომ საქმესაც არიგებს,
ვით მოურავი!... ცხადია!...

—

ის მოურავი, რომელიც
დარბაისლურად ირჯება
და ორ-გულს ნახავს თუ ერთ-გულს,
ერთ-გვარად გაეკრიჭება...

—

ვაჟბატონს ქალებს ურიგებს,
ქალ-ბატონს მოჰგვრის კუროსა,
არც ბატონის-შვილს დაგდებს
უერთგულ-უმსახუროსა.

—

პირში ყველასთვის ვარდია!...
თაყვანს სცემს უმეტესობა,
მაგრამ ზურგს უკან კი ყველას
ის ეკალივით ესობა!

—

თუ არჩევანშიც ჩავარდა,
არჩევა არ აშორდება!...
ვაი ხალხს მისგან მოხიბლულს,
რა სასაცილოდ ღორდება!...

მესტვირული.

ეჭრელდა ჩვენი ქვეყანა
ხალხიც აირ-დაირია:
მათი საქმე და ხელობა
სულ სხვადასხვა ნაირია!
მართალ-მტყუანის გარჩევა
სწორედ რომ გასაჭირია:
ვის თვალშიც ბეწვი არა ძეკს,
მისაში თურმე დვირია;
ვინც რომ სპეტაკად მიგვაჩნდა,
ის თურმე სულ შავ-პირია.
ზურგს უკან ყველა ღაღადებს,
პირში კი მთქმელი ძვირია;
მაგრამ მე ვბერავ გუდასა,
ხელში ავიღე სტვირია,
მსურს, ყველა ღირსად შევამკო,
მათ ვუთხრა ეგ შაირია;
ვინც უნდა იყოს, რა მგამა,
ბინდ დიდი, გინდა მცირია;
ბამოჩნდეს, ვინც კი დასჩაგრა
ძვრივ ობოლი და მწირია,
ბავსინჯოთ მათნი საქმენი,
ბამოუჩხრიკოთ ძირია
და შეუმუროთ საქვეყნოდ
იმათ ცხვირი და პირია;

მაგრამ ჯერ ქებით დავიწყოო,
თუმც კი ნაქები ძვირია.
პიიპუ! პიპუ! პიპუ! პიიპუუუ!...

—

ახალ-წელიწადს გილოცავ,
ჩვენო კარგო დიმიტრიო.
ძველებში შენ რჩეული ხარ,
ვერავის ვერ შეგადრიო.
დაგვიბერდი, მაგრამ მაინც
შრომობ, ჩუმად ოფლსა ჭღვრიო!
ლხინში მაღლა თავს არ იღებ,
ჭირში დაბლა არა ჰხრიო;
შენს სახსოვარს ხალხის გულში
ვით ბეჭედსა ამოსჭრიო,
მაგრამ იმ ერთ ბატონივით
ბოლოს კი არ აურიო,
შენი წმინდა საქმეები
უეცრად არ აიმღვრიო.
თორემ შენსა სიყვარულსა
ჩვენ გულიდამ ამოფხვრიო.
ამ შაირით თუ გაწყინეთ,
მოგვიტევეთ მამობრიო!
პიიპუ! პიპუ! პიპუ! პიიპუუუ!

—

ქოსტანტინეს თუმც არა აქვს
ნიჭიერებთან ცილობა,
მაგრამ მამულის საქმეში

Ძველგან აქვს მონაწილობა;
მით ქართველობა ეტყობა,
შვენის მამულის შვილობა,
მაგრამ რას იზამს აღმართში
მისი გულ-კეთილობა?
სხვის გულ გრილობას რომ ხედავს,
მისგან აქვს გულში ჭრილობა!
ღმერთმა აკურთხოს ჩვენ შორის
ეს ტკბილი მამა-შვილობა!
პიიპუ! პიპუ! პიპუ! პიიპუუუ!

—

საჯირითო მოედანზედ
ნიკო პირველი რაშია!
ბინდათ გითხრათ, რასა შვრება
და ან საქები რაშია?
შორს გამქვრეტელი, მამაცი,
წინ-დახედული ვაჟია;
სადაც კი ჭკუა არ გადის
იქ ცეტი და გიჟმაჟია.
ხანდახან მტკიცე კაჟია...
მისგან ბევრს რამეს მოველით,
თუ არ გარდახდა ბაჟია!
პიიპუ! პიპუ! პიპუ! პიიპუუუ!..

—

ერთხმად აქებენ ყველანი:
კარგი არის ლევანიო,
ქართული ყურძნის ვაზია...

სანაქებო მტერვანიო;
მხოლოდ იმას აშორდება
ქვრივ-ობლების წყევანიო,
თვით ბრძენია, რაღად უნდა
იმას ჩვენი რჩევანიო?...
. . . . . .
. . . . . .
პიიპუ! პიპუ! პიპუ! პიიპუუუ!

—

ივანე ბევრს კარგს გვპირდება,
თუ რომ არ მოაპორაო;
ამბობენ, სიბერის დროს მან
საქმე სულ გაასწორაო;
თავს სდებს, თუ ქართველს სომეხი
როგორმე მოაშორაო;
ჩვენ სასიკეთოდ გამართა
ერთი რაღაც კანტორაო;
ღმერთმა ხელი მოუმართოს,
თუ ბოლოს არ დაგვტორაო!
პიიპუ! პიპუ! პიპუ! პიიპუუუ!

—

აწ ახლებზედ გადავიდეთ,
ვახსენოთ ჩვენი ილია;
იმისი გემო ხომ ვნახეთ,
ცოტა მოძველო ხილია!
ქვეყნის ერთ-გული, გულ-წრფელი,
კარგი მამულის-შვილია;

ბულშია მეტად გულადი,
სიტყვით კი ცოტა ფრთხილია!
მე ვფიქრობ, ეს მისგან არის,
რომ დარბაისლად ზრდილია;
ცოტა უდროოდ გასუქდა
და ბედით კმაყოფილია
და არას აწყენს, ხანდახან
რომ მას დაეუფთხოთ ძილია!
პიიპუ! პიპუ! პიპუ! პიიპუუუ!

—

ბიორგი ჩვენში ყველაზე
უფრო შრომის მოყვარია,
მაგრამ მისი ნაწერები
სხვადასხვაა, ორ გვარია:
ერთი ნიჭიერი არის,
მეორე კი ზღაპარია!
მგონია, თუ იმ ერთს კაცსა
ორი თავი აბარია,
როცა ერთი გამოჩნდება,
მეორე ჩრდილს აფარია,
საზოგადოდ კი ის კაცი
ჩვენში კარგი ლამპარია.
პიიპუ! პიპუ! პიპუ! პიიპუუუ!

—

ახლა შენთან ალლა-ვერდი,
კარგო მუშა ჩვენო სერგო,
„ივერიის“ და „დროების“

შემაერთებ..ლო გვერგვო!
უმადური ჯაფა. შრომა
არჩევანში წილად გერგო
და დრო არ გაქვს ხელოვნურად
რომ ჩვენ რამე დაგვინერგო.
პიიპუ! პიპუ! პიპუ! პიიპუუუ!

—

პეტრეზედაც ცოტა რამ ვსთქვათ,
მაგრამ კარგად მოვიხსენოთ;
ჩვენ უმისოდ არ ვარგივართ
და არც ვარგა ის, უჩვენოთ.
ახლოს კარგ სახმარია,
შორს არ უნდა გავაჭენოთ;
უნდა ერთი თვე ვაშრომოთ
და თერთმეტი მოვასვენოთ
პიიპუ! პიპუ! პიპუ! პიიპუუუ!

—

სათვალავში, რა თქმა უნდა,
რომ ნიკოც არ მავიწყდება.
მაგრამ რა ვქნა, რომ იმაზედ
ამ ბოლოს დროს გული მწყდება:
შინაურებს წიხლებს ესვრის,
გარეულებს ვეღარ სწვდება,
აქაც ფეხი აუსხლტება,
ჩქ ყინულზედ გაცურდება;
ცოტა გვიან კი მოუვა,

მაგრამ მაშინ გაოცდება!
პიიპუ! პიპუ! პიპუ! პიიპუუუ!

—

დათიკო კარგად დასტოვა
სახელ-განთქმულმა მამამა;
შვილსაც კი ერგო ის ქება,
ცოტა მან გაათამამა;
ამ ბოლოს კი გაგვისუქდა,
აწყინა მუქთად ჭამამა
და ეჰ, ვითა ჰქნას ვარდობა
ასკილმა ანუ კამამა!
პიიპუ! პიპუ! პიპუ! პიიპუუუ!...

—

ოცი წელი შეუსრულდა,
რაც რომ მწერლობს აკაკიო,
ბევრი გვითხრა შაირები,
ზღაპრები და არაკიო
და ძალიან კარგს იზამდა,
რომ დაგვეხსნას ახლა კიო...



ი ა ვ ნ ა ნ ა.

ავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!
ზაფურჩქნულო ახალ-ნორჩო, შენ პაწაწინაო!
აგრე ტკბილად, უდარდელად რამ დაგაძინაო?
ლედის მკერდში მიგიგნია შენ ტკბილი ბინაო?
ლაიძინე, იავ-ნანა, ვარდო-ნანინაო!
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!

—

ლაიძინე, გენაცვალოს შენი მშობელიო;
ძუძუებში ჩაგივლია პაწაწა ხელიო;
შენს ვაჟკაცობას მომასწრებს მე ღვთის მშობელიო.
აგცილდეს სხვისა მონობა დამამხობელიო!
თავისუფლების სხივები გულს მოგეფინაო!
იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო!

—

ზაივსე და გაიზარდე. პატარა მთვარეო;
შეისწავლე და შეტკბე სამშობლო მხარეო!
ანუკეშე, სადაც ნახო, მოძმე მწუხარეო!
შვილო, მამულის გულისთვის სისხლიც დაღვარეო!
ჩვენ ძველებმაც მაგვარადა მტერი აშინაო.
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!

—

პაწაწინა იადონო და ვარდის კონაო,
ჟური უგდე, დაისწავლე ჩემი ნანინაო,

Თვალ-ხილულად დააკვირდი, იცან ქვეყანაო,
რომ გაიგო ამ სოფლისა ცრუ გამოცანაო...
მაგრამ ჯერ კი დაიძინე, ადრეა განაო?
Იავ-ნანა, ვარდო ნანა, იავ-ნანინაო!



დედა და შვილი.

ავით მოსილსა დედასა
შენიშნა მწარე ღიმილი
და ტიტინითა მივარდა
პატარა იმისი შვილი:

—

—„დედილო, რას მოგწყენია?
რად დაგიხრია თავიო?
ძვრივი არა ხარ, რას ეძებ,
და რად ვაცვია შავიო?

—

ბევრჯელ მინახავს კურცხალი
წამწამზედ მოდებულიო.
და, გულში ჩაკრულს, მსმენია,
რომ სხვებ გიძგერდა გულიო.

—

და ეგ ღიმილი რას ნიშნავს,
ან ეგ ამოხვრა მწარიო,

ან წამწამებზედ კურცხალი,
ან გულის ძგერა ჩქარიო?

—

შენსა პატარა ბიორგის
მითხარი. ნუღარ ჰმალამო...
რომ მოგიძებნო როდისმე
მაგ წყლულის გულის მალამო!“..

—

—„შვილო, შენ კი გენაცვალოს
საბრალო დედა შენიო!
ნუ ჰფიქრობ, მარტო განკურნო
ჩემი მტანჯავი სენიო!..

—

კურცხალი, უცებ ამოხვრა
და ეს ღიმილი წყნარიო
სულ ყველა იმ დიდ-მიზეზის
ნაწარმოები არიო!

—

ეს არის, შვილო, მიზეზი
იმ ჩემის გულის ძგერისო,
და ნუ გშურს მუშა შეიქმნე
ჩვენის საბრალო ერისო!“

—

—„დედილო, მომეც ფარ ხმალი,
რომ ავისრულო ვალიო!“..
—„ადრეა, შვილო, ჯერ კიდევ
წიგნია შენი ხრმალიო!“

წიგნი მოსთხოვა დედასა
აღელვებულმა ყმაწვილმა
და მშობლის სახეც აღბეჭდა
რაღაც იმედის ღიმილმა.

ᲙᲘᲜᲢᲝᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ.

აყვარლისა ეშხზედა
ღვინო დამილევია;
მის ხსოვნა სიყვარულში
სულიც დაᲨილევია!

—

მისმა შუქმა დამადნო,
სიცოცხლეც დამწვარია;
დღე-დღეობით მზე არის,
ღამ-ღამობით მთვარეა!

—

მისი ცეცხლი ამ გულსა
აროდეს არ ნელდება:
თუ იმას არ ვუყურებ,
დღე ნათელი ბნელდება.

—

მაშინ ვკვდები სევდითა,
სისხლის ცრემლით ვსტირი მე,

სანამ არ მანუგეშებს,
იმისი კი ჭირიმე!..

—

საყვარლისა ეშხზედა
ღვინო დამილევია,
მის ხსოვნა-სიყვარულში
სულიც დამილევია!.

კ ი ნ ტ ო.

ერთი ვინმე კინტო ვარ,
საყვარელი მეცა მყავს!
ის სულ სხვა ვარდი არი,
სხვის საყვარელს არა ჰგავს!

—

შავგვრემანი, შავ-თვალა,
ეშხის ცეცხლით მწველია!
ბაიყუში ქმარი სძულს,
ჩემი საყვარელია!

—

საცა წავალ-წამოვალ,
მაგონდება სულ ისა!
იმას კი ვენაცვალე,
ჰოი, მისი სულისა!

Დალამდება თუ არა,
მელის გულის ძგერითა;
მე ჩავუვლი კარ-და კარ
თარითა და მღერითა.

--

თუ რომ დრო აქვს, შემიხმობს,
აღარ უნდა ვედრება;
ვფიცავ, ჩემ საყვარელსა
სხვისი ვერ შეედრება!

—-

ჭირიმე! ჭირიმე! ჭირიმე!
შავგვრემანის ჭირიმე!
ჭირიმე! ჭირიმე! ჭირიმე!
შავ-თვალ-წარბის ჭირიმე!

ავადმყოფი.

ერ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს!..
. . . . . !

—

ბევრის ბრძოლით დაღალულსა
ეჰივრება მოსვენება!

შემცდარია, ვინც გულს იტეხს:
წესი არის და ბუნება!

—

ჩვენ კი ჩვენდა თავად გეტყვით:
გულსა სწამს და ჭკუას სჯერა,
რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა
მომავალი ბედის წერა!

—

მისთვის, რომ დღეს ვეღარ გვარჩენს,
არ გიმართებს ორგულობა!
ჩვენს წინაპრებს თუ ჰქონიათ,
ჩვენცა გვქონდეს დიდ სულობა!

—

დეე, მისთვის გავღარიბდეთ,
ზურგს მოვიდვათ საწყლის გუდა:
პატიოსანს ღარიბს რით სჯობს
ბამდიდრებული იუდა?

—

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს,
და როდესაც გაიღვიძებს,
მოიგონებს იმათ სახელს,
ვინც დღეს იმას არ ივიწყებს! .



მუშებს.

ეუშებო, თქვენი მარჯვენა
იკურთხოს ოფლით ნაბანი!
მიწაა თქვენი ლოგინი
და ლაჟვარდი ცა საბანი!

—

უდროოდ გცივათ და გცხელათ,
ბევრჯელაც რჩებით მშიერი;
მაგრამ ყველაფერს აიტანს
თქვენი ბუნება ძლიერი?

—

მიმხვდარი არის ეკ თქვენი
შეუბღალავი გონება,
რომ პირუტყსავით არ შვენის
მშრომელ კაცს სხვისი მონება!

—

მაგრამ ჭირს ჰფარავთ საოცრად
და დახვალთ უსაყვედურო!
არ გინდათ, რომ სხვამ შეგნიშნოსთ
და გითხრასთ: „თქვე უბედურო!“

—

ამ გვარი ამპარტავნება
ძლიერებაა სულისა,
დიდება კაცად-კაცადის,
დამატკბობელი გულისა

Იმ უკვდავების წყაროთი,
რომელსაც ჰქვიან იმედი
და რომლის მოლოდინშია
კაცს ვერ ერევა შავ-ბედი!

—

Დიაღ!.. იმედი გირჩევსთ თქვენ:
ჯერ გქონდესთ მოთმინებაო
და, როს საერთოდ, თანსწორად
სურვილი აღიგზნებაო,

—

.

.

.

—

ნუ გამოილევთ მაგ იმედს,
ეგ იყოს თქვენი საგანი...
მუშებო, თქვენი მარჯვენა
იკურთხოს ოფლით ნაბანი!...

*
* *

ერთი ქალისას ამბობდენ,
ეშვენიერება არიო!..

ნეტავ მას, ვინც კი გახდება
იმისი მეგობარიო!..

—

ამ დროში საქართველოში
არავინა ჰყავს ტოლიო,
მაგრამ ვინ ღირსა, რომ ჰყავდეს
მისებრ ლამაზი ცოლიო?..

—

ტაძარი არის ტრფობისა
მისი უმანკო გულიო;
ბევრი ჭაბუკი გვინახავს
მის გამო გალახულიო!

—

ვითა ბულბული კოკობ ვარდს,
დასტრფიან ყმაწვილებიო;
ეხეთქებიან ერთმანეთს
უსაქმო ცულლუტებიო!

—

მაგრამ ამ ლამაზ ქმნილებას
სხვა მხრით უჭირავს თვალიო...
მოდით და ნახეთ საქები
ჩვენი ქართველი ქალიო!

—

წაველ და ვნახე ლამაზი:
მართლა რომ მოსაწონია!
მაგრამ შემცდარი ბრძანდება,
ვისაც ქართველი ჰგონია'

სახელად ერქვა მაშინკა;
ვსთქვი: თუ რა არის მოდა-თქო?
ძველი დრო რომ ყოფილიყო,
მარიამ ერქმეოდა-თქო!

—

თავ-მოხდილს, საკუთარ თმებში
სხვებისაც ჰქონდა ჩართული!
სხვა ენით ამიჟღურტულდა,
ეზარებოდა ქართული!

—

ამბობდა: „როგორ ვიკადრებ
ქართულად ჩაცმა-ხურვასო!“
ნახევრად იყო ტიტველი..
თითქო აპირობს ცურვასო!

—

ქაჭაჭივითა მეტყველი,
დახტოდა, როგორც კალია,
ის ტუტუცების დამწველი
და მათი გულის-კალია.

—

მხოლოდ ეს იხატებოდა
იმის ჟუჟუნა თვალებში:
„მე ჩემი დღე და სოფელი
უნდა დავლიო ბალებში!“

—

და ეს სიტყვები ეწერა
იმის მშვენიერ სახესა:

„სხვა საქმე არ მაქვს, მე მხოლოდ
აშიყებს ვუგეგ მახესა.

—

მომწონს კალია, მალინა,
მძულს ვარდები და იოა!
სამშობლო რასა მიქვიან,
მეწყერსაც წაუღიაო!“

გამოცვლილი დრო.

ამოიცვალა ქვეყანა,
ჩარხი ოკუღმა ტრიალებს:
ვირი კოკობ ვარდს დაჰგალობს,
ბულბული ვირებრ ჰღრიალებს!

—

ზამთარში სიცხე გვაწუხებს,
საფხულში დგება ზამთარი;
სომეხმა ხრმალი აიღო,
ქართველმა სომხის დავთარი!

—

ჭურდები სჭრიან სამართალს,
მართლებს უყრიან ბორკილსა,
და ქვეყნის მტერი იუდა
დასინის მამულის შვილსა.

ბრიყვი და უსწავლელები
თავში უდგია ჭკვიანებს...
ბაჰქრეს ეს ჟამი ბარემღა,
ნეტავი რას იგვიანებს!!.



ახალი გზა.

ნუ იფიქრებ, დაგაყვედრო,
შე მაცდურო ჩემო მუზა,
იმისთვის, რომ შენის რჩევით
ეკლიანი შემხვდა მე გზა!

—

ბმადლობ კიდეც მისთვის, რომ შენ
ამიხილე ბრმასა თვალი,
თუმც კი ჩვენში ცხოვრებისთვის
მწარე არის ეგ წამალი:

—

სად ვერც იტყვი, ვერცა ისმენ,
ვერც რას ნახავ საამურსა,
იქ რად უნდა ბაგეთ სიტყვა,
თვალო ხილვა და სმენა ყურსა?!

ჩემს სამშობლოს კარგად ვიცნობ,
მომივლია კიდით-კიდე;
მართლის თქმით და გულ-წრფელობით
ჭირი ჭირჩედ გადვიკიდე!

—

აქ მონება ჭკუა არის,
ოკრპიროპა სიბრძნე დიდი,
და მას რჩება მოედანი,
ვინც კი არის მეტად ფლიდი!

—

ცოტა მაღლა ასასვლელად
ძმა ძმას იხდის კიბე-ხიდად,
მშობელს შვილი, შვილს მშობელი,
ძმარს ცოლი ჰსურს გასასყიდად.

—

აქ თვით სჯული ფარისევლებს
ხელთ უპყრიათ ბადე-ქსელად
ძლიერების საპირ-ფეროდ,
უძლურების მოსაწველად!

—

.

—

მხოლოდ საწყალ მიწის მუშას
არავინ ჰყავს გამკითხავი,

მისის ოფლით თავს იკვებენ,
ჟურქად მიდის მისი ტყავი!

—

მაგრამ ვინ რას გვათქმევინებს,
ჩემო მუზავ, ტყვილა ელი!..
დროა, სიტყვა უკუ-ვაგდოთ,
სხვებ მოვკიდოთ საქმეს ხელი.

—

თორემ ისე ჩვენი შრომა
ემსგავსება ბებრის ბუქნას!
რაც ყოფილა, დღეს არ არის,
რაც დღეს არის, ხვალ ნულა ჰქნას!

—

ყარიბო და განწირულო,
ნუ შეკრთები, ჩემო მუზა!
სანამ კიდევ ძალ ღონეს ვგრძნობთ,
ვერ დაგვაფრთხობს ახალი გზა!

მეგობარს.

ეაუქმებული, პირ-უმთნეველი
ქვალად ავიღე ხელში კალამი,
მხოლოდ მისთვის, რომ სიმდაბლით
წრფელი
გულით მოგიძღვნო, ძმაო, სალამი!

აბა გვაცნობე, გასაჯე თავი:
როგორ მშვიდობით ხარ, მეგობარო,
ისე გვწყურია შენი ამბავი,
როგორც დაკოდილს ირემსა წყარო!

—

ბვინდა ვიცოდეთ (ხარ მეგობარი):
ვით შეეთვისე მაგ უცხო მხარეს,
სადაც სიბნელე სხვადასხვა გვარი
სქლად მოსდებია გულ-ბნელსა მხარეს;

—

შეხორცებია ჯაჭვსა მონების,
სულსა აშფოთებს, გულსაც აბნელებს
და მით სიცოცხლეს ჭკუა-გონების
აცოცხალ-მკვდრებს, ისე აძნელებს!

—

ხომ არ შეგიფრთხა, ჩემო ბიორგი,
მით ეგ უმანკო ჭაბუკი გული
და შეგაპარა მან შიგ აღმბორგი
სისუსტის თესლი, ცრუ სინანული.

—

შენის წარსულის წინა ცხოვრების,
იმ საქებისა და უცოდველის,
რომელიც თვისის ნამდვილ ღირსების
მართლ-დაფასებას ბოლოს მოელის?

—

ეგებ შეწუხდი, ვითა გულ-ჩჩვილი,
და სისუსტისგან თავსაც დაბლა ჰხრი,

როს გაგონდება ბუნებით ტკბილი
ტკბილ-მოღიმარი შავი-ზღვის პირი?

—

თუ, ვით მამაცი, გამოცდით ბრძენი,
ბულ-კლდოვანი და შეურყეველი,
შენს ბედის დევნას შენვე დასცინი
და მოთმინებით სულ სხვა ბედს ელი?

—

ბაგონდებიან, როს გული გიწუხს,
შენი აქ მყოფი შენ მეგობრები
და ოცნებითა შენს გულის პასუხს
იმათ უმჟღავნებ, ესაუბრები?

—

და მითი უფრო მოუსვენერად
შენი სურვილი გულში მწიფდება,
და იმ ნეტარს დღეს მოელი ძარად,
როს ჩვენი აზრიც გახელმწიფდება.

—

მაშინ ჩვენც, ძმაო, რომ დავინახავთ
შენის ვარსკვლავის საამო კაშკაშს,
ბედნიერებად ჩვენს თავს დავსახავთ
და აღტაცებით დავჰკრავთ ხმოვანს ტაშს.

—

ემარა, რაც დღემდის ახლად ჯ ძველად
ბადაგვხდომია დიდი საბრიყვო;
აწ კი დრო არის, რომ დროს შემცვლელად
მოგვესმას ჩვენში ერთი: „ყიყლიყო!“

ბაგრატ-დიდი.

ისტორიული პოემა.

კარი პირველი.

ეზეჩაესვენაბრწყინვალექართლის
და მან დაჩრდილა მიი არე-მარე;
დაბნელდა... მაგრამ მაინც მის ბედზედ
ბოლოს გამოჩნდა შუქ-მფენი მთვარე,

—

ლაჟვარდ ცაზედა წყნარად მცურავი,
პირ-ბადრი, ნაზი, პირ-მომცინარე,
და მას თან ახლდა მისი თან-მსრბოლი
ერთი ვარსკვლავი მოსხივ-ცისკარე.

—

მაგრამ ამ დროსაც მოულოდნელად
აღმოტყდა სუსხით რისხვის გრიგალი
და აღმოსავლით გადმოიტანა
შავი ღრუბელი დიდი, დიდ ძალი.

—

ცა მოწმენდილი, ლაჟვარდოვანი
დაიფარა და დაბნელდა არე!
ვით გველვეშაპმა მზეთუნახავი,
ისე ჩაყლაპა ღრუბელმა მთვარე.

—

აი სურათი ქართლის ბედისა,
როდესაც განჭრა მისი თამარი,

სანამ ბაგრატი მის ძით ბიორგით
არ გაუბრწყინდა შეუპოვარი!

—

მაგრამ სრულიად განკურნვა წყლულის
ქართლისა ბედმა აღარ აცალა,
როცა მოჰფინა ვითა კალია,
მძვინვარე, ხხეც-მქნილ მონგოლთა ძალა!

—

ლენგ-თემურს თვისის კოჭლობისათვის
ჰსურს მთელის ქვეყნის შურის-ძიება,
რომ დააკოჭლოს ყოველი ტომი,
რომელზედაც კი ჰსმენია ქება.

—

და რადგანც მაშინ ქართველთა ტომი
განთქმულობითა იხსენებოდა,
კოჭლ-თემურსაცა მისის შურითა
სიამით აღარ ეძინებოდა!

—

იმას ეგონა, თუ ქართველ ხალხსაც
დაიმონებდა როგორც სხვა ტომებს,
და რომ ნახავდენ მის ურიცხვს ძალას,
ვერ გაბედავდენ ძლიერთან ომებს!

—

მაგრამ მოსტყუვდა!... საქმემ უჩვენა,
რომ ქართველთ გულში არ ედოთ შიში!..
ბევრჯერ გაბალთეს მონგოლთა რაზმი,
ქვნესით აძახეს: „ვაი“ და „ვიში!“

Უფრო-და-უფრო განძვინებულსა,
ბული უძგერდა თემურსა რისხვით
და რომ სიმხნითა ვერა გააწყო,
მან მოინდომა, რომ სძლიოს რიცხვით.

—

„ას-ასს მონგოლს ვცვლი თითო
ქართველში,
ოღონდ კი ვსძლიო!“ დაიღრიალა,
და ბოლოს, მართლაც, როდესაც მოსწყდა
მეომართ მხედართ საქები ძალა,

—

ბულადი ბაგრატ მცირისღა რაზმით
ლონე-მიხდილი ტყვედ წაიყვანა;
მაგრამ დაპყრობა სრულად ქართლისა
ბიორგიმ მაინც დაუგვიანა.

—

მამისა კვალზედ მხურვალედ მსვლელი
მთებში შესულ ხალხს ის აღელვებდა
და ხან იქ, ხან აქ, მოულოდნელად,
მონგოლთა რაზმში გაიელვებდა.

—

მოსწყდა თან-და-თან ქრისტიანობა,
აოხრდა სრულად ნუხის მაზრები,
მაგრამ ჯერ მაინც კი არ დამცხრალან
მძვინვარე თემურ-ლენგის აზრები:

—

ციდევ სხვა მხარეს დაიბანაკა
მსხვერპლად აიღო რა ზაქათალა!

აქაც ჰსურს, თვისი რისხვა მოჰფინოს,
ბამოიჩინოს სასტიკი ძალა!...

—

ბასკა ბრძანება მან მთელს ბანაკში,
რომ შეისვენონ დაღლილთა ძალით,
იმატონ ღონე და მეტ მკაცრობით
ხალხი მოსრისონ, რა იდგენ დილით!

—

ვინ გაბედავდა იმის ურჩობას,
ბრძანება უჩნდათ, როგორც ღვთის ნება!
დაწვნენ მონგოლნი, მაგრამ ქართველებს
არ აძინებდა გულისა ვნება!

კარი მეორე.

შუაღამეა. ბნელი უკუნი
ზე დასწოლია ქართლისა არეს,
რომ ძილში მაინც მან შეუყენოს
ტხვრა და კვნესა წყლულს და მწუხარეს.

—

ცა მშობლიური, ლაჟვარდოვანი
ვარსკვლავებით და მთვარით შემკული,
ვით გლოვიარე ძაძით მოსილი,
ნისლში იმარხვის ჩაშავებული.

—

ცვავილთა, თითქოს ნიშნად გლოვისა,
შეჰყენებიათ სუნნელთა ფშვენა,

და ბულბულიცა ჩვეულებრივად
აღარა სტვენენ... დაჰბმიათ ენა!...

—

მათ ნაცვლად მხოლოდ ამ ბნელს წყვდიადში
გამდგარა ლეშის სუნი საზარი
და მასთანც ისმის მგლისა ზუილი:
ქართვლის მძორს ეძებს გაუმაძღარი.

—

ამ დროს მოისმა აქ ორის კაცის
ახირებული რამ საუბარი:
ერთი ჰყვედრიდა მეორეს, მაგრამ
ბულ-მტკივნეულად, ვით მეგობარი;

—

და მეორე კი შეუპოვრობით
პასუხს აძლევდა ხმის კანკალითა
და მის პირისგან ყოველი სიტყვა
ბამოდიოდა რაღაც ძალითა.

—

პირველი ხმა.

„**ა**ოხრდა ქართლი, ქრისტიანობა
ჩვენის მოწმობით თან-და-თან სწყდება,
მაგრამ გმირული მისი სახელი
უკუნისამდე არ დავიწყდება!

—

ცოცხალ მონაზედ უმჯობესია
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!

Იმისი საქმე შთამომავლობას
ბნელს გაუნათლებს, როგორც ლამპარი

—

Დღემდის ყოველი მეფე ქართლისა
ამ აზრით იყო ხომ შემჭვალული?
და შენ კი, გმირო, რად გვიღალატე?
რამ შეგიცვალა ფოლადის გული?

—

Გვითხარ, რად დაგმე შენ ქრისტეს სჯული?
რად შეარცხვინე ჩით საქართველო?
სკიპტრა, გვირგვინი და შენი ქება
შენვე დააჭკნე, ვით მწვანე მდელო!...

—

ქართველთა მეფე, დიდი ბაგრატი,
სახელ-განთქმული, დღემდე სვიანი,
ისე დაეცა განა დღეს სულით,
რომ უნდა გახდეს მაჰმადიანი?

—

Ოჰ, რა მაგალითს აძლევს ქართველებს,
განთქმულთ, წინაპართ საკვირველ შვილებს
განთქმული მეფე, მისის მიბაძვით
სულით დაცემას მათ უადვილებს! .

—

Თითქოს გიყვარდა შენი სამშობლო?!
მაგრამ არა, სჩანს, ჩვენ ვსტყუვდებოდით.
შენ ის გიყვარდა შენ სადიდებლად,
შენ საპირადოდ!.. რას მივხვდებოდით?!

Დღეს კი შემთხვევამ ცხადად გვიჩვენა,
რაც გულში გქონდა შენ დაფარული;
შექმნილო კერძო ცხოვრებისათვის,
იყავ ამიერ შეჩვენებული!..“

მეოთხე ხმა.

„ხა! ხა! ხა! ხა! ხა, გხედავ მოხუცო
სიბერისაგან გამოყრუებულს?!..
აზრს ველარ იკრებ სასწორ-მხედველოდ
და ვერ იმაგრებ აღელვებულ გულს.

—

ნუ თუ გგონია, მაგ შეჩვენებით
ის შეაშფოთო და შეაშინო,
და მაგ მწარისა საყვედურებით
სინანულისა ცრემლი ადინო,—

—

ვინცა თავისი სამოთხე ტკბილი
მწარ ჯოჯოხეთზედ მტკიცედ გასცვალა
და ამ ქვეყნადაც გულით ატარებს
იმავ ჯოჯოხეთს!.. სწვავს მისი ძალა?

—

მაგრამ გაბოდებს გულის ტკივილი,
ტყვე ტყვეს მამხილებ საყვედურითა
და გსურს, მოალბო ეს ჩემი გული,
ვითა ყმაწვილის, ცრემლების ღვრითა.

რაც უნდა მითხრა, არ გაგცემ პასუხს!
რაც რომ ცხადია, რაღად დავფიცო?
მაგრამ **ბ**აგრატის პირადობა კი,
არ შეგიძლია, რომ დაამტკიცო.

—

ორ გვარი არის ჭეშმარიტება:
ნამდვილი და თანც მოჩვენებული;
მათი გარჩევა მეტად ძნელია,
ხშირად სტყუვდება საბრალო გული!

—

და რა იცი, რომ ჭეშმარიტია,
რომელიც შენ გაქვს, ის საფუძველი
და, ვით აქამდე შენს თვალში, აწცა
შენ სცდები ..“

———

პირველი ხმა.

„**ვ**ინა? განა მე ვსცდები?
შენ გინდა, ნათლად მიჩვენო ბნელი?
ნეტავი **ბ**ართლა!... ოჰ, რომ შეგეძლოს
და გამიქარვო ეს ცეცხლი მწველი!...

—

მაგრამ ამაოდ!... ვერ მოვსტყუვდები,
ცხადად ვუყურებ შენს მოქმედებას:
თუ ვითა სწირავ შენს პირადობას
ჩვენი სამ'ძობლოს მაღალ-დიდებას.

სანამ გვირგვინი თავს გედგა ქართლის,
მისთვის იყავი თავ-განწირული
და დღეს, როდესაც ყველა დაჰკარგე,
ტყვემან იცვალე დროს შეცვლით გული.

—

მხოლოდ პირადის სარგებლობისთვის,
რომ დაიმოყვრო ლენგ-თემურ მხეცი,
მის წინ მლიქვნელობ და მაჰმადის სჯულს
მოწიწებითა თაყვანი ეცი!"

მეორე ხმა.

„მისთვის, რომ მიყვარს მე საქართველო!"

პირველი ხმა.

„აბა, ეგ რა სთქვი! ვინ იტყვის უარს
თვის საყვარელზედ და აიღებს ხელს?
სჩანს, ადრეც გძულდა და არც აწ გიყვარს."

მეორე ხმა.

„ეგ იმან მითხრას, ვინც სამშობლოსი
ჩემზედ უმეტეს ნამსახურია
და ჩემზედ მეტი იმის გულისთვის
ტფილი და სისხლი ერთად უღვრია!

ჯერ დამიმტკიცე, აბა მიჩვენე
ბრწყინვალე ღვაწლი შენი წარსული
მამულისადმი, და ჩემს ღვაწლსაცა
შენ შეუწონე ის დაფარული,

—

რომ მით დამტკიცდეს, თუ ამ ჩვენ ორში
ვის უფრო უყვარს თვისი მამული
და საპირადოდ, კერძოობითა
ვის უფრო უცემს ამაყი გული?
აბა მოჰყვევი!"

ბერგელი სმა.

„შენც კარგად იცი,
ვის არ ჰსმენია ჩემი სახელი?!
სადაც იოსებ კი შევარდნილა,
ბამაგრებულა იქ ბრძოლის ველი.

—

სანამ სიბერემ არ დამასუსტა,
მტერზედ მახვილი არ გამცდენია
და თავ-განწირულს,- შეუპოვარსა
სისხლზედა სისხლი დამიდენია!

—

თეთრი აღარ მაქვს თავზედ იმდენი,
რამდენიც ტანზე მტრისგან ჭრილობა!
არ შემდრეკია არ ოდეს გული,
მით დავიმტკიცე ქართლის შვილობა.

ჩემი ცოლ-შვილი, ჩემი სახლ-კარი,
ამ ქვეყნიური მე ნეტარება,
ყველა შევწირე ტკბილ სამშობლოსა,
მინდოდა მისი ბედნიერება!

—

მაგრამ სიბერით რომ მოვუძლურდი
და არ შემეძლო ხელის ხმარება,
ბერად შევსდეგი, და საქართველოს
ღმერთსა ვაველრებ! მდის მდუღარება.

—

მეც შემომიჩნდა ლენგ-თემურ მხეცი,
რომ შემეცვალა ეს ჩემი სჯული,
მაგრამ შენსავით არ მოვხიბლულვარ,
არ გამყინვია მხურვალე გული!"

მეორე სმა.

„ქეთილი! მაკრამ ქართლისა ბედმა
სჯულის გამოცვლა რომ გთხოვოს მსხვერ-
პლად,
ამა სოფელზედ ხელ აღებული,
დასთმობ იმ სოფელსც შეუნანებლად?"

პირველი სმა.

„სჯული ქრისტესი?!.. ხომ არა ხუმრობ?
ეგ ჩემს განზრახვებს აღემატება:
ეშმაკებისთვის სულის შეწირვის
მირონ-ცხებულსა არა აქვს ნება.“

მეორე სმა.

„მჯერა! ეგ არის შენი რწმუნება
შეუხებელი, შეურყეველი!
და მაშ ახლა მეც დამიგდე ყური,
და, რომ მომისმენ, პასუხს მოველი:

—

ჯკუით სრულსა და გრძნობით აღვსილ კაცს
ვერ შეაშინებს უბედურება!..
რამდენიც უფრო ხელი ეშლება,
ის უფრო კერპად ემსახურება!

—

მისგან არჩეულ ცხოვრების საგანს
და სიცოცხლესთან შეკავშირებულს
მაშინ გასწყვეტს ის, როცა კუბოში
ჩასდებს ცივსა და უგრძნობელსა გულს.

—

ცოლის დამკარგვი სხვა ცოლს შეირთავს,
მკვდარ შვილს უქარვებს მეორე შვილი,

მაგრამ მაგიერს კი ვეღარ ჰპოებს
ააცი, თუ არ ჰყავს მას დედა ტკბილი.

—

რა გინდ ღირსებით შემკულიც იყოს,
ვერ იქმს დედობას დედი-ნაცვალი!
თუ შვილზედ საშო თვით არ ასწვია,
ბანზედ უჭირავს ყოველთვის თვალი.

—

მეფე დამთმობი ერთხელ გვირგვინის,
ბევრჯერ მეორედ ისევ მიიღებს
და დაცემის დროს მიღებულსა წყლულს
ახალი ბედი სრულად ავ-წყებს.

—

მაგრამ, ვინც ერთხელ სრულად დაკარგავს,
ბულით გასწირავს რა მისს სამშობლოს,
ის სანუგეშოდ უკუნისამდე
ნული მოელის კეთილსა ბოლოს.

—

არ ვგლოვ მე გვირგვინს და არც ჩემს სახელს,
ოდესმე განთქმულს და განბრწყინვებულს;
ვითლა მახსოვდეს ის მცირე რამე,
როდესაც ქართლს ვჭვრეტ მე აოხრებულს?

—

თვალ-წინ ძიდგია ახლაც სურათი,
ის საზარელი დასანახავი,
როცა კალოზედ, ვით ბზე, მოლეწეს
ძუძუს-მწოვრები, უჭყლიტეს თავი!...

მათი კვნესა და მათი ტირილი,
დედების მოთქმით შეზავებული,
დღესაც ყურებში მე მიწივიან,
ტვინი მეწვის და მეწამლის გული.

ხომ გახსოვს, ოდეს ქართველთ ჭაბუკნი
ხელ-ფეხ შეკრულნი, დატიტვლებულნი
ველზედ ეყარნენ... და ზედ მონგოლნი
დაჯირითობდენ გამძვინვებულნი?...

—

და ან ის ჟ ლეტა... მაგრამ, ეჰ, კმარა...
რომელი ერთი ენდა მოვსთვალო?!
უთვალავია დღეს ქართლის ტანჯვა!
გადმოიხილე ზეცით, უფალო!

—

სამშობლოს ტანჯვის უძლურ, მოწამეს
არ შემრჩებოდა აქამდე სული,
თუ რაღაც დიდსა უცნაურს ძალას
არ განემტკიცა კერპად ეს გული.

—

არც ეს ქვეყანა, არც ის ქვეყანა
მე აღარ მინდა, არცერთი არ მსურს...
სანამ ლენგ თემურს სამაგიეროს
არ გადვუხდი და არ მივაგებ შურს...

—

მაგრამ რა გვარად? ტყვე ვარ უძლური!
მოსწყდა ქართველი მისი გმირობით!

და ძლიერ ხალხთან რაღას გავაწყობთ
ჩვეულებრივის პირ-და-პირობით.

—

თუ არ ხერხითა და ცბიერებით?
და განვიზრახე მე მოტყუება
ლენგ თემურისა სულის გაწირვით,
და აწ, უფალო, შენია ნება!

—

ლენგ-თემურ თუ არ მაჰმადიანსა
არ მიენდობა სრულისა გულით!...
და მაშ, მოხუცო, აჰა მიზეზი,
თუ რად მიყურებ შეცვლილსა სჯულით.

—

ჩემის სამშობლოს გამოხსნისათვის
შეანასკნელად ეს მოვიგონე
და საიქიოც რომ დავივიწყე,
სული ჯოჯოხეთს მით დავამონე.

—

ვიცი, იქ ტანჯვა უკუნისამდე
არ მომეშლება, არ არს ადვილი!
მაგრამ ვინც მამულს სულსაც არ სწირავს,
იმას არ ჰქვიან მამულის-შვილი!..“

—

როცა შესწყვიტა ეს საუბარი,
მეორემ უთხრა: „მეც შენთან ვარო!“
და დაიყვირა: „უნდა უარ გყო
და ნუ შემრისხავ შენ, მაცხოვარო!“

ამ დროს უეცრად ბნელი განათლდა,
ცა გაიხსნა რა, გაიღო კარი
და ორი კაცი გამოაჩინა:
ბაგრატ და ისაკ, მისი მოძღვარი.

—

მუხლ-მოყრით მაღლა ხელ-აპყრობილნი
უხმო-უსიტყვოდ ცას შეჰყურებდენ
და საქართველოს ჭირისგან დახსნას
უკანასკნელად მას ავედრებდენ.

კარი მესამე.

ძილი გაუტყდა ერთხელ ლენგ თემურს,
შეიხმო თვისთან ბაგრატი გმირი,
დასხდენ კარავში მარტოკა ორნი
და მეგობრული იწყეს თათბირი:

ლენგ-თემური.

„სული სულს იცნობს, გულს უგრძნობს, გული,
გმირსა მიჰბაძავს ქცევითა გმირი,
და რომ თემური ბაგრატს უყვარდეს,
ჩემთვის არ არის ეს გასაკვირი.

—

Ქარგად თუ ავად, შემთხვევამ იცის,
მაგრამ მთლად შესცვლის კაცს სიყვარული,
რა ახალ აღთქმად ის გულში სჩდება,
მყისვე ირღვევა აქ ძველი სჯული.

--

მაგრამ ამასაც, როგორც ყველაფერს,
დრო შეუბრალი ბოლოს მოუღებს
და, ერთხელ შმაგსა გულის ვნებითა,
სინანულითა მაშინ აწუხებს.

--

და ეგებ ბაგრატ შენც მეგობრობის
სიყვარილით ხარ დაბრმავებული,
და თუ ოდესმე გული შეგერყა,
სჯულზედაც დარჩე შენანებული?"

ბაგრატი.

„თუ არ რწმუნება შეურყეველი,
რა შეაცდუნებს, რომ გადაჰყვეს გულს,
ბულსა შენახულს სოფლის ბრუნვისგან
და თავს ჭაღარით დაგვირგვინებულს?

—

ვფიცავ მე ზეცით გულთა მხილავსა
და მასთან ყოველთ წმინდათა ძალებს,
რომ დრო ვერ შემცვლის და ვერ გამიქრობს,
დღეს რომ გულში მწვავს, მე იმა ალებს!

—

რასაც დღესა ვგრძნობ, მე ის რწმუნება
ქუბოს კარამდე მიმყვება სჯულად!
არა, ძლიერო, მაგ ეკვებითა,
ბეტყობა, მსახავ გულში ორგულად!“

ოთხური.

„**მ**ე? არაოდეს!.. მაგას ნუ ჰფიქრობ!..
ბანა არ ვიცი, რაა ქართველი?
მის შესადარი არსად მინახავს,
თუმც **ა**ზიისა ვარ მე მომვლელი!

—

სულით მაღალი და გულით მტკიცე
მისი განზრახვა უზაკველია,
და სანამ პირში სული უდგია,
მის დამონებაც — უფიქრელია.

—

რომ მითხრას, **ბ**აგრატს, ნუ ენდობიო,
თუ არ თვითონ შენ, ვინ გამიბედავს?
არა, ძმობილო, შენც კარგად იცი,
რომ **თ**ემურ-ლენგი ძლიერ შორს ჰხედავს.

—

მაჰმადის სჯული რომ სჯობს ქრისტესას,
ამას ჭკვიანი **ბ**აგრატ თვით მიხვდა;
მაგრამ ტყვედ ქმნილსა ამდენს ქართველსა
თავისი სჯული რად დაავიწყდა?“

—

ბაგრატი.

„ქართველებისგან მაგ გვარი ქცევა
სულაც არ არის გასაკვირვალი:
საითაც მათი მეფე გაიწევს,
მათაც იქითკენ უპირავსთ თვალი.

—

ქართველთ მეფეთა თავ-განწირულთა
მითი მიინდვეს ქვეშევრდომთ გული,
რომ არაოდეს არა ყოფილა
ხალხი იმათგან მოტყუებული.“

—

ოქმური.

„მაშ თუ მაგრეა, მთლად საქართველოც
შენს მაცალითსა მალე მიჰბაძავს?..
და მაშინ სჯულის ეკ შეთანხმება
ჩვენ ორ ტომს შუაც ჩამოაგდებს ზავს?“

ბაგრატი.

„ეგ არ იქნება. ამით არ მოშლის
ქართველთა ტომი ქრისტეს სამსახურს!
ის ჰბაძავს მხოლოდ ძლიერს მეფესა
და არა ტყვედ-ქმნილს, უტახტოს, უძლურს.

—

ოჰ, რომ მქონოდა მაშინ ეს აზრი,
როდესაც ვიყავ მეფე ძლიერი,

Დღეს მაჰმადის სჯულს აღიარებდა
Ერთად ჩემთანა ქართლისა ერი!

—

Მაგრამ რაღა დროს, გვიანღა არის
Ამაზედ ფიქრი, მოთქმა, გოდება,
Სინანულითა თვის ნეკზედ კბენა
Და უნაყოფო ცეცხლთა მოდება!“

—

Ყურსა უგდებდა ამ სიტყვებს Თემურ,
Თითქოს ჰხვრეტავდა ბაგრატსა თვალით;
ბოლოს მოსდო მას კისერზედ ხელი
Და მოჰყვა ისიც ხმისა კანკალით:

—

თემური.

„ბაგრატ, შენ გიცნობ მხოლოდ მე კაცად
Და მისთვის მიყვარს შენთან თათბირი,
Რომ შენი სიტყვა სხვისას არა ჰგავს
Და არ გატყდება ეგ შენი პირი.

—

Შენც კარგად იცი, დედა მიწაზედ
Არავინა მყავს მე ჩემი ტოლი,
Მაგრამ ვერავის ვერ მივდობივარ,
Გულით ურწმუნო, სულით ობოლი.

—

Ვის უნდა ვენდო? განა არ ვიცი,
Თუ რას ჭფიქრობენ ჩემი სარდლები?

თუ მნახეს ერთი წაფორხებული,
დამესევიან როგორც რომ მგლები.

—

თუ არ შიშითა, სხვა ვერაფრითა
მიიბირება იმათი გული!
მათ ზნეობითი გრძნობა არა აქვთ,
ქართველს არა ჰგავს, ვხედავ, მონგოლი.

—

ამისთვის მსურს მე, რომ საქართველო
ხელში ჩავიგდო, ჩემს ,,ენ მოვიმხრო
და სჯულით მათთან რა მევკავშირდე,
სხვა ხალხი მოვსრა და სისხლი ვღვარო.

—

შენ მეყოლები მარჯვენა ხელად,
ქართველთა რაზმსა ჩემთვის დააწყობ
და შინ ვით მეფეს და ერთგულ ძმასა
დაპყრობილ ხმელეთს შუა გაგიყობ.

—

როცა ბაგრატი ზურგს გამიმაგრებს
და თან მეხლება ქართველთა ჯარი,
მაშინ ხმელეთზედ ჩემს სამეფოსა
აღარ ექნება არსად საზღვარი.

—

ახლა ხომ იცი ჩემი ზრახვანი,
რაც ვსთქვი, შენ ლომო, ხომ გაიგონე?
მაშ წაიყვანე ჩემი ჯარები
ხვალვე და ,,ქართლი,, მთლად დაიმონე.“

კარი მეოთხე.

შეჰკრეს ამ გვარად გმირთა პირობა,
ბამოემგზავრა ქართლისკენ ბაგრატ!..
და არ იცოდენ, რად მოდიოდა —
ქართლის სამოყვროდ, თუ მოსისხარ
მტრად?

—

კახეთში მყოფსა მეფე ბიორგის
შიკრიკი აძლევს ბაგრატის წერილს,
რომლითაც მამა გამოჩენილი
ამას მიუწერს შესანიშნავს შვილს:

—

„შვილო ბიორგი! ჩემი სურვილი
ასრულდა, სცხრება გულისა ვნება:
ლენგ-თემურისა სასტიკ ხელიდამ
ჩემი გამოხსნა ღმერთმა ინება.

—

ამხედრდა ქართლის დასაპყრობელად
მონგოლთა ჯარი დიდი, დიდ-ძალი;
დღეს გარეგნობით მაჰმადიანი,
მე ვარ იმათი დიდი სარდალი.

—

ბერდუჯის ახლოს ერთს ხეობაში
მე შემოვიყვან გზა-დაბნეულს ჯარს
და მაშინ, გმირო, აბა შენ იცი,
თუ როგორ დასცემ მძვინვარეთა ზარს“.

Ვითა მალამო წყლულს, სამკურნალო
Ისე ესწრაფვათ ეს ცნობა ივერთ
Და ერთხელ კიდევ თავ-განწირვითა
Ეკვეთნენ გმირნი მოუსვენართ მტკერთ.

—

Არ დაუგდიათ აღარც მოხრობელი,
ხევი აავსეს მონგოლთა ლეშით;
Და სხვა მტრებისა აღარ მლოდენი,
Დარჩენ ქართველნი ტკბილის ნუგეშით.

—

Ძვალად მიიღო რა თვის სამეფო,
ბაგრატმა ქართველთ დაუდვა გული
Და იმერ-ამერთ შეერთებითა
ძვლავ განუკურნა სამშობლოს წყლული.

—

Ასე იღვწოდა მამულისათვის
Თავ-განწირული ის წინა-პარი
Და, რომ მის ხსოვნას თაყვანი არ სცეს,
Მისთანა ჩვენში აბა ვინ არი!?

ორი ქართველი.

ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი

I.

ბერდა ჩვენი ბოგია,
ძველი ქართველი რაინდი:
სიცოცხლის დილას მოშორდა,
მოუახლოვდა მას ბინდი;

—

სიბერემ თავზედ დასთოვა,
ბაუქრო გულისა ალი;
ძარღვებმაც ერთად უსუსტეს,
მუხლებმა უწყეს კანკალი.

—

და გულ-დაწყვეტით იძახის:
„სად არის ძველი ჯანიო?
ხმალს რომ იქნევდა, დღეს იმ ხელს
მიმძიმებს ყავარჯანიო!..“

—

ჩიფჩიფით ამბობს ამ სიტყვებს,
ჩაცვინული აქვს კბილები,
და პირში სიცილს აყრიან
პატარა შვილის-შვილები:

—

—„პაპია, რაზედა ჯავრობ?
ვის ემუქრები და რასო,

რომ ძლივს აბრუნებ მაგ ენას,
როგორც ბებია ჯარასო?..

—

Იკმარე, რაც მოგივლია
შენს დღეში მთა და ბარიო!
ახლა დაჯექი და გვითხარ
შაირი, ან ზღაპარიო!“

—

—„ჰაი თქვე კუდიანებო...
თქვენ ეშმაკებო... თქვენაო!
შაირსაც გეტყვით, ზღაპრებსაც,—
თქვენთვის არა მშურს ენაო;

—

მაგრამ ცელქობას არ მოჰყვეთ!
არ შემიშალოთ ხელიო,
თორემ იმ ტყიდან გამოვა
და ყველას შეგჰამსთ მგელიო!“

—

ჩეროში დაჯდა ბოსუკი,
ბარს შემოუსხდენ ბავშვები;
ეუბნებიან: „პაპია!
მოჰყევი ჩქარა!.. რას შვრები?“

—

ხმის გასაწმენდად პაპია
მოჰყვა ძალ-და-ძალ ხველასა;
მერე ახსენა უფალი
და ეს უამბო ყველასა:

— „მსოფლიო ცხოვრებაშია
ქართველსაც უძევს კვალიო:
შიგნივ — ოფლი და გუთანი,
გარეთ — სისხლი და ხმალიო!

—

დედა-ენა და ერობა
ქრისტეს სჯულს უკავშირაო,
მათ დასაცველად ოთხ-კუთხივ
ოსმები გაახშირაო!

—

არ შეუშინდა მონგოლებს,
სპარსალებს და არც თათრებსო;
ამბობდა: „ჩემი სამშობლო
მონებას არ იკადრებსო,

—

სანამდის შვილი შერჩება
უკანასკნელად ერთიო,
რომელიც ეტყვის ურჯულოს:
„მრწამს ჩემი ქრისტე ღმერთიო!“

—

ახსენებს წმინდა გიორგის,
უშიშვლებს ქართულ ხმალსაო,
და გაჰკვეთს ბასრი მახვილი
ერთად რბილსა და ძვალსაო.

—

და მართლაც არწივ-ლომობდა
ქართველი მაშინდელიო!..

ᲓᲔᲓᲐᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲘᲧᲝ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲨᲘ,
ᲡᲮᲕᲐ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲖᲠᲓᲔᲚᲘᲐ!

—

ᲛᲐᲗᲘ „ᲜᲐᲜᲘᲜᲐᲪ“ ᲡᲮᲕᲐ ᲘᲧᲝ,
ᲐᲠ ᲰᲒᲐᲕᲓᲐ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲡᲐᲝ,
ᲛᲝᲜᲣᲠᲡᲐ, ᲒᲐᲡᲐᲙᲘᲪᲮᲐᲕᲡᲐ,
ᲡᲘᲧᲠᲛᲘᲗᲕᲔ ᲒᲐᲡᲐᲠᲧᲕᲜᲔᲚᲡᲐᲝ.

—

ᲛᲯᲝᲑᲜᲘᲡᲐ ᲛᲯᲝᲑᲜᲔ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ
ᲐᲠᲝᲓᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲚᲔᲣᲚᲐ...
ᲑᲔᲕᲠᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲐᲘᲜᲓᲔᲑᲨᲘᲐᲪ
ᲒᲛᲘᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲠᲔᲣᲚᲐ;

—

ᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲨᲕᲘᲚᲝᲓ ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲐ
ᲛᲐᲗᲘ ᲥᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ!..
ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ-ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ
ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐᲪ ᲘᲜᲔᲑᲐ!

—

ᲐᲮᲚᲐ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲥᲔᲑᲐᲨᲘ,
ᲕᲘᲜᲪ ᲞᲚᲣᲢᲘ, ᲐᲜᲣ ᲚᲝᲗᲘᲐ;
ᲛᲐᲨᲘᲜ ᲙᲘ ᲑᲔᲑᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲐᲓᲐᲛᲘ, ᲐᲜᲣ ᎪᲗᲘᲐ!

II

ᲐᲮᲐᲚ-ᲪᲘᲮᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲝᲕᲔᲡ
ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘᲐ,

მაღალ მთის ძირს გადაშლილი
სუფრასავით... სულ სწორია;

—

ზარს არტყია უტეხი ტყე
ამ ბუნებითს მოედანსა;
ერთს მუხლზედ ვერ გადაირბენ
ვერც მის სიგძეს და ვერც განსა.

—

მზის ჩასვლის დროს ამ მინდორზედ
ზამოგოგდა თეთრი ცხენი;
ზედ ჭაბუკი ვინმე იჯდა—
ცხენ უნაგრის დამამშვენი.

—

სამამაცო იარაღით
ტურფად იყო შეკაზმული:
ეტყობოდა მხარ-ბეჭიანს,
მკერდში ედვა რკინის გული.

—

ამაყურად მოიმზერდა,
აგელვებდა მის ტაიჭსა;
ხან დეზს ჰკრავდა, ახტუნებდა,
ხან აძლევდა ნელსა ბიჯსა.

—

და ვინ იცის, იმ დროს მხედარს
რა ოცნება სად აფრენდა?!
აგონებდა სატრფოს კოცნას,
თუ მტრებზედა გულს უღრენდა?

ფიქრებისგან გამსჭვალული,
შუა გზამდი რომ მივიდა,
უცბად ცხენი შეუჩერდა...
ურმაცა შეკრთა... გაუკვირდა.

—

გულში ეს სთქვა: „ნათქვამია,
ცხენი გულთ-მისანიაო:
ამის ასე შეჩერება
ცუდი რამ ნიშანიაო!“

—

ბავაზივით გაიბერტყა,
იარაღსა ხელი მიჰყო,
მათრახიცა წელში ირჭო,
თოფი ბუდით გამოიღო.

—

და მიიხედ-მოიხედა
ოთხსავ-კუთხეს ავლო თვალი,
მაგრამ ვერსად ვერ შენიშნა
ვერც მტერი, ვერც მისი კვალი!..

—

თეთრას დეზი გაუქანა,
ბუნებაში ჩაიცინა...
—„აჩუ!“ ცხენი არ ინძრევა...
აიმართა, იკიხვინა!

—

მის კიხვინზედ მარცხნივ ტყეში
სხვა ცხენმაცა იხვიხვინა...

მხედარმა სთქვა: — „იქ ვისია?
„მოყვრისაა, თუ მტრის ბინა?

—

მტერი ხარ, თუ მოყვარე ხარ,
ნუ იმალვი! — მიაძახა —
ვაჟკაცია პირდაპირი,
იმალება მხოლოდ გლახა!..“

—

ამ სიტყვებზედ ფინთიხივით
გამოვარდა ტყიდან კაცი;
შავ მოსილი, შავის ცხენით,
ჰგვანდა, იყო ის მამაცი.

—

ჯერ ლეკურად იჟღურტულა,
ქართულიცა გაურია:
— „შეგანანებ მუქარასა!
შენი სისხლი მეც მწყურია!

—

არ იცი, ვის ემუქრები
და ვისთან ხარ გულადიო?
შენს წინა სდგას დაღისტნელი
ლეკი ალლი-ფოლადიო!“

—

ჭაბუკმა უთხრა ღიმილით:
— „ძარგ ბიჭსა გხედავ თვალადსა
და ვმადლობ ღმერთსა, თუ მართლა
შემყარა ალლი-ფოლადსა!

მე მის ძებნაში დაღისტნის
მთა და ტყე გამილევია!
ვსწუხდი: ვერ შევხვდი და მისი
სისხლი არ დამილევია!..

—

ლეკო, შენც ჩემი სახელი
უთუოდ გაგეგონება,
ბეტყვი თუ არა, ვინა ვარ,
მთლად დაგებნევა გონება.

—

ეგებ მრავალჯერ ჩემს სახელს
შენთვის დაეფრთხოს ტკბილ ძილი...
ადამ რომ გაგიგონია,
მე ვარ ის ბეპურიშვილი!

—

შენმა შეყრამან, ბელადო,
მე გული გამისარაო,
მაგრამ შენთვის კი ის სჯობდა,
რომ მიწა გაგეთხარაო.“

—

ეს რომ უთხრეს ალლი-ფოლადს,
თორნესავით ის აენთო...
—„ჰა ბურთი და მოედანი!
მობძანდი და გავსწორდეთო!“

—

გამოვიდენ შუა ველზედ,
აღელვებდათ გულის ვნება;

ძნელი არის ორ ვაჟკაცის
ერთმანეთის შეტაკება.

—

თოფ დამბაჩა აიცილეს
ორთავ, თავი დაიფარეს;
მაგრამ ერთმანეთზედ მისვლა
ხმალ-და-ხმალ არ დაიზარეს.

—

ბამეტებით ხმალს იქნევენ,
ორთავ შველისთ მათი ფარი,
ჯერ არც იქით და არც აქეთ
ბამარჯვება არსით არი!

—

შეკრთა თეთრა ჭრილობისგან,
შეაჩერა პატრონი წამს,
აძით ლეკმა ისარგებლა,
მოუქნია ხმალი ადამს...

—

მაგრამ ტყვილა არ უქებდენ
ადამს ომში მარჯვე თვალსა:
ხმალსა ხმალი მიაგება,
არ ზოგავდა თვისსა ძალსა.

—

მარილივით გადაემტერა
ალლი-ფოლადს მისი ხმალი;
მაშინ კი სთქვა: — „გაქცევაა
ჩემი მხოლოდ აწ წამალი!“

Დეზი ჰკრა და გამობრუნდა,
Ბააჭენა ბედაური;
Ადამ აყრის კიჟინასა:
—„Დამრჩი! შენ ხარ ჩემი პური!“

—

წინ ალლი და უკან ადამ
Დადგომილან ტრიალ მინდორს,
Და ჰა, შავმა ბედაურმა
Მოიტოვა თეთრა ის შორს!

|

Ადამ მწარე დეზებს იქნევს,
Მტერი მიდის... გულს ასკდება,
Მაგრამ ბევრიც რომ იჯავროს,
Ამით აბა რას გახდება?

—

Ამ დროს უცბად წინ შემოხვდათ
Იმათ ერთი ვიღაც მგზავრი:
Ჯორზედ იჯდა, ღიღინობდა,
Არაფრის არ ჰქონდა ჯავრი!

—

Გაქცეულს ლეკს რომ შეხედა,
როგორც კურდღელს, უცაცხანა:
—„ჰოი! ჰოი! ვეღარ წახვალ!
Ბევრი დამრჩა შენისთანა!“

—

Წყნარად თავი დაუარა,
Სვეტივითა წინ დაუხვდა

Და ისეთი მიაყვირა,
რომ ლეკს გული შეუწუხდა.

--

Მოუქნია ხმალი; თავი
წააცალა, როგორც წიწილს;
მერე მიუბრუნდა, უთხრა
ეს სიტყვები ბებურიშვილს:

—

— „მე გაქცეულს არ მოვკლავდი,
მაგრამ იყო ხათრი შენი:
შეგატყვე, რომ შენ გინდოდა
დაგერჩინა მისი ცხენი.

—

„და ჰა, ღმერთმა მოგახმაროს
იარაღი და ეს ცხენი!
შენ შეგმატოს, რაც დღეს ამას
უდროოდა აკლდეს დღენი!“

—

ეს უთხრა და მიატოვა,
სიტყვა აღარ გაუგრძელა!
ჯორს დეზი ჰკრა, „ჩიშო!“ უთხრა,
გზას გაუდგა ნელა-ნელა...

—

თავ-ბრუ დაესხა ადამსა,
აღარ ეხსნება მას კრიჭი;
სირცხვილით ველარ გადადგა,
ველარც გადმოდგა წინ ბიჯი.

Თითქოს გაქვავდა, ვერ უთხრა
ვერც მადლი, ვერც საყვედური!
სთქვა: „ღმერთო, რა გაწყენინე,
რად მრისხე მე უბედური?

—

მერჩია, იმ ლეკს მოვეკალ,
ენებებია მაცხოვარს!..
სირცხვილი კი არ ეკმია
ჩემთვის ამ ვიღაც მათხოვარს!

—

ჯორის პატრონი ცხენს სწუნობს,
ოქროთ მოკედილ ფარ-ხმალსა!
ველას მე მაძლევს საჩუქრად,
როგორც მდიდარი საწყალსა!..

—

ან არის სწორედ სალოსი,
ანუ ვიღაცა ლოთია.”
და მიაძახა:—„ვინ ხარო?“
პასუხი ესმის:—„ოთია!“

—

ამ სიტყვამ გამოაფხიზლა
ადამი დაღონებული
და ჯორისაკენ გაიქცა
სიამით აღელვებული.

—

—„მომიცადეო!—უძახის,—
ადამი გევედრებაო!

ჰსურს, მიესალმოს Ოთიას,
როგორც მას ეკადრებაო!

—

შენმა ქებამ და სახელმა
ქახეთი შეაჯერაო!
შენის შეყრისთვის იკურთხოს
დღეს ჩემი ბედის წერაო.“

—

ძირს ჩამოვიდა Ოთიაც,
წინ მიეგება Ადამსა;
ერთმანეთს მეტის ზრდილობით
ველარ უბედვენ სალამსა.

—

Ადამი ამბობს – „Ოთიავ!
ბრძანე სალამი, შენია!
მე რომ გავბედო... პირველად,
ჯერ ყმაწვილი ვარ, მრცხვენია!

—

მასთანაც შენი მეტია
ვაჟკაცობისა სახელი!
არა, ნუ გინდა იმერელს,
რომ გამბრიყვო ქახელი!..“

—

— „ბატონო, რისთვის მიწყრებით?
როგორ მიბრძანებთ მაგასო?!
ეგ რომ ვიფიქრო, ღირსი ვარ,
დამბან ვირის ბაგასო!

ᲕᲘᲜ გაასწორა, ბატონო,
ნეტავი მთა და ბარიო!
მესხი ვარ აზნაუშვილი,
Თქვენ დიდ თავადის გვარიო!..

—

Უნდა მიბოძოთ სალამი,
როგორც თქვენს ერთგულ მონასა,
და მე მადლს ვიხდი გულითადს
ᲐᲛ ჩემი თავის წონასა!“

—

მაგრამ **Ა**დამ მაინც ამბობს:
— „**მ**ოდი, აბა ასე ვქნათო,
რომ არ დაგვრჩეს ერთმანეთზედ
საწყენი და სამუნათო:

—

ძმებსავითა გადვეკიდოთ,
ბადავკოცნოთ ერთმანეთი;
და აქ მტკიცე მეგობრობას
ბაამტკიცებს მაღლა **Ღ**მერთი!“

—

ᲔᲡᲐ სთქვეს და ერთმანეთსა
ბადააკვდეს ყელი ყელსა;
მერე დასხდენ სასაუბროდ
Იქვე რბილს და მწვანე ველსა.

—

Ოთიამ იწყო: — „კი გატყობ,
ბშვენის **ბ**ებურიშვილობა,

Თ;ალ-ტანადობა, იერი,
Დარბაისლობა, ზრდილობა!

—

Წელან კი ვეღარ შეგნიშნე
ვერც ერთი ეგე დიდება:
ვაჟ-კაცს არ შვენის, თქვენც იცით,
მტრის უკან გამოკიდება."

—

Ადამმა უთხრა:—„მართალ ხარ!
არ ვიცი, ისე რად გავხდი!
ბადმიყოლია სურვილმა,
ვაჟ-კაცის წესსა გადავხდი.

—

მაგრამ მას სისხლი ემართა
ბევრ ქრისტიან კახელისა;
სხვა ლეკი იყო ის ლეკი,
სხვა ხმლისა და სხვა ხელისა!

—

ალლი-ფოლადსა ეძახდენ,
შენც გაგეგონოს ეგება,
მისთანა მტერი, ხომ იცი,
მტრის მახვილს ძნელად ეგება!"

—

Ოთიამ დასტური მისცა:
—„ბამიგონია მეცაო!
ჩვენშიაც ჩამოდიოდა
ეგ წუპაკი და ქეცაო!

ძურდულად იპარებოდა
ეგ საძაგელი მყრალიო;
შევყოდი—არ გავკოცნიდი,
ცუდად ვიყავი მწყრალიო!“

—

ადამ ამბობს:—„ბედი ჰქონდა,
ტოლ-ვაჟკაცსა არ შეჰყრია;
თორემ მაგის ძებნაშია
ბევრი ოფლი დამიღვრია.

—

დაღისტანში გადავსულვარ,
მთები სრულად მოვიარე,
მაგრამ გული მიღრინავდა,
რომ ვერსად ვერ შევეყარე.

—

დღეს წავაწყდი ულოდნელად,
ტყეში იყო ჩასაფრული,
მისმა ნახვამ ამაკრკოლა,
ამიჩქარა მეტად გული.

—

შეუტიე... მომაშურა...
შევეტაკეთ ორთავ მტკიცეთ...
უსიკვდილოდ არ გაშვება
ერთმანეთის დავიფიცეთ!..

—

ხმალსა ხმალი შემოუკარ,
შუა გატყდა მისი ხმალი,

მავრამ ცხენმა რპატივა:
სწრაფი იყო და ფეხ-მალი.

—

არ დამნებდა და გამექცა,
მარდად ცხენი გააჭენა
და უთუოდ წავიდოდა,
შევრცხვებოდი, თუ არ შენა!

—

მე კი შენი სიმარჯვითა
პირველ მითი დამაღონე,
რომ სხვად ვინმედ მომეჩვენე
და ოთია არ მეგონე.

—

და ან როგორ ვიფიქრებდი?
ჯორზედ ზიხარ, თითქოს მღვდელი,
და მტერს ისე მივარდები,
როგორც ლოფიანი მგელი!

—

ვინ ჯორი და ვინ მხედარი!..
ამის მეტი ვის უნახავს?!
იარაღიც ისეთი გაქვს,
დედაკაციც კი დაგძრახავს.

—

ნუ თუ ვერსად გიშოვნია
ბედაური შესაფერი,
იარაღი მოჭედილი
ვერცხლით, ოქროთ განაფერი?!“

მესხმა უთხრა: — „ბედაური
ვაჟ-კაცს ნეტავ რად უნდაო!..
თვითონ მტერს არ გაექცევა,
არც გასდევს, თუ გაბრუნდაო!..

—

ფეხალაგობ შესაბმელად
ჯორი აბა რას უშლისო?
საქმე მკლავით გადასწყდება,
თუ ხმალს მარჯვედ გაუშლისო!

—

მოუედილი იარაღი
მოატყუებს მხოლოდ თვალსა,
სააშიყოდ როცა წახვალ,
აჩქარებ კეკლუც ქალსა.

—

თორემ ვერცხლით თავს ვერ იხსნის,
ვისაც ადგას გასაჭირი,
ხმლის ქარქაში არაფრად ღირს,
უნდა სჭრიდეს მხოლოდ პირი.

—

და ეს ხმალიც ისეთია,
დიდი დავით წერეთლისა,
რკინეულებს, როგორც ყველსა,
ისე სჭრის და ისე სთლისა.

—

როცა დავით ჰპატრონობდა,
ხუთჯერ იყო დამარხული

ას-ერთი კაცის მოკვლისთვის,
როგორც დიდი ჭირ-ნახული.

—

საუნჯეა მამაცისთვის,
მეც კი ბევრჯელ დამიმარხავს;
და იცოდე, შემცდარია,
ვინც მე ამ ხმალს დამიძრახავს!..“

—

გაუკვირდა ადამს მისი
მსჯელობა და ხასიათი,
და გაგრძელდა საუბარი
სულ ამგვარი მაშინ მათი.

—

გულ-გახსნილად ისაუბრეს,
ვით წესია მეგობრისა;
ზოგი ეს სთქვეს, ზოგი ის სთქვეს,
ამ მთისა და იმ ბარისა.

—

როცა გაყრა დააპირეს,
სიტყვა მისცეს ერთმანეთსა:
ვინც გასტეხდა მათში სიტყვას,
შესცოდებდა მაღლა ღმერთსა.

—

უნდა ორნივ იმავ ალაგს,
სადაც შეხვდენ მტერსა ავად,
ყოველ წლობით მოსულიყვნენ
ერთმანეთის სანახავად.

მაგრამ დასდვეს ძმობილობაც.
ბეგარა და სამსახური,
რომ მიუძღვნან ერთმანეთსა
მათგან მოკლულ მტრისა ყური.

—

და ყოველ წლივ ასრულებდენ
მეგობრები ამ პირობას,
ას-ასობით სძღვნიდენ ყურებს,
ამტკიცებდენ მით გმირობას.

—

როცა მოკვდენ ეს გმირები,
გაეხარდათ მემკვიდრეებს...
უყურებდენ დიდ სკივრებსა
და ამბობდენ: „გაგვამდიდრებს!“

—

მაგრამ კლიტე რომ გატეხეს,
გააქნიეს სიმწრით თავი,
ოქრო-ვერცხლის ნაცვლად ნახეს
საარაკო სანახავი:

—

დაშაშხულის ყურებითა
ზანდუკები სავსე დახვდათ!
და რომ გაჰყვეს ის საუნჯე,
თითო-თითო ყველას გახვდათ!..“

ოცნება.

ახეთი შემოვიარე,
ალაზნის პირი სრულადა;
ხალხი მოყვრულად დამიხვდა
და მიწა-წყალი — მტრულადა.

—

საამო ედემ ქვეყანას
და მის ატეხილ ჭალებსა,
სიამოვნებით ავსილი,
მიმოვავლებდი თვალებსა.

—

ვამბობდი: ჰა სად ყოფილა
სწორ-უპოვარი ქვეყანა!..
ბევრგან ვყოფილვარ, მაგრამ ჯერ
სხვა არ მინახავს მისთანა.

—

ეს დაცემული ვაკე რამ,
რომ მიბჯენია მაღალ მთებს!...
დღისით მზე, ღამით მთვარეც კი
ზედ თავმომწონედ დახარღებს!

—

უვავილოვანი ტყე-ველი
ბაღებით, ვენახებითა.
თვალი ვერ ძღება ყურებით
და ენა მათის ქებითა.

ალაზანი და ი ორი
ერთმანეთს შეთანხმებიან
დედის რძესავით მალამოდ
ციდეებს შეერგებიან.

—

ქეთილად შეზავებულსა,
სულის ჩამდგმელსა ჰაერსა,
სად ნახავ, კახელების მეტს,
მინიჭებოდეს სხვა ერსა?

—

მაგრამ ამდენი სიკეთე,
რითაც ცხოვრება ტკბილია,
ვეღარ ახარებს დღეს ქახეთს
და რაღაც მოწყენილია.

—

ალაზანს ვკითხე, მთის ცრემლებს:
ხომ საქართველოს შვილი ხარ?
გულ ჩათხრობილი დუდუნში,
რად მაგრე მოწყენილი ხარ?

—

შენასისხლხორცი ქახეთის,
რამ გაგიტეხა ეგ გული?
აკი თავს სდებდა ის შენთვის
და შენც იყავი ერთგული?

—

უტყუვრად შენაკავშირი
ერთად ჭირით და ლხინითა,

ხან თავს იბანდით სისხლითა,
ხან იღებავდით ინითა?...

—

და ორივ არად მიგაჩნდათ,
ამბობდით: წამავალია!..
ბვირგვინი ეროვნობისა
ქეთილი მომავალია!!

—

სადღაა ახლა ეს თქვენი
ბმირული აღთქმა და მცნება?
და ასე სათვალ და თვალოდ
რამ შეგიცვალ̣ათ გუნება?

—

მდინარეს, მთასა და ველსა,
ბატყვიათ მოწყენილობა!
და ნუ თუ არ გრძნობთ რომ ერის
ცუდია დაღრეჯილობა?

—

მდინარემ მითხრა ქვითინით;
სხვისა ჭირი ღობეს ჩხირი,
შენ რა იცი მომავალში
რა მოგველის გასაჭირი?

—

შენ რომ გვხედავ აღტაცებით
და მოგწონვართ ერთად ყველა,
საპატრონოდ სულ სხვის ხელში
ბადავდივართ ნელა-ნელა.

ჩვენ პატრონად და მპყრობელად
ვეღარ ვხედავთ ქართველ კაცებს,
„ძე“ და „შვილი“ განახევრდა
ვრჩებით „ოვებს“ და „იანცებს“.

--

რა გვექნება ჩვენ საერთო,
მათთან ლხინში ანუ ჭირში?
ერთმანეთისათვის უცხო,
ჩავარდებით გასაჭირში!!

—

მაგრამ უცხო რას დაეძებს
ან სიავეს ან სიკარგეს?!
ვაი იმათ ვინც ჩვენ მხოლოდ,
მოგვეიძულეს და დაგვკარგეს!

—

უცხოელი კი, მის რჯულზე
მოსაპნულ თავს, სხვა მხრით გვიკრავს,
სისხლს გამოგვწოვს წვეთა-წვეთად,
რბილს გაგვაცლის, ძვალს გამოგვხრავს.

—

და მშვიდობით მიწა წყალო
მასთან ერთად ქართლის ერო,
ბულ-უხვო და ენა ტკბილო
ჩვენო „მრავალ ჟამიერო“.

—

სულ უსისხლოდ მოვისპობით
აღარც კვლა და აღარც ელეტა

საკლავ იარაღად მხოლოდ
ბამოდგება „მნოგი ლეტა!!"

—

აი, თუ რამ დაკვაღონა!
აკვირია გზა და კვალი
სასიკეთოს ქართველისთვის,
ვერ ამზადებს მომავალი!

—

ეს მითხრა და დაექანა
ცრემლით ზღვაში ჩასანთქმელად
და ოცნება მეც ნათელი
ბადამექნა უფსკრულ ბნელად!

—

როგორც დედა ვერ იმეტებს
სასიკვდილოდ ვერც ერთ შვილსა
და ოცნებას საიმედოს
მიეცემა, რაღაც ტკბილსა.

—

ისე მეცა, რომ ქართველი
ბადარჯულდეს, არა მჯერა!
სულ სხვა ვვარად მეხატება
მომავალი ბედის წერა.

—

ბადამთიელს აქ რა უნდა?
რას მოიხმარს ჩვენს მიწა-წყალს?
წახდება და ჩვენც წაგვახდენს,
შეგვიფორხებს მით მომავალს.

მაგრამ მაინც საბოლოოდ
ის ჩვენსკენვე დაბრუნდება
წინააღმდეგ ბუნებისა,
არაფერი არ მოხდება!

—

ხეს ვერ დამუნი ისე ხეზე
თუ არ არის მისი გვარის
შეიძლება განა სადმე
გასწორება „მთა და ბარის“?

—

არა! და შენც ალაზანო
ცრემლით ნუ რწყავ შენს ნაპირსა!
„ჭირსა შიგან გამაგრება
ასე უნდა, ვით ქვითკირსა“.

—

რაც რომ უნდა ჭირი ნახოს,
საქართველო არ გაქრება!
მოსული და მონაბერი
მას პატივად დაედება!

—

გაეხარდა ალაზანსა,
სანუგეშოდ ჩემგან თქმული;
გაღიყარა სევდის ქაფი
მოიბრუნა ისევ გული.

—

ჩვეულებრივ ამღერებდა
ქახურ „მრავალ ჟამიერსა!“.
და მიმართა ისევ ქახეთს,
მშვენიერმა მშვენიერსა!...



მინდა რამ ვსთქვა.

ინდა რამ ვსთქვა, მაგრამ რა ვსთქვა
უსამართლოდ ალაგმულმა?
ჩემი გრძნობა უნდა უხმოდ
შიგ ჩაიკლას წყლულმა გულმა!

—

მე ამ ლაგამს წავიძრობდი,
არ მაქვს უცხოს მორიდება;
მაგრამ რა ვქნა, რომ ხელ მარჯვედ
ჩემივე ძმა მეჭიდება!

—

იმის აზრი სულ სხვა არის
და სულ სხვას გრძნობს ჩემი გული;
მე სხვა რამე მენატრება,—
მაგას ჯილდო, ანუ ფული!

—

ეჰ, რა მეთქმის? მირჩევნია
უხმოდ მოვკლა გრძნობა გულში

და არვის კი არ მივყიდო
არც ჯილდოში და არც ფულში!..

ღ ა მ უ რ ა.

(ზღაპარი.)

ერთმა უგნურმა თაგუნამ
იუკადრისა თაგვობა;
დასწყევლა თვისი გაჩენა...
ბუნების იწყო მან გმობა:

—

— „**ი**მ უსამართლო ბუნებამ
თაგვად რად გამაჩინაო?
მე სხვაგან ყოფნა მინდოდა,
მან ჭერ-ქვეშ მომცა ბინაო!

—

ვის ეკადრება თაგვებთან
ქუდის ბზეკა და ლხენაო?
მე შემშვენოდა ჩიტობა,
რომ მეწყო აღმა ფრენაო.

—

რომ ვინმე ჩიტად მაქცევდეს,
ბამომაბამდეს ფრთებსაო,
ბავფრინდებოდი, ერთს წამსა
ბადავივლიდი მთებსაო!..“

რომ დაასრულა ეს ნატვრა,
ნახა, რომ ფრთები ესხმება
და მეტის სიხარულითა
საბრალოს თავ-ბრუ ესხმება...

—

ზიზღით შეხედა თვის ტოლებს,
დაუყონებლივ ავარდა,
ჩიტებში გამოერია,
იმანაც გაინავარდა...

—

ჩიტებმა ახედ-დახედეს,
სთქვეს: — „ვინ მოსულა ესაო?
რა სჯულის ცხოველი არის?
ჩვენთან ვინ გააწესაო?

—

თვალ-ტანადობა თაგვს უგავს
ფრთები ასხია ჩვენიო!
როგორღაც კეთილ სულს არ ჰგავს...
ჭირი არის და სენიო!

—

ეგება მტრებმა მოგზავნეს,
შემოჩენილიც იყოსო!
არიქა ფრთხილად იყავით,
არავინ გაგვაბრიყვოსო!..“

—

დაჰყივლეს, ჩაუნისკარტეს,
ბაჰკრეს-გამოჰკრეს ბრჭყალები,

სისხლი ადინეს ღამურას,
ბამოუბნელეს თვალები!

—

ადმა დაეშვა ღამურა,
მიმართა ისევ ძველ სადგურს...
მაგრამ იქ უფრო შავი დღე
დაუდგა მაშინ უბედურს:

—

თაგვებმა აითვალწუნეს,
აღარ მიიღეს, რომ ნახეს,
მივარდნენ ერთად საკბენად,
—„ჰკა მაგასაო!“ — დასძახეს...

—

მაშინ კი მიხვდა ღამურა,
რომ ანგარიში წაუხდა
და მისი ნატვრა უგნური
საჭირ ბოროტოდ აუხდა!

—

ბვიანღა იყო! გაფრინდა
ბაკიცხულ, თავ-ლაფ დასხმული,
ერთ ძველ ნანგრევში შეფრინდა
და მოიბრუნა იქ გული.

—

მას შემდეგ ნანგრევში ბუდობს,
დღე-დღე ვერ ჩნდება სირცხვილით
და მუდამ ამას წრიპინობს
ძვნესით და გულის ტკივილით:

— „Ქრული იყოს მისი სახელი,
Ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!
Თვის ტომის დამწუნებელსა
Ჭირი მიუვა კარზედა!

—

Ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა
Და ნუ სცვლის თვისსა ენასა,
Თორემ ბოლოს დროს მოიმკის
Ჩემსავით ცრემლთა დენასა!

—

Ბადაგვარების მოსურნე
Ბუნებისაგან კრულია!
Მისი პირადი ღირსება
Ყოველგან დაჩაგრულია!

—

Ძველ ტომში გამოსხლეტილსა
Არ მოუშლიან კბენასა
Და ახალ ტომშიც გაჰკიცხვენ:
Დაუწუნებენ ფრენასა!

—

Ქრულია მისი ხსენება,
Ვინც დაჰგმობს დედა-ენასა,
Თვის ტომს ჰღალატობს და მითი
Თვით ჰფიქრობს მაღლა ფრენასა!..“

დიდი ვინმე.

ზა მომეცი! ჩამოდექი!..
ხომ ხედავ, არ გეხუმრები?
ჩემს მშობლის მკვლელსა ვახლავარ
და იმას ვემსახურები!..

—

.

—

მე კი სრულად გამაკეთებს,
ერთგულად რომ დამისახავს;
და საბრალო ჩვენი ერიც,
დიდკაცად რომ დამინახავს,

—

მუხლს მომიყრის, თაყვანსა მცემს,
დამაფასებს ქვეყნის ცალად
და მომავალ თაობისთვის
გამომსახავს იდეალად!

—

მეც ის მინდა!.. მეც იქ შევალ,
სადაც ტკბილა, სადაც თბილა!
თორემ, თუ მე არ ვიქნები,
ჭვა ქვაზედაც ნუ ყოფილა!

ᲒᲖᲐ ᲛᲝᲛᲔᲪᲘ! ᲩᲐᲛᲝᲓᲔᲥᲘ!
ᲒᲐᲛᲝᲪᲥᲕᲘᲢᲔ ᲐᲬ ᲧᲣᲠᲔᲑᲘ!
ᲮᲝᲛ ᲨᲔᲘᲢᲧᲕᲔᲗ, ᲕᲘᲡ ᲕᲐᲮᲚᲐᲕᲐᲠ
ᲓᲐ ᲐᲜ ᲕᲘᲡ ᲕᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘ!!

*
* *

ᲫᲕᲐᲚᲡ ᲛᲘᲮᲕᲔᲕᲔᲜ ᲔᲜᲐᲡ ᲛᲒᲚᲔᲯᲔᲜ,
ᲓᲐ ᲛᲐᲒᲓᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲙᲘᲠᲔᲨᲘ!
ᲣᲠᲪᲮᲕᲐᲓ ᲨᲕᲘᲓ-ᲨᲕᲘᲓ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡᲐ
ᲛᲘᲗᲕᲚᲘᲐᲜ ᲛᲔ ᲔᲠᲗ ᲙᲕᲘᲠᲔᲨᲘ.

--

ᲛᲐᲛᲐ-ᲞᲐᲞᲘᲡ ᲡᲬᲝᲠ ᲒᲖᲐᲖᲔᲓᲐ
ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲛᲘᲨᲚᲘᲐᲜ,
ᲛᲐᲒᲘᲔᲠᲐᲓ ᲛᲐᲗ ᲛᲠᲣᲓ ᲒᲖᲐᲖᲔᲓ
ᲨᲘᲐᲜᲓᲐᲖᲔᲑᲡ ᲤᲔᲮᲗ ᲛᲘᲨᲚᲘᲐᲜ!

--

ᲕᲔᲠ ᲓᲐᲕᲐᲒᲓᲔᲑ ᲫᲕᲔᲚᲡᲐ ᲒᲖᲐᲡᲐ,
ᲒᲘᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲔᲙᲚᲘᲐᲜᲘ.
ᲕᲘᲪᲘ, ᲡᲮᲕᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲛᲧᲕᲔᲑᲘᲐᲜ
ᲩᲔᲛᲔᲑᲠ ᲨᲐᲕ-ᲑᲔᲓ ᲔᲢᲚᲘᲐᲜᲘ!

--

ᲓᲐ ᲗᲣ ᲕᲘᲜᲛᲔᲛ ᲒᲐᲓᲣᲮᲕᲘᲐ
ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲓᲒᲐ ᲛᲠᲣᲓᲔᲓ ᲤᲔᲮᲘ,
ᲒᲐᲣᲡᲕᲓᲔᲡ ᲛᲐᲡ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐ
ᲓᲐ ᲓᲐᲔᲪᲔᲡ ᲗᲐᲕᲖᲔᲓ ᲛᲔᲮᲘ!

ქართველი ქალი.

ფუხარე და სევდიანი
სერზედ იდგა ერთი ქალი,
შერ მიხდილსა მღელვარებით
შორს ეჭირა გზისკენ თვალი.

—

მას უნდოდა, რომ შეეტყო
მისი ქვეყნის ბედის წერა;
შიკრიკს მოკრა შორით თვალი
და დაიწყო გულმა ძგერა.

—

მიაძახა ახლოს მოსულს:
—„ნუ დაჰფარავ ნურაფერსო,
თორემ ბოლოს გაზღვევინებ,
ბეფიცები ზეციერსო!“

წინ წამოდგა მონამ ბიჯი,
ტირილითა მოახსენა:
—„ვაი ჩემს თავს!.. სჯობს დამებას
ცოდვილი და მწარე ენა!

—

ვხედავ, შენზედ უჩხავლია
შავ ბედითსა ყორანს შავსო!
რაღა გითხრა მე საბრალომ
შენ, შვილების დამკარგავსო?“

ქალმა უთხრა: —სუ!.. არ გკითხავ!
ჯერ მითხარი შენ ესაო:
თათრებს დარჩა გამარჯვება,
თუ ჩვენს ძლიერს მეფესაო?“

—

— „ეგ რა ბრძანეთ?!.. ქართველ ჯარსა
ბანა სძლევდა თათარიო?
თვით არ მივა და, მოსულ მტერს
რომ დაუხვდეს, მზად არიო!

—

ზარი დასცეს სერაქსირსა,
არ მოსულა ჯერაც გონსა!
ქართველები ღმერთს მადლობენ,
ადიდებენ სოლომონსა!“

—

ქართლის ქალი პირჯვარს იწერს
— „მადლი ზენა ქართველებსო!
აბა ახლა მომიყევი,
რაც გადახდა ჩემს შვილებსო.“

—

— „შენი პირმშო აღარა გყავს:
ალექსანდრე მოგიკლესო;
შმაროსი ძმა მიეშველა,
იმასაც დღე უმოკლესო.

—

თათრის ტყვიამ გაუხვრიტათ
ოქრთავ გულის ფიცარიო;

მოკვდენ, მაგრამ სახელი კი
ნახეს დაუვიწყარიო!...“

—

დედას ცრემლი უნებურად
წამწამებზედ შეუჩერდა;
ნაცრის ფერი გადაედვა,
ბული ხშირად აუძგერდა.

—

მაგრამ ეს სთქვა:— „გამიზრდია
ქართველ ქალსა ქართლის შვილი!
ეს ნაღველი დედისათვის
მწარე არის და თან ტკბილი!

—

მამულისთვის მიშობია,
მისი ჭირის სანაცვლოთო;
ქართველ დედებს ვალად გვაძევს,
ამ ჭირს უნდა გაუძლოთო.“

—

ესა სთქვა და ისევ ჰკითხა:
—„საშუალმა რაღა ქნაო?
ამოიგო ძმების სისხლი?
თათრის მძორის დასდგა ძნაო?“

—

—„არა, ჩემო ქალბატონო,
ვერ გავბედავ ტყუილსაო;
ეგ სახელი არ უნახავს,
ქალაჩუნა თქვენს შვილსაო!

Უფროსი და უმცროსი ძმა
მტრის რაზმში რომ გაჰკიოდა,
საშუალო ტყეში იწვა:
„გულ-მუცელი ასტკიოდა.“

—

ეს რომ ესმა, ქართლის ქალი
უცნაურად დაიღრიჯა,
ამოჰყარა ძუძუები,
მოთქმით თავი მოიგლიჯა:

—

„ვაი ლეჩაქს შერცხვენილსა,
ვაჰ ძუძუებს გაკიცხულსო,
ვაი დედას, თითქმის პირ-შავს,
რა მახვილი მეცა გულსო!

—

არა ვსტირი იმ ორ შვილსა,
ომში მოკლულს გმირულადო,
ვიგლოვ ცოცხლად დარჩენილსა
უსახელოდ... ვირულადო!“

ახალი წელი.

ეს უხაროდეს ახალი წელი,
ვინც კი ცხოვრებით კმაყოფილია,
ვისიც წარსული არ იყო მწველი
და მომავალი ვისიც ტკბილია;

ვინც შარშან გულით ვარდი ატარა
და წელსაც ჰფიქრობს, მომკის იასა,
და თვისი გული მან მით ადარა
სამოთხის კარსა შვებით ღიასა;

—

ვინც ტრფობის ტახტად შეიმკო გული
და ზედ ხელმწიფედ დასვა იმედი;
და ვისაც ეშხით, ვითა ბულბული,
განუწყვეტელად უმღერდა ბედი!

—

მას უხაროდეს... თორემ ნაღველი
ვინც შესვა ჩემებრ ბ სცნო მწარ ძალა,
მას რაღად უნდა ახალი წელი?
მისთვის ერთია „დღესა“, თუ „ხვალა!“

—

სამივეც ერთად შეზავებული:
წარსული, აწმყო და მომავალი
ვეღარას არგებს! ბნელი უფსკრული
და საფლავია მისი წამალი!

—

მაშ ნუ მილოცავთ მე ახალსა წელს!
ჩემთვის ერთია — „ახალი“, „ძველი!“
თუ შარშან ვსვამდი მწარესა ნაღველს,
ამ სასმელს წელსაც ველი და ველი!

პოეტის გული.

ოეტის გული
აღელვებული
ზღვისა დარია:
ზვირთებს აგორებს,
სდგამს ტალღის გორებს,
თუ ავდარია!...

—

ღრიალ-გრიალით,
უცნაურ ძალით
ცას ემუქრება,
და მაშინ ნავი
მაზედ მბრუნავი
მისგან გაქრება!...

—

მაშ ღელვისა დროს,
სჯობს, მოერიდოს,
ინავთ-საყუდროს,
რომ გულის წყრომა
და ტკბილ დაცხრომა
მას დააცალოს;

—

და ისე მის გულს,
ტკბილ დამშვიდებულს,
უფსკრულს და ფართოს,

Თამამად, ნაზად
Და მოსაკაზმად
Ეშხით მიმართოს;

—

Და ხელი ახოს,
Რა მშვიდად ნახოს,
Ვით მშვიდი გვრიტი!...
Ნახოს მის გულში,
Დამშვიღებულში,
Მან მარგალიტი!...



გამოსალმება.

ავაგდე მხარე ფარისევლების,
Ის მზაკვარების უნივერსიტეტი,
. . . . . .
.

—

Მხარე შემკული ბუნებისაგან;
ხალხი ავსილი ნიჭიერებით;
Იქ, სადაც ერთი უბედურია
Მხოლოდ მეორის ბედნიერებით.

—

Იქ ყველა შრომობს მოუსვენარად!
Განა მიტომ, რომ თვით შეიძინოს?

არა! მისთვის, რომ სხვას რამ დააკლოს,
ის აატიროს და თვით იცინოს!

—

იქ სისხლ-ხორცობა, ძმობა, მოყვრობა,
სიყვარული და ამხანაგობა
იციან მარტო სხვის საჩვენებლად,—
ნამდვილ კი მხოლოდ არს ვერაგობა!

—

ვინც იმ ცუდებში უფრო ცუდია,
ის არის უფრო ძლიერ-ხმიანი
და ხუთს ვერ ნახავ ასს კაცში, რომ სთქვა:
„**ა**ქაც ყოფილა ადამიანი?“

—

დავაგდე, დავგმე მისი მყობადი,
მაგრამ ცრემლით კი ამევსო თვალი,
რადგანც მე იმ დროს მაგონდებოდა
მისი წარსული და მომავალი!

აკაკის პირველი წიგნის

ს ა რ ჩ ე ვ ი

პირველი ნაწილი.

ახალი ნაწერები.

ლექსები:

		გვ.
ოჟორი შორდროპის სახსოვრად	ლიბ	1
ბომში		2
ვე		3
ი ჭმუნვა		3
ოგ-ასლანი (ისტორიული ზღაპარი)		8

წერილები:

ლვილი ამბავი	26
ოგორ დაარსდა ჩვენ'ში საადგილ-მამულო ბანკი	37

მ ე ო ო რ ე ნ ა წ ი ლ ი

ძველი ნაწერები:

დუმლო ბარათი,	„ცისკარი" № 1, 1860 წ.	63
დაბერ-მამაბერი	1860 წ.	66
აუცის მოგონება,	„ცისკარი" № 5, 1860 წ.	69
ო ძებნა	„ცისკარი" № 4, 1860 წ.	72
ახალგაზდა მონადირეს		73

ალექსანდრა „ცისკარი“ № 12, 1860 წ. 75
პირუტყვების არჩევანი, ვოდევილ იერთ სცენად, დაწერილია პეტერბურღს 1860 წ.. დაბეჭდილია „დროებაში“ № 18. 11 მაისს, 1873 წ. 77
პოემიდგან „რუსეთუმე“, მეორე თავი, დაწერილია 17 იან. 1861 წ., დაბეჭ. „ცისკ.“ № 4, 1863 წ. 87
რუსეთუმე, მეათე თავი, „ცისკარი“ № 2, 1861 წ. 94
ლოდინი, „ცისკარი“, № 1, 1861 წ. 97
სალამური, „ცისკარი“, № 3, 1861 წ. 99
*** (ნათარგმნი ჰეინედგან), „ცისკ.“ № 7, 1861 წ. 101
საბრალო გული, „ცისკარი“, № 4, 1862 წ. 102
სიმღერა, „დროება“, 10 თებერვალს, 1881 წ. 104
ფუტურო, „ცისკარი“, № 5, 1862 წ. 105
ფარისეველი, დაწერილია 30 მარტს, 1862 წ., ბეტერბურღს, დაბეჭ. „ცისკარში,“ № 6, 1862 წ. 106
*** (ალექსანდრა გამიხელდა), „ცისკ.“ № 7, 1862 წ. 108
მგზავრები და ძაღლები (კრილოვით) „ცისკარი“, № 8, 1862 წ. 110
აპპელაციის მკოდნე, „ცისკარი“, № 9, 1862 წ. 111
ზღაპარი, „ცისკარი“, № 9, 1862 წ. 112
ბუერი, „ცისკარი“, № 8, 1862 წ. 115
ავადმყოფი, (ბალუშჩეკვისა), „ცისკ.“ № 6, 1863 წ. 115
მუშური, „ცისკარი“ № 1, 1863 წ. 117
ბირი და ფილოსოფოსი, „ცისკარი“ № 2, 1863 წ. 119
ბოდება ებრაული, (ბაირონით) „ცის.“ № 2, 1863 წ. 120
დღე და ღამე იყრება, “ცისკარი“, № 3, 1863 წ. 122
შიქასტა, „ცისკარი“, № 3 1863 წ. 124

ბლეხის აღსარება, „ცისკარი“ № 5, 1863 წ. 126
მოგონება, „ცისკარი“ № 6, 1863 წ. 128
სიმღერა მკის დროს, „ცისკარი“ № 7, 1863 წ. 131
იმერული ნანინა, „ცისკარი“ № 5, 1864 წ. 134
ჩანგურის ძალა, „ცისკარი“ № 6, 1869 წ. 136
ვედრება, „ცისკარი“ №10, 1864 წ. 141
პასუხი კ. ბ. ჯ., „ცისკარი“ № 10 1864 წ. 142
იეფთაის ასული, დაწერილია 1864 წ. დაიბეჭდა „ცისკარში“ № 11, 1865 წ. 144
ნადირობა, დაწერილია 1864 წ. დაიბეჭდა „ერეაბულში“ № 5, 1871 წ. 145
უდარდო კაცი, „ცისკარი“ № 3, 1865 წ. 158
ქმრის გოდება, (ბერანყოთ) „ცისკ.“ № 9, 1865 წ. 159
ბამოცანა, (ვუძღვნი ჩემს მოგვრეს) „ცისკარი“ № 5, 1867 წ. 161
ბამოცანის მწერალს, (ბამოცანა) 165
მეგრული ალეღორია, 15 ივნვარს, 1868 წ. 167
მოზარე, (ვუძღვნი ჩვენს ბოეტებს), „დროება“ № 41, 1867 წ. 168
***(წარსული გულს მწყვეტს), „დრ.“ №27, 1867 წ. 170
ნინა, „ცისკარი“ № 1, 1868 წ. 171
მაზურკის ხმა, დაწერილია 15 ოებერვალს 1868 წ. დაბეჭ. „ცისკარში“ № 3, 1868 წ. 173
ლიდი ბოეტების მიბაძვა, „ცისკარი“ № 2, 1868 წ. 174
*** (ეჰ ქართველო, აბა მითხარ, ვინა ხარ?) 177
ქნეინების ლათაია, „დროება“ № 38, 1871 წ. 177
ზოგიერთების ლოცვა, „მნათობი“, № 7-8 1869 წ. 178

პასუხი ჭალადიდელისადმი, „მნ.“ № 9-10, 1869 წ. 180
ბიორგის აღსარება, „დროება“ № 42, 1861 წ. 183
პასუხი მაცდურს, „მნათობი“ № 2, 1870 წ. 185
ეეენობა, (ვეუძღვნა ახნაურობას), დაწერილია 5 მარტს 1870 წ. ქ. ქუთაისს, „მნათობი“ № 3, 1870 წ. 187
ბაიათი, დაბეჭდილია „ცხელ-ცხელ ამბებში“, „დროებ“-ში № 24, 1881 წ. 190
№—ს, დაბეჭდილია „ცხელ-ცხელ ამბ.,“ „დროება“ № 24, 1881 წ. 191
*** წარმოდგენავ შენ ოცნების, დაბეჭდილია „დროება“-ში, № 24, 1881 წ. 192
ციცინათელა, დაბეჭ. ცხ. ცხ. ამბ. „დროება“-ში № 30, 1871 წ. 194
ან...ს, დაბეჭ. „დროება“-ში № 33, 1871 წ. 196
*** (ჩემო თავო ბედი არ გიწერია), „დროება“, № 32, 1871 წ. 197
ალლავერდი, დაბეჭ. „დროება“-ში № 41, 1871 წ. 199
ბანკობია. „დროება“, № 49, 1871 წ. 204
ვარდის ხმაზედ, „კრებული“ № 4, 1871 წ. 205
სიყვარული 207
ბამოთხოვება, დაწერილია 1871 წ. „დროება“-ში, № 227, 1880 წ. 209
*** (ბამტანია ჩვენი ერი), დაბეჭდილია „დროება“-ში, № 12, 1872 წ. 210
ფოთი, ცხელ-ცხელ ამბ. „დროება“, № 27, 1872 წ. 212
ფარშავანგი, „დროება“, № 29, 1872 წ. 213

აკაკის მეოთხე წიგნის სარჩევი

საქართველოს დღევანდელი სახე .	1	გვ.
გამზდელი (ნამდვილი ამბავი)	14	„
თამარ მეფე	35	„
დავითის გვირგვინი (ქართველ ებრაელთ ლეგენდა)	45	„
ფული	50	„
გაზაფხული .	52	„
შკანასკნელი ნატვრა	53	„
სასოწარკვეთილება	54	„
გამოფხიზლება	56	„
სცენიდან ნათქვამი .	57	
სიმღერა . . .	58	„
სხვადასხვა გვარი სიყვარული	59	„
სხვადასხვაგვარი ტრფობა .	61	„
გამოსალმება .	63	„
ჩემს მეგობარს . .	65	„
რჩევა ახალგაზდა მწერლებს	68	
სიმღერა . . .	72	„
გაუბედავი სიყვარული . .	73	„
სიყვარული	75	„
სიჯაბუკე . . . ,	76	„
ენების გასამართლება	78	„
* * * .	83	„

ძველი და ახალი წელი . 85 გვ.
ძრიელი „ანბანი" 90 „
პატრიოტის აღსარება 96 „
ქოლო-ბუბის პასუხი 98 „
სმღერა 101 „
I 102 „
II 103 „
* * * 105 „
ლენინ-დან ვარდი და ეკალი" (საფლავის ქვაზე) 106 „
მეოთხე ქვაზე 107 „
ლეგენდიდან „მოგვია მეჩანკურე" 108 „
დედის სიმღერა 110 „
დის სიმღერა 111 „
ცოლის სიმღერა 113 „
* * * 115 „
* * * 115 „
* * * 117 „
იმერული ლექსი 118 „
მუხამბაზი 119 „
საწყალი და დარბაისელი 120 „
ბაბაფხულის სიმღერა 123 „
ზაფხულის სიმღერა 124 „
შემოდგომის სიმღერა 125 „
ზამთრის სიმღერა 127 „
* * * 128 „

Თაგვების ლათაია „დავკარგე ფერის ხმაზე“	130	გვ.
* * * . . .	133	„
* * * , .	135	„
* * * .	135	.
Ფარეშების სიღერა .	136	
Თვალის ახილვა . .	137	„
ხეადასხვა ერი: Ინგლისელები, ნემცები, Იტალიელები, Ფრანგები, ქართველები, ბერძნები .	142	„
Უცხო მარე	151	„
სიმღერა .	152	„
Დედა და შვილები .	153	„
ქითხვა მიგე'ა	155	„
სიყვარული .	156	„
მზრუნველებს ,	160	„
ჩემს მეგობარს . .	161	„
ბ . . . . ს .	163	„
ნაღვრა	165	„
უ . . . . ს	167	„
ნ . . . . ს	168	„
მესტვირული	169	„
Ივ-ნანა .	176	„
Დედა და შვილი	177	„
ქინტოს სიმღერა	179	„
ქინტო .	180	„
Ავდმყოფი .	181	„

მუშებს . . .	183	გვ.
* * * . . .	184	„
გამოცვლილი დრო . .	187	„
ახალი გზა	187	„
მეგობარს	190	„
ბაგრატ დიდი (ისტორიული პოემა) . .	193	„
ორი ქართველი (ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი)	216	„
ოცნება	236	„
მინდა რამ ვსთქვა	242	„
ღამურა (ზღაპარი) . . .	243	„
დიდი ვინმე . .	247	„
* * * . .	248	„
ქართველი ქალი . .	249	„
ახალი წელი. . .	259	„
პოეტის გული . .	254	„
გამოსალმება . .	255	„

85